

המרכז

12

1978



იაკობ ცურტაველი

მხატვარი ზურაბ სამხარაძე

(პორტრეტი დახატულია საგანგებოდ
ჟურნალ „ციცქრისათვის“)

წელს, დეკემბერში, მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა ქართული მწერლობის 1500 წლის იუბილე — იაკობ ცურტაველის უკვდავი წიგნის შექმნის თარიღი, მაგრამ პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის მეოხებით ეს იუბილე საყოველთაო ზეიმის მხოლოდ დასაწყისია: იუნესკოს გადაწყვეტილებით, ქართული მწერლობის თხუთმეტსაუკუნოვან იუბილეს ფართოდ აღნიშნავს მთელი პროგრესული მსოფლიო.

ტყეა

259

გამომცემის მეოცე წელი

12

დეკემბერი

1978

თბილისი

საქ. კვ. ცხ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფარველთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. მკობია ჟამირზე

პროზა, პოეზია

5. გურამ ფანჯიკიძე — აბტიური მზის წელიწადი.
რომანო. დასასრულო

70. მურმან ლეზანიძე — ლექსები

76. არნო მენელი — გული. ლექსი

77. ტარიელ ზანტურიძე — სტრესი — საპარტეზო.
ლექსი

78. ლია ასათიანი — ლექსები

80. სოლომონ დემურხანაშვილი — მგლები. მოთხ-
რობა

86. ნესტორ მაღალონია, ფრიდონ ხალვაში, მამია
პარსანიძე, გიორგი სალუქვაძე, ჯურაბ გორგი-
ლაძე, ჯემალ ქათამაძე, შოთა ჯოშიძე, ნოდარ
შამანაძე — ლექსები

93. გურამ კანაბა — ქართული მწიგნობრის საიმე-
დო ფრთა

1500 — შუშანიძის წამება — 1500

105. გრიშო ფარულავა — დიდი კარიბზე ეროვნული
კულტურისა

მრგვალი მაგიდა

119. თავისუფალი თემა

წერილები

132. ციური ხათურაძე — შორეული და ახლოგეო-
სამყარო

137. გორის გუბელიძე — კოლექტარული, სოცია-
ლისტური ინტერნაციონალიზმი საბჭოთა სა-
ხელმწიფოს საბაზო კოლექტივის პრინციპი

143. რეზა ჩხარტიშვილი — ქმრის ხიდი

ხელოვნება

145. ნინო გეგუშვილი — მამია მაღალონია

148. ნინო ხალიაშვილი — მოქანდაკის სახე

სკოტბი

151. შეტევა, კვლავ შეტევა... ინტერვიუ

156. კულტურული ცხოვრების პროცესი

157. ჟურნალ „ცისკრის“ 1978 წლის ნომერების შინა-
არსი

მთავარი რედაქტორი
გურამ ფანჯიკიძე

სარედაქციო კოლეგია:

ვახუა ამირაშვილი,
გურამ გვერდუთელი,
გივი გეგუშვილი,
რინოზ გორდუნიანი,
გიორგი გუგული,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიშვიტაშვილი,
ედუარდ მენაბდე,
იოსებ ორბელიანი,
ოტია პაპიკიძე
(მთ. რედაქტორის
მოადგილე),
ნუგზარ შატაძე,
ჯანსუღ ჩხარტიანი,
გივი ქეღელიძე,
ნუგზარ წერეთელი,
თამაზ წიგნაძე,
ტარიელ ზანტურიძე,
რეზა მამიშვილი.

უპოვანა უამირსა

ასწლებს გამოკვეყნდა ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის ახალი ნაწარმოები „უამირი“, რომელშიც ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიო პროგრესული საზოგადოების საერთო აღიარებაა მოცემული.

უპოვანა ბერძნული სიტყვაა და იგი დიდ მხატვრულ ნაწარმოებს ნიშნავს, სადაც საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესი ფართოდ და მრავალმხრივად არის ნაჩვენები, ან რისამე რთული და მნიშვნელოვანი ისტორიის ასახვით. მართლაც, ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის ამ ნაწარმოებში შესანიშნავად არის გადმოცემული იმ საზოგადოების ცხოვრებისა და შრომის განვლილი რთული, მაგრამ შეტად საინტერესო და პატრიოტული გზა, გარჯა და შრომა იმ აღმშენებლისა, რომელიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ისტორიაში მუდამირთა სახელმწიფოებით შევიდნენ.

უამირის ათვისების პროგრამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1954 წლის თებერვალ-მარტის პლენუმმა დასახა. უახლოეს მომავალში უნდა ათვისებინათ სულ ცოტა 13 მილიონი მექანიკური უამირი. ამ მიზანს ხმარდებოდა სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებათა დიდი ნაწილი.

უამირის ათვისება საყოველთაო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობად გადაიქცა. უამირი ჩვენი საზოგადოებისა და განსაკუთრებით კი ასალგაზრდობისათვის კომუნისტური აღზრდის შესანიშნავი სკოლა გახდა. მოსკოველ მოხალისე-უამირელთა კვლადკვალ უკაცრიელი ველების აღმშენებლის სამსახურში ჩასაყენებლად გაემგზავრნენ უველა მომე რესპუბლიკის ახალგაზრდობის მრავალათასიანი რაზმები. ახალგაზრდობის უმავალითა თვდადებულ შრომაც მითითებებს ის შეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთში ახალი მიწების ათვისების საქმეში გამოვლენილი შრომითი გმირობისათვის საბჭოთა მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა სრულიად საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი.

უამირმა, როგორც თვით ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევი აღნიშნავს, სამუდამო ადგილი დაიკავა მის ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავლებით 1954 წლის იანვარში ლეონიდი ილიას

ძე ბრეჟნევი ამ შეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების განსახორციელებლად უაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა, სადაც მისი საქმიანი და ერთდირებული მოღვაწეობა ვაგრძელდა ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩევამდე.

ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის ნაწარმოებები: „მცირე მიწა“, „აღორძინება“ და „უამირი“ ჩვენი დიდი ქვეყნის ისტორიის სულ სხვადასხვა პერიოდებს განეკუთვნება, მაგრამ მათ ერთი საერთო აქვთ, აქ ნათლად და მკაფიოდ არის გადმოცემული მთელი საბჭოთა ხალხის უდიდესი სიყვარული და თავდადება ლენინური პარტიისადმი, რომლის ერთგულნიც ისინი ბოლომდე დარჩებიან. თვით ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის მოღვაწეობა კი ლენინური ტიპის პატრიოტული მუშაისა და ხელმძღვანელის შეუდარებელი მაგალითია.

არ შეიძლება აღმანიშნა წიკითხო „უამირი“ და არ განცვიფრდეს თუ რაოდენ დიდი სამუშაოები ჩატარებულა ტრამალების დასამორჩილებლად, რამდენი ენერგია დახარჯულა იმისათვის, რომ მთელი რაგი წინააღმდეგობები დროზე და გონივრულად მოგვარებულიყო.

უამირის ათვისებისას არ ყოფილა დიდი თუ პატარა საქმე, რომელიც ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევის მხედველობიდან გამორჩენილდეს და მისადმი ჩვეული გულისხმიერება არ გამოეჩინოს. აი რას წერს ლეონიდი ილიას ძე ბრეჟნევი ამის შესახებ: „ზოგიერთ ამხანაგს მაშინაც მიჩანდა, რომ მაინცდამაინც საჭირო არ იყო ჩემი პირადი ჩარევა უამირა წვრილმანში, მით უმეტეს იქამდე, რომ ზოგჯერ უამირელთა ბრიგადების ქვაბებშიც ჩავიხედავდი ხოლმე, ხომ არ ასუსტებდა ეს ძირითადი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას? ამის გამო ვიტყვი, რომ ვერავითარი ქაღალდები, ვერავითარი ტელეფონის ზარი ვერ შეცვლის აღმანიშნებთან შეხვედრას და ცხოვრების ცოდნას. სამწუხაროდ, არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რომ ყოველგვარი ჭურის პატაკებს, ქვემოდან ზემოთ ინსტანციების გავლისას, დამახინჯების თვისება ახასიათებს. თანაც ყოველთვის ერთი მიმართულებით — გაიოლების, შერბილების მიმართულებით“.



„სოციალიზმს რომ ამკვიდრებდნენ — აღნიშნავს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — საბჭოთა ადამიანები ბევრ რამეს იწყებდნენ ცარიელ ადგილას, რათა გაეცნოთ დროისათვის. პარტიამ გულანდილად განუცხადა იმით, ვისაც მოუწოდებდა ყამირზე წასვლას: გაგვიჭირდება, ძალზე გაგვიჭირდება, ძნელი ბრძოლა მოგვქლის, ყოველგვარი ბრძოლა კი გმირობას მოითხოვს და ქვეყნის ასიათასობით პატრიოტმა — მომავალმა ყამირელმა შეგნებულად იკისრა ეს გმირობა“.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ გულანდობიერად დაწერილ ნაწარმოებში მრავალი ყამირელის თავდადებული შრომა და გმირობა არის ბრწყინვალედ აღწერილი, მაგრამ არ შეიძლება მკითხველმა მღელვარებით არ წაიკითხოს ის ადგილი, სადაც ლაპარაკია დანიელ პოტაპის ძე ნესტერენკოს გმირულად დაღუპვაზე. პატარა ღმინარე ჟანისპაია გაუჩინელი იყო და მის გაღვთვამდე მეორე მხარეს სწრაფად უნდა გადაეყვანათ ტრაქტორები. „ნესტერენკო ჭერ ამხანაგებს დაესმარა ამ სახიფათო ოპერაციაში, თავისი ტრაქტორი კი სულ ბოლოს დაძრა. მაგრამ წყალშემდგარმა ყინულმა, რომელიც უკვე ღვებოდა, ვეღარ გაუძლო... როცა მეგობრებმა წყლიდან ამოიყვანეს დაღუპული, ჯიბეში საბჭოთა კავშირის გმირის მოწმობა უპოვეს. მანამდე საბჭოთა მეურნეობაში არავინ იცოდა, რომ მათ გვერდით ასეთი კაცი მუშაობდა. როგორც ვამოიკვცა, გმირის წოდება დანიელ პოტაპის ძე ნესტერენკოს დნეპრის გადალახვისათვის მიუღია. და კიდევ უფრო გულანდობიერად იყო მისი დაღუპვა. მე მახსოვს დნეპრი, მახსოვს შემწარავ ტყვიის წვიმაში ამ გადასვლის გმირები, თითქმის რა უნდა იყოს ნაწრთობი კაციისათვის ველის მღმინარე! მაგრამ, ვაი რომ, ხდება ხოლმე ცხოვრებაში ასეთი ყოველად უაზრო შემთხვევები“. ასე გულთბილად და სინანულით იკონებს ერთი უპრეტენზიო საბჭოთა მოქალაქის თავდადებას დიდი საქმისათვის ბრძოლაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

საქმისადმი დიდი სიყვარული, მოთხოვნელობა, მართვისადმი კოლექტიური მიდგომა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნეს ცხოვრებისეულ კანონად მოაჩინა, „პარტიულმა და სახელმწიფო მოღვაწემ უნდა იცოდეს როგორც ზოგადი განვი-


თარების კანონები, ისე კონკრეტულ მდგომარეულ და პრაქტიკულ ცოდნაზე დაყრდნობა. და ყოველ შემთხვევაში, უფლება არა აქვს თავისი თავი ერთადერთ და შეუცვლელ ავტორიტეტად მოჰქონდეს ადამიანის საქმიანობის ყველა დარგში.

თანამედროვე ეკონომიკა, პოლიტიკა, საზოგადოებრივი ცხოვრება იმდენად რთულია, რომ მათი დაუფლების უნარი მხოლოდ მძლავრ კოლექტიურ გონებას შესწევს, უნდა მოუსმინო სპეციალისტებს, მეცნიერებს, თანაც არა მარტო ერთი მიმართულებისა და ერთი სკოლისას. უნდა იცოდეს ხალხთან მოთათბირება, რათა დობე-უორებს არ ედებოდეს. უმწიფარ და მოუფიქრებელ თვითნებურ გადაწყვეტილებებს არ იღებდე, ყოველივე ეს განსაკუთრებით საშიშია მაშინ, როცა საქმე ეხება მთელი გეოგრაფიული რეგიონის ყოველმხრივ სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ ათვისებას, ამ საქმეში ზანგარძლივი დროისათვის გათვალისწინებული პოლიტიკის განქვერდობის უნარს“.

ყამირის ათვისებას და იქაური სტეპების ჰუარის ბელადად გადაქცევას უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, რაც შესანიშნავად არის გადმოცემული „ყამირში“ დაუღალავმა გმირულმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო: 1956 წელს ქაზახეთის რესპუბლიკამ დაპირებული 600 მილიონის ნაცვლად სახელმწიფოს მილიარდი ფუთი მარცვლეული ჩააბარა. „ამ პირველმა მილიარდმა მარცვლეულმა, — აღნიშნავს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი — მტკიცე ავტორიტეტი შეუქმნა ყამირს და ეს ავტორიტეტი მეორე უკვე ვეღარ შეარყია ვერც სტეპის შემოტევამ, ვერც თვითნებურმა გადაწყვეტილებებმა, რომლებიც აძლიერებდა ამ შემოტევის მოქმედებას“.

„ყამირის გატეხვა კომუნისტური პარტიის დიდი იდეაა — წერს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, — რომლის განხორციელება დაგვემარა, ისტორიული კატეგორიებით თუ ვიმსჯელებთ, თითქმის თვალის დახამამებაში გადაგვქცია ჩვენი ქვეყნის უღასური, მიყრუებული, მაგრამ ბარაქიანი აღმოსავლეთის სტეპები განვითარებული ეკონომიკისა და მაღალი კულტურის მხარედ“.





რომანი

თავი მეთორმეტი

„როდესმე გიფიქრია, ვინა ხარ შენ?“ — თითქოს ისევ მეკითხება აკადემიკოსი ლევან გზირიშვილი.

დღესაც არ ვიცი, ამ უცნაურ შეკითხვაზე რა უნდა მეპასუხა, მით უმეტეს, არც მაშინ ვიცოდი და თვალეში დუმილით შევცქეროდი.

შევატყვე, პასუხს არც ელოდა. უფრო სწორად, მივხვდი, ამ კითხვაზე თვითონვე აპირებდა პასუხის გაცემას.

„მილიციისთვის შენა ხარ მოქალაქე ნოდარ გიორგის ძე გელოვანი. ჩემთვის თანამშრომელი, ნიჟიერი მეცნიერი, ფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი, კარგი და ალღოიანი ექსპერიმენტატორი;

მეზობლებისათვის ცოტა ცივი, მაგრამ ზრდილი და კორექტული ახალგაზრდა; ავტობუსის კონდუქტორისათვის მგზავრი; ექიმისათვის პაციენტი. მაგრამ შენ თვითონ იცი, ვინა ხარ? რას წარმოადგენ, რა გინდა, რისკენ მიისწრაფვი და რის საფასურად?“

ვინ ვარ მე?

რას წარმოადგენ?

რა მინდა და რისკენ მივისწრაფვი?

მართლა არასდროს მიფიქრია, პასუხი გამეცა ამ შეკითხვებზე?

მალე ოცდათხუთმეტი წლისა გავხდები და მგონია, მთელი ჩემი ცხოვრება ვცდილობდი, გამერკვია საკუთარი პიროვნება.

ოცდათხუთმეტი წელი...

რამდენჯერ შემშინებია უკან მოხედვა. რამდენჯერ გავწითლებულვარ, ჩემი

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 10, 11.

უგერგილო და უმწეო საქციელი რომ გამხსენებია.

„ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ, მოქმედებ, გრძნობებს მიჰყვები. ჯერ შენ ჯანი და ენერგია არ გლალატობს. ჯერ მომავლის იმედებითა ხარ აღსავსე და ნამოქმედარს არ ანალიზებ. შედეგების დარდი არ გაწუხებს. თან სევდიანი, გულჩათხრობილი კაცი ხარ. ტოლებში, ვფიქრობ, ყველაზე უფრო მაინც შენ გაწუხებს შენი პიროვნება. ყველაზე უფრო შენ ცდილობ, ჩაიხედო საკუთარ სულსა და არსებაში. თავიდანვე გატყობდი, რაღაც იდუმალი სევდა გიღრღნიდა და ახლაც გიღრღნის გულს. ეს არ იყო ექსპერიმენტატორი ფიზიკოსის გზასაცდენილი ცდებით გაცრუებული იმედების სევდა. შენ ადამიანის სულის საიდუმლო უფრო გაინტერესებს, ვიდრე მძიმე პროტონები და მეზონები“.

მხოლოდ ერთ რამეში ცდებოდა აკადემიკოსი — ჯერ მომავლის იმედებითა ხარ აღსავსე და ნამოქმედარს არ ანალიზებ, შედეგების დარდი არ გაწუხებსო, რომ მითხრა.

თუმცა, ვინ იცის, იქნებ მის სიკვდილამდე არც კი განვიცდიდი ასე მძაფრად საკუთარი პიროვნების არარაობას.

იქნებ ჩემი უილაჯობა და სევდა მხოლოდ სულიერი დეპრესიაა ლევან გზირიშვილის თვითმკვლელობით გამოწვეული? იქნება გავა დრო და დაგშვდიდები, ისევ დამიბრუნდება ხალისი და მომავლის იმედი? თუ ჩემს სულში დიდი ხნის წინ იყო ჩაბუდებული უიმედობისა და პიროვნული არარაობის გრძნობა და მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს ელოდა, მთელი ძალით გამოემკვდნებულებო? იქნებ ჩემი დამძიმებული გული და დაწყევტამდე დაჭიმული ნერვები მხოლოდ იმედის გაცრუების შედეგია? იქნებ მეტს ველოდი, ან უფრო ლამაზი და მაღალი წარმოდგენა მქონდა ცხოვრებაზე, ადამიანებზე? იქნებ სიყვარულის გაციებამაც ჩემი სული ერთბაშად გადაიყვანა დაბალ ქაზებაზე? იქნებ მართალია ეკაც — გამოჩნდება ერთი ქა-

ლიშვილი და ისევ ის ძველი ნოდარ გელოვანი იქნები, ადრე რომ იყავი? 

შეკითხვები ყოველი მხრიდან მოდიან, ერთმანეთში ირევიან, იზლართებიან, იწელებიან, იგრძნობებიან, ნერვიულად ცახცახებენ. თითქოს ფიზიკურად ვეხები მათ და უცნაურ სუნსაც კი ვგრძნობ ამ შეხებისას.

დამძიმებულ ქუთუთოებს ნელა ვაბეღ.

გულადმა ვწევარ და ჰერს შევცქერი. მარცხენა მკლავზე ეკას თავი მიდევს, ჩემსკენ შემობრუნებული წევს თვალდაუტყული. მკერდზე ვგრძნობ მის რიტმარულ სუნთქვას. ვიცი, არ ძინავს.

ცხელა.

ოთახში დროდადრო შემოდის სასიამოვნო ნიავი. საწოლის გვერდით სკამზე სიგარეტის ნაწვევებით სავსე საფერფლე დგას. ბევრს ვეწევი.

უაზრო ზდება ჩვენი ასე ყოფნა. მინდა ვუთხრა, დღევანდელი შეხვედრა საბოლოო არის-მეთქი. მაგრამ ვგრძნობ, თვითონაც ზდება, რა უაზროა ჩვენი შეხვედრები და ხმას არ ვიღებ. მტკიცედ გადავწყვიტე, ეკასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტო. ჯობია, შენს თავს მიხედო-მეთქი, მინდა ვუთხრა, მაგრამ თავს ვიკავებ. ვიცი, ამ სიტყვებით საშინელ შეურაცხყოფას მივაყენებ. რა დგას ამ ოთხსიტყვიანი ფრაზის უკან?

„ჯობია, გზას დაადგე, ოჯახი შექმნა“.

დუმილი.

უაზრო, საშინელი დუმილი.

სიგარეტი.

მარჯვენა ხელით ასანთს სკამზე ვაბჯენ და ისე ვუკიდებ. არ მინდა, ეკა შევაწუხო.

ღრმა ნათაზი:

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

დუმილი.

ისევ ნათაზი.

ბოლს ჰერისკენ ვუშვებ ვერტიკალურად. მინდა, მალე მოსცილდეს აქაურობას, ეკა რომ არ შეაწუხოს.

— ხომ არ გაწუხებ? — ვეკითხები მაინც.

— არა! — მპასუხობს ხმადაბლა. რა უტყობა ახლა ეს ხმა ჩემთვის! ჯობია, ყველაფერი ვუთხრა, ჯობია, დღესვე დავშორდეთ საბოლოოდ ერთმანეთს.

თუმცა, აქვს კი თქმას აზრი? ეკა ხომ უთქმელადაც გრძნობს ჩემს ფიქრებს! არა, არა ვარ სწორი. ჯობია, მაინც ვუთხრა, რომ დღეს უკანასკნელად ვხვდებით ერთმანეთს.

დავიჯერო, ასე მომხერხდა? არავითარ შემთხვევაში! მე, უბრალოდ, აღარ შემიწევს ძალა ისეთივე ყურადღებიანი ვიყო, ადრე რომ ვიყავი.

ჩემს თავზე გული მომდის. რომელ ყურადღებაზეა ლაპარაკი? მე, უბრალოდ, გამოვიფიტე.

მარტო სიყვარულში?

არა, სამეცნიერო მუშაობაშიც დავკარგე ყოველგვარი ალტკინება. საერთოდ დავკარგე სიხარულის გრძნობა.

რატომ?

ძნელია, ამ შეკითხვაზე მთლიანი და სწორი პასუხი ჩამოაყალიბო. მთავარი კი მაინც ისაა, რომ სევდა მომეძალა, ადამიანის არარაობის, ცხოვრების უაზრობის განცდა დამეუფლა.

„ადამიანის არარაობის“, — სხვის მაგივრად რატომ ვლაპარაკობ? არა, არავის მაგივრად არ ვლაპარაკობ და არც არავითარ თეორიას არ ვაყალიბებ. მე ჩემი პიროვნული კრიზისი მტანჯავს და მთრგუნავს. ვერც კი ვიტყვი, რამ გამოიწვია ეს კრიზისი. იქნებ დღევანდელი ცხოვრების მძიმე და მომქანცველმა რიტმმა? იქნებ ადამიანების სულიერმა სიღატაკემ? იქნებ ირგვლივ გამეფებულია სიყალბემ, ფარისევლობამ, შურმა, ობივატელობამ და მეშხანობამ?

არ ვიცი. კონკრეტული მიზეზის გამოყოფა მიჭირს. ფაქტი ერთია, რაც დრო გადის, ჟანგი მით უფრო ეკიდება ჩემს სულს. არც თავს ვიწუხებ გავარკვიო, ჩემს პიროვნებას რატომ ჭამს უღმობელი კოროზია. მე განცდების, ემოციების კაცი ვარ. სრულიად უბრა-

ლო რამეც კი მაცოფებს ან მთრგუნავს. ჩემი გონებიდან ალბათ არასდროს არ წაიშლება ლევან გზირიშვილთან გატარებული უკანასკნელი საღამო. ეტყობა, აკადემიკოსის უკანასკნელმა ნაბიჯმა სულთ ხორცამდე შემადრწუნა და გამანადგურა. თავდაპირველად არც კი მეგონა, თუკი იმოქმედა ჩემზე საერთოდ. თითქოს არც ახლა მჯერა. ეკამ ბევრჯერ მითხრა, იმ საღამოს შემდეგ გამოიცვალეო. ვბრაზდებოდი და ნერვები მეშლებოდა ეკას სიტყვებზე. თუმცა შემდეგ, როცა დავმშვიდდებოდი, ვგრძნობდი, ეკა მართალი იყო.

ეკა.

სინდისი მაწუხებს, რომ ეკას ხუთი წელი დავაკარგვინე, უფრო სწორად, ექვსი გრძელი წელიწადი.

„დავაკარგვინე?!“

კიდევ კარგი, ეს სიტყვა ხმამალა არასდროს წამომცდენია ეკასთან.

კაცმა რომ თქვას, არცა ვარ მართალი. ეკამ ვერ შექმნა ოჯახი, არ ჰყავს ქმარი, შვილები. ღმერთმა გაიგოს, რას ფიქრობენ მასზე საზოგადოება, მშობლები, ნათესავები, ნაცნობ-მეგობრები. მაგრამ რამდენი ბედნიერება მივანიჭე ამ ხუთი წლის მანძილზე? ბოლო მეექვსე წელს აღარ ვთვლი.

მივანიჭე? განა მან კი არ მომანიჭა უზარმაზარი ბედნიერება?

ოცდათხუთმეტი წლისა ვსრულდები. მთელი ჩემი ხანმოკლე თუ ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მხოლოდ ის დღეები და საათები მაგონდება, ეკა რომ მიყვარდა. მის მოლოდინში გული რომ ამოვარდნას ღამობდა, სახე რომ მიხურდა და ძარღვებში სისხლი რომ მიფითრდებოდა.

სინდისი მაინც მართალი მაქვს. მე ხომ არასდროს დავპირებივარ, ჩვენი სიყვარული სამუდამოდ გაგრძელდებამეთქი, სიკვდილამდე. არც როდისმე მითქვამს ზეირიანად, მიყვარხარ-მეთქი. არც არაფერს დავპირებივარ საერ-

გურამ ფანჯიშიძე
აპრილი 2013 წელი



თოდ. ჩვენი ურთიერთობა და სიყვარული მხოლოდ გრძნობაზე იყო დამყარებული, არავითარი წინაპირობა არ გვქონია გათვალისწინებული არც მე, არც ეკას.

ერთბამად ვხვდები, რომ საზიზღარი ვარ. ისევ ვიგრძენი, სულს როგორ მოედო მუქი ყავისფერი ქანგი. მაშინ, როცა სიგიჟემდე მიყვარდა ეკა, რატომ არ ვიმეტებდი თბილ სიტყვებს? თვითონ ეკას არასდროს დაუძალებია: მაინცდამაინც სიტყვიერად მითხარი, გიყვარვარ თუ არაო. ძნელია გამოუტყდე საკუთარ თავსაც; მაგრამ მაინც ვაღიარებ, ჩემი საქციელი ალბათ ერთდღავარი ალიბი იყო მომავლისათვის. არა მგონია, შეგნებული ყოფილიყოს ჩემი მოქმედება. არც არასდროს მიფიქრია, წინასწარ განმეჭვრიტა, რა მოხდებოდა მომავალში და თავი დამეზღვია ყოველგვარი მოსალოდნელი უსიამოვნებისაგან. იქნებ ადამიანს სხეულში აქვს ალიბის ინსტინქტი? ვცდილობ, ამ მტანჯველ ფიქრებს თავი დავაღწიო. არ მინდა ნათლად გამოიკვეთოს ჩემი სილაჩრე და უზადრუკობა.

სიგარეტი.

ბოლო ცალს ვიღებ, კოლოფს ვჭმუჭნი და სადღაც ვისვრი. ეს მართლაც გაუთვითცნობიერებელი მოქმედებაა. სიგარეტის დაჭმუჭნილი კოლოფის მოსროლა არაფერს არ გამოხატავს, არც გაბრაზებას, არც რაიმე მტანჯველი ფიქრის დასასრულს, არც რაიმე გადაწყვეტილების მიღებას.

სიგარეტის კოლოფის მოსროლა არც გამიზნული მოქმედება ყოფილა, სადღაც, მისთვის განკუთვნილ ადგილზე რომ დამეგდო. ცარიელი კოლოფისთვის განკუთვნილი ადგილი ამ შემთხვევაში სკამი იყო, საწოლის გვერდით რომ იდგა. ამ სკამზე დევს საფერფლეც და ასანთიც.

გონებაში აზრადაც არ გამივლია კოლოფის გადაგდება. იქნებ ჩემს არსებაში ის მეორე პიროვნება ამოქმედდა, ხშირად უჩემოდ რომ იძლევა განკარ-

გულებებს და უჩემოდ რომ იღებს გადაწყვეტილებებს?!

არ ვიცი, რამდენი საათი გავიდა მას შემდეგ, სასტუმროს ნომერში რომ დავბინავდი. გუშინ დღის სამ საათზე შემოვალეთ ამ პატარა, მაგრამ მყუდრო ოთახის კარი. ახლა რომელი საათია? ვცდილობ, ფანჯარაში შემოსული მზის სხივების დახრილობით გამოვიცნო რა დროა. ჯერ კიდევ შუადღეა, თუ უკვე მოსალამოვდა? უფრო შუადღე უნდა იყოს. ძალიან ცხელია.

წიშვილი მაწუხებს.

პატარა მაცივარში ხილიც გვაქვს, ცოტადენი საჭმელიც და სასმელიც. ყველაფერი გუშინვე მოვიმარაგე. არ მინდოდა, რესტორანში გვესადილა და გვევახშმა. არავის ნახვის სურვილი არ მქონდა. ხალხის ყრიაბული ისედაც დაწყვეტილ ნერვებს კიდევ უფრო მიწყვეტავდა.

ადგომა მეზარება.

ვფიქრობ, ახლა ყველაზე კარგი დროა ეკას ვუთხრა, დღევანდელი ჩვენი შეხვედრა საბოლოო რომ არის. რაც არ უნდა მოხდეს, რაც არ უნდა გამიჭირდეს, მეტს აღარ დავურევავ. ქუჩაშიც კი, თუ აღრე შევნიშნე და პირდაპირ არ შევეჩიხე, თვალს ავარიდებ, შეხვედრის მტანჯველ წუთებს შეგნებულად ავაშორებ თავიდან.

ასე ჯობია.

ბოლოს და ბოლოს, დროა ჩვენს უაზრო ურთიერთობას საბოლოოდ დაესვა წერტილი.

ჯობია, პირდაპირ ვუთხრა სათქმელი, მაგრამ საუბარს ვერა და ვერ ვიწყებ.

უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი მხსნელად კვლავ სიგარეტს ვეძებ.

მაგონდება, სიგარეტის კოლოფი წელან მოვისროლე. სკამისკენ მაინც ვიცქირები. მერე ძველებურ მასიურ სავარძელზე გადაკიდებული კურტკისკენ ვაპარებ თვალს. კურტკის ჯიბეში კიდევ მეგულება ერთი კოლოფი „კოლხეთი“.

მარცხენა ხელს ვინთავისუფლებ. ეკამ ოდნავ ასწია თავი, მერე ისევ ბალიშზე დადო იმავე პოზაში.

საწოლში შევბრუნდი და სავარძელს თითებით მივწვდი.

ვეგრძნობ, ზურგს როგორ მიბურღავს ეკას თვალები. თითქოს ვხედავ კიდევ, ტუჩებზე დამცინავი და ცოტა გაბოროტებული ღიმილიც რომ დასთამაშებს.

ყურტკის ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ და ისევ გულაღმა ვწვები.

— რა დაგემართა, ბევრს ეწევი. ასე არ შეიძლება! — ამბობს ეკა.

დამცინის?

რასაკვირველია, დამცინის.

ეკამ მშვენივრად იცის, დღევანდელი დღე რითაც დამთავრდება. ქალურმა შეუმცდარმა ალლომ თავიდანვე მიახვედრა, ბორჯომში რატომ წამოვიყვანე და სასტუმროს ნომერიც რატომ ავიღე. მშვენივრად გრძნობს ჩემს უმწეობას. ორი სიტყვა ვერ გადამიბამს ერთმანეთზე, რომ, ბოლოს და ბოლოს, სათქმელი ითქვას და ჩვენს ურთიერთობასაც წერტილი დაესვას.

დარწმუნებული ვარ, განგებ ღუმს. ალბათ სიამოვნებს ჩემი წვალუბა. ან იქნებ უნდა, თვალნათლივ დარწმუნდეს ჩემს უბადრუკობაში, აზარაობაში, რომ უფრო იოლად გადაიტანოს განშორება?

ლოდინს აზრი აღარა აქვს. სიგარეტს ნერვიულად ვსრისავ საფერფლეზე.

— ასე აღარ შეიძლება, ეკა! — ვამბობ უცებ.

„ასე აღარ შეიძლება, ეკა!“ — ჩამესმის საკუთარი ნათქვამი ყურში, მაგრამ ხმას ვეღარ ვცნობ. თითქოს ვიღაც სხვამ თქვა ეს სიტყვები ჩემი ტუჩებით.

— ასე აღარ შეიძლება, ეკა! — ვამბობ ისევ გაღიზიანებული და ეკასკენ ვბრუნდები.

რასაკვირველია, წინათგრძნობა არ მალატობს, — ეკას ტუჩებზე დამცინავი და ოდნავ ბრაზიანი ღიმილია გამოჩეჭურთმებული.

— რა არ შეიძლება?

— ჩვენი ასეთი ურთიერთობა აღარ შეიძლება!

— მერე? გეუბნები რამე საწინააღმდეგოს? მე ხომ დიდი ხანია ვიცი, ჩვენი ასეთი ურთიერთობა აღარ შეიძლება.

მეტი რა გზა მქონდა. მწარე ბედსაც შევეგუე. განა მე დაგირეკე როდესმე? ნა ჩემი ინიციატივა იყო, ახლა რომ აქ ვართ, სასტუმროს ნომერში?

— ეკა...

— ნუ იტანჯები. ვიცი, აქ იმიტომ წამომიყვანე, რომ დღეს საბოლოოდ დავეშორებოდით ერთმანეთს. ჩემთვის თბილისშივე იყო ნათელი შენი განზრახვა.

მცირე პაუზა.

— ნუ დეღავ, დამის თორმეტი საათიც მალე მოვა. მე მატარებლით წავალ თბილისში, შენ, როგორც უკვე მითხარი, ლაბორატორიაში წახვალ, მთაში და ამით ყველაფერი დამთავრდება.

„ყველაფერი დამთავრდება“.

სათქმელი უკვე ითქვა, მაგრამ ყავისფერი ქანგი ახალი ძალით მიღრღნის სულს.

პაუზა.

მტანჯველი, გულის გამწვრილებელი დუმილი.

მაინც რომელი საათია?

არ მინდა წამოვდგე და მაგიდაზე დადებულ საათს დაეხედო. ისევ მზის სხივების დამრეცობით მინდა გამოვიცნო, რა დროა.

მშოია.

ეტყობა, საღამოს პირია, ექვსი მაინც იქნება დაწყებული. გრილი ნიავი ახლა უფრო ხშირად შემოდის ღია ფანჯრიდან. დიდი ნაძვი, ფანჯრიდან რომ მოჩანს, თითქმის მთლიანად ფარავს ყველაფერს და ტოტებში გამოტანებული სხივები ნათლად მოწმობენ, რომ მზე საკმაოდ გადახრილა.

ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ მაინც ძალზე მაშინებს დღევანდელი დღის ფინალი. მატარებლის გასვლამდე კი ალბათ ხუთი, ხუთნახევარი საათიღა რჩება.

ექვსი წელი გავიდა ჩვენი პირველი შეხვედრის დღიდან. გუშინდელივით მახსოვს, მანქანა გზაჯვარედინზე გავა-

გზარამ ფანჯრიკი

აბაიური მზის წაღიწადი

ჩერე და ველოდებოდი, მწვანე შუქი როდის აინთებოდა. უცებ უკნიდან ვილაღ დაძვანა და ფარების ჭახანის ხმა გაისმა. უეცარმა დარტყმამ შემაქანა, კისერი ლამის გადამტყდა. გაცოფებული გადმოვედი. თეთრი „ქიგული“ მომჯახებოდა. სიბრაზემ უმაღვე გამიარა, როცა მანქანის საჭესთან აცრემლებული და შეშინებული ლამაზი ქალიშვილი დავინახე.

მერე...

მერე, შინ რომ მივაცილებდი, ღამის თორმეტი საათიდან ორ საათამდე მაინც ეზოს რკინის ჭიშკართან ვიდექით ხოლმე.

— ეკა! — ვამბობდი მე და ქალიშვილს თვალებს ვუკოცნიდი...

— გამიშვი!

არ ვუშვებდი და თვითონაც არ აპირებდა წასვლას.

ბოლოს მაინც შედიოდა ეზოში და რკინის რიკულებიან ჭიშკარს მეორე მხრიდან მოადგებოდა გამოსამშვიდობებლად. უმაღვე ხელებს ვყოფდი რიკულებში და ჩემსკენ ვეჭახებოდი. რიკულებში თავი არ ეტეოდა, მაგრამ ერთმანეთს ტუჩებით მაინც ვწვდებოდით ხოლმე.

რა ლამაზი იყო რკინის რიკულებს იქით! თვალები თითქმის უფრო უბრალოდ ეყინებოდა, შუბლზე ჩამოშლილი თმაც უფრო უხდებოდა!

— წადი, გვეყოფა, დაგვინახავენ.

— ცოტა ხანს კიდევ!

— წადი, ძალიან გთხოვ!

— ერთხელ კიდევ მაკოცე.

ერთი კოცნა ოც კოცნად მაინც იქცეოდა ხოლმე.

— ახლა წადი! — მეუბნებოდა ისევ და ვგრძნობდი, არ უნდოდა წავსულიყავი.

— ჯერ შენ წადი.

— არა, შენ წადი, ხვალ დილით რვა საათზე დაგხვდები ქვემოთ.

— რვა ძალიან ადრეა, რა ვუთხრა ჩვენებს, სად მივდივარ-მეთქი?

— რაც-გინდა ის უთხარი, მოიგონე რამე!

— ყოველდღე რა მოვიგონო? კარგი, გვეყოფა, სახე მეტკინა!

ეტყობა მაგრად მოვეჭაჩე და მივექულიტე რკინის რიკულებს.

— წავედი! — ამბობს ბოლოს და მიდის.

მე ისევ დიდხანს ვიდექი ხოლმე რკინის რიკულებს ჩაბლაუჭებული და ვუცქეროდი, როგორ უჩინარდებოდა სიბნელებში. მერე იმ ჟანგარას შევყურებდი, სადაც შუქი უნდა ანთებულიყო. მანამ არ მივდიოდი, სანამ შუქი კვლავ არ ჩაქრებოდა.

მერე ნელა მივყვებოდი ქუჩას და თან საათს დავცქეროდი. მომავალ შეხვედრამდე დარჩენილი ექვსი საათი უსაშველოდ დიდ დროდ მეჩვენებოდა.

სიგარეტი.

— ბევრს ეწევი, ნოდარ!

— ჰო, ბევრს ვეწევი, — ვამბობ ნერვიულად, — ბევრს ვეწევი, იმიტომ რომ ასე უზაროდ ცხოვრება აღარ შემიძლია!

თითქმის ყვირილით ვამბობ უკანასკნელ სიტყვებს. ყელში რაღაც მეჩხირება. გული საშინლად მიცემს. ვგრძნობ; სადაცაა სასოწარკვეთილება დამეუფლება.

რა მანერვიულებს?

თითქმის ყველაფერი კარგად დამთავრდა. აბა რატომ მიპყრობს საშინელი სევდა? გული რატომ მიხდება გრანიტის უზარმაზარი ლოდისხელა?

ეკა ღამის თორმეტი საათზე ჩაქვდება მატარებელში და ამით ყველაფერი დამთავრდება. მეც ხომ ეს მინდოდა, ხომ იმიტომ ჩამოვიყვანე ბორჯომში?! აბა მეტი რაღა მინდა? რა ბორჯავს ჩემს სხეულში? ალბათ ჩემი უმწეობა, ჩემი უბადრუკობა, ცხოვრების შიში...

— კიდევ დაიწყე ამ თემაზე ლაპარაკი? ჩვენ ხომ ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და მშვიდობიანად ვშორდებით ერთმანეთს! კიდევ რაღა გინდა? რა გაწუხებს, რა გაგიჟებს და განერვიულებს? როგორმე გასძელი რამდენიმე საათიც, თუ არ შეგიძლია, ჩავიცვამ და წავალ!

— მომისმინე, თორემ არ ვიცი რას ჩავიდნე! — ვყვირი მთელი ხმით.

— ჩუმაღ, გაიგონებენ!

— აბა მომისმინე, ყურადღებით მომისმინე, თორემ შეიძლება ჭკუაზე შევიშალო. შენ უნდა გამოიგო, ეკა, უნდა გამოიგო! მე სუსტი და ემოციური ადამიანი ვარ. არ შემიძლია ისე ცხოვრება, როგორც სხვები ცხოვრობენ. მაგიუებს და მაცოფებს, ირგვლივ რომ გესლიანი და შურიანი ადამიანები მახვევია. ვერ ვიტან სიცრუეს და სიყალბეს, ვერ ვიტან ფარისევლობასა და პირმოთენობას, ვერ ვიტან ბორბტებსა და კაცისმკვლელებს. ცხოვრება ჩემთვის მხოლოდ სასოწარკვეთა და იმედის გაცრუებაა. მე, მე თვითონ ვინ ვარ, როგორ ვცხოვრობ, როგორ ვეგუები ჩემს ირგვლივ გამეფებულ უმსგავსოებას, როგორ ვებრძვი ნაძირალებს და ეგოისტებს, დღენიადავ პირზე რომ ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და პატრიოტიზმი აკერიათ? არავითარი სურვილი არ მაქვს, ჩემი შვილიც ისევე იტანჯებოდეს, როგორც მე ვიტანჯები.

— ნელა, ნოდარ, მკლავები მტკიცია!

ახლაღა ვამჩნევ, ეკასთვის მკლავებში ხელი ჩამვიღია, საწოლზე წამომიჯენია და საშინლად ვანჯღრევ.

გონს მოვედი და ეკას ხელი ვუშვი. ერთხანს ასე ვარ, წამოჩოქილი. მერე ლოგინში ვეშვები თავდაღმა. ცივი ოფლი მასხამს.

დუმილი.

ეკა თითქოს გაქვავდაო, აღარც კი სუნთქავს, ისე დამცქერის.

ხელი სიგარეტისკენ გადავყავი.

— მეტის მოწვევა არ შეიძლება. მოიწამლები! — ეკა ხელიდან მგლეჯს სიგარეტის კოლოფს.

წინააღმდეგობას არ ვუწევ.

თვალს ვხუჭავ.

დუმილი.

უცებ ლოგინი შეინძრა და ეკა წამოდგა. თვალს მაინც არ ვახეღ.

ღროდადრო მანქანის ხმა ჩამესმის. ვიღაცა ვიღაცას ეძახის, საიდანღაც ჰავშვების ქრამულიც ისმის. ვერა-

ფერს ვერ აღიქვამს ჩემი დანისლული გონება.

მხოლოდ ვხედები, ეკა იცვამს და სააბაზანოში გადის. არ ვიცი, რამდენ ხანს დაჰყო იქ. ალბათ, მთელი საუკუნე. მხოლოდ ვგრძნობ, წყლის შხუილი აღარ ჩამესმის ყურში, ეტყობა, შხაპი დაექტა.

კარის მიჯახუნების ხმა. ეკა უკვე ოთახშია.

თვალს მაინც არ ვახეღ.

დიდი მიხვედრა არ უნდა, ტანსაცმელს და რაღაც ნივთებს ალაგებს ჩანთაში.

— უკვე ცხრა საათია! — ამბობს წყნარად.

არა, ეს ეკას ხმა არაა. ვიღაც სხვა ქალი ლაპარაკობს ეკას ნაცვლად. წარმოდგენილია ეს ცივი და ეკლიანი ხმა ეკას ამოსვლოდა პირიდან. სადაა მისი მორთოლვარე, სიყვარულით და სევდით აღსავსე მელოდიური ხმა?

— უკვე ცხრა საათია! — იმეორებს ეკა.

რესტორანში განაპირას ვუსხდებით პატარა მაგიდას და ოფიციანტს ველოდებით. კაცმა არ იცის, როდის ინებებს მობრძანებას.

დუმილი.

თითქოს ორი უცხო ადამიანი ვუსხედვართ სუფრას. არა, სიტყვა „უცხო“ ზუსტად არ გამოხატავს ჩვენს მდგომარეობას. ბოლოს და ბოლოს, უცხო ადამიანთან ჯდომა, თანაც თუ ისეთი ლამაზია როგორც ეკა, სასიამოვნოც არის, უფრო მეტიც, რაღაც ტკბილი მოლოდინითაცაა აღსავსე.

არც დაუბრებელი გვეთქმის.

უბრალოდ, ჩვენს შორის დუმილის მძიმე, რუხი და ნესტიანი მასაა ჩამოწოლილი, სულს რომ გვიხუთავს და გულის რომ გვიძიმებს.

საღდაც შორს ვიცქირები, მაგრამ

გუარამ ფანჯიკიძე
აპატიური მზის წაღიწაღი

ვერაფერს ვხედავ. ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე საზიზზრად დამთავრდებოდა ყველაფერი.

როგორც იქნა, ოფიციანტს მოაქვს საუზმე. ცოტა შეღავათი ვიგრძენი. ყოველ შემთხვევაში, რაღაცას მაინც ვაკეთებ. ღვინოს ვასხამ, რაღაც მივწიმოვწიე. მთლად იდიოტურ სიტუაციაში მაინც აღარა ვარ.

რესტორანში ცოტაა ხალხი.

ჩემგან ხელმარცხნივ, ერთი მაგიდის შემდეგ ბედნიერი ოჯახი ზის. ლოყაწითელა, მსუქანი მამა და ბეჭდებით თითებდახუნძლული დედა ბავშვებს ჩასჩინებენ, კარგად ჭამეთო.

ორ მაგიდას თითო-თითო კაცი მისჯდომია და ჩუმიად სადილობენ თუ ვახშობობენ.

ჩვენს პირდაპირ, ფართო მინის კედელთან მიდგმულ მაგიდასთან ორი ჭაბუკი და ორი ქალიშვილი ზის. რატომღაც ძალზე ჩუმიად ლაპარაკობენ.

მხოლოდ ერთი სუფრიდან მოისმის ყაყანი. უკვე კარგად არიან შეზარხოშებული. რესტორანში რომ შემოვედით, ერთბაშად გაჩუმდნენ და ეკას უტიფრად დაასვეს თვალი. მეც კარგად ამზომ-ამწონეს, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია. მაგიდა, ახლა რომ ვუსხედვართ, შორიდანვე შევარჩიე და პირდაპირ მისკენ გავემართეთ. ეკა ყოველთვის იქცეოდა ყურადღებას. მსგავს ამბებს შეჩვეული ვიყავი, მსიამოვნებდა და მემამუებოდა კიდევ. ახლა ჩვეულებრივზე უფრო ხანგრძლივი იყო მათი დუმილი. შეზარხოშებული ბიჭების თვალებში ქალიშვილის მოწონებასთან ერთად ალბათ ცნობისმოყვარეობასაც შენიშნავდა დაკვირვებული კაცი. ეტყობა, ორთავეს ტრაგიკული გამოხედვა გვქონდა.

ეკა დაუფიქრებლად მიუჯდა მაგიდას. მოხერხებული ადგილი არც შეურჩევია. დაჯდა თუ არა, მისი თვალები უნებურად წააწყდნენ მთვრალი ბიჭების ამღვრეულ თვალებს. უმაღლეს წამოდგა და მათკენ ზურგიით დაჯდა. კიდევ კარგი, ბიჭები შებრუნდნენ და სადღეგრძელოები გაავრძელებს. ნერვები ისე მქონდა

დაძაბული, ჩემი შემდეგი მოძრაობა ალბათ სკამის სროლა იქნებოდა მათი მაგიდისკენ.

ორად ორ ლუქმას ვჭამ. ეკა საერთოდ არ აკარებს ხელს არაფერს.

— შეჭამე რამე, გზაში ვერაფერს იშვო.

— არ მინდა.

მეც მიჭრება შიმშილის გრძნობა. ჩანგალს თეფშზე ვდებ და ეკას შევყურებ.

— იქნებ ყავა აქვთ? — ამბობს ეკა.

ოფიციანტს თითების გატკაცუნებით ვანიშნებ, ჩვენთან მოდი-მეთქი.

ყავა, რასაკვირველია, არა აქვთ.

ოფიციანტი მიდის. მე თვალს მივაცოლებ და ვფიქრობ, რა ვქნა ან რა ვთქვა. ჭამა ნამდვილად აღარ მინდა, დუმილიც აუტანელი ხდება.

იქნებ ჯობია, ახლავე ავდგეთ და წავიდეთ?

ჯიბეში სიგარეტის კოლოფს ვეძებ. ვერ ვპოულობ. ეკა ხედება რაც მინდა და ჩანთიდან იღებს „კოლხეთის“ კოლოფს. ეს ის კოლოფია, სასტუმროში რომ წამართვა.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

მაინც სიგარეტის მოწვევა ჯობია, რაღაცას ვაკეთებ და შტერივით აღარ ვზივარ.

— წავიდეთ! — მეუბნება ეკა.

მიხვდა, აღარც მე ვარ რაიმეზე პირის დამკარებელი.

ანგარიში-მეთქი, ვანიშნე ოფიციანტს. დაბალმა მსუქანმა ქალმა სუფრას თვალი გადაავლო და გაოცებულმა შემოგვხედა. დაინახა, თითქმის არაფრისთვის გვეზლო ხელი. ღვინის ჭიქები, წელან რომ შევავსე, ისევ ისე იდგა ხელუხლებლად.

ოფიციანტი მიდის და კუთხეში ანგარიშობს. მერე მას ვიღაც ეძახის, ანგარიშს თავს ანებებს და სამზარეულოსკენ მიემართება.

დუმილი აუტანელი ხდება. ვიცი, ზრდილობის გულისთვის მაინც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა, მაგრამ ნერვებს

ვერ ვიმორჩილებ. ასე არასდროს გამქცევია საკუთარი თავი ხელიდან.

— ეკა, გთხოვ კარგად გამიგო, მე მინდა შენ ბედნიერი იყო! — ვამბობ უეცრად და უმაღვე ვგრძნობ, სისულელეს ვლაპარაკობ.

ირონიული ღიმილი.

— ნუ დამცინი, ამას გულით გეუბნები, ეკა!

— ვიცი, ჩემო ძვირფასო!

რა დამცინავდ ჩამესმის „ჩემო ძვირფასო“.

— ვიცი, რომ გულით მეუბნები. მაღლობის მეტი რა მეთქმის ჩემზე ზრუნვისთვის (ჰმ, „ჩემზე ზრუნვისთვის“) და კეთილი სურვილებისათვის. მაგრამ გჯერა, რასაც ამბობ? გჯერა, რომ მე ბედნიერად ვიცხოვრებ? თუმცა შენ რასაც ახლა, ამ წუთში, ამ სიტყვებით ბედნიერ ცხოვრებას ეძახი, — ქმარს, ოჯახს, შვილებს გულისხმობ, არა?

მცირედენი პაუზა.

კვლავ დამცინავი და ნაღვლიანი ღიმილი.

— ჩემს თავზე დიდი წარმოდგენისა არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ კარგად ვიცი, არც ისეთი უღამაზო ვარ, ქმარი ვერ ვიშვავ. წარმოიდგინე, თაყვანისმცემლებიც საკმაოდ მყავს. ძალზე ზრდილი ხალხი, საზოგადოებაში გამოსული, საკმაოდ ცნობილიც. ნუ ღელავ, ნოდარ, ჩემი ბედი ნუ შეგაწუხებს. ალბათ გავაბედნიერებ რომელიმე მათგანს. უფრო სწორად, მე უკვე ვიცი, ვისთანაც ერთად შევქმნი ბედნიერ ოჯახს!

„ბედნიერ ოჯახს!“

ღრმა ნაფაზი.

— ხუმრობ თუ მართლს ამბობ?

— რატომ უნდა ხუმრობდე? ყველაფერს გულახდილად გეუბნები, ვიცი, გაგებარდება, მე რომ გზას დავადგები („მე რომ გზას დავადგები“!). იოტისოდენად არ მეპარება ეჭვი, რომ გაგებარდება. თუნდაც იმიტომ, რომ სინდისი სუფთა გექნება, მე რომ გზას არ ავცდები და არ დავიღუბები.

— გეყო დაცინვა, ეკა!

— სრულებითაც არ დაგცინია, მართლმეტყველები, გულახდილად ვთხოვ, რომ გაგებარდება, გზას რომ დავადგები?

„გზას რომ დავადგები“.

ვითომ დამცინის?

ღრმა ნაფაზი. სიგარეტის საფერფლეზე ვაგდებ.

— არ გაგებარდება?

— ჰო, გამეხარდება! — ვამბობ უხალისოდ, თან ვცდილობ, გამოთქმაში ბევრი რამ ჩავდო: სიხარული მისი ბედნიერების გამო, მწუხარება ჩვენი დაშორების გამო.

— ვინ არის ის კაცი? — ვკითხულობ მცირე ღუმილის შემდეგ.

— არის ერთი ძალზე ღირსეული ახალგაზრდა კაცი. შენზე ერთი წლით უმცროსი, მეცნიერია, მალე სადოქტოროს დაიცავს...

— გათხოვება უკვე გადაწყვიტე?

— გადავწყვიტე. ყოყმანს აზრი აღარა აქვს. ყველა ხარბი თვალით მიყურებს, შინაურიც აღარ მაფასებს, პატრონი რომ არ მყავს. ყველგან შესვლა მეზარება, ყველა უტიფრად მომჩერება მკერდზე და ფეხებზე, ლამის შემეზარდეს მამაკაცის დანახვა! სანამ შენ ჩემთან იყავი, არაფრისა მეშინოდა. ახლა მეშინია, ძალიან მეშინია!

— აქ რომ წამომყევი, ეგ ამბავი გადაწყვეტილი გქონდა?

— არა, დღეს გადავწყვიტე, სასტუმროს ნომერში, როცა მთელი ჩემი ცხოვრების უაზრობა ვიგრძენი.

ხელი მოწყვეტილად მოვიქნე.

ღარბაზში ღუმილი ჩამოვარდა, ყველამ ჩვენსკენ მოიხედა და გაქავდა.

ეკას წარბიც არ შეუხრია. ისევ ძველებურად ზის და თვალებში მიცქერის. მარცხენა ლოყაზე ნელ-ნელა წითლად გამოეხატა ჩემი თითები.

ღარბაზს უმწეოდ გადავხედე. რაღაც არაჩვეულებრივის მოლოდინში ყველა დაძაბულა. ჩვენი ოფიციალური ქალიც

გურამ შანუკიძე

აპოლონი მუხის წილიწადი

ისევ სვეტთან მისულა და იქიდან გვიცქერის შეშინებული.

სიბრაზე ერთბაშად მომერია. მინდა წამოვდე და მთელი ხმით ვიყვირო, რას მოგვშტერებხართ-მეთქი! ბოროტი მზერა მთვრალ ბიჭებზე შევაჩერე, უკლებლივ ყველა რომ ჩვენ შემოგვცქერის. ერთი მათგანი ფეხზე დგას, ხელში ჭიქა შეჰყინვია.

ისევ ეკამ განმუხტა სიტუაცია. ღიმილით გადმოიხარა, კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და მანიშნა მომიკიდო. პირველად გავვოცდი, როდის იყო ეკა სიგარეტს ეწეოდა?! მერე ერთბაშად გამოვერკვიე და ასანთი შევაგებე.

მისმა მშვიდმა მოძრაობამ კიდეც უფრო გააოცა დარბაზი. ველარ გაერკვნენ, რა მოხდა.

— შენ ეგოისტი ხარ, ნოდარ, სასტიკი ეგოისტი! — თქვა ეკამ და სიგარეტი საფერფლეზე დადო.

მე ველუმვარ.

— შენ ეგოისტი ხარ და იმიტომ გამარტყი. ამას არ უნდა დიდი ფილოსოფია!

მე ისევ ველუმვარ და ვფიქრობ, როდის გადაწყვიტე ან თუნდაც როდის გამიელვა აზრმა, ეკასთვის გამერტყა.

— შენ სულ სხვა რამემ გაგალიზიანა და გაგაცოფა.

არა, ხელი იმ მეორე არსებამ მოიქნია, ჩემში რომ ზის.

— დღემდე შენს საკუთრებად მიგანდი, ვერ აიტანე, რომ სხვისი ვხდები და იმიტომ გამარტყი. ნურაფერს ნუ ამიხსნი, კარგად ვიცი, იმიტომ როდი გამოხვედი წონასწორობიდან, რომ შენს გულსა და არსებაში ისევ იფეთქა სიყვარულმა ან სულით ზორცამდე შეგძრა განშორების სინანულმა. არა, ძვირფასო, შენ ეგოისტი ხარ. იგრძენი, რომ შეიძლება შენს ნივთს შეეხონ, მისი საკუთრონი კიდეც და ამან გაგაცოფა.

მცირე პაუზა.

— გავიდეთ აქედან!

ეკას მონუსხულივით ვემორჩილები და ოფიციალტს ვანიშნებ ანგარიში მომიტანოს.

მსუქანი ქალი უმაღლესი მოდის ჩემთან შეშინებული შემოგვყურებს.

არ მახსოვს, დარბაზი როგორ გადავჭერი.

მერე ქუჩა.

ზურგში ისევ ვგრძნობ ვილაციის მწველ თვალებს. არა, არავინ არ მომჩერებია. უბრალოდ, მოგვიანებით აღვიქვამ იმ თვალების ცნობისმოყვარე გამოხედვას, რესტორნის დარბაზის გამოვლისას რომ გვიბურღავდნენ ზურგსა და კეფას.

ნაძვების ხეივანი.

ვაგზალი.

განაპირა ხის მერხზე ვსხდებით და მატარებელს ველოდებით.

კიდეც ერთი საათი დარჩა. უფრო ზუსტად, ორმოცდაჩვიდმეტი წუთი.

სასტუმრო.

რა ცარიელი მეჩვენება პატარა მყუდრო ნომერი.

თვალდაუშუქული გულაღმა ვწევარ! ტანზე არც გამიხდია, ისე მივეგდე ლოგინზე.

მატარებელი ალბათ უკვე ხაშურს უახლოვდება.

ანგარიში სასტუმროში მობრუნების-თანავე გავასწორე და მორიგე გავაფრთხილე, დილის ხუთზე გავეღვიძებინე. უთენია მინდოდა ლაბორატორიისაკენ გამგზავრება.

გული აჩქარებით მიცემს. თვალდაუშუქული ვეწევი. ცდილობ არფერზე არ ვიფიქრო, მინდა დავიძინო. არაფერი გამომდის.

ვაგონამდე უხმოდ მივაცილე.

სანამ კიბეზე ფეხს შედგამდა, შემომხედა და გამიღიმა. მერე მკლავზე ხელი მომიკიდა, ლოყაზე მაკოცა და ვაგონში გაუჩინარდა. აღარ გადმოუხედვას.

ვაგზალზე მანამ ვიდექი, სანამ მატარებლის ბოლო ვაგონზე მოკიაფე წითელი შუქიც არ ჩაიკარვა სიბნელეში.

რატომ წამოვიყვანე ბორჯომში?

განა თბილისში არ შეიძლებოდა იგივე მეთქვა, რაც აქ ეუთხარი?

არა, აქ თითქოს მეტი მნიშვნელობა

მეცა ნათქვამს. მეტი ძალა და შთამბეჭ-
დაობა.

მარტო მაინც არ უნდა გამეშვა. რო-
გორ იმგზავრებს გულმოკლული?

ისევ თვალწინ მიდგას, ლოყაზე რო-
გორ მაკოცა. სანამ მაკოცებდა, გამიღი-
მა. მხოლოდ ბავშვზე გამოესახა ღიმილი.
თვალეებში საშინელი სევდა ჰქონდა ჩა-
გუბებული. მერე მკლავზე ხელი მომი-
და და მაკოცა. ტუჩები უხურდა, თუმ-
ცა უკვე საკმაოდ გრილოდა.

რატომ არ წავიყვანე თბილისში?

მატარებელმა უფრო რეალური გახა-
და ჩვენი დაშორება.

ეკა!

მინდა გონებიდან ამოვიგდო მისი სევ-
დით ავსებული კეთილი თვალეები.

ნაფაზი.

ხელი როგორ მოვუქნიე?!

ვგრძნობ, ლოყები მიწითლდება სირ-
ცხვილისაგან.

არ მინდოდა გამეხსენებინა, სილა რო-
გორ გაეწანა. ბევრჯერ შევწყვეტიე დაწ-
ყებული ფიქრი და სხვა ამბები გავიხსე-
ნე, მაგრამ ბოლოს მაინც თვალწინ და-
მიდგა ეკას გაწითლებული ლოყა.

მარტო არ უნდა გამეშვა!

მაინც რამე გამაცოფა?!

თვითონ მე არ ვურჩევდი, შენს თავს
უნდა მიხედო-მეთქი?

იქნებ ჩემში სიყვარულის უკანასკ-
ნელმა იმპულსმა იფეთქა და მომპყნე-
ვინა ხელი?

იქნებ...

იქნებ მაინც მიყვარს?

საათს დავცქერი. ორის ხუთი წუთია.
მატარებელი ალბათ უკვე დგას ხა-
შურში.

იქნებ გავიდა კიდეც ხაშურიდან?

ვითომ ძინავს?

რა დააძინებს!

აჰა, უნდა დავეწიო. ახლავე მანქანით
უნდა გამოვედგნო და დავეწიო.

თავდაღმა ვწეები, თავს ღრმად ვრგავ
ბალიშში და მინდა ახლად გამოჩეკილი
ფიქრი თავიდან ამოვიგდო.

ამოდ ვცდილობ, დავმშვიდდებ და
დავიძინო. საფეთქლებში სისხლი მო-

მაწვა. დადლილობა სადღაც გაქრა. ^{მეცა ნათქვამს}
სხეულში ისევ ამოძრავდა მეორე არსე-
ბა, ჩემდა დაუკითხავად რომ აზროვნებს
და მოქმედებს ხოლმე. ამოძრავდა ენერ-
გიულად და მიზანსწრაფულად. ამოდ-
ვცდილობ, შევებრძოლო მის გადაწყვე-
ტილებას. ვგრძნობ, თანდათან როგორ
მთრგუნავს და მიმორჩილებს, მონუსხუ-
ლივით როგორ მივყვები მის ნება-სურ-
ვილს.

კიდევ ათი წუთი და მთელი სისწრა-
ფით მიექრევიარ დაცარიელებულ ტრა-
საზე.

ვაგონის ტალანში ქალიშვილი შუბ-
ლით მიყრდნობია ფანჯარას და სიბნე-
ლეში იცქირება.

უკვე ორი საათია ასე დგას.

„რატომ არ იძინებთ?“ — ეკითხება
გამცილებელი ქალი.

„არ შეძინება!“

„ხომ არაფერი გაწუხებთ?“

„არაფერი“.

„თავი თუ გტკივთ, წამალს მოგ-
ცემთ“.

„გმადლობთ, არ მინდა“.

ქალიშვილი კვლავ მარტო რჩება.

მატარებელი დაგადუგით გადადის
რკინის ხიდზე. მერე მისი ხმა ისევ იშ-
ლება მინდორზე და უფრო წყნარი ხდე-
ბა. ფიქრი სინქრონულად მიჰყვება ვა-
გონის ბორბლების რიტმს.

გამცილებელი ქალი ერთხელ კიდევ
შეჩერდა მასთან. ეტყობა უნდოდა რა-
ღაც ეთქვა, მაგრამ უმაღლეს გადაიფიქ-
რა. დაინახა, ქალიშვილი ტიროდა, უხ-
მოდ ტიროდა.

მანქანა ვაგზლის ახლოს გავაჩერე და
საათს დავხედე. სამს ოცი წუთი აკლია.
ბაქანზე ვავდივარ. მორიგის ოთახში
სინათლე მოჩანს. ფანჯარაზე ვაკაკუნებ.

— „თბილისი-ვალე“ ხომ არ ჩამომ-
დგარა?

გურამ ფანჯიკიძე

აპტიუზი მზის წელიწადი

— ათ წუთში ჩამოდგება. — მეუბნება მორიგე და ფანჯარას ისევ კეტავს.

სიგარეტს ვუკიდებ და ბაქანზე ნელა მივაბიჯებ. კაციშვილი არ ჩანს. ან ვინ უნდა იყოს, რომელი ჭკუათმყოფელი წავა კასპიდან თბილისში შუალამისას!

ვცდილობ გამოვიცნო, სად ჩამოდგება მეხუთე ვაგონი.

ნეტავ რამდენ ხანს ჩერდება? მოვასწრებ ეკას გაღვიძებას?

ეძინება კი?

თუ არ ვცდები, მეშვიდე კუბეში ჰქონდა ადგილი.

რას იტყვის, რომ დამინახავს?

საათზე ვიხედები.

კიდევ ხუთი წუთი.

შორს, დასავლეთით ელექტრონის შუქმა გააპო სივრცე.

მივხვდი, მატარებელი უახლოვდება სადგურს.

მორიგე ბაქანზე გამოდის.

სემაფორი უკვე მწვანედ ციმციმებს.

— რამდენ წუთს ჩერდება? — გვეკითხები შორიდან მორიგეს.

— ორ-სამ წუთს!

„ორ-სამ წუთს!“ — ვიმეორებ გონებაში. მგონი, მოვასწრებ გაღვიძებას და ჩამოყვანას.

ელმავლის მძლავრი პროექტორის შუქი ერთხანს დაიკარგა, მერე ისევ გაანათა ცა.

გული უცნაურად მიცემს. ვერ გავრკვეულვარ, მიხარია თუ მწყინს, აქ რომ ვარ.

ბოლოს ელმავალმა მთელი ბაქანი ელექტრონის შუქში გაახვია. მატარებელი ნელ-ნელა მოიწევს სადგურისკენ. აი, მძიმედ ჩამიქროლა ელმავალმა. მიწა თითქოს ძაგდაგებს და ტორტმანებს მისი სიმძლავრისაგან. აი, პირველი ვაგონიც, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ვაგონს მივდევ და კიბეს ვახტები.

— გადაირიე? — მიყვირის გამცილებელი ქალი.

მისი ყვირილი თითქოს არც გამეგონოს, ისე შეგვარდი ტალანში. შეგვარდი და ადგილზე გავშეშდი. ჩემს წინ ეკა

დგას, გაოცებისგან თვალებგაფართოებული ეკა.

ვაგონების წაჯახების ხმა.

ცალი ხელით ღია ფანჯარას ვეჭიდები, რომ არ წავიქცე.

მატარებელი ჩერდება.

— აბა ჩავედით! — ხელი მოვავლე ეკას.

— ნოღარ, გაგიყდი?

— ჩავედით-მეთქი. — ვექაჩები გასასვლელისაკენ.

ერთბაშიდ თვალში მხვდება გამცილებელი ქალის გაოცებული და დაბნეული სახე.

— ნოღარ, თავი დამანებე!

— ჩავიდეთ, თორემ სადაცაა წავა მატარებელი!

— სისულელეა, აზრი არა აქვს!

— ჩავიდეთ, ნუ ამაყვირებ!

— ნოღარ, გემუდარები, თავი დამანებე!

— ჩავიდეთ და იქ ვილაპარაკოთ!

— ჩვენ უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ!

— ჩავიდეთ, გესმის?

ამჯერად წინ გავიგდე და გასასვლელისაკენ ხელით ვუბიძგე.

— მაცალე, ჩანთა ავიღო.

ეკა კუბეში შედის.

მეშინია, კარი არ ჩაეკეტოს და სახე-ლურს შორიდანვე ვებლაუქები.

გამცილებელი ქალი კვლავ გაოცებული ევიცქერის. არ იცის, რა ქნას. ნამდვილად მიცნო. ეკა რომ გამოვაცი-ლე, კარგად დამინახა, ბაქანზე რომ დავრჩი გავშეშებული.

ბაქანზე პირველი მე ჩავხტი და ეკას ხელი შევაშველე. ორი ნაბიჯიც არ გვქონდა გადადგმული, რომ მატარებელი დაიძრა. ორთავენი შევჩერდით და ვაკვირდებით, მატარებელი როგორ უმატებს სისწრაფეს.

ბოლო ვაგონმაც ჩაგვიქროლა და ისევ სიბნელეში დავრჩით. მორიგემ თავის ოთახს მიაშურა. მატარებელი თვალს მიეფარა, ბაქანზე ისევ გამეფდა სიჩუმე და სიბნელე. მატარებელი წავიდა და თან წაიღო მთელი სინათლე.

— ნოღარ, გესმის, რა გააკეთე?

დუმილი.

ხელი მოგვიდე და ნელა გავემართეთ მანქანისაკენ.

ბაქანი გადავჭერთ და ქუჩაში გავედით.

— მაინც როდის მოიფიქრე ეს სისულელე?

დუმილი.

მეც ვხედები, რომ სისულელე ჩავიდინე. მწარედ ვნანობ, მაგრამ გვიანაა. ჩემს სხეულში არსებული მეორე პიროვნება უკვე დაწყნარდა და დამშვიდდა. თავის სურვილი შეისრულა და ვნება დაიოკა.

გული ისევ მიმიძიდება გრანიტის ლოდივით. სიტყვას ვერ ვაბრუნებ. ეკა ალბათ ხედება, რომ უკვე ვნანობ ჩემს საქციელს.

მანქანაში ვსხდებით და გასაღებს ვატრიალებ.

მალე კასპი უკან რჩება. გზა ხეობაში მიიკლავნება პატარა მდინარის პირას.

— გამოტყდი, რომ ნანობ შენს საქციელს! — მეუბნება ეკა.

პაუზა.

არ ვიცი, რა ვუბასუხო და იმიტომ ვდუმვარ.

ეკა მართალია, უკვე ვნანობ ჩემს უაზრო მოქმედებას.

მხოლოდ გაზს ვაწვები მთელი ძალით. უკან დარჩა იგოეთი.

გაშლილ ტრასაზე გავედით და მანქანამაც ამოისუნთქა.

— ფრთხილად, ნოდარ!

დუმილი.

— ნოდარ, უკვე ას ომომოცი კილომეტრით მიდიხარ!

დუმილი. ოღონდ სიგარეტის კოლოფს ვეძებ ჯიბეში.

მკვეთრი მოსახვევი.

საბურავების ხრქიალი.

— ნოდარ, ნელა!

უკვე მეცხება მოთმინების ფიალა.

მოულოდნელად მუხრუჭს ფეხს ვაჭერ. მანქანის გაქვავებული ბორბლები ინტენსიური ციით მაინც მიცურავს ასფალტზე.

ეკა თავით ეჯახება საქარე მინას.

— კმარა, გესმის, კმარა! — ვუყვირო გაცოფებული და საჭეს მუშტებს ვურტყამ, — ვიცი, რასაც ვაკეთებ!

დუმილი.

ხანგრძლივი დუმილი.

რა იგულისხმა ჩემს სიტყვებში — „ვიცი, რასაც ვაკეთებ“? ყოვლად უაზრო გადაწყვეტილება, მატარებლიდან რომ ჩამოვსვი, თუ მანქანის საშინელი სისწრაფე?

სინათლე გამოვრთე.

საჭეს ხელები შემოვხვები და თავით დავეყრდენი.

სიჩუმე, შემადრწუნებელი სიჩუმე.

ეკა სავარძლის საზურგეს მიყრდნობია და ისე დამცქერის.

— ნოდარ! — ამბობს ეკა წყნარად კარგა ხნის დუმილის შემდეგ.

ხმას არ ვიღებ. სინდისი მქენჯნის, კიდევ ერთხელ რომ ავადფორიაქე საბრალო ქალიშვილი.

— ნოდარ, გინდა, გადავიდეთ მანქანიდან. იქნებ სუფთა ჰაერმა უფრო დამშვიდოს და გამოგაფხიზლოს! — მეუბნება ეკა.

დამძიმებულ თავს მალლა ვწევ და მანქანის საათს შევცქერი. ოთხი დაწყებულია.

— შენ ახლა დადლილი ხარ, დადლილი და ნერვებდაწყვეტილი, იქნებ ჯობია მანქანა გადააყენო და დაიძინო?

პასუხის ნაცვლად გასაღები გადავატრიალე და სინათლე ჩავრთე. ფარებმა ქარვისფერი წაქცეული პირამიდა ამოჭრეს სიბნელეში. პედალს ფეხი ფრთხილად დავაჭირე და მანქანა ნელა დავძარი.

გურამ შანგიჩიძე

აპრილი 1989 წლის მაისი

გულჩათხრობილი ვზივარ და იატაკს
დავყურებ.

გარდაცვლილი ძმის პორტრეტი ჩემს
პირდაპირ ჰკიდია. ისევ უღმობლად
დამცქერიან მისი ღიღრღინი, მკაცრი თვა-
ლები. მაგრამ ძველებურად ვეღარ მი-
ბურღავენ სხეულს, ძველებურად ვე-
ღარ მიმღვრევენ სულს.

ოთახის შუაგულში, ტახტზე, მამაჩე-
მის უსიცოცხლო სხეული ასვენია. მშო-
ბლიური ბინა სიკვდილითაა სავსე, მაგ-
რამ ჩემს ნერვებზე ახლა მხოლოდ მამა-
ჩემის ფეხსაცმლის ძირები მოქმედებს,
გადაფარებული ზეწრიდან რომ მოუ-
ჩანს.

რეზო ფანჯარასთან დგას. ცალი
მხრით ფანჯრის კიდეს მიყრდნობია და
ქუჩაში იცქირება. თვალი მასაც ერთი
წერტილისთვის გაუშტერებია. არ იცის
რა თქვას, რა მოიმოქმედოს. ხანდახან
სიგარეტს ეწევა. როცა კოლოფიდან სი-
გარეტს ამოიღებს და ასანთს გაჰკრავს,
თვალი მაინც იმ წერტილისთვის აქვს
მიშტერებული, თავიდანვე რომ ამოურ-
ჩევია.

მარტო მინისტრის პირველი მოადგი-
ლე დაბიჯებს ოთახიდან ოთახში. საჭმი-
ან განკარგულებებს იძლევა. ირგვლივ
უცნობი ადამიანები ტრიალებენ. ალბათ
სამინისტროს თანამშრომლები ან უფ-
როსი ძმის ნაცნობ-მეგობრები. სახლიც
მათვე მიუღაგებიან. როცა მოვედი,
ყველაფერი მომთავრებული დამხვდა.
კარადები საღლაც გაუტანიათ, სარკეებ-
ზე ფარდები ჩამოუფარებიათ.

რეზო ჩემს შემდეგ მოვიდა. უმცროს
ძმას მე თვითონ შევატყობინე მამის სი-
კვდილის ამბავი. ვახტანგმა ამ დილათ
დამირეკა უთენია, მამა გარდაიცვალა.
მანვე დამავალა, რეზო იპოვე, სასტუმ-
როშია გაჩერებული.

გუშინწინდელი ოჯახური ჩხუბის შემ-
დეგ რეზო შინ აღარ დარჩენილა, სას-
ტუმროში აიღო ნომერი.

ხომ მოინელა კაცი, ახლა იკადროს და
მოვიდეს გასვენებაზეო, — რაღაც გეს-

ლიანი ნიშნისმოგებით ჩამძახა ყურმილ-
ში მინისტრის პირველმა მოადგილემ.

აშკარა იყო, მამაჩემის სიკვდილის გუ-
შინწინდელ ჩხუბს აბრალებდა.

როგორც იქნა, მივაგენი რეზოს. „ივე-
რიაში“ აეღო ნომერი. მამა მოკვდა-
მეთქი, რომ ვუთხარი, ხმა არ ამოუღია.
ღუმელი კარგა ხანს გაგრძელდა, შემე-
შინდა, გული ხომ არ წაუვიდა-მეთქი.
„რეზო, რეზო!“ — ჩავძახე ყურმილს
ხმამაღლა. ალბათ მიხვდა, რომ შემეშინ-
და. მესმისო, — მითხრა და იქვე დას-
ძინა, — ახლავე წამოვალ. მაინც ჩემს
მერე მოვიდა, მთელი საათით გვიან.
ალბათ ნომერში იჯდა და ფიქრობდა,
ჩემმა უხეშმა ლაპარაკმა თუ გაუხეთქა
გული მამაჩემსო.

უფროსი ძმა შეუსვენებლად დააბი-
ჯებდა ოთახიდან ოთახში. დადიოდა
ღიჯად, დაფიქრებული, განკარგულე-
ბებს ხმადაბლა იძლეოდა, თან სიგარეტს
სიგარეტზე ეწეოდა. დროდადრო რეზოს
ისე გადახედავდა, თითქოს ეუბნებოდა:
ხომ მოისვენე, ხომ გადაიყოლე მამაჩე-
მიო.

ახლალა შევნიშნე, მამაჩემის კაბინეტ-
ში ფიროსმანის სურათი ისევ თავის ად-
გილზე ეკიდა. რატომ? ჩამოხსნა ვერ
მოასწრეს თუ რაიმე მოსაზრებით გან-
გებ დატოვეს?

ვიღაცამ ღედაჩემის სურათიც გამოი-
ტანა და მამაჩემის თავთან დადო სკამზე.

რეზო მეცოდება. ვიცი მისი მგრძნო-
ბიარე გულის ამბავი, ალბათ სიკვდი-
ლამდე ექნება დარდად. მამაჩემი ჩემ-
თან ჩხუბმა გადაიყოლაო. მეშინია, გუ-
შინწინდელი ჩხუბით დაბოღმილმა უფ-
როსმა ძმამ არ აგრძნობინოს რეზოს,
შენი ბრალია მამაჩემის სიკვდილიო. რე-
ზოს ისე აქვს ნერვები დაჭიმული, უფ-
როსი ძმის გესლიან კბენას შეიძლება
ახალი უბედურება მოჰყვეს.

მამაჩემი ჯანმრთელობას მაინცდამა-
ინც არ უჩიოდა. პირიქით, ბოლო თვე-
ებში თავს თითქოს ვაცილებით მხნედ
გრძნობდა. მისი სიკვდილიც ისეთივე
მოულოდნელი იყო, როგორც რამდენი-

მე წლის წინ დედაჩემის უეცარი გარდაცვალება.

— რა მოუვიდა? — ვკითხე მოსვლისთანავე უფროს ძმას.

— ინფარქტი. შინამოსამსახურე ქალი. თურმე ვახშამს ამზადებდა ჩაიც დაუსხამს ჭიქაში. როცა გამოსვლა დაუგვიანებია, კაბინეტში შესულა. მამა უკვე ჰკვდარი დახვედრია (მცირე პაუზა). სინამდვილეს თვალეზში უნდა შევხედოთ და ვალიაროთ, რომ გუშინწინდელმა ჩხუბმა გაანერვიულა და გადაიყოლა!

ინტონაციაში იგრძნობოდა, მეც მადანაშაულებდა, რეზოს მხარი რატომ დაუჭირეო.

ხმა არ ამომიღია. არაფერი მითქვამს ლაპარაკს ახრი არ ჰქონდა და იმიტომ.

მიცვალეულს მაინც დავხედე, თითქოს საბოლოოდ მინდოდა დავრწმუნებულიყავი უფროსი ძმის სიტყვების სიმართლეში.

საშინელი განწყობილება მეუფლება. ეს მარტო მამის უეცარი სიკვდილით გამოწვეული ელდა და მწუხარება როდია. ისევ გულს. მიღრღნის საკუთარი პიროვნების უმწყობის, არარაობის შეგრძნება.

იქნებ მართლა ჩვენმა გუშინწინდელმა ჩხუბმა გადაიყოლა მამაჩემი?

წარმოუდგენელი!

უბრალოდ, საშინელებაა ყველაფერი გუშინწინდელ ამბავს დაბრალო.

გუშინწინდელი უსიამოვნება. მხოლოდ ბოლო წვეთი იყო ფიალაში.

ალბათ...

სიგარეტი.

ღრმა ნაფაზი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

ალბათ...

ალბათ მიხვდა, სიკვდილმა რომ ჩაუყო სხეულში ყინულივით ცივი ხელი და სულს ამოსაგლეჯად ჩაეჭიდა. რა იგრძნო მაშინ? რა გაიფიქრა? რა გრძნობამ შეიპყრო?

ალბათ არარაობის გრძნობამ, თუკი სიკვდილის შიშმა არ დათრგუნა და სალი განსჯის უნარი არ დაუკარგა. ვინ

იცის, იქნებ სახეზე მწარე ირონიული ღიმილიც გამოესახა, თავის ცხოვრებაში რომ გადახედა: რისთვის იცოცხლა, რისთვის იბრძოლა და რა შერჩა ხელში?

მინისტრის პირველი მოადგილე ისევ დინჯად, მძიმედ დააბიჯებს ოთახიდან ოთახში. ისევ იძლევა მოკლე გაჩქარებულ ბეჭედებს. თითქოს ერთგვარი კმაყოფილების გრძნობაც კი დაუფლავს, თითქოს თავის გავლენასა და ძალაუფლებას გვიჩვენებს.

ყურში ჩამესმის მისი ორი ან სამსრტყვიანი დავალებები, მაგრამ არაფერს არ ვათვითცნობიერებ. დროდადრო რეზოს თუ გავხედავ. განუწყვეტლივ რომ ეწევა და თან ალბათ იმავე წერტილს მისჩერებია ჩიუტად, თავდაპირველადვე რომ დაასო მზერა.

კარი შინამოსამსახურე ქალმა გამოიღო და მიმანიშნა, კაბინეტში არიანო. მამაჩემი საწერ მაგიდასთან იჯდა. უფროსი ძმა ფანჯარასთან იდგა და სიგარეტს ეწეოდა. მისი ჩვეულებრივ ლოყაწითელა სახე გაფითრებული მეჩვენა. კმაყოფილი, ბედნიერი კაცის იერიც აღარ ედო სახეზე.

რეზო სკამზე იჯდა, ფეხი ფეხზე შემოდო და ისიც სიგარეტს ეწეოდა.

სიგარეტი!

გულში მეცინება, რა ეშველებოდათ ასეთ სიტუაციებში ადამიანებს, სიგარეტი რომ არ მოეგონათ.

რეზოს თვალეზით მივესალმე, არ ვიცოდი, თუ თბილისში იყო. ისიც ოდნავ შესამჩნევად მომესალმა. ფეხზე არ წამოდგარა. მერე ყველას ერთად დაეუქნიე თავი.

დაახლოებით ეხვდები, რატომ დამიძახეს.

მამაჩემმა თვალთ მანიშნა, დაეჭიკო. სკამი რეზოს მოპირდაპირე მხარეს მივაჩოჩე და უხალისოდ ჩამოვჯექი. მოსალოდნელი უსიამოვნო ლაპარაკის მო-

სასმენად გულდამძიმებული მოვეშა-
დე. აშკარაა, მე შელოდებოდნენ.

ბაუზა.

უცებ რეზომ სიგარეტის ნამწვავი სა-
ფერფლეზე დააგდო და ფეხზე წამოდ-
გა.

— ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რატომ
დამიბარეთ?

მართალია, ამ სიტყვების წარმოთქმის
დროს მამას მისჩერებოდა, მაგრამ შე-
კითხვა მინისტრის პირველ მოადგილე-
საც ეხებოდა. მიხვდა, მისი კარნახით
და თხოვნით ჩამოყვანა მამამ.

— დაჯექი და ისე ილაპარაკე! — მა-
მაჩემის ხმაში სიმკაცრე გამოსჭვიოდა.

— აქვს რამე პრინციპული მნიშვნე-
ლობა, ფეხზე ვიქნები თუ სკამზე ჩა-
მოვვდები?

საუბარი თავიდანვე მაღალი რეგისტ-
რიდან დაიწყო.

ბაუზა.

რეზომ ჯერ ფანჯარასთან აყუდებულ
უფროს ძმას გახედა რისხვით, მერე
სკამზე დაჯდა და ფეხი ფეხზე შემო-
იღო.

— გისმენთ!

მამაჩემის თვალეში ნაპერწკალმა
იელვა, მაგრამ თავი უმაღლეს მოთოკა,
გამოწვევა არ მიიღო. იცოდა, ნერვებ-
ზე აყოლა საქმეს გააფუჭებდა. ხმადაბ-
ლა ჩაახველა და საუბარი მთელი ოქ-
ტავით დაბლა დაიწყო.

— ორჯერ უკვე მოგიშორეს სამსა-
ხურიდან. ვიფიქრე, აწი მაინც ისწავ-
ლის-მეთქი ჭკუას.

— არ ვიცი, ჭკუის სწავლებას რას
ეძახი.

— მეგონა, წინა სასკანდალო ისტო-
რიებიდან დასკვნებს გამოიტანდი და
იცხოვრებდი ისე, როგორც აველა
ცხოვრობს.

— ისე ვერ ვიცხოვრებ. როგორც
„ყველა ცხოვრობს“, და, სხვათა შორის,
ყველა ისე როდი ცხოვრობს, როგორც
შენ გგონია, მამაჩემო! „ყველაში“ მხო-
ლოდ მათ გულისხმობ, ვინც შენსავით
ცხოვრობს, დანარჩენი არაფრად არ მი-
გაჩნია?

— ჯერ ის ამიხსენი, რას ნიშნავს
„ვინც ჩემსავით ცხოვრობს“? ამ სიტყ-
ვებს პროტესტით ამბობ, დაცინვით თუ
სიბრაღულობით?

— შეგიძლია სამთავე ნიუანსი გააერ-
თიანო და მაშინ უკეთ გაიგებ ჩემს ნათ-
ქვამს.

— მამასთან ასეთი საუბარი შენი ზა-
სიათის გამოვლინებად უნდა მივიჩ-
ნიოთ?

— როგორც გენებოთ. მე დავიღალე
ამდენი ჭკუის სწავლებით. მშობლები
ჭკუას გვასწავლიან, მასწავლებლებიც,
ლექტორებიც, უფროსებიც. არც მე და
არც ჩემისთანებს ჭკუის სწავლება კი
არ გვინდა, მაგალითი გვინდა, მაგალი-
თი, რომელსაც თქვენ ვერ იძლევი.

— გამოდის, შენი და შენისთანების
იმედზე ყოფილა ეს ქვეყანა!

— უფლება არა მაქვს მამას ვუბასუ-
ხო ამ დაცინვაზე!

— კარგია, ეგ რომ მაინც იცი!

— კიდევ ბევრი რამ ვიცი, რასაც შენ
და ჩემი უფროსი ძმა, მინისტრის პირვე-
ლი მოადგილე და მომავალი მინისტრი,
ვერასდროს ვერ გაიგებთ!

„მომავალი მინისტრი“ გულუხვად
მოავარაყა ირონიით.

— ჩემთვის შეიძლება ბევრი რამ არ-
ის გაუგებარი ამ უსწორო-მასწორო ქვე-
ყანაზე, მაგრამ ერთი რამ კარგად ვი-
ცი, — ის, ვინც ამ ცხოვრებაში სიმარ-
თლეს ეძებს, სულელია, გულუბრყვილო
და მოუთავებელი!

— ამ ბრძნულ დასკვნამდე დიდი ზა-
ნია მიხვედი?

— გაცილებით ადრე, ვიდრე შენ გაჩ-
ნდებოდი ამ ქვეყანაზე.

— საკუთარ თავს გარდა სხვაც ხომ
უნდა გახსოვდეს, — ჩაერია საუბარში
მინისტრის პირველი მოადგილე, — არ
გვეკამათები, გქონდეს შენი პრინციპები
და შეხედულებანი. იცხოვრე ისე, რო-
გორც გინდა, ოღონდ მაგ საქმეს შეეშვი.
ორი თვე მაცალე, ამდენი ხნის ნაცოდ-
ვილარს წყალში ნუ გადამიყრი. წარ-
მოდგენა არა გაქვს, როგორმა ხალხმა
მთხოვა, შენმა ძმამ არქივის ქექვას თა-

ვი დანებდნო. არავინ არ ჩივის, არავინ არ არის დაინტერესებული ამ საქმის გამოძიებით, არც მკვლელები და არც მოკლულის ჭირისუფლები, არც რაიონის ხელმძღვანელობა და საერთოდ არც არავინ. აბა რაღა გინდა, ყველამ თავის საქმე იცის. მარტო ჩემი გულისთვისაც არ გთხოვ, მაგ ხალხთან ბრძოლას არ გირჩევ. ვერ გამივია, რატომ იტყვიან აუტკივარ თავს. რომ ვინმე ჩიოდეს, კიდევ ჰო! მკვდარს მაინც აღარაფერი ეშველება, ცოცხლებს მხოლოდ უსიამოვნებას მიაყენებს ამ საქმის ხელახლა გამოძიება.

— მხოლოდ უსიამოვნებას?

— მე აქ საკამათოდ არ მოვსულვარ, მოსალაპარაკებლად მოვედი. შენ თუ მაგ საქმის გამოკვლევას გააგრძელებ, ჩემი კარიერა დამთავრებულია.

დუმილი.

ხანგრძლივი, მტანჯველი დუმილი.

სიგარეტი.

სათის ზარი. ნაზი, მელოდიური ზარი, სასადილო ოთახიდან რომ გამოდის. შემდეგ ისევ გულისგამხვრეტი დუმილი.

— ვიქონიო იმედი, რომ შეეშვები ამ საქმეს? — მინისტრის პირველ მოადგილეს გულში იმედს უღვივებს რეზოს დუმილი.

— ვერ მოგატყუებ, ბრძოლა ისე გართულდა, უკან დახევას სიკვდილი მიჩვენია. სპორტული ჟინი როდის მალაპარაკებს, საკუთარი პიროვნებაც ხომ უნდა გავარკვიო ერთხელ და სამუდამოდ!

— ვის ებრძვი, ვის?! არ იცი, დღეს ხელს რომ ერთ კაცს მოუქნევ, თხუთმეტს მაინც ჰვდება? გინახავს ერთმანეთში გადახლართული გველები? გინდა რომელიღაც გველს შუა წელში სწვდე და ხერხემალი გადაუმტკრიო, მაგრამ არ იცი, ვერ გაგიჩვენია, რომელია მისი სხეული. გინდა კუდში ხელი ჩაავლო, მაღლა ამოათრიო, მაგრამ არ იცი, რომელია მისი კუდი. ისე ჩახვეულან და ჩახლართულან ერთმანეთში, ვერ გაგიჩვენია, რომელ თავზე რომელი სხეულია

გამობმული, ვერ მიხვდები, რომელი კუდი რომელ გველს ეკუთვნის!

— მით უმეტეს, მით უმეტეს! — ზიზღნარევი ზმით ყვირის რეზო.

დუმილი.

— შენ მაინც რატომ გაჩუმებულხარ? — მომიბრუნდა უცებ უფროსი ძმა, — არ გეკადრება, ორი სიტყვა შეგვაწიო?

— რატომ გგონია, რომ შენს მხარეს დავიჭერ? — ვამბობ სავესებით წყნარად.

— ბოდიშს ვიხდი, დამავიწყდა, რომ თქვენ დიდი მეცნიერი ბრძანდებით და და ასეთი მიწიერი, ცხოვრებისეული საკითხების მოსაგვარებლად გონებას არ ღლით.

— ამჯერად მიპატიებია ეგ ირონია. — ვამბობ ისევ დინჯად.

— ეს ირონია არაა, ეს გამწარებული კაცის სიტყვებია. როგორ არ გინდათ გამიგოთ, ამ ერთი მივიწყებული საქმის გამოქვეყნით გავლენიან მტრებს მარტო თვითონ კი არ იძენს, მეც მიჭრის გზებს...

— მე მხოლოდ ერთი კრიტერიუმი მაქვს ცხოვრებაში, — სიმართლე! — აწყვეტინებს რეზო.

— მერედა ვის უნდა ეგ შენი სიმართლე! — აფეთქდა მამაჩემი და ვხედავ, აცანკლებული ყბა მარცხნივ როგორ გაექცა. — სიმართლე ადამიანს მანამ უნდა, სანამ თვითონაა გაჭირვებული და დაჩაგრული. როგორც კი წელს მომიგარებს, მოღონიერდება და მომძლავრდება, თვითონ ხდება პირველი უსამართლო. ხომ არ მიბრძანებთ, ბატონო პროკურორო, კონკრეტული მაგალითებით გავამაგრო ჩემი მოსაზრება?

— მაგალითებით თავს ნუ შეიწუხებთ. ისეთს ვერაფერს მეტყვი, მე თვითონ არ ვიცოდე. კარგად ბრძანდებოდეთ.

დუმილი.

რეზოს ნაბიჯების ხმა, შემდეგ კარის გაჯახუნება.

გურამ შანჭიკიძე

აპტიუზი მზის წელიწადი

ისევ დუმოლი, სამარისებური დუმი-
ლი.

ვზივარ და ვერ გადამიწყვეტია, რა
უნდა ექნა. მეც ავდგე და წავიდე? მაშა
მეცოდება.

დუმოლის ისევ მინისტრის პირველი
მოადგილე არღვევს.

— ძმა რომ ვერ გაგიგებს, სხვას რაღა
უნდა ელაპარაკო.

ჩაიცინება. ბოლოთ, დაცინვით და რის-
ხვით საესე ჩაიცინება.

— ეგ სიტყვები ხომ შეიძლებაოდა რე-
ზოსაც ეთქვა შენს მიმართ? — ვამბობ
მე წყნარად. არ მინდა მამაჩემი გავა-
ლიზიანო.

— მე და შენ ერთმანეთს ვერასდროს
ვერ გავუგებთ, — მომიბრუნდა ფიცხ-
ლად უფროსი ძმა.

მცირე პაუზა.

შემდეგ მიდის და მოპირდაპირე მხა-
რეს სავარძელში ჯდება.

— შენ მეცნიერი ხარ და მომავალ სა-
უკუნეებს ებრანჭები. შენს სახელსა და
გვარს უკვე ხედავ ენციკლოპედიებში
და მეცნიერულ სახელმძღვანელოებში.
მე... მე სხვა ვარ! მე დღევანდელი ცხოვ-
რებით ვცხოვრობ. ჩემს სახელსა და
გვარს მხოლოდ შვილები და ალბათ
შვილიშვილებიც თუ გაიხსენებენ ხან-
დახან. მე დღეს უნდა ვიყო ძლიერი,
დღეს უნდა ვიგრძნო ჩემი კაცობა და
ჩემი პიროვნება. დღეს უნდა მოვიკლა
ჩემი ჭია, რადგან ჩემს სიკვდილთან ერ-
თად მთავრდება ჩემი ცხოვრება...

ფეხზე წელა ვდგები.

— ალბათ შენც მართალი ხარ! — ვამ-
ბობ წყნარად, მერე მამაჩემს მივუბრუნ-
დი, — შეიძლება, წავიდე?

დუმოლი.

ერთხანს ასე ვდგავარ, გაურკვეველად.

— კარგად იყავით!

თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამო-
ვისუნთქე, ჩემს უკან რომ კარი დაი-
ხურა.

შინამოსამსახურე ქალმა ჩაი დაასხა.
მამაჩემმა გამოსვლა დააგვიანა. ჩაი არ
გაცივდესო, გაიფიტრა ქალმა და კაბი-

ნეტს მიაშურა. შევიდა და აღვიწიე
გაქვავდა, შიშით გული კინაღამ წაუტყდა
და. მამაჩემი სავარძლის სახელურს
გადაჰკიდებოდა, განაცრისფერებულ,
სისველელაქარგულ თვალებში სხივები
ჩაჰქრობოდა.

მანამდე კი რა მოხდა?

რა საიდუმლო ჩაიტანა საფლავში მა-
მაჩემმა?

დავიჯერო, გუშინწინდელმა ჩვენმა
ჩნუბმა გაუხეთქა გული?

იქნებ რაიმე უსიამოვნება შეემთხვა
გუშინ? სად იყო გვიან საღამოს? რატომ
მოვიდა შინ ქანცაწყვეტილი, გასავათე-
ბული და აფორიაქებული?

მამაჩემი მოკვდა. ამიტომ ვეღარასო-
დეს ველარ გავიგებ გუშინდელ ამბავს.
მამაჩემი რომ საბოლოოდ გატეხა წელ-
ში.

ველარასოდეს ველარ გავიგებ, როგორ
მოვიდა იგი ჩემს ნახევარძმასთან, თავის
უმცროს შვილთან, გოგისთან.

ზარს თითი დააჭირა.

კარი არავინ გააღო.

მერე ისევ დააჭირა ზარს თითი.

ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

უკან გამობრუნდა, შენობას მეორე
მხრიდან შემოუარა და ნაცნობ ფანჯა-
რას გახედა. ფანჯარა ყრუდ იყო ჩაკე-
ტილი. ისევ კარს მიადგა.

უცებ კარის სახელურზე დადებულ
ლუქს მოჰკრა თვალი. ელდა ეცა: წელ-
ში მოიხარა და ისე დააკვირდა. საექვო
არაფერი იყო, ოთახი დაეღუქათ.

„რა უნდა მომხდარიყო?“

„ხომ არაფერი შეემთხვა?“

„უაითუ...“

იგრძნო, წვრილმა ნემსებმა როგორ
დაუჩხვლიტა გული.

როგორ მოიქცეს? ვინმე მეზობელს
ჰკითხოს შვილის ამბავი თუ შინ გაბ-
რუნდეს?

თვითონაც ვერ მიხვდა, მეზობლის
ზარის ღილაკს თითი როგორ დააჭირა.

კარი გაიღო. ახალგაზრდა ქალმა გა-
მოხედა. ქალს ბავშვიც თან გამოჰყვა,

დელას გვერდზე აეკრა და უცხოის ცნობისმოყვარე თვალები მიანათა.

„ვინ გნებავთ?“

„მე... მე იცით... გოგის ნახვა მინდოდა“.

„თქვენ გოგის ნაცნობი ბრძანდებით?“ — ქალმა უცნობი თავიდან ფეხბამდე ჩაათვალიერა.

„დიხ, — ენა ებმება კაცს, — ნაცნობი ვარ“.

„მერე, გოგის ამბავი არ გაგვიგიათ?“ — ამბობს ქალი და თან დალუქულ კარს გასცქერის.

„არა, არაფერი არ გამიგია, — დიდი ხანია, წასული ვიყავი“.

„გოგი ერთი თვის წინ დაასაფლავეს“.

„რა ბრძანეთ?“ — კაცი შეტროტმანდა, თავში თითქოს გავარვარებული გამდნარი ტყვია ჩაედვარა.

„დიხ, დაასაფლავეს!“ — დაფრთხა ქალი. ასეთ რეაქციას არ ელოდა.

ბაუზა.

გავარვარებულმა ტყვიამ კისრის ძარღვებში გაატანა და გულს მიაღწია.

„რა დაემართა?“

„არ ვიცი, ასე ამბობდნენ, დოზა მოსვლია მეტიო“.

„დოზა მოსვლია მეტი“, — გაიმეორა გონებაში.

„დოზა მოსვლია მეტი“, — იმეორებს უკან გამობრუნებული, იმეორებს ტაქსში, იმეორებს კაბინეტში, სავარძელში რომ ჩაეშვა ქანცაფეხებილი.

„დოზა მოსვლია მეტი...“

არ ახსოვს რამდენ ხანს იჯდა ასე...

არც არაფერზე ფიქრობს.

თვალი უზაროდ გაუშტერებია კარებისათვის, თითქოს ვილაცის შემოსვლას ელოდება.

ცხელი, გამდნარი ტყვია ნელ-ნელა დაწდა გულში. მორიდან მუსიკა ჩაესმა, მერე მკაფიოდ გამოიკვეთა ვიოლინო, მისი ხმა თანდათან გაძლიერდა და ნელ-ნელა გადაფარა მთელი ორკესტრი.

რვა წლის მუსიკოსი ბიჭუნა ლოგინში წევს და კვდება. თვალები ჭერისთვის გაუშტერებია. თუმცა ჭერს როდი ხე-

დავს. ის ახლა ცის ლაქვარდში იცქერება შორს, ძალიან შორს. დიდრონი თვალები მოახლოებული სიკვდილით ავსებული. იქით, სკამზე, ვიოლინო დევს.

ოთახიც სავიოლინო მუსიკით არის სავსე. მოცარტს მენდელსონი ენაცვლება, მენდელსონს — ვივალდი. შემდეგ ისევ მოცარტი... მუსიკა მხოლოდ მას ესმის, თითქოს ხელსაც ჰკიდებს და ეფერება კიდეც.

დღეა და მამა ლოგინის თავთან დგანს. სამი დღეა, არც ერთს თვალი არ მოუხუჭავს. დგანს და გულდაფლეთილები ელოდებიან, ბავშვი როდის მოკვდება. ყველა იმედი გადაწურულია, ხსნა არსიდან ჩანს.

ბავშვი ხმას აღარ იღებს. სახე გაფითრებულია, საფეთქელთან ძარღვები და-ლურჯებულია და გაფართოებულია. უკვე თვალიც დაუხუჭავს. მუსიკას მაინც ხედავს, ხელს უსვამს, ეალერსება, ეფერება.

ოთახში ყველა ფეხაკრეფით დადის, თითქოს ეშინიათ ბავშვს მუსიკის მოსმენაში ხელი არ შეუშალონ.

ისე სუსტად სუნთქავს, ღროდადრო ეჩვენებათ, უკვე მოკვდაო. მერე ოდნავ შეარხევს დამძიმებულ ქუთუთოებს და მშობლები სხეულშივე აბრუნებენ ამოსახეთქად მოწოლილ კივილს.

შუალამისას ბავშვი კვდება. მხოლოდ ერთხელ დაისლოკინა და გათავდა კიდეც.

მერე მისი სული მუსიკაში გაეხვია და საშინელი სისწრაფით აიჭრა ცაში.

უცებ კარის ღრიჩოში ვილაცამ ფრთხილად შემოჰყო ბრტყელი, ყვითელი ხელი. კაცი შეკრთა. ახლა მეორე მხრიდან ჩაესმა ხმაური. ფანჯრის ღრიჩოშიც დაინახა ბრტყელი თითები როგორ მოიწვედნენ თანდათან. მერე თავიც გამოჩნდა, რეზინის გასაბერი სათამაშოსავით ბრტყელი თავი, ირიბად რომ გამოძვრა კარის ღრიჩოდან. კაცი შიშმა აიტანა. თვალი ნამდვილად არ





ატყუებდა. კარგად დინახა, ბრტყელი თავი თანდათანობით როგორ დამრგვალდა და ნაკეთებიც როგორ გამოესახა. ბოლოს მთლიანად შემოძვრა ცივი და ყვითელი, თვალეზაბრუნებულ, ადამიანის მსგავსი არსება. თითქოს ყველა ღრიჭიდან შემოძვრა საწილ-ნაწილ. მერე შეერთდა და გამთლიანდა. შემოვიდა და ერთბაშად გაავსო ოთახი. სასუნთქავი ადგილიც აღარ დატოვა.

კაცი გრძნობს, უპაერობით იღრჩობა, მაგრამ საძრაობა აღარა აქვს. ყვითელმა, თვალეზაბრუნებულმა კაცმა მარცხენა ხელი მხარზე დააჭირა და სკამზე დააჯერა, ცივი, ყინულოვით ცივი მარჯვენა ხელი ხახაში ჩაუყო. სულს ჩაეჭიდა და ნელ-ნელა დაუწყო ამოგლეჯა.

კაცი გრძნობს, ფილტვებში ჰაერის აღარ ზადის, წამოდგომა უნდა, მაგრამ ბეჭზე ჩაბლატებულ ყვითელ ხელს ვერ იშორებს. უნდა დაიყვიროს, ბარემ სწრაფად ამომძარე სულიო, მაგრამ ვერ ყვირის. ტკივილებით და უპაერობით გატანჯული ელის, ცივი, ყვითელი ხელი საბოლოოდ როდის ამოგლეჯავს სულს. იცის, ახლა ესლა ერთადერთი ხსნა.

ბოლოს, როგორც იქნა, ეს წამიც დადგა. ცივმა, ყვითელმა ხელმა სული ამოჰგლიჯა და იქვე კუთხეში მიაგდო. კაცმა სანეტარო შეება იგრძნო, უკანასკნელად ამოისუნთქა და სავარძლის სახელურს გადაეკიდა.

თავი მეთოთხმეტი

იოიერაჯა. თვალს ვახელ და უმაღლე ფეხზე ვდგები.

ლაბორატორიის საერთო საცხოვრებელში ჯერ ყველას ძინავს.

აღმოსავლეთით, კავკასიონის გადაღმა უკვე იგრძნობა მოახლოებული განთიადი.

ერთბაშად გადავწყვიტე, ჩავსულიყავი და დანგრეული ეკლესია მენახა.

პირი სწრაფად დავიბანე, გავიპარსე და ისე წავედი, არავისთვის არაფერი მითქვამს. ოღონდ მანქანა გადავავყენე ლაბორატორიის ხელმარცხნივ, რომ შუადღემდე მზე არ მისდგამოდა.

რა მომელანდა? რატომ წამომეჭრა სრულიად მოულოდნელი იდეა?

ვითომ მოულოდნელი?

დღესაც ბეჭი მტკივდება. მაშინდელი გასროლა რომ გამახსენდება ზოლმე. ჩემს მეხსიერებაში მთლიანად აღდგა ერთი დაძაბული წუთი: თოფს ეკლესიას ვეშპინებ და სასხლეტს ოდნავ ვეხეზი თითით. გული თითქოს გახეთქვას ლამობს. ერთბაშად შემაკრთო ირგვლივ გამეფებულმა სიჩუმემ და უნებურად უკან ვიხედები. გია ისევ ისე ზის და სროლის მოლოდინში თვალები სანახევ-

როდ მოუჭუტავს. დათოს სიგარეტი გაუჩრია პირში და ენით აწვალებს. თოფის პატრონი სანახევროდ შემობრუნებულა, თითქოს არ უნდა დაინახოს როგორ ვესვრი ეკლესიის კარებს, მაგრამ საშინელი ცნობისმოყვარეობა მთლიანად მეტრუნების ნებას მაინც არ აძლევს. იმ ხუთი გლეხიდან, წელან რომ ცაცხვის ძირში ეძინათ, ოთხი უკვე წამომდგარა და ახლოს მოსულა. მხოლოდ მეტრუნე დარჩენილა ადგილზე და მუხლებზე წამოჩოქილი მომჩერებია. ხუთივეს თვალებიდან შიში და ცნობისმოყვარეობა იღვრება. აღარავითარი სურვილი აღარა მაქვს ვისროლო, თან ჩემს თავზე გული მომდის, ნუთუ მეშინია? რისი? რისი უნდა მეშინოდეს?

ისევ ჩამესმის ყურში დათოს ხმა: „ხომ არ გეშინია? ჩვენ და ჩვენს წინ, ვინ იცის, რამდენი ათეული თაობა, ლაბორატორიებში ვამტკიცებთ სამყაროს წარმოშობის მატერიალურობას. თურმე რა უბრალოდ, მხოლოდ ერთი გასროლით შეიძლება გადაწყდეს ეს საკითხი!“

მევონა ჩემი მეხსიერებიდან ამოვარდა კიდევ ეკლესიის ეპიზოდი. თურმე ვტყუვდებოდი. ხანდახან გული რომ დამიმძიმდებოდა, სწორედ მაშინ მა-

გონდებოდა ეკლესიის ჩამონგრეული კედლებიდან წამოშლილი შავი, ნამგალა მერცხლების ჭყივილი და ღამურების საზარელი წრიბინი.

სასაფლაოს რომ მიეუახლოვდი, გულში ისევ ვიგრძენი წვრილი ნემსებზე ჩხელება. აი, უკვე მოჩანს კიდეც დანგრეული ეკლესია. ყველაფერი ისეა, როგორც მაშინ მივატოვეთ. ეტყობა, მას მერე აქ აღამიანს ფეხი არ დაუდგამს.

ფრთხილად დავაბიჯებ ეკლესიის გალავანში, თითქოს მეშინია, ვილაცას მუდროება არ დაეურღვიო. აგერ ის ადგილი, მე რომ მეძინა. აქ დათო იყო ხეზე მიყრდნობილი. იქვე, გვერდით, გიას ეძინა თავდაღმა დამხობილს.

თითქოს ისევ ვხედავ, თავი გვერდზე როგორ მოუქცევია და ნახევრად ღია თვალი რა უსიამოდ აქვს დაჭყეტილი. თითქოს ისევ ვეძებ მის ზურგზე ნატყვიარს.

აგერ თოფიც. შუაზე გადატეხილი თოფიც. ისევ ხის ძირში ეგდო ზუსტად ისე, როგორც მაშინ დაყარა ზიზლით პატრონმა. ოღონდ ხის ძირში თხელი ბალახი წამოზრდილა და ბალახში ჩაფლული თოფის ლულა ისე აღარ ბრწყინავს, როგორც მაშინ ბრწყინავდა. წვიმისა და ნამისაგან ქანგიც საკმაოდ მოპკიდებია.

უცებ ლულა შეინძრა.

შევკრთი.

იქნებ მომეჩვენა?

ლულა ისევ შეინძრა.

არა, თვალი ნამდვილად არ მატყუებს.

უცებ ლულიდან თავი მომწვანო-მოყვითალო ხელიკმა გამოყო. რომ დამინახა, ისევ ლულაში შეიმალა. მერე სწრაფად გამოვარდა, ბალახი გადაირბინა და ეკლესიის ნანგრევებში გაუჩინარდა.

ჩემს თავზე გული მომივიდა.

ეკლესიის გალავანი გადავჭერი და ლაბორატორიისაკენ მიმავალ გზას დავადექი. იქაურობა უკვე გადაეთიბათ.

გალმა-გამოღმა ფერდობებს ჰორფლივით ეყარა თივის ზვინები.

თორნიკე გავაშელმა ჩიბუხს საფერფლეზე დადო და კიი მოიმარჯვა.

მარჯვე, ნელი, მაგრამ მოსსლეტილი დარტყმა. ბურთი ლუხაში ჩაეშვა. გაიმართა, სახეზე კმაყოფილება განოება. ფანჯრის რაფაზე დადგმული საფერფლიდან ჩიბუხი აიღო და ბილი-არღს დაკვირვებით გადახედა.

თორნიკე გავაშელი.

მაღალი, გამხდარი, ჰალარა ასტროფიზიკოსი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტი. სამოცდაშვიდი წლისა მინც იქნება.

სხეულის უფრო ახალგაზრდულად გამოიყურება. ვიდრე სახე.

კიდურები გრძელი, თითები ნატიფი, მუცელი ჰაბუკივით დაჭიმული. მოძრაობა მეტყველი და დახვეწილი.

აღელვებული არასდროს მინახავს. როცა რამეს ეკითხები, ერთბაშად არ გიპასუხებს. ოცწამიანი პაუზა ჩვეულებად ქცევია.

ასლაც, როგორც ყოველთვის, აუღელვებლად უვლის გარს ბილიარღს. ყველაზე კარგ ვარიანტს ეძებს, არ ჩქარობს. თან ჩიბუხს ეწევა.

ჩიბუხი მისი პორტრეტის განუყოფელი ნაწილია. როცა ჩვეულებისამებრ ხელში არ უჭირავს, მგონია, რომ მეცნიერის დახვეწილ სხეულს რალაც აკლია.

ერთ ბურთს თვალი გაუშტერა. მერე წელში მოიხარა. ცალი თვალი მოჭუტა და ისე გახედა.

— უცნაურია! — თქვა და წელში გაიმართა, ჩიბუხი ისევ ფანჯრის რაფაზე შემოდგმულ საფერფლეზე დადო და კიი მოიმარჯვა. — მეცნიერება ძალიან ვიწროშესასვლელიან გამოქვაბულს ჰგავს. როცა გამოქვაბულს შესაძრომს უპოვი, გგონია, შეძვრები შიგ და საიდუმლოებასაც ფარდა აესდება.

გურამ ზანუჯიძე

ამბიური მზის წილიწადი

ისევ მოკლე და მოწყვეტილი დარტყმა. ბურთი თითქმის სწორად წავიდა, მაგრამ არ ჩავარდა. უკან გამობრუნდა და სხვა ბურთებს მიეჯახა.

გავაშელმა ლაპარაკი შეწყვიტა და ბურთების ტრიალს დააკვირდა. ბოლოს, როცა ყველა ბურთი გაჩერდა, კიი თავახიანად მომაწოდა.

— რაღაც საინტერესოს ბრძანებდით, — ვუთხარი მე.

გავაშელმა ჩიბუხი ისევ აიღო.

— ჰო, იმას მოგახსენებდით, მეცნიერება ვიწროშესასვლელიან გამოქვაბულს ჰგავს-მეთქი. შეძვრები ამ შესასვლელში და რას ხედავ, გამოქვაბულს ბოლო არ უჩანს. ეს კიდევ არაფერი, გამოქვაბული ძაბრივით ფართოვდება უსასრულოდ.

კარგი ბურთი შევამჩნიე და დასარტყმელად მოვემზადე. თან არ ვჩქარობ, მინდა გავაშელმა სათქმელი დაასრულოს.

— მე მგონი, ეგ ბურთი არ წავა! — არ მომიწონა არჩევანი გავაშელმა.

მე არ ვსარგებლობ მოწინააღმდეგის კეთილშობილებით და კიის ენერგიულად ვიქნევ.

როგორც ყოველთვის, გავაშელი მართალი აღმოჩნდა. ბურთი ბორტს დაეჯახა, უკან დაბრუნდა და სხვა ბურთებიც არივ-დარია.

კიის უკან ვუბრუნებ.

გავაშელმა კიი გამომართვა, ჩიბუხი მოქაჩა და ბილიარდს აუჩქარებლად გადახედა.

— საოცარია, ორი კვაზარი ერთმანეთს შორდება ექვსი სინათლის სხივის სიჩქარით. გამოდის, რომ თითოეული სამი სინათლის სიჩქარის სისწრაფით მოძრაობს.

— ახალი ამბავია? — ვეკითხები ინტერესით.

— სრულიად ახალი. ორი დღის წინ მოგვივიდა მასალები.

პაუზა.

— მოდი, ამ ბურთს ვცდი. ვიცი, არ წავა. მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო.

ნელი, ძალზე ნელი დარტყმა. ბურთი

კი არ მოხვდა მეორე ბურთს, თითქმის მოედო, თუმცა ეს უმნიშვნელო შეხებაც საკმარისი აღმოჩნდა, პირველი ბურთი ლუზაში ჩაშვებულიყო, ხოლო მეორე იქვე გაჩერებულიყო.

— ბიჭოს! — თქვა გავაშელმა და ლუზასთან გაჩხერილი ბურთი კიით ცენტრისკენ დააბრუნა. მერე ცალი თვალი ისევ მოჭუტა და ვარიანტებს დაუწყო ძებნა.

— იქნებ გაზომვა ვერ ჩაატარეს სწორად? — ვეუბნები მე.

— გამორიცხულია.

— მაშ რა მოხდა, რას ვარაუდობენ?

— აქ ორი ვარიანტია მოსალოდნელი. ან დოპლერის ეფექტი, ანუ სპექტრში წითელი ჩანაცვლების მეთოდი არაა სწორი, რითაც ციური სხეულების სიჩქარეები იზომება. ან...

გავაშელმა ლაპარაკი შეწყვიტა, ბილიარდს მეოთხე მხრიდან შემოუარა და კიი მოიმარჯვა.

— ან? — ველარ მოვითმინე მე, რადგან ინტუიციით ვხვდები, მეორე ვარიანტი უფრო თამამი და სენსაციური უნდა იყოს.

გავაშელმა თითქოს ვერ გაიგონა ჩემი ნათქვამი. ბურთებს დაკვირვებით გახედა. მერე თავი გააქნია, არ ვარგაო და მეორე მხარეს გადაინაცვლა.

— „ან“? — გაიმეორა ჩემი შეკითხვა. — ან შეიძლება ძალზე ფრთხილად დავსვათ შეკითხვა — დაზუსტებას ხომ არ მოითხოვს ფარდობითობის თეორია?

წელში ისევ მოიხარა. კიი კარგა ხანს ასრიალა თითებშუა და ბოლოს მძლავრად მოიქნია.

ბურთი ასცდა ლუზას.

პაუზა.

როცა ბურთი საბოლოოდ გაჩერდა, კიი გამომიწოდა. თვითონ კი ჩიბუხს დაუწყო გამობერტყვა. ნამწვავები საფერფლეზე დაყარა, ჩიბუხი გულის ჯიშეში ჩაიდო და ისევ ბილიარდთან მოვიდა.

არ გავნძრეულვარ, ველოდებოდი, საუბარს როდის ვააგრძელებდა.

— თავის დროზე ფარდობითობის თე-

ორიამ ლოკალურ საზღვრებში მოაქცია ნიუტონის ფიზიკა, — დავიწყე მე.

— დიახ, მეც მაგას მოგახსენებთ, — თქვა დინჯად გავაშელმა, — ნიუტონის ფიზიკა დარჩა კერძო შემთხვევად. იქნებ ფარდობითობის თეორიაც კერძო შემთხვევაა მზის სისტემის ან თუნდაც ჩვენი გალაქტიკის საზღვრებში? იქნებ კვაზარებსა და ზოგიერთ გალაქტიკაში, სადაც მათი ბირთვული დამლა მიმდინარეობს, დღესდღეობით ჩვენთვის უცნობი კანონები მოქმედებენ?

— ღმერთი გწამთ? — ვეკითხები უცებ და კიის ბილიარდზე ვდებ.

— როგორ, აღარ გინდათ თამაში?

— გნებდებით.

— მაინც ჯობდა, პარტია დაგვეთავრებინა.

— თქვენი ნებაა! — კიის ვიღებ და წელში მოხრილი დასარტყმელად ვეზაადები. სადაც ვიდექი, იქიდანვე ავარჩიე ვარიანტი, ძეხნით თავი არ შემიწუხებია.

— დარტყმა. ბურთი ლუზაშია.

— მაშ თქვენ გაინტერესებთ, ღმერთი თუ მწამს? — მეუბნება გავაშელი. თან ცერა თითი ასწია კარგი დარტყმა იყო.

კიის ნელა ვიქნევ და ერთხანს ბურთის მივაცოლებ. უხეიროდ გამომივიდა.

— წინასწარ მინდა, ერთი რამ დავახუტო, ღმერთში რას გულისხმობთ? — მეუბნება გავაშელი და კიის მართმევს.

— ვგულისხმობ თუნდაც აინშტაინ-ბორის ცნობილ პაექრობას დაკარგული ტრაექტორიებისა და ალბათური ტალღების თაობაზე და საერთოდ სამყაროს ალბათობას ჩემს სფეროში, ხოლო დიდი აფეთქების თეორიას უკვე თქვენს სფეროში.

ჯიბიდან სიგარეტს ვიღებ.

გავაშელს დარტყმა არ გამოუდის. კიის მაწოდებს და თვითონაც ჩიბუხს აწყობს. მერე თუთუნით სავსე ქისას ისევ სკამზე გადადებული პიჯაკის ჯიბეში დებს და ჩიბუხს უკიდებს.

— ვითომ დიდი აფეთქების თეორიარელიგიურ განცდებს ბადებს? — მეკითხება, თან ჩიბუხს ზედნიხედ ქაჩავს,

რომ არ ჩაუქრენ, — ვერასდროს მოვიდგენდი!

— დიახ. დიდი აფეთქების თეორიამ დააყენა სამყაროს დასაწყისის და დასასრულის საკითხი, რაც ასე მოეწონა ეკლესიას.

გავაშელი ბოლს ცხვირიდან უშვებს და დაფიქრებული თავს აქეთ-იქით იქნევს.

— სადაც მეცნიერება უძლურია, რელიგია იქ ნახულობს ნოყიერ ნიადაგს, ამოუხსნელ მოვლენას განგებას, ღმერთს უკავშირებენ ხოლმე.

— ბოროი ან ჰაინენბერგი არ ყოფილან ღვთის მსახურები.

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, ბორმა აღიარა სამყაროს მიზეზობრიობა და უარყო ლაპლასური დეტერმინიზმი, სამყაროს „ბედის წიგნი“. არც ჰაინენბერგი წასულა ბუნების მატერიალურობის წინააღმდეგ. — ხელზე ცარცს საგულდაგულოდ ისვამს და დასარტყმელად ემზადება.

— მაინც ძალზე საგულისხმოა სამყაროს დასაწყისისა და დასასრულის ცნება.

— თქვენ ასე ფიქრობთ?

მოწყვეტილი, ლამაზი დარტყმა, მაგრამ უშედეგო.

— თქვენ ასე ფიქრობთ? — მიმეორებს შეკითხვას, კიის მაწვდის და საფერფლედან ჩიბუხს იღებს.

კიის მსხვილი ბოლოთი ბორტზე ვდებ, ორთავე ხელით ვეყრდნობი და გავაშელს შევცქერია.

— მე არაფერს არ ვფიქრობ. თქვენ ფიქრობთ ასე, ასტროფიზიკოსები, და ამიტომაც გეკითხებით თქვენ.

— ჯერ ერთი, სამყაროს მდგომარეობა ყველა მომენტში წარმოადგენდა და წარმოადგენს მატერიის განვითარების უსასრულო პროცესის გარკვეულ ფაზას. ამ პროცესს კი არც დასასრული აქვს და არც დასაწყისი. თუ მართლა მოხდა დიდი აფეთქება, თუ ამ აფეთქების შედეგად

გურამ შანჭიკიძე
ახტიური მზის ფელიწადი

გად მართლა წარმოიშვა მილიარდობით გალაქტიკა და მატერიალური სამყარო ნამდვილად ფართოვდება, ეს სულაც არ გვაძლევს უფლებას, რომ ნულოვანი მომენტი დროის კოსმოლოგიურ სკალაზე განვიხილოთ როგორც სამყაროს შექმნის მომენტი. რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ესაა უკიდურესი წერტილი მხოლოდ ჩვენთვის ცნობილი ფიზიკური კანონებისათვის დროში უკან სვლისას, რომელიც შეიცავს აგრეთვე უწყვეტი მეტრული დრო-სივრცის ცნებასაც?

პაუზა.

თორნიკე გავაშელს დაკვირვებით შევცქერა. ეტყობა, ჩიბუხიდან ბოლი მარცხენა თვალში ჩაუვარდა და თვალს მუშტით ისრისავს.

მერე ვიხრები და ბილიარდის ბურთს დავცქერა.

უკანასკნელი ნაფაზი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

ფანჯარასთან მივდივარ, ნამწვავს საფერფლეზე ვაგდებ; მერე ბილიარდთან ებრუნდები და დასარტყმელად ვემზადები.

კვლავ ამაოა ჩემი ცდა. უკან დაბრუნებული ბურთი თითქმის ყველა ბორტს მიასკდა რიგრიგობით.

— არსებობს კიდევ ერთი პარადოქსიკ. — ვამბობ მე და კიის ვუწვდი, — თქვენ წელან დროში უკანსვლა ახსენეთ. თანამედროვე სამყაროს ახასიათებს დადებითად დამუხტული პროტონები და უარყოფითი ელექტრონები. ერთი სიტყვით, ჩვენი სამყარო ნივთიერებაა და არა ანტინივთიერება. ბევრი ფიქრობს, რომ თავდაპირველად...

— „თავდაპირველად?“ — შემაწყვეტინა სიტყვა გავაშელმა. — რას გულისხმობთ ამ სიტყვაში, რა მიგაჩნიათ „თავდაპირველად“?

— ვგულისხმობ კონდენსირებულ სამყაროს, როცა ნივთიერება ერთგვაროვანი იყო, ხოლო ტემპერატურა მრავალ მილიარდ გრადუსს აღწევდა. არავითარი ატომი მასში არ არსებობდა. ნივთიერების მეოთხე აგრეგა-

ტული მდგომარეობის დროს არსებობდა მხოლოდ ელემენტარული ნაწილაკები. ხოლო ფიზიკის ზოგადი კანონების თანახმად ყველა წერტილში უნდა ყოფილიყო ერთნაირი ინტენსივობის მქონე იზოტოპიური გამოსხივების ველი.

— გეთანხმებით, მაგრამ უსაფუძვლოა თქვენი სიტყვა „თავდაპირველად“. ეგ ფაზა არ ყოფილა მატერიის საწყისი ფაზა. ეგ იყო მხოლოდ დიდი აფეთქების საწყისი ფაზა.

— მეც გეთანხმებით. დიდი აფეთქების წინ ჩვენი დღევანდელი მეტაგალაქტიკა იყო ერთ წერტილში უსაზღვროდ შეკუმშული და მრავალ მილიარდ გრადუსამდე გადახურებული. გეთანხმებით, რომ ეს ფაზაც მატერიის განვითარების უწყვეტი და უსასრულო პროცესის მხოლოდ ერთ-ერთი ფაზა იყო და მეტი არაფერი. ამ საკითხზე არ გედავებით. მე სულ სხვა რამ მინდა გითხრათ. ბევრი ფიქრობს, რომ სიმეტრიისათვის ამ უსასრულოდ მკვირვ სხეულში ნივთიერება და ანტინივთიერება თანაბარი რაოდენობით უნდა წარმოქმნილიყო. დიდი აფეთქების შემდეგ კი ტემპერატურის დაწევასთან ერთად ნაწილაკებს და ანტინაწილაკებს ერთმანეთი უნდა გაენადგურებინათ. სამყაროს სიმეტრიულობის შემთხვევაში სამყარო აღარ იარსებებდა და ყველაფერი გამოსხივებად გადაიქცეოდა!

პაუზა.

— გისმენთ? — მეუბნება გავაშელი. ამაყრად ინტერესით მისმენს, თვალი აღარ გაურბის ბილიარდის ბურთებისაკენ.

— ბუნებრივია, ისმება კითხვა, რატომ იყვნენ ნაწილაკები უფრო ბევრნი, ვიდრე ანტინაწილაკები?

პაუზა.

— ან იქნებ ღმერთი სხვადასხვა „სივრცე-დროში“ ნაწილაკების სხვადასხვა კომბინაციებს ანაწილებდა? ხომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ანტინივთიერება სადღაც სხვა „სივრცე-დროში“ არსებობს?

პაუზა.

ხანგრძლივი პაუზა.

მერე თითქოს გამოერკვაო, ჩიბუხს საფერფლეზე დებს და ბილიარდს დასჩერებია.

ისევ ლამაზი, მოწყვეტილი ღარტყმა.

პარტია წავაგე.

გავაშელი კიის ბილიარდზე დებს და საათს დასცქერის.

— ხუთი დაწყებულია! — ამბობს შუბლშეჭმუნული. მერე ჩიბუხს ბერტყავს, სკამზე გადადებულ პიჯაკს იცვამს და ცხვირსახოცით მარცხენა ხელზე ცარცს იშორებს.

— მართალი ხართ! — აგრძელებს უცებ საუბარს გავაშელი, — დღეს ძნელია გარკვევით გამოთქვა რაიმე მოსაზრება მრავალი მოვლენის თაობაზე. დღეს ტექნიკა ძალზე წავიდა წინ. იმდენი რამ აღმოვაჩინეთ, მათი მექანიზმის ამოსახსნელად და გასაანალიზებლად აღარც დრო გვყოფნის, აღარც ფიზიკის დღევანდელი ფუნდამენტური კანონები. მაგრამ რასაც ვერ ავხსნით დღეს, აუცილებლად აიხსნება ხვალ. ხშირად ათი წლის შრომით მიღწეული აღმოჩენა ათ დღეში იქცევა ხოლმე ბანალურ ჭეშმარიტებად. რამდენი საუკუნე დასჭირდათ ადამიანებს დარწმუნებულებას, რომ დედამიწა ნამდვილად ბრუნავს? ახლა ერთ დროს დაუჯერებელ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას ლამის დედის ძუძუსთან ერთად ისისხლხორციებენ ბავშვები.

— ხომ არ მივაჩნიათ, რომ მთელი მეტაფიზიკა ერთი მთლიანი სხეულია, რომელიც სუნთქავს, მოძრაობს, ცოცხლობს, ბერდება და კვდება?

— ეგ მხოლოდ ცალკეულ ვარსკვლავებზე შეიძლება ითქვას. ისინი მართლაც იბადებიან, ბერდებიან და კვდებიან, მაგრამ უწყვეტია მათი წარმოშობის პროცესი. გარეთ ხომ არ გავსულიყავით?

კარი დინჯად გამოაღო.

— მიბრძანდით!

— ჯერ თქვენ, ბატონო თორნიკე.

— მიბრძანდით, აქ მე ვარ მასპინძელი.

სალამოს ნიავმა ერთბაშად გვაგრიტინა ბინა, რა ჩახუთულ პაერს ვსუნთქავდით მთელი ერთი საათის მანძილზე.

— ცნება, რასაც ჩვენ სამყაროს ევოლუციას ვეძახით, სწორი არაა. — დავიწყე ისევ მე.

— რატომ?

— ფიქრობ, იგი ევოლუციის კი არა, დეგრადაციის პროცესია.

— თქვენი მოსაზრება არაა ორიგინალური ბევრი მეცნიერი თვლის, რომ სამყარო ნელ-ნელა ცვდება და ნადგურდება. არავითარ ძალას არ შესწევს უნარი, აღადგინოს მისი ქსოვილი.

სიგარეტი.

— მე სამყაროს თბურ სიკვდილს ვგულისხმობ. თერმოდინამიკის მეორე კანონის თანახმად მატერიალური სამყარო მხოლოდ ერთი მიმართულებით ივლის, ენტროპიის გაზრდის შედეგად ენერგია მთლიანად ამოიწურება და სამყარო შეწყვეტს აქტიურ ცხოვრებას.

— არც ეგ თეორიაა ახალი.

— მე ახალ თეორიებს კი არ ვთავაზობთ, უბრალოდ, გეკითხებით. მინდა ზოგიერთ საკითხში ჩემი თავი შევა-მოწმო.

— მეც უბრალოდ გეუბნებით. არსებობს თეორია, რომ სამყაროს შეუქცევადი მდგომარეობა არ მიიყვანს მატერიალურ სამყაროს თბურ სიკვდილამდე. სამწუხაროდ, მეცნიერება დღეს გარკვევით ვერაფერს გვეტყვის, რა იქნება მრავალი მილიარდი წლის შემდეგ.

— ეყოფა კი ადამიანს შესაძლებლობანი, ბოლომდე ჩასწვდეს სამყაროს საიდუმლოებას? ეს ხომ იგივეა, ადამიანმა აჯობოს თავის შემქმნელ ბუნებას! განა ადამიანი ოდესმე გამოიგონებს თავის თავზე რთულ მანქანას? თუნდაც ისეთს, რომელსაც ექნება იუმორის გრძნობა, ეცოდინება სიყვარული ან სიძულვილი, წყენა ან სიხარული?

— მე მჯერა ადამიანისა! ხომ ხედავთ, ამ ხანმოკლე საუბარშიც კი გვინდა მი-

გზრამ ფანჯიმიძე

ამბიური მხის წელიწადი

ლიარდობით წლის იქით გადავიხედოთ და დავინახოთ, რა მოხდება მაშინ, თუ სამყაროს ენერგიის უკანასკნელი ერგი მართლაც ამოიწურება. იცით რა, ყმაწვილო, მე უსაზღვროდ მჯერა ადამიანის ნიჭისა და უნარის. ბუნება მილიარდობით წელიწადს ანდომებდა სიცოცხლის ფორმების შექმნას. თქვენ გინდათ, ადამიანმა სამ ათეულ წელიწადში შექმნას ისეთი მანქანები, რომლებსაც ექნებათ იუმორის გრძნობა? ადამიანმა კოსმოსური ნაბიჯების გადადგმა სულ ახლახან დაიწყო, შედეგები კი მართლაც მნიშვნელოვანია. თქვენ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით, სამყაროს ბევრი საიდუმლოს ამოხსნის მოწმე გახდებით. მინდა ყოველთვის გახსოვდეთ ჩემი სიტყვები, ადამიანის შესაძლებლობებს არა აქვს საზღვარი, იგი უსაზღვროა.

კოსმოსური სხივების ლაბორატორიის საერთო საცხოვრებელი.

გულალმა ვწევარ და ფანჯარას გავცქერი. მზე უკნიდან ადგას შენობას. ოთახში თითქმის ბნელა. ფანჯრის ოთხკუთხედ ჩარჩოში ისე მოჩანს გაღმა ქედი და კლდოვანი ბორცვის თავზე პატარა ეკლესია, გეგონებათ კედელზე ელექტრონის უჩინარი ნაკადით განათებული ნატურალისტური პეიზაჟი ჩამოუყიდიათ.

სიგარეტი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

გულმოსული სიგარეტს იატაკზე დაღმულ საფერფლეზე ვაქრობ.

თავი მეთერთმეტი

კიდევ ხუთი კილომეტრი და ჩემს სოფელში ვიქნებით.

მზე ერთი საათის წინ ჩავიდა, მაგრამ სწრაფად ჩამოხნულა. ცაზე ვარსკვლავები უკვე მთელი ძალით კაშკაშებენ.

— როგორი ვარსკვლავები! — ამბობს აღტაცებული ნანა, — ალბათ

თვალს ვხუჭავ. მინდა დავიძინო, მინდა ყველაფერს გამოვეთიშო და მუხტო.

რა მემართება?

გული რატომ მიცემს ასე ძლიერად?

ხომ არაფერი იგრძნო? რაიმე იმპულსი ხომ არ მიიღო?

აბა რატომ მეუფლება რალაცის მოლოდინის გრძნობა?

„დღესვე თბილისში უნდა წავიდე!“ — გავიფიქრე უცებ.

დღესვე კი არა, ახლაც, ამ წუთში! თვალს ვახელ.

ელექტრონის უჩინარი ნაკადით განათებული ნატურალისტური პეიზაჟი ისევ ჰკიდია კედელზე. ოღონდ მხატვარს შიგ ახლა წაბლისფერი ცხენი ჩაუხატავს ოსტატურად.

სასწრაფოდ ვიცვამ.

ჯიბეში მანქანის გასაღებს ვეძებ.

უცებ ცხენმა კული გაანძრია და ფერდობს დაბლა დაუყვა. ნახატი ერთბაშად გაქრა. კი არ გაქრა, გაცოცხლდა, რეალობად იქცა.

— სად მიდიხარ? — მეკითხება გია, ჩანთით ხელში რომ დამინახა მანქანასთან.

— თბილისში.

— რა იყო, მოხდა რამე?

ნუთუ სახეზე შემატყო რალაცის მოლოდინით აღსავსე მღელვარება?

— რა უნდა მომხდარიყო? ხვალ თუ არა, ზევ მაინც ამოვალ.

საჭე მორჩილად მიჰყვება ჩემს ხელს.

— ხეირიანი სიგარეტები ამოიტანე! — მომძახის გია.

მთაში რომ ვართ, ამ სიმაღლეზე, იმტომ ჩანან ასე კარგად, არა?

— სიმაღლესაც აქვს თავისი მნიშვნელობა, მაგრამ მთავარი მაინც სუფთა, გამჭვირვალე ჰაერია. — ვეუბნები მე.

— მალე მივალთ?

— კიდევ ხუთი კილომეტრი დაგვრჩა.

თუმცა ხუთი კილომეტრის გავლას ამ საშინელ გზაზე ალბათ ნახევარ საათზე მეტს მოეუწოდებოდა.

ნანას ხმა არ აშოულობდა. ვერ გავარკვევ, ეჩქარება სოფელში მისვლა თუ სიამოვნებს დანგრეულ გზებზე ჯაყჯაყი, ქალაქელი ადამიანისათვის რომანტიკულ იერს რომ იძენს.

დროდადრო ფანჯარაში გაჰყავს ხოლმე თავს და ცას გასცქერის. რამდენჯერმე, მანქანა რომ ორმოში ჩამოვარდა, ფანჯრის ზედა კიდეცაც მიარტყა თავი.

ნელა, მაგრამ მაინც მივდივართ წინ. უფრო ხშირად პირველ სიჩქარეზე ღმუხს მანქანის მოტორი. მეორე სიჩქარეც კი სანატრელი გამიხდა, ძრავამ რომ ცოტა ამოისუნთქოს. მაინც თვინიერად ემორჩილება ჩემს ხელს, მდის და ორი მობრდღვიალე ფარით სამკუთხედად მიპობს სიბნელეს.

უკვე მესმის ჩვენი მდინარის უხეილი. ცოტაც და, ჭალაში ვართ. გზა მდინარის პირს მიუყვება.

— დიდი მდინარეა? — მეკითხება ნანა.

— საკმაოდ.

მელიმება.

ნანა, რასაკვირველია, სიბნელეში ვერ ამჩნევს ჩემს ღიმილს. თუმცა, სიბნელესაც რომ თავი დაეანებოთ, ჩემსკენ არც გამოუხედავს და რას შემამჩნევდა.

ჩემს პასუხზე გამეცინა, „საკმაოდ-მეთქი“, რომ ვთქვი.

აშკარაა, პასუხმა დააკმაყოფილა ნანა ჯანდიერი. მისმა ფანტაზიამ ალბათ უკვე წარმოიდგინა, დაახლოებით რამოდენაა გზის გასწვრივ გრუხუნით მიმავალი მდინარე, რომელიც თურმე „საკმაოდ“ დიდი ყოფილა. მაინც რა აიღო ორიენტირად? რამოდენად წარმოიდგინა თავისი სიდიდისთვის შეუფერებელი ხმაურით მიმავალი სხარტულა? რომელ მდინარესთან შედარებით განსაზღვრა მისი სიდიდე?

მტკვარი და რიონია საქართველოში ყველაზე დიდი მდინარეები. მხოლოდ

მათთან შედარებითაა საქართველოს დანარჩენი მდინარეები პატარები, მხოლოდ დილები, საშუალოები, საკმაოდ დიდები და დიდები.

იგივე პასუხზე ენისეის ან ლენას ნაპირზე მცხოვრები კაცი რამოდენად წარმოიდგენდა ჩვენს სხარტულას?

უკვე წინიდან მომავალი მანქანის ფარებმა მომჭრა თვალი. მალე შუქმა მიმართულება იცვალა და კაშკაშა, ორი მრგვალი ნაკადი ისე გაიქიმა გაღმა ნაპირამდე, თითქოს მდინარეზე ბროლის ორი მსხვილი მილი გასდესო. ბროლის მილებმა ნელ-ნელა იცვალეს მიმართულება, მერე სულ გაქრნენ. ეტყობა, მანქანა მკვეთრ მოსახვევში შებრუნდა ჩვენი საწინააღმდეგო მიმართულებით.

ცოტა ხანიც და სინათლე ახლა გადმოლმა მთის კალთებს დაესო, მერე თანდათან ჩვენსკენ შემობრუნდა.

მდინარის ხმაურს ნელ-ნელა გამოეყო მანქანის გუგუნი. ეტყობა, მძიმე მანქანა მოდიოდა. ცოტაც და გაივალა, მობრდღვიალე ფარებს უკან მისი უზარმაზარი კონტურებიც მოიხაზა.

გზას გაეხედე. შევატყვე, გვერდს ვერ ავუქცევდით ერთმანეთს. გზიდან გადავდექი და ახლო სინათლე ჩავრთე.

დიდი მანქანა მძიმე ღმუხილით მოემართებოდა ჩვენსკენ, როცა გავვისწორდა, მძღოლმა შეაჩერა და ზემოდან გადმოგვძახა:

— ხიდი ჩანგრეულია, მდინარეს აღმა აჰყვები, იქვე ფონია და ფრთხილად გადი.

— გმადლობთ! — ვეუბნები მე. ალბათ მიხვდა, აქაური მანქანა რომ არ იყო.

— სად მიდიხარ? — მეკითხება ისევ. მანქანის გიგანტური სხეული მძიმედ დგანდგარებს, სიბნელეში ვერ ვხედავ, მაგრამ ვხვდები, მანქანა დატვირთულია.

— მაღლა მივდივარ, ზემო ჭალაში.

მეშინია, ნაცნობი არ გამოდგეს, არ მინდა ის საოცრად წმინდა და ამდლვე-

გუარამ ფანჯიშიძე

აბთიუმი მზის წელიწადი

ბული განწყობილება დამერღვეს, თბილისიდან რომ გამოყვა.

— ბედნიერად გველოს! — გადმოძახა შოფერმა და გიგანტი ნელა დასძრა.

საჭე ხელმარცხნივ მოვებარუნე და გზაზე ფრთხილად გავედო.

ყველაფერი კი რა მოულოდნელად და უცნაურად მოხდა. ლენინის ქუჩაზე საფრმო მალაზიასთან მანქანა გაუჩერე და სიგარეტის საყიდლად გადავედი. როცა მალაზიიდან გამოვბრუნდი, ნანა ჯანდიერი დავინახე.

უპირველესად თვალში მომხვდა მისი სწორი, ჩამოშლილი თმები, ჩანჩქერით რომ სცემდა მხრებზე. შემდეგ ჯინსებში გამოკვართული მოქნილი სხეული.

მოდოდა ღინჯად, თავაწეული, სხეულის პლასტიკაში ეტყობოდა, რწმენისა და ღირსების გრძნობა სისხლში ჰქონდა გამჭდარი.

როცა დამინახა, მისალმების ნიშნად ღიმილი გამოეხატა ბაგეზე.

— მანქანითა ვარ, თუ გნებავთ წაგიყვანო! — ვუთხარი მე და თან ეგრძნობდი, რა სასაცილოდ ვიდექი სიგარეტებით ხელში.

თანხმობის ნიშნად ისევ ლამაზი გრიმასი.

სტარტერს ფეხი დავაჭირე. ძრავა იმავე წამს ათუხტუნდა.

— სად წაგიყვანო? — მანქანა ნელა დავძარი ადგილიდან.

— სადაც გნებავთ.

მოულოდნელმა პასუხმა ისე დამაბნია, მანქანა ადგილზე გავაქვავე და ქალიშვილს შევხედე.

ალბათ ძალზე უცნაურად მქონდა თვალები გაფართოებული.

ნანა ჯანდიერმა გამიღიმა და ისევ გამიმეორა:

— რატომ გაგიკვირდათ? სადაც გნებავთ-მეთქი.

მანქანა ისევ დავძარი.

რა ვიგრძენი? რატომ შემეკუმშა გული? რატომ დამებერა საფეოქლები?

ქალიშვილის პასუხმა სისხლი ამიდულ-

ლა, უცნაური, თითქოს, შეუცნობელი, მაგრამ სანეტარო მოლოდინით ამდგომი.

როგორ უნდა გამეგო მისი სიტყვები? რატომბა კაცის ბუნება ისეთი, რომ ქალიშვილის ელემენტარული თავაზიანობა და ღიმილიც კი რაღაცის იმედს გაძლევს?

„რაღაცის“...

ეს „რაღაცა“ ხომ აუცილებლად სექსუალურ სფეროში გადაგვაქვს!?

დავბენი. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. დავიჯერო, ამ რწმენით და ღირსების გრძნობით აღსავსე ქალიშვილი ერთი ჩვეულებრივი, ლამაზი, სტანდარტული ქალია, რომელთანაც ყველაფერი ლოგინში მთავრდება, ამოღებული ლამაზაკი, წმინდა განცდები და გრძნობები პირველი ვნებისთანავე რომ კვდება და ხელში მხოლოდ სხეული, თუნდაც ძალზე ლამაზი სხეული რომ გრჩება?!

ასე დაბნეული ჩემს ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. არა იმიტომ, რომ სითამამე არ მყოფნდა, ან თავის შეკავება არ შემეძლო, რომ ქალის სილამაზეს ხვდავად არ ვექცეო. არამედ იმიტომ, რომ არ ვიცოდი, რა მომემოქმედებინა. დამეჭირა თავი ღირსეულად, იქნებ ნანა ჯანდიერს სულ სხვა სურვილები ამოძრავებდა და ჩემი ინტელიგენტობისთვის შეიძლება გულში დაცინა კიდევ? მიმეალერსებინა, გზა გამეხსნა ვნებათაღელვისათვის, ვითუ ჩემი სითამამე იმ სიტყვებით გათავხედებული კაცის მოქმედებად ჩაეთვალა, მანქანაში ჩაჯდომისას რომ მითხრა, სადაც გნებავთ, იქ წავიდეთო.

არა, ჩემი ასეთი ატაცება მთლად ამ სიტყვების ბრალიც როდი იყო. ნანა ჯანდიერს, კაცმა რომ თქვას, თითქმის არ ვიცნობდი. ბათუმიდან მგზავრობისას მატარებლის ვაგონში საუბარი ამოდენა სითამამის უფლებას არ გვაძლევდა. მით უმეტეს — მას. ამიტომ შეიძინა ნანა ჯანდიერის სიტყვებმა სხვა წონა და მნიშვნელობა, სული რომ ამიფორიაქა და სისხლი რომ ამიდულა. ამიტომ გამიარა გულში ელექტრონივით მისი ბა-

გეებიდან სამოთხის ჩიტებივით წამოფრენილმა ორმა სიტყვამ „სადაც გნებავთ“.

— შემიძლია, პირდაპირი მნიშვნელობით გავიგო თქვენი სიტყვები? — ვკითხე ქალიშვილს, მცხეთას რომ გავცდი.

— რასაკვირველია!

— შემიძლია, ჩემი შეხედულებებისამებრ ვისარგებლო ამ უფლებით?

— თქვენი ნებაა. მე კარგად მესმოდა იმ ფრაზის მნიშვნელობა, მანქანაში ჩაჯდომისას რომ ვითხარით. თანაც მეწყინებოდა, თუ ჩემს სიტყვებს მოჰყვებოდა შაბლონური მარშრუტი თბილისი-მცხეთა-თბილისი.

თვალი ქალიშვილის ფეხებისაკენ გავაპარე. შარვალში ულამაზესი და მკვრივი ფეხები გამოკვართულიყო. ვცდილობდი წარმომედგინა, ასეთივე ლამაზი გამოჩნდებოდა ნანა ჯანდიერის ფეხები, კაბა რომ სცმოდა? ჯინსები მატყუარაა. ხშირად ულამაზესი და გრაციოზული ტანი, შარვალში რომ გზიბლავს და გატყვევებს ხოლმე ჰაეროვნებითა და პლასტიკით, კაბაში ზედმეტად წვრილია და გამხდარი. ყველაზე ნორმალური ტანი მაშინა აქვს ქალიშვილს, ჯინსებში რომ ოდნავ სქელი გეჩვენება.

ნანა ჯანდიერი გამონაკლისია, ყოველ შემთხვევაში მე ასე მგონია. როცა ქუჩაში მიაბიჯებს, მისი ტანის ჰაეროვნებასთან ერთად გრძნობ ნაკვთების სიჯანსაღეს და საოცარ პროპორციულობას. დარწმუნებული ვარ, კაბაში უფრო გამოჩნდება ნანას სხეულის უზადობა.

— არასდროს შემოუთვაფაზებიათ კინოფილმში გადაღება? — ვკითხე; როცა უზარმაზარ, ფოლადის მილებით დატვირთულ მანქანას გადავასწარი და ცარიელ ტრასას გავხედე.

— ძალიან ბევრჯერ.

ქალიშვილისკენ არ ვიხედები, მაგრამ მაინც ვხედავ მის გრძელ ნატიფ თითებს.

— მერე? არ დასთანხმდით?

— რასაკვირველია, არა!

— რაიმე პრინციპული მოსაზრებები გამო?

— პრინციპული მოსაზრებანი არაფერ შუაშია. უბრალოდ, მე არ მაქვს მსახიობის ნიჭი.

— დარწმუნებული ვარ, არც ერთ ცნობილ ლამაზ ქართველ მსახიობ ქალზე ნაკლებად არ ითამაშებდით! — ვუთხარი გულწრფელად, თან მანქანას უხერხულად ვმართავდი, ვგრძნობდი, თავი ჩემსკენ ჰქონდა მობრუნებული და მომჩერებოდა.

— გმადლობთ, რომ გჯერათ ჩემი ტალანტისა! — მითხრა სიცილით. ეტყობა, ჩემი გულწრფელი აზრი უბრალო კომპლიმენტად მიიღო.

თმაზე ხელი გადაისვა. მივხვდი, კვლავ პირდაპირ იცქირებოდა და მანქანაც ძველებურად დემორჩილა ჩემს ნებასურვილს.

— მე გულწრფელად მჯერა, რაც ვითხარით!

მარჯვენა ხელით გულის ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოვიღე.

— მე არ მჯერა ჩემი თავისა. მსახიობის პროფესიაზე ძალიან დიდი აზრისა ვარ და ალბათ იმიტომ. რაღაცას ალბათ მეც მოვახერხებდი, მაგრამ არაფერი არ მიყვარს მიმსგავსებული, არც ნივთი, არც მეგობრობა, არც სიყვარული, არც პროფესია. პატივს ვცემ მხოლოდ ნამდვილს, ხალასს, გულწრფელს და ჭეშმარიტად ნიჭიერს.

შემდეგ პაუზა.

ხანგრძლივი პაუზა და სიგარეტი.

დუმილი მსიამოვნებდა.

ეტყობა, ნანა ჯანდიერსაც სიამოვნებდა მანქანაში ჩამოწოლილი სიჩუმე, თითქოს რაღაც უხილავი ძაფები გაიბა ჩვენს შორის. თითქოს ჩუმი მუსიკით აივსო მანქანის სალონი. მისი სხეულიდან იმპულსურად გამოშვებული ელექტროტალღები ისევ თნემიდან ფეხის ტერფამდე მივიღო და ნეტარებით ავსებდა ჩემს სხეულს.

გურამ ფანჯიკიძე
აპტიუნი მზის წელიწადი

დროდადრო, როგორც კი წინ თავისუფალ ტრასას დავიგულებდი, მზერას კვლავ ნანასკენ ვაპარებდი. სალონში შემოჭრილი ჰაერის ნაკადი შუბლზე ჩამოშლილ თმას უთამაშებდა და უწეწავდა, ხან თითქოს უკან გაიტაცებდა და ლამაზ შუბლს მთლიანად გამოუჩენდა.

„შუბლზე ჩამოშლილი თმა უფრო უხდება“, — ვფიქრობდი ჩემთვის. თან მისი ლამაზი შუბლიც მენანებოდა. თმა-გადაწეული მოსწავლეს უფრო ჰგავდა, ვიდრე დასრულებულ ქალიშვილს.

თითზე კვლავ ერთადერთი ბეჭედი მოუჩანდა, ვერცხლის სქელი ბეჭედი. ჯინსის პერანგიც იდაყვებამდე ჰქონდა აკაზიწებული. მაჯაზე ჩემთვის უკვე ნაცნობი იაპონური საათი ეკეთა. მძიმე, ფოლადისფერი საათი კიდეც უფრო სპორტულ იერს აძლევდა ნანა ჯანდიერის ისედაც ავაზასავით დაჭიმულ სხეულს.

ქალიშვილის შემოხედვასაც ხშირად ვგრძნობდი. მისი დაჟინებული მზერა თან მსიამოვნებდა, თან მახშვნიდა.

მახსოვს, როცა მიყურებდა, მანქანის პედალს ბოლომდე ვაწევბოდი და საშიშელი სისწრაფით მივდიოდი, ჩემს წინ მქროლავ მანქანებსაც ზედმეტად რისკიანად ვიტოვებდი უკან.

მდინარის შხელი სულ ახლოდან მოგვესმა. ვარსკვლავების შუქზეც კარგად გაგვარჩიე ხის ხიდის კონტურები, როგორც სატვირთო მანქანის შოფერმა მასწავლა, მარცხნივ ავუხვიე, მანქანების ნაკვალევს გავეუყვი, მალე ფონს მივაღეჭი. ახლო სინათლეები ჩავრთე და მდინარეს მივანათე. კარი ფრთხილად გავადე, მეშინოდა, რიყის ქვას არ წა-მოსდებოდა, მანქანიდან გადმოვედი, მდინარესთან მივედი და დავაკვირდი. მინდა, ყველაზე თავთხელი ადგილი შევარჩიო.

მანქანის კარის ჯახუნი შემომესმა. მოვიხედე, მანქანის ფარებმა დამაბრმა-ვა. მივხვდი, ნანა გადმოვიდა მანქანიდან და ჩემსკენ გამოემართა, უმაღლეს მანქა-

ნის ფარების წინ მოექცა. ქალიშვილი შუქმა ოქროსფერი შარავანდედის ავლო ქალიშვილის მოქნილი სხეულის კონტურებს.

— რა სილამაზეა?! — თქვა ნანამ.

როგორ ჩამწვდა გულში მისი სიტყვები, როგორი ძეგლიდური მოაჩვენა ნანას ხმა.

ქალიშვილი მომიახლოვდა, მაგრამ ჩემთან არ გაჩერებულა, ორიოდ ნაბიჯი კიდეც წადგა წინ და ზუსტად მდინარის პირას გაჩერდა. მერე დინჯად დაიხარა, ჯინსის ტოტები მუხლებამდე აიყვია და ფეხზე გაიხადა. თვალი უმაღლეს მომტაცა კანკებმა, ნანას თითისტარით უზადო კანკებმა და თხელმა, ნახმა ტერფებმა.

— რა ცივია?! — იყვირა ჯერ კიდეც მანამდე, სანამ ფეხს მდინარეში ჩაღამადა.

მანქანასთან მივედი, კაპოტს დავეყრდენი და ისე მივაჩერდი მუხლებამდე მდინარეში შესულ ნანას.

სიბნელეში მანქანის ფარებმა ქარვისფრად ამოჭრა წაქცეული პირამიდა, წვერით რომ მანქანის კაპოტს მიბჯენოდა. მანქანაში ღია ფანჯრიდან ხელი შეეყავი და სინათლე გამოვრთე.

— ნოდარ! — შეჰყვილა ნანამ.

სინათლე უმაღლეს ჩავრთე. ნანა, მდინარის პატარა ნაწილი და რამდენიმე ტიროფის ხე ისევ მოემწყვდა წაქცეულ ქარვისფერ პირამიდაში. ნანა ჩემსკენ შემოებრუნდა. სახეზე შიში აღბეჭდვია. მე ფარებს უკან ვდგავარ და ვერ მხედავს. ბუნებრივია, ვერც იმას ამჩნევს სიყვარულით აღსავსე ღიმილით რომ შევეუბრებ.

— არ გამოვითო, ნოდარ, მეშინია!

ნანა შენობიბზე გადავიდა, ეტყობა, სიბნელემ და მარტო ყოფნამ სწრაფად დაგვაახლოვა.

რამდენიმე ნაბიჯი ფრთხილად გადმოვდგი. მდინარე ფონთან წყნარად მდის, მაგრამ ეტყობა, წაქცევის მაინც ეშინია. ნაპირზე გამოვიდა და იქვე, დიდ ქვაზე შედგა. როცა წელში გაიმართა, თავი ქარვის პირამიდიდან სიბნელეში



გაყო და ქვაზე ბერძნულ ქანდაკებას-
ვით უთავოდ იდგა.

ახლა უფრო გარკვევით ვხედავ მის
ნატივ ფეხის ტერფებს.

— არ წავიდეთ?

— ახლავე!

ჯერ ერთ ფეხს იქნევს, შემდეგ მეო-
რეს. ეტყობა გაშრობას ელოდებოდა.

— სად დავაწყვე ჩემი ფეხსაცმელე-
ბი?

უმაღლე მდინარის პირას გავჩნდი, სა-
დაც ნანას ფეხსაცმელები მეგულებოდა.
ადვილად ვიპოვე. კაცმა რომ თქვას, სა-
პოვნი რა იყო. ფარების შუქით განათე-
ბულ რიყის თეთრ ქვებში უმაღლე იტ-
აცებდა თვალს ნანას წითელი ფეხსაც-
მელები.

— გამდლობთ! — მითხრა ჯერ კიდევ
მანამდე, სანამ ფეხსაცმელებს მივუ-
ტანდი და ქვიდან ჩამოსასვლელად მოემ-
ზადა.

ხელი შევაშველე. ნანა მკვირცხლად
ჩამოხტა და ფეხსაცმელები გამომარ-
თო.

უკან გაგბრუნდი, მანქანაში ჩავჯექი
და იქიდან ვაკვირდები, როგორ იცვამს
ფეხსაცმელებს ქვაზე ჩამომჯდარი ნანა.

არ ჩქარობს, ეტყობა, ისევ სველი
აქვს ფეხები.

მთელი დღის მანძილზე თითქოს რა-
ღაც მაწუხებდა, რაღაცის თქმა მინდო-
და და ვერ გამეხსენებინა, რა უნდა მეთ-
ქვა. ახლა გამახსენდა ერთბაშად: დი-
დი ხანია ასე ბედნიერი არ ვყოფილვარ,
უსაზღვროდ ბედნიერი...

გამახსენდა და შემეშინდა. უმაღლე
ნაცნობი ხმა ჩამესმა ყურში, ეკას ხმა:

„... გავა დრო და ყველაფერი შეიცე-
ლება. ჯერ თუ არ გამოჩენილა, მალე
გამოჩნდება ქალიშვილი, მთელს შენს
დღევანდელ ფილოსოფიას რომ თავდა-
ყობა დააყენებს. ისეთივე ხალისიანი და
ენერგიული გახდები, თუნდაც ამ ერთი
წლის წინ რომ იყავი. ისეთივე თბილი,
ყურადღებით და სიყვარულით სავსე
თვალები გექნება, ჩემთან პირველი შეხ-
ვედრისას რომ გქონდა“...

უცებ ვიგრძენი, როგორ ჩამიყო ვი-

ლაცამ მკერდში ხელი, როგორ ამომგლი-

ჯა გული და ამოავლო მდულარე ფისში

ვერც კი გავიგე, ნანამ მანქანის კარი
როგორ გააღო.

ერთბაშად გამოვერკვიე.

— როგორ შემცივდა! — ამბობს ნა-
ნა.

მთაში უკვე იგრძნობოდა შემოდგო-
მის სუსხი.

მანქანა ნელა დაეძარი და ფრთხილად
შევედი მდინარეში. საბურავები ქვებზე
ბუქსაობენ, გასს ფრთხილად და თანაბ-
რად ვაწევი. პირველი სიჩქარით, ნელ-
ნელა მივიწიე გაღმა.

ნანა დუმს, ხმას არ იღებს, ალბათ
ეშინია, ხელი არ შემოშალოს.

გაღმა იოლად გავედით, მერე ისევ
ქვემოთ დავეშვიო ხიდისაკენ და კვლავ
გზაზე გავივაკეთ.

— სომ არ გშია? — ვეკითხები ნანას.

— რა დროს შიმშილია! — იცინის
ნანა.

ხელმარცხნივ უზარმაზარი კლდე გა-
ვარჩიე. კლდის პირში ჩემი სოფელია,
ჩემი უბანი. ნახევარი კილომეტრია
დაგვრჩა გასავლელი.

— მოვედით, — ვეუბნები ნანას და
მარცხნივ ვანიშნებ.

ნანა თავს დაბლა ხრის და ცდილობს
ჩემი ფანჯრიდან სოფელი დაინახოს.

სახეზე მისი თმა მელამუნება, ხოლო
მარჯვენა მკლავზე მკერივი მკერდი მე-
დებოდა. ნეტარებით ვისუნთქავ ნანას ჯან-
სალი სხეულის სურნელს. გაჭიმული
ვზივარ და საუეს ისე ვმართავ. არ მინ-
და, ხელი შევეშალო ჩემს ფანჯარაში
მოქცირალ ქალიშვილს. უფრო სწო-
რად, მეშინია, რომ მარჯვენას აღარ და-
მიდაღავს მისი მკერივი მკერდი.

— იქ მხოლოდ ხეები მოჩანს.

— ჩვენი უბნის კაკლის ხეებია. ასი-
ას ორმოცდაათი მეტრის შემდეგ სინათ-
ლეებიც გამოჩნდება.

ისევ გაჭიმული ვმართავ მანქანას.
მხოლოდ პირველი ან უკეთეს შემთხ-
ვევაში, მეორე სიჩქარით მივდივარ, მაგ-

გულრამ ფანჯრიში

აწებთჳი მზის წაღიწადი

რამ ძველებურად აღარ მოქმედებს ჩემზე მოტორის ღმუილი. ერთ საზრუნავს შევეუპყრე, მეშინია, ნანამ თავი არ გასწიოს. მანქანა რომ ორმოში ჩაჰკრავს ხოლმე ბორბალს, წაჯახებისას უფრო მძაფრად განვიციდი ნანას მკერდის სიმკვრივეს და სისავსეს. მაშინ უფრო მეტი თმა მედებდა სახეზე და უფრო მამბრუებს მისი სხეულის სურნელი.

— უკვე ვხედავ სინათლეებს! — გახარებული ამბობს ნანა.

ფანჯარაში ფრთხილად ვიხედები, არ მინდა, ნანას ხელი შევეშალო. კიდეც ცოტაც და ვიცი, ბებიას სახლიც გამოჩნდება.

თხუთმეტი მეტრიც არ გვქონდა გავლილი. რომ კორტოხზე შემდგარი ოდა დავინახე. ერთი ფანჯრიდან მკრთალი შუქი გამოდიოდა.

მანქანას ფრთხილად ვაჩერებ.

— რა მოხდა? — მეკითხება ნანა.

— აი, ისაა ჩვენი სახლი.

ნანა ისევ ჩემი ფანჯრისკენ იხრება.

— რა კარგიააა!

ვერ ვხედე, რა არის კარგი. ბებია-ჩემის საცოდავი ოდა აქედან ძლივს ჩანს. იქნებ კარგი ისაა, უკვე რომ მოვედით? ან იქნებ ის, რომ პლანეტაზე გამეფებული ურბანისმის პირველი ნიშანი მთის ამ მივარდნილ, პატარა სოფელში მხოლოდ ეს, ხის ბოძზე მიმაგრებული მბჟუტავი ნათურაა, ხოლო ქსელში ძაბვა სულ სამოცდაათი ვოლტია? ანდა კიდეც ის, რომ თბილისის ჩახუთული ქუჩების შემდეგ აქაურობა ძალზე ეგზოტიკურად გამოიყურება?

იქნებ კარგი სულაც ისაა, რომ ამ მიგდებულ სოფელში, როგორც უკაცრიელ კუნძულზე, ისე დავრჩით მარტონი?

არ ვიცი.

ბედალს ნელა ვაწვები. ცოტაც და სოფლის მთავარი გზიდან, თუკი მას მთავარი გზა ეთქმის, ჩემი უბნისკენ გადავუხვევ.

აგერ, მეხით ვახლეჩილი კაკალიც, საიდანაც ჩვენი უბნის გზა იწყება.

საქვს მარცხნივ ვატრიალებ.

უბანი უკვე პირდაპირ მოჩანს, ნანაც გაფაციცებით მისჩერებია ხეებშია და ლულ ოდებს, მბჟუტავი შუქი რომ გამოკრთის მათი ფანჯრებიდან.

თანდათან იზრდება და ზვიადდება უზარმაზარი, სიბნელისგან ჩაშავებული კლდე, უბანს რომ პირქუშად დასცქერის თავზე. ვიცი, ჩვენი უბნელები ახლა სანანსოზე სხედან დიდი კაკლის ძირში, წყაროს მახლობლად. ისინი, რასაკვირველია, მიხვდნენ, რომ მანქანამ მათი უბნისკენ გადმოუხვია. ცოტაც და უკვე ვხედავ, როგორ წამოდგა ერთი ზონზროსა ახალგაზრდა კაცი და როგორ გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი მანქანის შესახვედრად. თუ არ ვცდები, ეს ჩემი ბიძაშვილი ელგუჯაა.

ყველანი ალბათ ენით აუწერელი ცნობისმოყვარეობით მისჩერებიან ორ მობრღვევად ფარს, ნელ-ნელა რომ უახლოვდება უბანს.

„ვინ უნდა იყოს?“ — მკითხაობენ ალბათ ისინი. ალბათ ბევრის სახელს იტყვიან, ჩემს სახელს კი არავინ გაიხსენებს, რადგან იქ არავინ მიმელის. ექვსი წელი მაინც იქნება, სოფელში არ მოვსულვარ.

უკვე სუყველას კარგად ვხედავ. პირველი რომ დავინახე, ფეხზე წამოდგარი, არ შევმცდარვარ, ელგუჯაა. მეორე, ფეხზე რომ ახლა წამოდგა, სოსოა. აგერ სანდრო, ამირანი, მერი, ქეთევანი...

მანძილი თანდათან მცირდება. ღიმილით შევეყურებ მათ გაცეხულ სახეებს, მანქანის ნომერს რომ მიშტერებიან. სალონში მსდომნი არ ვჩანვართ, ნომერმა კი ვერაფერი უთხრა მანქანის პატრონის ვინაობაზე.

მანქანას ვაჩერებ და კარს ვაღებ.

ბუხარში ცეცხლი გუზგუზებს. ბებია-ჩემი, გამხდარი, დაღუღილი ქალი აქეთ-იქით დაცუნცულებს. ვერავითარი განზომილება ვერ გამოსახავს იმ სიხარულს, რაც ახლა მის გულში ტრიალებს.

ნანა სამფეხა სკამზე ჩამომჯდარა და ბებიჩემის შალი შემოუხვევია.

ოთხშაბათს სინათლე ოდნავ ბეუტავს. მაგრამ ცეცხლის ენებზე ათასგვარად ეფენება შუქჩრდილები მის ლამაზ სახეს. ვხედავ, მეზობლები როგორ მისჩერებიან ნანას, მამაკაცები მალულად, ქალები თითქმის აშკარად.

ნანა მიხვდა, რომ ყველას მოეწონა, სიხარულს ვერ მალავს, თვალები უცნაურად უბრწყინავს, ლოყებიც შეფაქვლია.

კარი ჭრიალით გაიღო და იდლიაში ინდაურამოჩრილი მერი გამოჩნდა, ჩემი ზონზოროსა ბიძაშვილის მეუღლე.

მერიმ ჩუსტები კართან გაიხანდა და ბუხართან მივიდა.

— შენ რომ გიყვარს, ისეთია. — მითხრა ღიმილით, თან ინდაური ხელში მძიმედ ასწი-დასწია. მერე ქმარს მიუბრუნდა, — ადექი, ბიჭო, დაკალი!

— მაცალე, ქალო, ლაპარაკი, კაცი დედაქალაქიდან ჩამოვიდა! — თქვა როხროხით ელგუჯამ, მაგრამ ფეხზე მაინც წამოდგა.

— ნინო, სადა გაქვს ნაჯახი? — ჰკითხა ბებიას, თან მეუღლეს ინდაური ჩამოართვა.

— რატომ წუხდები, მერი, ქათმები უკვე დავკალი, — ამბობს ბებია და თარგოშში სიმინდის ფქვილს ცხელ წყალს ასხამს. ბებიას გამალებული ეხმარებიან მეზობლის ქალები, ზოგი თევშებს აწყობს, ზოგი ქათმებს პუტავს.

ისევ გაიჭრიალა კარმა.

იმავე წამს ვიცანი ვლადიმერი, ოთხმოც წელს მიღწეული, სულ მთლად გათეთრებული მაღალი, ახალგაზრდულად წელში გამართული კაცი. მარჯვენა ხელში ჯოხი უჭირავს, ისე მოემართება ჩემსკენ.

— ჩემს ნოდარს გაუმარჯოს! — შორიდანვე შლის ხელს ვლადიმერი.

ფეხზე სწრაფად ვდგები და თითქმის კარებშივე ვეგებები.

— როგორა ხარ, ბიძია ვლადიმერ! — ვეკითხები და თან მის მეუღლეს, აგრაფინა ბიცოლას ვესალმები.

— ხმამაღლა უთხარი, შვილო, ყურ-

ში აღარაფერი ესმის! — მკიცნის ბიცოლა აგრადინა.

— როგორ ბრძანდები, ბატონო ვლადიმერ!

— კარგად, კარგად! — ვლადიმერი ინტუიციით ხვდება, რას ვეკითხები.

— ცოლი ხომ არ მოგიყვანია? — ვეკითხება ვლადიმერი და თან ნანას ართმევს ხელს.

მოსუცის შეკითხვაზე სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ ყურები ცქციტა. არავინ იცოდა, ვინ იყო ნანა ჯანდიერი. მანამდე მხოლოდ ბებიაჩემს ვუთხარი, ჩემი მეგობარია-მეთქი, როცა თვალები ხარბად დაასო და მერე კი გულში ჩაიკრა. მივხვდი, რა მნიშვნელობაც მისცა სიტყვა „მეგობარს“.

ამ მიყრუებულ სოფელში ღვთაებასავით ლამაზი ქალიშვილის სტუმრობა რა ცნობისმოყვარეობასაც აღძრავდა, ადვილი წარმოსადგენია.

ცოლი თუ არა, საცოლე მაინც უნდა ყოფილიყო ჩემი, ფიქრობენ ალბათ ისინი. უკადრის ვერაფერს გაიფიქრებდნენ, ნანა ჯანდიერის მშვენიერებით და ღირსებით სავსე სახით მოხიბლულნი. თუმცა, აქაური შეხედულებებით ლამაზად როდი გამოიყურება ქალის საქციელი, მარტოღმარტო რომ გამოყვება თუნდაც საქმროს მივარდნილ სოფელში.

— ჩემი მეგობარია, ვლადიმერ ბიძია! — ვთქვი ხმამაღლა.

— ჩემი მტერი არ იყოს, მაგან შენი ნათქვამი ვერ გაიგონოს, — თქვა ელგუჯამ. სიტყვა არ მქონდა დამთავრებული, რომ კარში თავი შემოჰყო და ბეჭზე შემოდგმული ღვინით სავსე ბოცა იატაკზე დადგა.

— ინდაურის დასაკლავად გახვედი გარეთ თუ ღვინის მოსატანად? — ვიღიმები მე. ვგრძნობ, სიხარულით როგორ მეცხება სხეული, სული და გონება.

— შენზე უკეთესი სტუმარი ვინ მომივა. უხადია, წავიდეთ, მარანშიც დავილოცოთ თითო ჰქიქთ.

გურამ ფანჯიკიძე

აჭმისი მზის წაღიწადი

— რა არის ახლა ეს, ღვინო არ მქონდა მე?! — გაცხარდა ბებია.

— აჰ! — შეიცხადა ელგუჯამ, — შენი ნერვიულობა არ შეიძლება. — მერე მე მომიბრუნდა, — მახსოვს, ყმაწვილკაცობაში კარგი სიგარეტი იცოდი.

ჯიბიდან „ივერიას“ ვიღებ.

— მოგწონს?

— მშვენიერია.

— აბა, მანქანაში კიდევ მაქვს ათი კოლოფი.

— აგაშენა ღმერთმა. აბა, ამირან, სანდრო, ვლადიმერ, ყორა, წავიდეთ მარანში! — ელგუჯამ სიგარეტს მოუკიდა და მეუღლეს მიუბრუნდა. — აბა, გავარდი, ყველი და პური გამოიტანე!

ნანა ხალისიანად დგება. ცეცხლის შუქზე თვალები უჩვეულოდ უბრწყინავს.

ყველანი გარეთ გავდივართ.

მოაჯირზე შემოდებულმა ჭრაქმა ჩემი ბავშვობა გამახსენა და გული ამიჩუყა.

ნანამ ბებიაჩემის შალი მჭიდროდ შემოიხვია. საკმაოდ ცივა. ხელი ელგუჯას მეუღლეს ჩაჰკიდა, ჭრაქით ხელში რომ მიგვიძღვის წინ. ნაბიჯებს ფრთხილად ადგამს ასეთ ოღრთოოღრთო ბილიკებს მიუჩვეველი.

ცა ვარსკვლავებითაა გადაჭედილი. ღრუბლის ნაფლეთიც კი არსადა ჩანს. ოღონდ უკნიდან უზარმაზარი და პირქუში კლდე დაგვეჭერის. სიბნელეში უფრო დიდიც ჩანს და უფრო ახლოც.

— ამის მაღლი შეგვეწიოს. — ელგუჯამ დიდი თეთრი ფინჯანი დაატრიალა თითქმის პირთამდე საფეე ქვევრში. ალბათ მარტო ის ერთი ბოცა აკლდა, წედან რომ ბებიასთან მოიტანა.

მარანში ღვინის სასიამოვნო სუნე იდგა, ქვევრიდან რომ ეფინებოდა იქაურობას. კომშის ხეზე მიმაგრებული ნათურა საცოდავად ბეუტავდა. ჭრაქი იქვე, ხის ძირში მიმდგარი ბოჭკის თავზე დაედგა მერის.

— როდის მოასწარი მდხლად? — კითხები გაცემული.

— ერთი საათი მაინცაა, რაც თქვენ ჩამოხვედით. სანამ ბებიაშენს ესვეოდი, ქვევრს თავი მოვხადე. აბა, დააქაშნიე, თან შენებურად კარგი სიტყვა გვითხარი.

დიდმა ფინჯანმა სამი ჭიქა გაავსო ღვინით. ერთი მე გამომიწოდა.

მერემ ხის ტაბურეტზე ყველით და ჭადის ნატეხებით საფეე თეფშები დააწყო.

— ჰე, რას დასჩერებიხარ, დაილოცე! — შემომძახა ქვევრთან ჩაცუქულმა ელგუჯამ.

— შენს მარანს გაუმარჯოს, ღმერთმა სიუხვე ნუ მოაკლოს! — ვამბობ და ჭიქას ბოლომდე ვცლი.

სხეულში ნელა წვება სითბო.

კიდევ უფრო მსიამოვნებს ჭრაქი და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. დღევანდელი დღისათვის დაუჯერებელი სიჩუმე და მდინარის შხუილი, ჭალიდან რომ მოისმის ოდნავ.

რატომ?

იქნებ ქალაქიდან ჩამოსული კაცის მეტიჩრობაა ეს გრძნობა, ყოველგვარ სოფელურს აღტაცებაში რომ მოჰყავს ხოლმე. მერე, სულ რაღაც ერთ კვირაში ყველაფერი მოსაწყენი ეჩვენება, ბეზრდება და ერთი სული აქვს, სოფლიდან როდის გაიქცევა?

არა.

მე აქ, გადაღლილი და გადაქანცული ნერვების პატრონს, პირველყოფილი სიმშვიდის შეგრძნება მეუფლება.

ელგუჯა მეორე ჭიქას ნანას აწვდის მოკრძალებით. ლამის გამეცინოს, ისე არ უხდება მთასავით კაცს ნაზი მოძრაობა. ნანა ბავშვით ცმუტავს, თვალები სიხარულით უელავს. ახლა აღარაა ის ამაყი, თავის ღირსებებში, თავის სილამაზესა და სიძლიერეში დარწმუნებული ნანა ჯანდიერი. ახლა იგი უჩვეულო ნეტარებით ატაცებული ბავშვია.

— რა ვთქვა? — მეკითხება და ელგუჯას ჭიქას ართმევს.

— რაც გაგეხარდება.

— ყველას გაგიმარჯოს!

ჭიქას სანახევროდ ცლის და მე მაწვდის. თავს ძლივს ვიკავებ, რომ არ ვაკოცო. ასე მხოლოდ ახლობელს თუ მიწოდებენ ჭიქას. აქ ნანა ჯანდღერისათვის სავსებით უცხო გარემოში და უცხო ადამიანებში მხოლოდ მე ვარ მისი ერთადერთი მახლობელი და იმიტომაც მომეცემა ალბათ ასე უცებ. იმიტომაც ანგარიშმიუცემლად გამომიწოდა სახეგრად სავესე ჭიქა. დანარჩენი შენ დალიეო, იგრძნობოდა ნანას გამოხედვაში.

ჭიქას ვცლი და ნანას ღიმილით შევყურებ. ქალიშვილს ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, სანამ ღვინოს ვსვამდი. ჭიქა თვითონ გამომართვა და ელგუჯას მიაწოდა.

— აბა, ბატონ ვლადიმერს ეკუთვნის სიტყვა, ჩვენს უხუცესს!

ვლადიმერი ღვინოს ჯერ წრუპავს. კმაყოფილების ნიშნად თავს აქნევს და მერე ბოლომდე სცლის ჭიქას.

— შენ ოთხმოცი წლის დაუძახე!... — იცინის ამირანი.

— ჭევერი დალოცა და ჭურ-მარანს არ აკადრა ღვინის ჩატოვება ჭიქაში.— თქვა პასუხად ელგუჯამ.

მერიმ ლორით შეზავებული ერბოკვერცხიცი მოიტანა ამასობაში.

უნებურად ნანასკენ გავიხედე. ვიგრძენი, ჩემსკენ იცქირებოდა. არ მოვეტყუებულვარ.

რატომ უბრწყინავს ასე თვალები? მადლობას მიხდის დღევანდელი დღისთვის?

იქნებ...

იქნებ უბრალო ადამიანების გულითადობამ და მიყრუებული სოფლის პირველყოფილმა უბიწოებამ მოხიბლა?

იქნებ...

იქნებ ვუყვარვარ?

აბა, რატომ წამომყვა ამ გადასაკარგავში თითქმის უცნობ ადამიანს?

ნანა ჩემს პირდაპირ დაჯდა ტაბლასთან. ისევ ბეზიაჩემის შალშია გახვეული.

გრძნობს, უხდება.

ქალმა ყოველთვის იცის, რა უხდება. ჭინსებზე შემოხვეული სოფლური შალი კიდევ უფრო უსვამს ხაზს მის ქალაქელობას. თითქმის უფრო კვეთავს ქალიშვილის დახვეწილ სახეს და პროპორციულ, პლასტიკურ ტანს.

ოთხკუთხა ხაზპურები ზედიზედ გამოაქვთ და კეცებში აკრავენ.

ტაბლა ისე დგას, ბეზიაჩემს ხელი არ ეშლება ბუხართან ტრიალში.

ქალებიდან ტაბლას მარტო ნანა უზის. დანარჩენები ბეზიას ეხმარებიან.

ნანამაც მოინდომა, ბეზიას მიხმარებოდა, მაგრამ არ დაანებეს. ალბათ იფიქრა, ზედმეტი მონდომება მეტიჩრობად არ ჩამითვალონო და აღარ გაძლიანებულა.

— სტუმარი ვადღეგრძელოთ! — ითავა თამადობა ელგუჯამ.

ნანასკენ რომ გაიხედა, მის ბუხუნა ხმას სინაზე შეეპარა.

უმაღლეს სიჩუმე ჩამოვარდა. მხოლოდ კეცხლის სააჟო ტკაცუნის ისმოდა.

— ღმერთმა ბედნიერი გამყოფოთ. ქალაქელ ქალს ჩვენი გადაყრუებული სოფელი რას მოგეწონებათ, მაგრამ რა გქნათ. აქ დაგზადებულვართ და აქ უნდა მოგვცდეთ, აქ უნდა დავამთავროთ ჩვენი ცხოვრება.

ნანას შეეყურებ. მეშინია, ის შაბლონური სიტყვები არ თქვას, ამ დროს რომ იციან ხოლმე ქალაქელებმა. რას ბრძანებთ, ბატონო, სოფლის მყუდროებას რა შეედრება, ამ ტალახსა და პირველყოფილობაშია მთელი სილამაზეო. აბა ისაა ცხოვრება, მანქანების მტვერში და ასფალტის ბუღში რომ ვიხარებთო.

ნანა მხოლოდ იღიმება და მადლობის ნიშნად თავს უქნევს ელგუჯას.

— გაგიმარჯოთ! — ამბობს ამირანი.

— გაგიმარჯოთ! — ამბობენ სხვებიც. მოკრძალებით სვამენ ნანას სადღეგრძელოს.

გურამ მანჯიყიძე

აპტიუზი მზის წელიწადი

ალბათ არ იციან, რა უნდა თქვან, რა უნდა უთხრან და იმიტომ.

პასუხად ნანა იღიმება. მგონი, მხოლოდ ერთხელ თქვა „გმაღლობით“.

ქალები თან საქმიანობენ. თან ცალი თვალი ჩვენსკენ უჭირავთ, უფრო სწორად, ნანასკენ. აშკარაა, მოეწონათ, ალტაცებას ვერ მალავენ. თუმცა ქალიშვილის ჩაცმულობა და შუალამისას ვაჟთან მარტოხელა ბგზავრობაც არანაკლებ გრძნობებს ატრიალებს და ეჭვებს ბადებს მათ გულში.

არ ვიცი, კიდევ რამდენი სადღეგრძელო დავლიეთ, ოთხი თუ ხუთი. ღვინო თანდათან მეკიდება. უკვე ის გრძნობა მეუფლება, სხეულს რომ ვეღარ გრძნობ.

— ჩვენს ქალებს გაუმარჯოს! — ამბობს ელგუჯა.

თამადის ხმას რიხი და სითამამე შემატა.

— ეს დედაკაცი, ქალბატონო ნანა, ჩემი მეუღლე გახლავთ. ამით მიდგას სული. ღმერთმა ნუ მომასწროს მაგის დაქვრივებას, უმალ მე გენახეთ ქვრივი.

— გაგზიხეს ენა, — იცინის მერი.

ნანა ახლა ზედება ელგუჯას სიტყვების შინაარსს და ხმამაღლა იცინის.

— მერი ელგუჯას მეექვსე ცოლია, — ვეუბნები ნანას.

ნანა ისევ იცინის, ჰგონია, ვსუმრობ.

— ტყუილად გეცინება, მართალს გეუბნები. შენ უთხარი, მეექვსე არა ხარ? — მივუბრუნდი მერის.

— მეექვსე კი არა, მესამე! — იღიმება მერი, ხელში როდინი უჭირავს და ნიორს ნაყავს.

— მეექვსე! — ჭიუტად ვამბობ მე.

— რას ნიშნავს მოხერხებული კაცი. — სერიოზულად და სინანულით ამბობს სანდრო, სამოცდახუთი წლის კაფანდარა მელიოტი კაცი, — მე ერთი ცოლის გაშვება ვერ მოვახერხე, ელგუჯამ მეექვსე მოიყვანა.

— არაფერი მოხერხება მაგას არ უნდა, ჩემო სანდრო! — ამბობს ელგუჯა, თან ჭიქას ყორას აწვდის, — პირველი ცოლის გაშვებაა ძნელი, მერე ავტომატის ჯერივით მიჰყვებიან ერთმანეთს.

იცინის ნანა და ვხედავ, ცეცხლის შუქზე როგორ ელავენ მისი მსხვილი, თეთრი კბილები.

ყველანი ისე ვიცინით, ვითომ პირველად მოგვესმინოს ელგუჯას ხუმრობა. ჯერ მე რამდენჯერ მომისმენია, მით უმეტეს, აქაურებს.

ნანა ისე აღიქვამს ყველაფერს, თითქოს ახლა, ამ წუთში იბადება ეს ხუმრობები.

— ნუ გეშინია, ჩემო მერი, — აგრძელებს ელგუჯა, — აღარაფერი გაქვს საწერვილო. მეექვსე ცოლზე დავრწმუნდი, ერთი ფრუქტი ხართ სუყველა! ასე რომ, ჩემო სანდრო, — მიუბრუნდა ახლა სანდროს, ნანას სიცილმა მეტი ენერგია და არტისტიზმი შემატა თამადის ლაპარაკს. — ნუ ლეღავ, ვისაც პირველად მოიყვან, სჯობია ის გაყავდეს ბოლომდე.

— აბა, შენი აზრით, ყველა ქალი ერთნაირი ყოფილა, — ამბობს ამირანი, იცის, ელგუჯას სათქმელი ჯერ არ დაუმთავრებია. ჯერ სახუმარო სიუჟეტი არ დასრულებულა. მხოლოდ ეს შეკითხვა იყო საჭირო. მეც კარგად ვიცი, ამ შეკითხვაზე რას უპასუხებს ელგუჯა, მაგრამ მაინც დაძაბული ვუსმენ. ახლა ყველას ნანას რეაქცია გვაინტერესებს. თითქოს ყველაფერი მხოლოდ მისი გულისთვის ხდება, თითქოს ყველას მხოლოდ ნანას გამხიარულება გვინდა.

— აბა რა! აქამდე არ იცოდი? — ამბობს ელგუჯა ისე, თითქოს ახლა მოიფიქრა პასუხი, — ყველა ქალი ერთნაირია, ჩემო ამირან, ოღონდ გვარები აქვთ სხვადასხვა.

ნანა ხმამაღლა იცინის. ხანდახან ფეხებსაც კი აფართხალებს. ახლა იგი ბავშვივით უშუალოა და ალტაცებული.

— შენ გაჭრი, შენ! ეს უნდა ჩაგართყას კაცმა თავში! — ქვასანაყს სწევს მაღლა მერი. მანაც ისე არტისტულად შეიცხადა ქმრის სიტყვები, თითქოს მეათასედ არ მოესმინოს.

— Все женщины одинаковые, только фамилии у них разные, — ჯარში ნასწავლი რუსულით დააკანო-

ნა თავის დებულება ელგუჯამ. — გაუმარჯოს ჩვენს ქალებს.

ფეხზე ვლგები და სათითაოდ ვკოცნი სუყველას. ყველა ძალიან მიყვარს, მაგრამ დღეს განსაკუთრებით ვესიყვარულები, ასე რომ მოეწონათ ჩემი ნანა.

„ჩემი ნანა“, — ამ ორმა სიტყვამ შემაკრთო, ცხელი სისხლი ჯერ ტვინში ამივარდა, მერე ფეხის ტერფამდე დაემავა საშინელი სისწრაფით.

ჭიქას ვცლი და ელგუჯას ვანიშნებ, დიდი სასმისებით დავლიოთ-მეთქი.

უცებ ხის კარმა გაიჭრიალა. სიჩუმე ჩამოვარდა. ყველამ იქით გაიხედა.

შეგვკრთი, ისევ ფეხზე წამოვდექი, კარებში ელენე იდგა, სამოც წელს მიღწეული ლამაზი ქალი, ჩვენი უბნის უღროოდ დაქვრივებული, უშვილო რძალი.

ფეხზე წამოვდექი და მივეგებე.

— გამარჯობა, ელენე!

— გაგიმარჯოს ნოდარ (პაუზა), აგერ იხვის შაშხი მოგიტანე, შენ რომ გიყვარს და თეთრი ბეოლის არაყი.

— რატომ წუხდებოდი. გაიცანი, ეს ჩემი მეგობარია, ნანა ჯანდიერი.

— მშვენიერი მეგობარი გყოლია! — ილიმება ელენე, ქალიშვილს ლოყაზე კოცნის და შალს იხსნის.

თვალში ერთბაშად მხვდება მისი გაჭლარავებული თმა და გული მეკუმშება, მკერდში ერთი ძარღვი კიდევ გაწყდა.

ბურთის თამაშით გახვითქულმა თექვსმეტი წლის ბიჭმა წყაროზე ჩაირბინა. ორმოცი-ორმოცდარი წლის ლამაზი, ახალგაზრდული სიჯანსაღით სავსე ქალს ღარისთვის ჩაფი მიედგა. ჩაფი გავსებულიყო, წყალი ზემოდან ვადასდიოდა, მაგრამ ქალი აღებას არ ჩქარობდა. წელში მოხრილს მარჯვენა ხელი ჩაფის სახელურში ჩაევლო და ისე იდგა.

ბიჭს თვალი მოსტაცა ქალის სავსე მკერდმა, წელში მოხრილს თითქმის მთლიანად რომ მოუჩანდა. სითეთრე ერთბაშად იწყებოდა მზეზე დამწვარ და ერთთავად გარუჯულ ყელს შემდეგ.

ქალი გრძნობდა თექვსმეტი წლის ბიჭის ხარბ მზერას. მკერდს უშანთავდა

მისი გადმოცვენამდე მისული თვალებიდან წამოსული სხივების ნაკადი. ფიქრით კურად გრძნობდა, ოცნებაში მკერდს როგორ უკოცინდა პირველი სიხარულით, პირველი გამარჯვებით ანთებული ვაჟის ცხელი ტუჩები. ესმოდა, მის ძარღვებში როგორ ჩუხჩუხებდა უმანკო, მაგრამ ვნებით გაფითრებული სისხლი.

წელში მაინც არ გამართულა, ჯიუტად იდგა მოხრილი და სავსე ჩაფს დასცქეროდა, წყალი რომ თქრიალით გადასდიოდა. ბიჭს ვითომ ვერ ამჩნევდა. ძუძუებში ვაჟის თაფლისფერი თვალების ხარბი ლაციცი სიამოვნებდა.

მერე თავი ნელა ასწია. ბიჭს შეხედა და თითქოს ახლა შენიშნაო, ისე მიესალმა.

— გამარჯობა შენი.

— გაგიმარჯოს.

— როგორ გახვითქულხარ, ბიჭო, მოდი აქ.

ბიჭი მონუსხულოვით მივიდა ქალთან.

— ნიაჟმა არ დაგკრას! — ქალმა მკერდზე ნაზად შეახო თითები ათროლებულ ვაჟს, პერანგის ღილი ნელა შეუტკრა და თვალებში ღიმილით ჩახედა.

— რა იყო, ბიჭო, რამ დაგამუნჯა! — ისევ გაიღიმა ქალმა და ბიჭს ჩამოშლილ თმაში ხელი შეუტკურა. ერთხანს გაიჩინდა, მამაკაცის სუნი ესიამოვნა.

— კიტრი შემოსულა ჩემი. საღამოს გამოიარე ვენახთან, იქვე, ბოლოში მაქვს დათესილი.

ქალი ისევ დაიხარა და ჩაფს დასწვდა. ვაჟის თვალებში ერთხელ კიდევ იელვა თეთრმა მკერდმა.

ქალი წაივია.

ბიჭს არ ახსოვს, რამდენ ხანს იდგასე გაშტერებული. არც ის გაუგია, ვიღაც უცნობმა მოხუცმა ურემი როგორ მოაყენა წყაროსთან.

— შენს გაზრდას, ერთი წყალი მომაწოდე! — ჩაესმა შორიდან ყურში.

გამოერკვა. ურემზე მკდომ მოხუცთან მივიდა, ფრონტული მათარა გამოართვა და წყლით აუვსო.

გურამ ფანჯიკიძე

აპტიური მზის წელიწადი

მოხუცმა წყალი სვენებ-სვენებით და-
ლია, რაც დარჩა, გადააქცია და ბიჭს მა-
თარა ისევ გაუწოდა.

— არ დაიზარო, ეს ერთიც გამივსე!
შინ მივიდა თუ არა, მაღლა ავიდა,
ტახტზე გულადმა დაეგდო და თვალი
დახუტა.

ბიჭის სხეულმა იგრძნო ვნებით სისხ-
ლამღვრეული ქვრივის ლტოლვა. უცნა-
ური განცდა დაეუფლა. ადამიანის და-
ნახვის ეშინოდა, არავის ნახვა არ უნდო-
და, მხოლოდ ერთ რამეს ფიქრობდა, რაც
შეიძლება მალე გადაარჩილიყო მზე.

ვენახთან რომ მივიდა, ორჯერ თავს
ძლივს მოერია, რომ გული არ წასვლო-
და. მიიხედა-მოიხედა, ქალი არ ჩანდა.

უცებ ვაზის ფოთლების შრიალი გაი-
გონა და ქვრივის ანთებული თვალები
დაინახა. გამოუცდელი კაცის ყო-
ველგვარი ეჭვი ერთბაშად გაუქრა.
აღარ ახსოვს, ქალთან როგორ გაჩნდა.
გრძნობდა, სისხლმა როგორ გაუხურა
ტვინი. ფოთოლივით აცახცახებულს,
სხეულში რომ უცნობმა სიხარულმა
მძლავრ ნაკადად დაუარა, მხოლოდ რამ-
დენიმე ფრაზა ჩაესმოდა შორიდან, ბედ-
ნიერებით, ვნებით, ნეტარებით ამოკვე-
ნილი: „ასე, ჩემი ბიჭო“, „ყოჩაღ, ჩემი
ბიჭი!“

მერე ორთავენი გულადმა იწვნენ ვა-
ზებს შორის, ხვარტქლამოდებულ ფხვი-
ერ მიწაზე და ცას შესჩერებოდნენ. ვნე-
ბადამცხხალ ქალს მკერდი მაინც
მძლავრად აუღ-ჩაუღდიოდა. ბიჭი ჯერ
კიდევ ვერ გამორკვეულიყო — რაც
მოხდა, სიზმარი იყო თუ სინამდვილე.
სხეული ისევ უთრთოდა, ელექტრონის
ნაკადი ძარღვებში ისევ დაუტრბოდა, გა-
ხურებუი სისხლი ისევ მძლავრად აწ-
ვებოდა იავის ქალას.

— ხომ არავის დაუწახიხარ? — ჰკი-
თხა ქალმა.

— არავის.

— წადი ახლა და სამუდამოდ დაი-
ვიწყე, რაც მოხდა.

ბიჭი წამოიწია.

— წადი-მეთქი.

ვაჟმა მუხლებზე წამოიჩოქა. ქალიც

წამოჯდა და ზურგს უკან ხელმძღვანე-
ლად ეყრდნო.

— მოიცა! ჯერ დაიფიცე, რომ ყვე-
ლაფერს დაივიწყებ!

— ვერ დავივიწყებ!

— მაშინ დაიფიცე, რომ სიტყვა არა-
ვისთან წამოგცდებ!

— დედას გეფიცებ!

— იცოდე, ფიცი რომ გატეხო, მეო-
რე ღღესვე ენგურში დამიწყეთ ძებნა!

— დედას გეფიცებ!

ქალმაც წამოიჩოქა, ვაჟს ხელი ლო-
ყებზე მოჰკიდა და სიყვარულით ჩახედა
თვალებში. გული აუჩუყდა, ვნებადამც-
ხრალ ქალს თექვსმეტი წლის ბიჭის გუ-
ლუბრყვილო, კეთილი და სიხარულის
ცრემლით დანამული თვალები შემოს-
ცქეროდა, ჯერ რომ კიდევ ვერ მიმხვდა-
რიყო, ვერ გაეანალიზებინა, ბოლომდე
ვერ ეგრძნო, რაც მოხდა.

ნელა დაიხარა და ბიჭს სახე და-
უკოცა. გამოუცდელი ბიჭიც მიხვდა, ეს
უკვე სხვა კოცნა იყო. იგი წელანდელი-
ვით აღარ უშანთავდა ტუჩებს, წელან-
დელივით აღარ უღუღებდა სისხლს და
ვერც იმ ელექტრონის სანეტარო ნა-
კადს გრძნობდა, წელან რომ დაუღდიოდა
სხეულში.

ქალს ერთბაშად ტირილი წასკდა და
მიწაზე თავდაღმა დაემხო. გაფთრებუ-
ლი ვაჟი წამოჩოქილი დასცქეროდა,
როგორ უთახთახებდა მხრები გულამომ-
ჯდარ ქალს.

— ნინო, ყანწი! — ყვირის ელგუ-
ჯა.

— რად გინდა ყანწი, ნუ დამითრობ
ბავშვს! — ბრაზობს ბებიაჩემი, — ამ-
ხელა გზა გამოიარა, დაღლილია.

— ყანწი, დედაკაცო! — თეატრალუ-
რად დასჰეკა ელგუჯამ.

ვატყობ, თვითონვე მოსწონს თავისი
არტისტიზმი.

ნანა იცინის. მოეწონა ჩემი ბიძაშვი-
ლი. რაც არ უნდა თქვას ელგუჯამ, ყვე-
ლაფერზე იცინის. ეცინება მის ინტონა-

ციაზე, მის როსრობა ხმაზე, ნიჩაბივით ფართო ხელისგულეზე.

ბეზიას ყანწი მოაქვს. ვიცანი ჩვენი სამხაისჭიტიანი ყანწი.

— შენ თუ გინდა დალიე, ნოდარის არ დააღვინო. — ბეზია ჩემთან დადგა და დამქნარი ხელები ლოყებზე შემომადო. — შენ არ დალიო, ბეზია, ამ ნადირს რას უყურებ!

— ბები, მორჩი ახლა ფუსფუსს და დაქეჩი ჩვენთან.

— მალე ინდაურსაც მოვიტან და მოგვადები გვერდზე.

— ჩვენს კუთხეს გაუმარჯოს, ჩვენს სოფელს...

თამადას ყურს არ ვუგდებ, ნანას შევეცქერი, თუმცა ვცდილობ, არ შემამჩნიონ მეზობლებმა.

ვუყვარვარ?

მიწა ქალიშვილის თაფლისფერ თვალებში ამოვივითხო პასუხი ჩემს შეკითხვაზე. ნანა მიდიმის. სიყვარულით მიდიმის. თავს ბედნიერად და ლალად გრძნობს. იცის, ყველა მას ეფერება, ყველა მას ებრანკება. იქნებ ეს სიყვარულით სავსე გამოხედვა მხოლოდ მადლობაა, მოძღვნილი ამ დაუვიწყარი საღამოსათვის?! რატომ წამოძევა თითქმის სრულიად უცნობ კაცს? ყურში ისევ ჩამიდგა ნანას პასუხი, საღ წავიყვანო-მეთქი, რომ გკითხვ. „სადაც გნებავთ“, „სადაც გნებავთ“, „სადაც გნებავთ“. რას იფიქრებენ მისი მშობლები? იქნებ სულაც მარტო ცხოვრობს? ან როგორ მენდო, როგორ წამოძევა? არა, ეს შეკითხვა არ არის სწორი. ნანა ჯანდიერი ის გოგო არაა, ვაგლახად რომ რამეს გაუბედავ. არც ის გოგოა, ვინმეს რომ ისე, სსვათა შორის წაჰყვება, ესე იგი, ვუყვარვარ. მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება — ნამდვილად ვუყვარვარ, მორჩა და გათავდა!

გონს მაშინ მოვედი, ცხვირწინ რომ ყანწი ამეტუზა. აღარც მახსოვს, თამადამ რა დალია. ჰო, გამახსენდა, ჩვენს კუთხეს, ჩვენს სოფელს გაუმარჯოსო, აქ დავიბადე და აქვე უნდა დავასრულო ჩემი სიცოცხლე. ჩემს შვილებს აქ

დაარჩენას ვერ დავაძლევ, ისე კი გამეზარდება, აქ თუ იცხოვრებენო. მეტი იქნა ჩემი მტერი, უკვე თბილისში გასაქცევად უჭირავთ თვალი. თბილისში რომ ვარ, სული მეხუთება, ვერ ვიძინებ, ქალაქი თითქოს ლოდივით მაწვება გულზეო, ერთი სული მაქვს, აქეთ როდის გამოვოქცევიო.

რაღაცას ვლაპარაკობ. არ ვიცი, რას. ალბათ ინსტინქტურად ვამბობ სადღეგრძელოს. მეჩე ყანწს სულმოუთქმელად ვცლი და ალავერდს სანდროსთან გადავდივარ.

— ყანწს ვერ დავლევ! — ხელები გაასავსავა სანდრომ.

მისი უარი მეუცხოვა. სანდროს ღვიწხზე უარი არასდროს უთქვამს. არც მის მიერ ქიქამი ჩატოვებული ღვინო უნახავს ვინმეს. მეჩე, როცა თავის საზომს მიაღწევდა, კაცი ვერ გაიგებდა, ისე გაიპარებოდა შინ. სახეზე დავაკვირდი. მოტეხილა ამ ექვსი წლის მანძილზე, რაც სოფელში აღარ ვყოფილვარ.

— ექიმებმა ამიკრძალეს! — მითხრა სანდრომ, როცა ჩემი გაოცებული სახე დაინახა.

— დალიე, სანდრო, ექიმები რას გაიგებენ. ჩვენ ხმას არ ამოვიღებთ დანურც შენ ეტყვი ნურაფერს. — ეუბნება ელგუჯა.

ნანა ახლა სანდროს უყურებს ინტერესით. სანდრო გრძნობს ქალიშვილის შემოხედვას და აღარ იცის რა ქნას.

— როდის იყო, სასმელზე უარი მითქვამს?!

— მეჩედა ახლა გვეუბნები უარს, უცხო სტუმარი რომ გვყავს? — არ ეშვება ელგუჯა.

— შვილები არ მომიკვდეს, არ შემიძლია! — ამბობს სანდრო და ყანწისკენ მორჩილად იშვერს ხელს. სამოცდახუთი წლის კაცსაც სიამოვნებს ლამაზი ქალიშვილის ყურადღება. იმიტომ ვერ ამბობს უარს სასმელზე. არც ცოლი უშლის დაღევას, თითქოს არ უნდა, უცხო

გზარამ წაწვერილი
აბჯიშვილი მისი წაწვერილი



ქალიშვილის თვალში ღირსება დააკლდეს მის ქმარს.

წამიერი ღუმილი.

ყველა სანდროს მისჩერებია.

დიდი ყრონტი რიტმულად ადი-ჩამოუდის. ღვინო რაკრაკით გადადის ყელში. რამდენიმე წვეთი ხალათზეც ჩამოეღვარა. ყანწი რომ დააპირქვევა, სუფრას ზომაზე მეტად აციმციმებული თვალებით გადახედა და წამიერი მზერა ნანასკენაც გააპარა.

— ასე არ ჯობია? — შესძახა მოწონების ნიშნად ელგუჯამ.

— თუ ვადავრჩი, ზომ კარგი! — ყანწი ისევ თამადას დაუბრუნა, მერე გულისპირზე ჩამოღვრილი ღვინო დაიფერთხა.

— ღვინით მოკლული კაცი ჭერ არ მინახავს! — თქვა ელგუჯამ და სავსე ყანწი ამირანს მიაწოდა.

— ვლადიმერ, შენ პატარა ჭიქით შეეთამაშე სადღეგრძელოს! — ჩასძახა თამადამ ყურში ვლადიმერს, თან სიგარეტის ბოლი ჭერისკენ გაუშვა. — კარგი სიგარეტია „ივერია“, მაგრამ „კოლხეთი“ ჯობია.

— ამჯერად მაპატიე! — ვიცინი მე. ვგრძნობ, ცოტა უფრო ხანგრძლივი სიცილი გამომივიდა, ვიდრე ჩემს პასუხს ეკუთვნოდა. მერე ისიც შევამჩნიე, მაგიდა როგორ დაყირავდა და ბოლით გაშვებული ოთახი როგორ შებარბაცდა. თვალს ენერგიულად ვახელ, თავსაც ენერგიულად ვაქნევ და დაყირავებული ოთახი ნელ-ნელა სწორდება. ჭერი უკვე აღგილზეა. შავ ღირზე ჩამოკიდებული ნივრის გალა და შარშანდელი ლორის ნაჭერიც უკვე შევუღალა ჰკიდია. თეთრი ელექტროზონარიც და მბუჟტავი ნათურაც წელანდელივით ირიბად აღარ არის გაჭიმული ჰაერში.

ვლადიმერი ზოგ სადღეგრძელოს ინტუიციით ზვდება. ზოგს თამადისა და მისი თანამეინახეების მიმიკით.

— რა ვიცი, რა დავუშავე ღმერთს! — ამბობს ვლადიმერი. თავისი ხმა თვითონ არ ესმის და მეტად ხმამაღლა გა-

მოუდის ნათქვამი, — იქნებ რამე ცოდვა მაღვეს კისერზე!

— რა ცოდვა უნდა გედოს ანგელოზივით კაცს! — ვკოცნი თეთრ უღვაშებში.

— სიზმრებმა გამტანჯა, სიზმრებმა.

— რა სიზმრებმა? — უფრო ეესტიკულაციით ვეკითხები მე.

— სიზმრებს ვხედავ, აბა, გლახა სიზმრებს! ვითომ, დაბლა ვარ, ნაფარცხევაში. სიმიწლს ვითხნი, რომ გავალ სვრელის ბოლოში, გაღმიდან ვილატ ტყავისქუდიანი და ტყავისპალტოიანი კაცი გამოდის ცხენით. წელზე მაუზური ჰკიდია. დამბლვერს და ისევ მათოხნივებს გათოხნილ ყანას.

— ეუ! გლახათაა ამის საქმე! — ისე შეიცხადა ელგუჯამ, ვითომ პირველად მოესმინოს ვლადიმერის სიზმრის შინაარსი.

— დალეულია, ბატონო! — მესმის ამ დროს ყორას ხმა, ამასობაში მასაც გამოუტლია ყანწი.

უცებ ნანა ფეხზე წამოდგა.

უმაღვე სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ მას შეხედა.

ნანამაც იგრძნო, მოულოდნელად ჩამოვარდნილი სიჩუმის მიზეზი რომ მისი წამოდგომა იყო და დაიბნა.

— მეც მივეხმარები ქალებს. უხერხული არ არის, მოსვლის მერე ასე რომ ვზივარ? — მეუბნება სხვების გასაგონად.

— როგორც გინდა! — ვეუბნები დიმილით, ახლალა ვხვდები, საათზე მეტია, რაც ერთთავად ვიღიმები.

ნანა კედელთან ჩამწკრივებულ ქალებთან მიდის. ვგრძნობ, სუფრა ერთბაშად დაბატარავდა. მივხვდი, ყველას ასეთი გრძნობა დაეუფლა. ელგუჯას ხმას რიხი და ხალისი მოაკლდა. სანდრომაც თვალი მილულა.

— აბა, შემდეგი სადღეგრძელო! — მკევედ ამბობს ამირანი.

— მე დავასხამ, ჩემო ბატონო, — ნამეტანს თავაზიანობს ყორა. — თქვენი ჭიკა მომაწოდეთ, — მეუბნება მე.

ისევ ვიღიმები და სოსოს ვუყურებ,



როგორც ყოველთვის, არც ახლა გამიგონია მისი ხმა. ძველებურად მორჩილად სვამს და მოკრძალებით ილუქმება.

გვრძნობ, ისევ ვიღიმები. ალბათ, ძალზე შტერულად გამოვიყურები. საერთოდ არ მიყვარს, ადამიანს რომ კმაყოფილი იყრი ადევს. ძალიან რბილად ვამბობ, სიყვარული რა სათქმელია, საშინელი სურვილი მივლის ხოლმე კმაყოფილებით აღაჟღაყებულ ლოყებზე სილა გავულაწუნო. იქნებ მეც ახლა იმ კმაყოფილი კაცის იყრი მადევს, როიალზე დიდი ჩინური ვაზა რომ დადგა და ამაყად რომ გადახედა ოჯახის წევრებს, ნაცნობ-მეგობრებს და ნათესაებს?

ნანას ქალები ნახევარწრედ შემორტყმიან, ჩვენთვის რომ ზურგი არ მოექციათ. ბუხრის ცეცხლი იქაურობას ველარ ანათებს ხეირიანად, ნათურაც საცოდავად ბუტავს, მაგრამ მაინც მშვენივრად ვხედავ ნანას სწორ პროფილს, სქელ, სიბნელეში გამუქებულ თმას, ჭინსებში გამოკვართულ, დაჭიმულ ტანს. მახარებს სოფლელი ქალების აღტაცებული სახეები. ნანა ძალზე მოეწონათ და თავის გრძნობას არც მალავენ. თითქოს ყველაფერს უმოწმებენ, ტანს, ხელებს, ფეხებს, მეჩვენება თუ მართლა ასეა? არა, არაფერიც არ მეჩვენება. აშკარად ვხედავ, მათი თვალები როგორ დასრილებენ ნანას სხეულზე.

ელგუჯამ გახუმრება სცადა. არ გამოუვიდა. მერე რაღაც სახუმარო ეპიზოდი გაიხსენა.

— აღარ მოგწყინდა მაგის მოყოლა, შე უპატრონო! — შეუღრინა ამირანმა.

ელგუჯა გაჩერდა, ხუმრობის ხალისი დაეკარგა. მიხვდა, სანამ ნანა ტაბლასთან არ დაბრუნდებოდა, არაფერს ფასი აღარ ჰქონდა.

ნანას გაგხედე. ბოლით გაშავებულ კედელს ზურგით მიყრდნობოდა.

— შემცივდა! — ამბობს ნანა და ისევ ტაბლასთან ჯდება. თან ქალებს უღიმის. თითქოს უბოდიშებს, მაპატიეთ, მაგრამ შემცივდა და უნდა მიგატოვოთო.

სუფრა ისევ გამოცოცხლდა. თამადამ ძველებური რიხით შესძახა, ღვინოთა

უკვე სრულებით აღარ ვმალავ ჩემს გრძნობას, ნანას თვალს აღარ ვაცილებ, შორიდან ველაციები, ვეფერები. მეამაყება, რომ ისეთი ლამაზი ქალიშვილი. როგორიც ნანაა, ჩემთანაა, მე წამომყვა მარტომდარტო ამ გადასაყარავ სოფელში. მინდა გვერდზე მოვისვა, ხელი გადავხვიო და მკერდზე მივიხუტო. დე დამინახონ ჩემმა ბიძაშვილებმა და მეზობლებმა, როგორ ქალიშვილს ვუყვარვარ. მაგრამ ვუყვარვარ? რასაკვირველია, ვუყვარვარ. აბა რატომ წამომყვა ასე უყოყმანოდ? აბა რატომ უბრწყინავს ასე თვალები? რასაკვირველია, ვუყვარვარ. ორი აზრი არ არსებობს! ვუყვარვარ. მორჩა და გათავდა! მეც მიყვარს. სიგიჟემდე მიყვარს. მინდა გარეთ გავიჭრა და ვარსკვლავებს შევძახო, რომ მიყვარს ნანა ჯანდიერი, მხოლოდ ნანა ჯანდიერი და მეტი არავინ ამ ქვეყანაზე! გული მწყდება, საშინლად მწყდება გული, ჩემს ბიძაშვილებს ნანა რომ პლაჟზე არ უნახავთ, არ დაუნახავთ, როგორ დააქვს ავაზასავით დაჭიმული ტანი, რა რბილი და პლასტიკურია მისი ნაბიჯი, ხელების მოძრაობა. ისე ვამბობ, თითქოს მე თვითონ დამენახოს, როგორ დააბიჯებს პლაჟზე ნანა. არ დამინახავს, მაგრამ წარმომიდგენია. აი ახლაც ზუსტად ვხედავ მისი სხეულის ჰაეროვან ნახაზს. მიდის და მიაბიჯებს საკუთარი ღირსების გრძნობით აღსავსე.

— აბა, ცოტაც წავიწიოთ წინ. სანდრო, სწორება რიგებში!

— მზადა ვარ, ჩემო ბატონო! — გამოცოცხლდა სანდრო.

— შეიძლება, ერთი სიტყვა მეც ვთქვა? — ვეუბნები ელგუჯას, სანდროს სადღეგრძელო რომ ჩამთავრდა.

— ნება შენია! — ნიჩაბივით ხელებს შლის თამადა.

წამოვიწიე და ყანწს ხელი მოვავლე.

— ყანწი არ გინდა, ბებია გენაცვლოს! — დამეტაკა ბებიაჩემი.

გურამ ფანჯიშიძე

აპტიური მზის ფილიწადი

— ბებო, ერთ წუთს მაცალე! — ყანწს თამაღისკენ ვიშვერ.

ელგუჯამ ბოცის ხელი წამოავლო და მსუბუქად აიტაცა.

— ბიჭოს, კარგად გვიმუშავნია!

— ელგუჯას ნუ აპყვები, ხომ ხედავ, ხარივით სვამს! — არ ცხრება ბებიაჩემი.

— მაგას ბოლოს ვნახავთ! — ვამბობ მე.

ვგრძნობ, ბაგეზე ღიმილი ისევ მაქვს მიწებებული.

— ყანწი აღარ გინდა! — ამბობს სანდრო და ვხედავ, მისი თვალები მთხოვენ, ალავერდი ჩემთან გადმოდიო.

— ნანა, აქ მოდი! — ვეუბნები ნანას.

ქალიშვილი უსიტყვოდ მოდის და ჩემს გვერდით ჯდება. ნანას მხარზე ხელით დავეყრდენი და აღმოვაჩინე, რომ თურმე ფეხზე ვდგავარ. ვერ გავიხსენე, როდის ავდექი ფეხზე. სულაც არ მინდა, ფეხზე წამოდგომით ჩემს სიტყვებს ძალზე სერიოზული სახე მიეცე. ისევ ვჯდები და კვლავ ნანას მხარს ვეყრდნობი. თან ვცდილობ, არ შევაწუხო, არ დავამძიმო. ვიგრძენი, დაჯდომის დროს სამფეხა სკამი ოდნავ დაყირავდა. ესე იგი, კარგა მოვრალი ვარ, თუმცა სრულებით ვერ ვგრძნობ. საოცარი სიმსუბუქე დამეუფლა, სხეულმა თითქმის მთლიანად დაკარგა წონა, განწყობილება მაღლა და მაღლა მიიწევს, ლამისაა, ვარსკვლავებს შესწვდეს. სახეზე მიწებებულ ღიმილს მაინც ვერ ვიშორებ. მახსოვს, მნიშვნელოვანი სადღეგრძელოს თქმას ვაპირებდი. ველარ გამიხსენებია, რისი თქმა მინდოდა. ეს კი მახსოვს, სადღეგრძელოს ღიმილი არ უხდებოდა. სახეზე ხელს ვისევამ, მინდა ღიმილი მოვიშორო. არაფერი გამომდის.

— ბრძანე, გელოდები! — მესმის ელგუჯას ხმა.

როგორც იქნა, ღიმილი მოვიშორე, მოვიძრე, საღლაც მივაგდე და სუფრას გადავხედე.

— მეორე ყანწი ნამეტანია! — ალავერდს მახსენებს სანდრო.

— ალავერდს სანდროსთან ვარ!

— მომკლავს, ნოდარ! — სიამოვნებით ეღრიცება სახე სანდროს. მიხარია, რომ სწორად გამოვიცანი მისი სურვილი.

— ამ ყანწით, იცით, რას გაუმარჯოს? — ვამბობ მე. არადა, ვერაფრით ველარ გავიხსენე, რისი თქმა მინდოდა. მცირე პაუზა.

მაგიდას სევდიანად დავცქერი. ამაოდ ვცდილობ გავიხსენო, რისი თქმა მინდოდა.

— გისმენთ, ჩემო ბატონო!

ეს ჟორაა.

ჟორას ვერაფერს გამოაპარებ. თავი ენერგიულად ავწე და ჟორას შევხედე. ისიც კარგად იყო, ცალი თვალი სანახევროდ მოექუტა.

— ჩემო ჟორა, იცი, რას გაუმარჯოს? ალავერდი ბატონ სანდროსთან ვარ, — დავძინე მაინც ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, რადგან ჩემს მიმართვაზე ჟორამ თვალი ბოლომდე გაახილა და საალავერდოდ მოემზადა. — გაუმარჯოს ჩვენს ერთად ყოფნას. ღმერთმა არ მოგვიშალოს ის სიხარული, რომლითაც ახლა სავსეა ეს ბუხრის ბოლით გაშვებული ოთახი. — ფეხზე ვდგები და ყანწს ისე ვსვამ.

— ბოლომდე არ გინდა, ბებია! — ზურგზე ფრთხილად მეხება ბებიაჩემის გამხდარი თითები.

— დაცალე, ქალო, ვითომ არ იცი, ღვინო რომ სისხლის შემადგენლობას აღმოგებესეს! — როხროხებს ელგუჯა.

ყანწს შეუსვენებლად ვცლი, ერთხანს ხელში მიჭირავს და სანდროს მივჩერებოვარ. თვალებში ვატყობ, სიამოვნებით ელოდება ალავერდს. შეიძლება, ღელავს კიდევ, ხომ არ გადავიწყდა, ყანწს ჩემთან რომ უნდა გადმოსულიყო.

— დაჯექი, ბებია! — მეხვეწებიან ისევ ბებიას გამხდარი თითები.

ნანას ვერ ვხედავ, მაგრამ ვგრძნობ, როგორ მიცქერის ქვემოდან.

— ნინო ბებია, — იცინის ელგუჯა, — უბურთოდ თამაში არ იცი რა არის? გადი-გამოდი, გადი-გამოდი, ისეთი შთაბეჭდილება შექენი, ვითომ რაღაც შე-



მოგაქვს! სუფრაზე ამ ჩემს დედაკაცს ვერ ვასწავლე სუფრაზე უბურთოდ თამაში, შენ რაღა დაგემართა.

— მაღე იქნება ინდაური, უმს ხომ არ მოვიტან! — მიუხვდა ბებია.

ჟორამ ამასობაში ყანწი შეავსო და სანდროს მიაართვა.

— მომკლავს, ბიჭო! — იღიმება სანდრო და წინასწარ სიამოვნებს ყანწის დაღევა.

„მრავალჯამიერ...“ — იწყებს ცალთვალმოკუტებული ჟორა.

სიმღერა გამოგვიდის. ყოველ შემთხვევაში, გვეჩვენება, რომ კარგად გამოგვიდის.

ნანას შევხედე. გამიღიმა. ესე იგი, არც მთლად ურიგოდ ვმღერივართ.

სიმღერაც დავამთავრეთ და სანდრომაც დააბრკევა ყანწი.

— ამირანს, ჩემს ამირანს ყანწი!

ამირანს შევხედე. ვლადიმერის და სანდროს შემდეგ ის იყო უფროსი სუფრაზე. იცოდა, სანდრო ალავერდს მასთან გადავიდოდა, მაგრამ მაინც ღელავდა. იქნებ არც ღელავდა? არა, ნამდვილად ღელავდა. სანდროს თვალს არ აცოლებდა. როცა სანდრომ ყანწი გაუწოდა, დაძაბული სახე ერთბაშად განემუხტა.

მთვრალი ვარ. საექვო აღარაფერია. სანდროს ამოღულღულებაზე კი მივხვდი, მეტის დამღევი აღარ იყო.

— მე წავალ, ახალგაზრდებო! — ამბობს ვლადიმერი და გაქირვებით ღგება ფეხზე.

პირველივე კაცის წასვლა ბზარავს სუფრას.

— მე გავაცილებ. — ამბობს სანდრო და ფეხზე წამოდგარი ჟორას ეყრდნობა, ეშინია, არ წაიქცეს.

— რა არის, ამხანაგებო, ეს! — ბრაზობს ამირანი და ცარიელ ყანწს ჟორას აწვდის. — თუ სმავ, სმავ იყოს.

სოსო ისევ წყნარად ზის და უაზროდ იღიმება ყანწის მოლოდინში.

— შენ მთლად ხომ არ დამუხვებულხარ? — ეკითხება ელგუჯა.

— ჩემო ნოდარ! — ამბობს სანდრო და ჩემსკენ მოიწევს საკოცნელად. —

ნუ დაივიწყებ, ბიჭო, ამ შენს სოფელს!

„ბიჭო“ განსაკუთრებულად თბილად თქვა. ამ სიტყვით ასაკობრივ განსხვავებას კი არა, შინაურობას გაუსვია ხაზი.

სანდრო ტირის, მკოცნის და თან ტირის.

— დაბრძანდით, ბატონო სანდრო!

— ვლადიმერს გავაცილებ და ახლაც მოვალ.

ვლადიმერი ალბათ უკვე სახლშია. სანდრო კი ისევ დგას და ტირის.

— ნუ დაივიწყებ შენს სოფელს. ცოდვაა ბებიაშენი. ნინო ხომ იცი, რა ქალია...

— წამო სახლში. შე უბედურო, ნუ დაღალე ეს კაცი. სმავ რომ აღარ შეგიძლია, იქნება ესლა მაინც მიხვდე! — ღიმილით უჯავრდება ცოლი.

— ნუ დაივიწყებ შენს მამა-პაპეულს... — ისევ ტირის სანდრო.

ჟორა ყანწით ხელში ფეხზე დგას და სუფრის დაწყნარებას ელოდება. მოკუტულ თვალს ხანდახან ახელს, აცრემლებულ სანდროს რომ დაინახავს, ისევ ხუჭავს და სიჩუმის ჩამოვარდნას მოთმინებით ელოდება.

— სად მიგყავს ეგ კაცი, შეიწვა ინდაური! — ამბობს ბებია.

— ინდაური ხვალ! — ამბობს მარია-მი და ქმარს შინ მიათრევს.

— „სასიღედრომ დამიბაარაააა,“ — სანდრო ეზოში აგრძელებს სუფრაზე წამოწყებულ სიმღერას.

— მე წავალ, ნოდარ! — შეუბნება ღიმილით ელენე.

— ქალბატონო ელენე, ეს ნანაა, ჩემი ნანა! — ვეუბნები მე.

— კარგი ქალიშვილი ყოფილა შენი ნანა! — ამბობს ღიმილით ელენე.

მის თვალეში მე მაინც ვხედავ იმ ცრემლს, ჯერ რომ არ გადმოვორობებოდა.

ელენე შუბლზე კოცნის ფეხზე წამოდგარ ნანას და მიდის.

ისევ სამფეხა სკამზე ვჯდები. ისევ მეტორტმანდა თათხი. სკამს მთელი ძა-

გუბამ ფანჯრიამდე
აპბიური მზის ფაღიფაღი



ლით ორთავე ხელით ვეჭიდები და კედლებს დაყირავების საშუალებას არ ვაძლევ. თვალს ჟორასკენ ვაპარებ. პირველად ვხედავ, მძინარე კაცი როგორ ცლის ყანწს. მერე უცებ დაჯდა, ცარიელი ყანწი მაგიდაზე დადო და თავიც ჩაპკიდა.

— ჩაბარდა უფალს! — ამბობს ელგუჯა და სოსოს ანიშნებს, შენი რიგიაო.

სოსო ჩვეულებისამებრ უხმოდ სვამს ღვინოს. თითქოს ყოჩაღადაა, გაჭიმული ზის, მაგრამ თვალებში რომ შეხედავ, მაშინ მიხვდები, ამ ქვეყანაზე აღარაა.

— ომი აღარ იწყება? — მეკითხება ელგუჯა და ამჯერად თავისთვის ივსებს ყანწს, — დავიღალეთ ბიჭები ამდენი უსაქმლორებით!

— გაგიხმეს ენა! — ეუბნება ცოლი.

— მკვიდობით, სიფხიზლევ! — ყანწს ნელ-ნელა სვამს. შუაში ისვენებს, მაგრამ ყანწს პირიდან არ იხსნის. ოღონდ დიდი ყრონტი აღარ ადი-ჩამოუდის. უცებ ყრონტი ისევ ამუშავდა, ყანწი დაიწალა. მარცხენა ხელის ზურგით ტუჩებს კმაყოფილი იწმენდს და ამირანს ეკითხება:

— რას მიყურებ, ხომ არაფერი მმართებს შენი?

— დალიე ყოვლადწმინდა, თუ შეგიძლია და მოვასვენოთ ნამგზავრი ხალხი! — ეუბნება ამირანი. ამით უნდა გვითხრას, ყველაზე ფხიზელი ვარო.

ელგუჯას აღარ ესმის მისი სიტყვები.

„ჩემო ჩაბუჭბუჭებულოო“... — იწყებს ელგუჯა.

ჟორას, ეტყობა, მაინც ჩაესმა ნისლჩა-წოლილ ტვინში სიმღერის ხმა და ხრინწიანი პირველი შეაშველა. თავი გვერდზე აქვს მოქცეული; ორთავე თვალი დახუჭული, ძინავს და ისე მღერის. სიმღერას მაინც სწორად მიჰყვება.

ბანი შევაშველე და ხელები გავშალე. დარწმუნებული ვარ, ხმა ლაღად ამომდის.

უცებ ნანას ტუჩები ვიგრძენი ყურთან.

— რა სასაცილოები ხაართ! — მითხრა მან.

განა რაიმე მუსიკას შეუძლია ისეთი საამო ჟრჟოლა მოგგვაროს, როგორც მისმა სიხარულით და ბედნიერებით საცესე ხმამ მომგვარა?!

„რა სასაცილოები ხაართ!“ — განუწყვეტელი ჩამესმის ყურში და სხეულში სითბო მელვრება, გული ნეტარებით მეცხება.

ნაშუადამევს მელვიძება.

ერთბაშად ვერ ვხვდები, სად ვარ.

თავზე ვარსკვლავებით მოქედილი ზეცა დამცქერის.

ბებიაჩემს აივანზე გაუშლია ჩემთვის ლოგინი.

სიცივემ გამომადგიდა. საბანში ვეხვევი და გულალმა ვწვები. ვიცი, იოლად აღარ დამეძინება.

— რა იყო, ბებია? — მომესმა პატარა ოთახიდან და მალე ბებიაჩემიც გამოჩნდა.

— შენ რა, არ გძინავს? — ვეკითხები გაოცებული.

— რა დამაძინებს. ყოველ წუთში საბანს იხდიდი. მაინც რა გიქნა იმ შეჩვენებულმა. ამდენი ღვინის დაღვევა იქნება? ელგუჯას რას აჯობებ, ერთ ჩაფს სვამს.

— ვითომ ჩემზე უკეთ იყო?

— შენზე უკეთ არ ყოფილა, მაგრამ შენ ნამგზავრი იყავი, დალილი. ესე იგი ჩემზე უკეთ ყოფილა.

— თავი ხომ არ გტკივა?

— არა, კარგად ვარ.

პაუზა.

— ნანა სად არის?

— ზალაში სძინავს.

ბუნდოვნად მაგონდება, ნანა მაშინ წაიყვანა დასაძინებლად, ჩვენ რომ ეზოში ფერხული გვექონდა ჩაბმული.

— ლოგინზე ჩამოაჩექი! — ვეუბნები ბებიას. მერე ხელს ვხვევ და გულში ვიხუტებ. გული მეკუმშება. ვგრძნობ, მის გამხმარ, გამოფიტულ სხეულში ისეა შერჩენილი სიცოცხლე კაი ხნის დაცლილ ჩაფს რომ შერჩება მცირეოდენი სისველე. სულ ცოტაც და ჩაფი მთლიანად გამოშრება.

— რა მშვენიერი გოგოა, ვინაა, ბე-
ბია?

— ჩემი მეგობარია! — ვამბობ ჩუმიად.
საბანს სანახევროდ მაინც ვიფარებ სა-
ხეზე. ვაითუ ღვიძავს ნანას. მეშინია,
ჩვენი ჩურჩული არ გაიგონოს.

ბებია ხმადაბლა იცინის.

— მითხარი, საცოლეა, ხომ?

— მოგეწონა?

— ჩემს მოწონებას რა ფასი აქვს.

— არა, მითხარი, მოგეწონა?

ბებია ისევ ჩუმიად იცინის.

— რა გაცინებს?

— გულახდილად რომ გითხრა, არ
მომწონს, ქალი რომ შარვალს იცვას.
მაგრამ მე რა მეკითხება.

პაუზა.

მერე ნელა იხრება და ყურში მეუბ-
ნება.

— მასრებივით ფეხები ჰქონია. სანამ
არ გაიხსნა, არ გამოვედი ოთახიდან. იმ-
ნაირი ტანი აქვს, ავ თვალს არ დაენახ-
ება.

კმაყოფილი ვიღიმები.

— თუმცა, შენ რას გასწავლი. უკეთ
არ იცი, რანაირი ტანიცა აქვს?

ხმას არ ვიღებ. უარის ნიშნად მხო-
ლოდ თავს ვიქნევ. კაბაში მართლა არ
მინახავს, როგორია. ფეხებსაც მხოლოდ
ერთხელ შევაველე თვალი, მდინარეში
რომ შევიდა. ისიც მუხლებამდე ჰქონ-
და ჯინსი წამოკაპიწებული.

— ისეთი გრძელი და ლამაზი თითები
აქვს, აფსუსია, იმან ჭადი გამოაცხოს! —
მეჩურჩულება ისევ ბებია.

მეცინება.

— ნუ იცინი, არ გაელვიძოს. ყოჩად,
კაი გოგო ავირჩევია!

— არაფერი არ ამირჩევია. უბრა-
ლოდ, ჩემი მეგობარია.

— შენისთანები მოატყუე!

მცირე პაუზა.

— ცოტა რომ შესუქდეს, უკეთესი
იქნება. ასე როგორ შეიძლება. მთელი
საღამო ლუქმა არ ჩაუღვია პირში.

პაუზა.

— თეთრი ხომარა? სიბნელეში კი არა,

მზის შუქზე ვეღარ ვხედავ. ცოტა შავ-
გვრემანი მომეჩვენა.

— ზღვაზეა გაშავებული, თორემ
თოვლივით თეთრი კანი აქვს. — ვამშ-
ვიდებ მე. ვიცი, რად ფასობს თეთრი
ქალი სოფელში.

— თვალები რა ფერი აქვს? — მე-
კითხება ისევ ჩურჩულით.

— თვალები? თაფლისფერი.

— თაფლისფერი კარგია. აბა, თმა
წაბლისფერი უნდა ჰქონდეს. არ მიყ-
ვარს, თეთრ ქალს რომ ნამეტანი შავი
თმა აქვს.

— ჰო, წაბლისფერი აქვს. წაბლისფე-
რი კი არა, ცოტა მოწითალოდ აქვს შე-
ღებილი.

— აჰ, მაგი არ ქნას, ბებია! საღებავი,
თმას გაუფუჭებს. ურჩიე, მეტი აღარ
შეიღებოს.

— აუცილებლად ვურჩევ, თუ დამი-
ჯერა!

— რას ქვია თუ დაგიჯერა, ცოლმა
ყველაფერი უნდა დაგიჯეროს!

— „ცოლმა“, — თბილმა ნაკადმა ისევ
დამიარა სხეულში.

— ნანა ჩემი მეგობარია, ბებია. აქაუ-
რობა არ ენახა და იმიტომ წამომყვა.

— უმადლესი თუ აქვს დამთავრებუ-
ლი? — არაფრად ჩააგდო ჩემი განმარ-
ტება.

— აბა რა! ახლა ასპირანტურაში აპი-
რებს შესვლას.

— ღმერთმა გაგახაროს, შვილო. საბა-
ნი ხომ არ დაგამატო?

— არა, არ მინდა.

— აბა, დაიძინე.

— უკვე მძინავს.

— თუ რამე გინდოდეს, დამიძახე.

თვალს ვხუჭავ და ხმას არ ვიღებ. ბე-
ბია მიდის. მალე ტახტის ჭრაჭუნი მეს-
მის. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა.

ჩემი ფიქრები ნანას დასტრიალებს.

ნანა.

ნანა ჯანდიერი.

იგი აქაა, სულ ახლოს, რამდენიმე

გურამ ფანჯიკიძე

აპტიური მზის წალიწადი

მეტრზე. ოთახის კარიც ღიაა და ფანჯარაც.

ნეტავ ძინავს?

„რა სასაცილოები ხაართ!“ — ჩამესმის ისევ ყურში.

ალბათ, მართლა სასაცილოები ვიყავით.

რა სიყვარულით იყო ნათქვამი ეს სამი სიტყვა!

მერე ხომ არაფერი მისულელია? ვერაფერს ვიგონებ. მხოლოდ მახსოვს, მე, ელგუჯამ, სოსომ და ამირანმა რომ ზეწოლი გადავხვიეთ ერთმანეთს და ეზოში ფერხული ჩავაბით. ჟორა მაგიდიდან ვერ წამოვყავნეთ. ისიც მაგონდება, მხრებში ელგუჯა და სოსო რომ ამოუღდნენ. არა, სისულელე არაფერი ჩამიდენია.

ელენე?

როგორ გაჭადარავებულა. მოტეხილა. ვგრძნობ, ლოყებზე წითელმა ფერმა როგორ გადამკრა.

„რა სასაცილოები ხაართ!“

ნეტავ ძინავს?

დავიჯერო, ვუყვარვარ?

თუ არ ძინავს, რას ფიქრობს?

მხოლოდ ვარსკვლავების მკრთალი შუქი ანათებს გარემოს. უბანში ერთადერთი ნათურა სანახაშოზე ბეჭუტავს საცოდავად. ლოგინში ველარ ვძლებ. წამოდგომა მინდა, მაგრამ ვიცი, ხმაური ბებიას გააღვიძებს. ძინავს კი? ცოდნაა. მოხუცი ქალი, მაგრამ ლოგინშიც ველარ ვძლებ. თავდაღმა ვემზობი და თვალებს ვხუჭავ. არაფერზე არ მინდა ვიფიქრო. იქნებ ყველაფერს გამოვეთიშო და დავიძინო.

ჩამიჩუმე კი არსაიდან ისმის. არც ძაღლების ყეფა, არც მამლის ყვირილი. არაფერი გამომდის, არ მეძინება. ლოგინზე ფრთხილად წამოვჯექი. გადმოვდნავ კიაფობს თეთრი ეკლესია.

იქნებ არც კიაფობს? უბრალოდ, ვიცი, რომ იქ თეთრი ეკლესიაა და ამიტომ ვხედავ კიდევ.

ცას გავცქერო.

ვინ იცის, რამდენი კოსმოსური ნაწი-

ლაკი სერავს სივრცეს, ჩვენს სახლს ჩემს სხეულს.

რა ხდება ახლა ჩვენს ლაბორატორიაში? გულაღმა ვწვები და თვალს ჯიუტად ვხუჭავ.

იქნებ რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველაფერი სისულელეა? საჭიროა კი ჩაერიო ბუნების საქმეებში?

ეტყობა, დამით ქსელში ძაბვა იზრდება. სანახაშოს ნათურაში შუქი უფრო მომძლავრებულია. რატომ მეჩვენება ანაქრონიზმად საცოდავად მბეჭუტავი ნათურა ჩვენი სოფლის თითქმის ხელუხლებელ ბუნებაში?

საჭიროა კი დინამიტიტით მორღვეული კლდეები?

საჭიროა ის გზა, თანდათან რომ მოიწვევს სოფლისავენ?

მე ახლა შორს ვარ, ძალიან შორს. ვხედავ, წყვილიაღში როგორ ტრიალებს სასიკვდილო ნისლში გახვეული დედამიწის უზარმაზარი სხეული.

თითქმის მისი კენესაც მესმის.

არა, ეს კენესა არაა. დედამიწა ღმუის, კი არ ღმუის, გმინავს, ჩუმად გმინავს. ისე როგორც გაუტეხავი ნაქადაცი წამების დროს.

გმინავს დედამიწა და ვგრძნობ გულის როგორ მიხვერტენ ნემსის სისხო ელექტრობურღები.

ვხედავ, ოთხი მილიარდი ადამიანი როგორ შესევია მის დაუძლურებელ, გამოფიტულ, მოქანცულ სხეულს. ჰკაფავენ, ჩეხავენ, ღრღნიან, ჰჭაჩავენ, ფლეთენ, მთასა და ბარს ასწორებენ, ბურღავენ, გულშიც არაფერს უტოვებენ. ირგვლივ მხოლოდ ნამუსრევი და ნანგრევები რჩება.

ვხედავ ფილტვებდაფლეთილ, ვენებგადაჭრილ დედამიწას, სისხლის უკანასკნელი წვეთისგან რომ იცლება. ვხედავ ჭრილობებად ქცეული, მორღვეული და დაწყლულებული ზეობებიდან ჩირქივით როგორ გამოედინებოდა მოწამლული მდინარეები.

საშინელი ხრჭიალი მესმის. რა მოხდა? რატომ დაყრავდა დედამიწა? ხრჭიალი ძლიერდება. შემდეგ საშინელ-

მა ჰახანის ხმამ გააყრუა იქაურობა. დედამიწის ღერძი შუაზე გადატყდა. პლანეტა შეტოტმანდა, მერე უეცრად დაყირავდა. ზღვებმა და მდინარეებმა პაერი გააჩრდიეს და დედამიწიდან საღ-ლაც ბნელ ქვესკნელში ჩაიღვარნენ.

„ნოდარ!“ — მესმის შორიდან ნაც-ნობი ხმა.

„ნოდარ, ნოდარ!“ — არა, ეს მოჩვე-ნება არაა.

„ნოდარ, რა გემართება?“

ნანაა. საეჭვო არაფერია. ნამდვილად ნანას ხმაა.

თვალს ვახელ.

— ნოდარ, გამოფხიზლდი, მე ვარ, ნანა!

აღბათ ჩემი უაზრო, გაშეშებულ თვალები აშინებს.

საბოლოოდ გამოვერკვიე. ბაგეზე ღი-მილი გამომესახა და ნანაც დამშვიდდა.

— არ უნდა დამელია იმდენი!

ახლალა შევამჩნიე, ფეხშიშველაა. მხოლოდ ტანსაცმელი შემოუცვამს საჩ-ქაროდ.

— ბეზიას ძინავს?

— აღბათ ღრმად ჩაეძინა დაღლილს, თორემ უეჭველად გამოელვძიებოდა შენს ბორგავზე.

პაუზა.

არ ვიცი, რა ვთქვა. განა შეიძლება სიტყვით გამოხატო ის გრძნობა, ახლა რომ დამეუფლა? განა შეიძლება გაზო-მო და რაიმე საზღვრულ მოცულობაში მოაქციო ის ნეტარება, ახლა რომ ვყა-ვარ შეპყრობილი? როგორ მსიამოვნებს ნანას ზრუნვა, როგორ მსიამოვნებს მი-სი შეშფოთებული და შეშინებული გა-მოხედვა! თანდათან დამშვიდდა, დაწყ-ნარდა და ვატყობ, სიცივემაც აიტანა.

— მე ახლა წავალ, დავწევები!

— ჰო, წადი, არ გაცივდე! — ვეუბ-ნები და თან მეშინია, არ წავიდეს.

ნანა ღვება, მერე ნელა იხრება, შუბ-ლზე მკოცნის და მიდის.

საწოლის ჭრიალი.

იგი სულ აქვეა, ათიოდე ნაბიჯზე, თეთრი ქათქათა საბნის ქვეშ ფეფქავს მისი მკვრივი სხეული.

კიდევ ერთხელ გაიჭრიალა საწოლმა. მერე სიჩუმე ისადგურებს. დღევანდელი

დელი დღისთვის უჩვეულო, სამარისე-ბური სიჩუმე.

ვითომ ჩაეძინა?

არა მგონია.

ჯერ ხეირიანდაც ვერ ჩათბებოდა ლოგინში.

ნეტავ რაზე ფიქრობს?

ვუყვარვარ?

მე? მე თვითონ მიყვარს?

რა იოლი იყო ამ გრძნობაზე ფიქრი, მთვრალი რომ ვიყავი. ახლა თითქოს მეუხერხტულება. მით უმეტეს, ცასაც შე-ეპარა მტრედისფერი და ხმელეთი ცას ნელ-ნელა, მაგრამ მკვეთრად გამოეყო მე მიყვარს? ხომ არ ვცდები? ნამდ-ვილად მიყვარს? კიდევ შემწვევს სიყვა-რულის უნარი?

გულში ისევ ვიგრძენი ნემსებივით წვრილი ელექტრობურღები.

თვალს ვხუტავ. ასე უფრო კარგად ვფიქრობ. ჩემი თავის იმდენად აღარ მრცხვენია, ფიზიკურად რომ ვერ ვუყუ-რებ საკუთარ სხეულს.

რაკი ამ დილითაც იგივე გრძნობას ვყავარ ატანილი, გუშინ მთელი დღე რომ მავსებდა უსაზღვრო ნეტარებით, ესე იგი, მიყვარს.

ეკა?

რას იტყვის ეკა?

გადაიტანს კი ამ დარტყმას?

ვცდილობ, ეკაზე ფიქრი თავიდან ამო-ვიგდო. სირცხვილის ოფლი მასხამს. გა-ნა ამ თვენახევრის წინ არ ვუმტკიცებ-დი, გამოვიფიტე, სიყვარული აღარ შე-მიძლია-მეთქი? განა ეკამ არ მითხრა, გა-მოჩნდება ერთი ქალიშვილი და სულ სხვანაირად აღაპარაკლებიო?

„უკან ნუ იხედები!“ „უკან ნუ იხე-დები!“ — ჩამესმის შორიდან ვიღაცის ხმა.

უკან არ უნდა მოვიხედო, ერთადერ-თი ხსნაა, უკან არ უნდა მოვიხედო.

ღმერთო, განა ასეთივე ნეტარებით არ

გურამ ფანჯიკიძე

აპტიური მუხის წელიწადი

იყო საგნე ეკასთან გატარებული დღე-
ები თითქმის ოთხი წლის მანძილზე?
მხოლოდ მერე გაცივდა გული, მხო-
ლოდ მერე გაცივდა და გაიცრია სიყ-
ვარული.

იქნებ...

იქნებ ნანას სიყვარულიც გამიცვლეს
ერთ მშვენიერ დღეს?

უკან არ უნდა მოვიხედო. პარალე-
ლები ყოველთვის სახიფათოა, პარალე-
ლები მხოლოდ ადამიანის სულში კმე-
თენ ერთმანეთს!

უკან არ უნდა მოვიხედო! არავითარ
შემთხვევაში უკან არ უნდა მოვიხედო!
მაგრამ...

შეიძლება მიაფურთხო სიყვარულით
აღსავსე დღეებს? შეიძლება სამუდამოდ
მოიკვეთო და დაივიწყო ქალი, რო-
მელსაც ასე უყვარდი, რომელიც ასე
გიყვარდა და რომელმაც ამდენი ბედ-
ნიერი წელი გაჩუქა? შეიძლება გული-
დან და ხსოვნიდან უნაშთოდ ამოიგლი-
ჯო ქალი, რომელმაც აზრი მისცა შენს
ცხოვრებას და გაამართლა შენი გაჩენა
ამ ცოდვით სავსე ქვეყანაზე?

არა, უკან არ უნდა მოვიხედო. ერ-
თადერთი ხსნაა, უკან არ მოვიხედო,
თორემ თუ მთელ ჩემს ცხოვრებას მოვ-
ხედე და გავაანალიზე, ლევან გზირიშვი-
ლივით მომიწევს გადამწყვეტი ნაბიჯის
გადადგმა...

ეკა!

ღმერთო, რა დავაშავე!

საწოლმა ისევ გაიჭრიალა. თეთრი,
ქათკათა საბნის ქვეშ ისევ შებრუნდა
ნანას მკერდის სხეული. სულ ათიოდე
ნაბიჯია ნანას საწოლამდე, ათიოდე ნა-
ბიჯი... თითქოს აშკარად მესმის ნანას
გულის ფეთქვა. არა, გული კი არა, მი-
სი სხეული ფეთქავს უზარმაზარი გუ-
ლივით.

ისევ დამიარა ელექტრონის ნაკადმა,
ისევ ამიტაცა საოცარი ნეტარების მო-
ლოდინმა.

მამლის ყვილი.

ხრინწიანი, მაგრამ ენერგიული ყი-
ვილი.

თვალს ვახელ. ვარსკვლავები აღარ

ჩანან. ვილაცის მძლავრ ხელს გვეჭნის
ტური ფუნჯით წაუშლია ისინი ტყვე-
ლურჯად გადაუღებავს.

მამლის ყვილი განმეორდა.

ამირანის მამალია. მისი ეზოდან მოის-
მის ხრინწიანი, გაჭინთული ხმა.

უმაღლე ჩვენს ეზოშიც იყივლა მა-
მალმა.

კიდევ ორგან გაისმა ყვილი და ბე-
ბიაჩემიც გამოვიდა აივანზე. თვალებს
ვხუჭავ, ვითომ მძინავს. ერთი კი გა-
მოიხედა ჩემსკენ და კიბეზე ფრთხილად
ჩავიდა.

ისევ იყივლა ამირანის მამალმა, ისევ
აპყვენენ სხვა მამლებიც. აღმოსავლე-
თით ინათა და ძროხის სასიამოვნო ზმუ-
ილიც გაისმა.

ნელა ვდგები. ნანას ალბათ ჩაეძინა და
მეშინია, არ გავაღვიძო.

ფრთხილად ვიცვამ და ფეხაკრეფით
მივდივარ. თვალი მაინც გამირბის ღია
ფანჯრისკენ, რომლის გასწვრივაც ნა-
ნას საწოლი დგას. თვალში მხვდება
თეთრ ბალიშზე გაშლილი წაბლისფერი
თმა. ეტყობა, მაინც ჩასძინებია.

ეზოში ჩავდივარ.

უცებ დინამიტის ხმა გაისმა და ჰაე-
რის ტალღა ფანჯრებს დაეტაკა. ერთ
აფეთქებას უმაღლე მეორე მოჰყვა, შემ-
დეგ მესამე, მეოთხე, მეხუთე...

მგრგვინავი ხმა ჯერ ჰაერში გაიშალა,
მერე მთის კალთებს შეასკდა. გაღმა-გა-
მოღმა ჭალაში კლდეებს ანგრევენ და
გზა გაჰყავთ ბარიტის საბადოებისაკენ.
გაღმა ტყეში მიტოვებული ადგილი გა-
მოჩნდა მოუშუშებელი იარასავით. თით-
ქოს მთას ფერდზე ოთხკუთხედად ტყავი
ააძვრესო.

ეზოში, კაკლის ძირში პატარა ჯირკი
დავინახე. ჩამოვჯექი და სიგარეტს მო-
ვუკიდე.

ყვირელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა
წვება სხეულში.

ბოსლიდან დროდადრო ძროხის ზმუ-
ილი მესმის. ვერ ვხედავ, მაგრამ წარმო-
მიდგენია, ქვაბში შხრიალით როგორ ჩა-
დის ქაფქაფა რძე.

დინამიტის ხმას ბულდოზერების ღმუილიც მოჰყვა.

მალე ბებიაც გამოჩნდა რძიანი ქვაბით ხელში.

— ადექი, ბებო? — მეკითხება ჩუმად. ალბათ ეშინია, ნანა არ გააღვიძოს.

— ჰო!

— რა გეჩქარებოდა, გამოგეძინა პატარა.

— არ მეძინება.

— თავი ხომ არ გტკივა?

— არა, თავს რა მატყენდა.

— მაინც რა ვეშაპი ჩაუძვრა მუცელში, რამდენი ღვინო დაგალევინა! ადამიანს კი არა, ქვევრს ხეთქავს ღვინო.

ვიღიმები.

— ნანას ძინავს?

— ჰო, ძინავს.

— არ გააღვიძო, შვილო, დაისვენოს პატარა...

სხეული ისევ მეცხება სიხარულით. ენით აუწერელი საოცარი განცდები მომეხვეწება, რომ ადამიანი რომ ვზრუნავთ საყვარელი ადამიანის მყუდროებისათვის.

ბებია ქვაბს ფრთხილად დგამს ხის მოაჯირზე და ჩემთან მოდის.

— რათ გინდა, ამ საწამლავს რომ ეწევი უთენია! — მეუბნება და დამჰკნარი ხელეებით სახეზე მეფერება, თან ეს მაკურად მიღიმის.

სივარეტი შორს მოვისროლე, წამოვდექი და მხარზე ხელი მოვხვეი.

გული ისევ შენეკუმშია, ყელში გაჩრილი ბურთი ძლავს გადავყლაპე. ფიზიკურად ვიგრძენი, სიცოცხლე ისეღა შერჩენოდა მის გამოფიტულ სხეულს, როგორც სისველე კარგა ხნის დაცლილი ჩაფის კედლებს, ამოშრობას რომ აღარაფერი უკლდა.

თავი მეთექვსმეტი

მოსკოვი.

დომოდედოვოს აეროპორტი.

— რეისი 936 ხომ არ იგვიანებს? — ვეკითხები მორიგეს ცნობათა ბიუროს ჩიხტრში.

— მოფრინდება განრიგით განსაზღვრულ დროს.

დამშვიდებული ვცილდები ცნობათა ბიუროს ჩიხტრს. ახლალა ვგრძნობ, რა დახუთული ჰაერია უზარმაზარ მოსადეღელ დარბაზში.

ისევ გარეთ გამოვდივარ.

ყინავს. ცა მოწმენდილია და მზეს ვეფიცხები. სხივებს სითბო დაჰკარგვია. მაინც მსიამოვნებს მზეზე დგომა.

საათს დავცქერი. ორმოცდახუთ წუთში თვითმფრინავიც მოფრინდება თბილისიდან. როგორც რამდენიმე წლის წინ, ეკას რომ ვხვდებოდი ხოლმე, ახლაც ისეთივე საოცარი ნეტარებით მეცხება გული ნანას მოლოდინში. მსიამოვნებს იმის გაცნა, რომ წუთში ოცდაათი კილომეტრით მცირდება მანძილი ჩვენს შორის.

ნანა მივლინებით მოდის მოსკოვში. მივლინების დღეები სრულიად შემთ-

ხვევით დავმთხვა ჩემს მოსკოვში ყოფნას.

როგორი იქნება ზამთრის ტანსაცმელში?

ჯერ იგი პლაშჩითაც კი არასდროს მინახავს. თბილისში თბილი ამინდები იყო, მე რომ წამოვედი. მოსკოვში ოქტომბრის თხუთმეტიდან უკვე თოვს. ახლა ოცი ოქტომბერია. მზიანი, მაგრამ სუსხიანი დღე დგას. ყინვა ალბათ ხუთი გრადუსი მაინც იქნება, თუ მეტი არა.

ნელი ნაბიჯით აეროპორტის მარცხნივ მდებარე ტყისკენ მივემართები. მინდა როგორმე მოვკლა დრო.

თვითმფრინავის მოფრენამდე ორმოცი წუთი რჩება. ამ დროს კიდევ ოცი წუთი მაინც უნდა დავუმატოთ, სანამ ნანა აეროპორტის მოსადეღელ დარბაზში შემოვიდოდეს. დროს ორ ნაწილად ვყოფ და მეორე ნაწილზე სრულებით არ ვფიქრობ. მთავარია, დაჯდეს თვითმფრინავი, მერე დრო უფრო სწრაფად გავა.

გურამ ფანჯიკიძე
აპტიუარი მზის წაღიწადი

კიდეც ოცდაჩვიდმეტი წუთი...

გული მიმძიმდება.

ეკა...

განა ასე არ ველოდებოდი აქვე ეკა-საც?

განა თვითონაც არ დამხვდა ორჯერ? თავს ენერგიულად ვიქნევ, თითქოს მინდა ფიქრი სამუდამოდ გავფანტო.

ყინავს.

ჰაერი თითქოს უფრო მკვრივია, ყოველ შემთხვევაში, ფიზიკურად უფრო განვიცდი მის არსებობას. ყინვამ ჰაერი თითქოს შეამკიდროვა და დააკრისტალა კიდეც. ტყისკენ მივემართები და დინჯად მივარღვევ ცივი, მაგრამ სასიამოვნო კრისტალების თხელ, გამჭვირვალე ქსოვილს.

კიდეც ოცდათორმეტი წუთი...

ნეტავ როგორი იქნება ზამთრის ტანსაცმელში? პალტო ან ქურჩი ზომ არ დაუკარგავს ნანას შეკრულ სხეულს მოძრაობის პლასტიკასა და ჰაეროვნებას? გამოჩნდება მისი სხეულის უნაკლო პროპორციები?

გული ისევ მეცხება ნეტარებით.

ერთი წვეთი შხამი მაინც მიმღვრევს სულსა და განწყობილებას.

ეკა...

ალბათ ეკა ყოველთვის ჩადგება ჩვენს შორის...

რატომ?

ვითომ ისევ მიყვარს ეკა?

სისულელეა!

უბრალოდ, სინდისი მქენჯნის.

იქნებ აქ არც უნდა დავხვედროდი ნანას? იქნებ არ უნდა განმეორებულობოდა ის სანეტარო წუთები, ეკასთან შეხვედრისას რომ განმიცდია აქ, ამავე აეროპორტის მოსაცდელ დარბაზში?

იქნებ ჩემზე გამაღიზიანებლად მოქმედებს ამ ორი შეხვედრის საოცარი მსგავსება?

ჯობდა, ვინმე მეგობარი ან ნაცნობი წამომეყვანა, მაშინ ძალზე განსხვავებული იქნებოდა ნანასთან შეხვედრა, მაშინ ასე მძაფრად აღარ გამახსენდებოდა ეკას მოლოდინში გატარებული მღელვარე წუთები.

რასაკვირველია, სინდისი მქენჯნის.

რასაკვირველია, დღევანდელი ღამე მინდელი შეხვედრების მსგავსება აღიერებს ჩემს ტანჯვას.

ვითომ ტანჯვას?

უბრალოდ, ვწუხვარ, რომ რაღაც უსიამოვნო განცდა ხელს მიშლის ბოლომდე ვიგრძნო ჩემი დღევანდელი ბედნიერება.

კიდეც ოცდასუთი წუთი...

ეს თითქოს გუშინ იყო.

აკადემიკოსი ლევან გზირიშვილი ყურადღებით დასცქერის ფირს, ზედ უცნობი და უცნაური ელემენტარული ნაწილაკის დაშლის კვალი რომ არის აღბეჭდილი.

მაინც რა უჩვეულო მღელვარებაა შემოიპყრო, როცა ფირზე ტეხილი კვალი შევნიშნე. თვით ტეხილი კვალი როდი იყო სიახლე. ფრენის დროს ნაწილაკების დაშლა ჩვეულებრივ იწვევს ხოლმე კვალის დატეხვას. აი, ნაწილაკი ორად გაიყო, ფირზე კი მხოლოდ ერთი კვალი მიდიოდა გაყოფის წერტილიდან: ესეც დიდი ხნის წინათ გაშიფრული და ცნობილი მოვლენაა, ნეიტრალურმა ნაწილაკმა ვილსონის კამერაში ფირზე ვერ დატოვა ნისლიანი კვალი, რადგან ვერ შექმნა იონური მწკრივი.

მე სულ სხვა მოვლენამ ამაღელვა.

გონებაში გავიანალიზე ყველა ცნობილი შემთხვევა. საეკვო აღარაფერი იყო, ფირზე გამოსახული რკალი სრულიად უცნობი ელემენტარული ნაწილაკის არსებობას მოწმობდა. ბევრი ფიქრის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ ფირზე აღიბეჭდა მძიმე ნეიტრალური მეზონი, რომლის მასა ორჯერ დიდი უნდა ყოფილიყო პროტონის მასაზე. უცნობი ნაწილაკი, დავასკვნე მაშინ, მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით ხანმოკლე სიცოცხლისუნარიანთა ოჯახს და წარმოიშობოდა მილიონჯერ უფრო იშვიათად, ვიდრე, თუნდაც, პი-მეზონი.

მოხუცი აკადემიკოსი დიდხანს და ყურადღებით დასცქეროდა ფირს. ბო-

ლოს იგი მომობრუნდა. თვალი გამისწორა და დინჯად მითხრა: „დარწმუნებული ვარ, ვერ გავებდავდი ამ ფირზე თუნდაც იმის მესამედი „ამომეკითხა“, რაც შენ „ამოგიკითხავს“. აკადემიკოსმა ფირი გვერდზე გადადო და ყურადღებით შემოჰხედა.

„ჩემმა სიტყვებმა გუნება არ მოგიწამლოს და იმედი არ გაგიცრუოს...“

მახსოვს, როგორ გაიტაცა ფიქრმა და როგორ ჩაილაპარაკა თავისთვის: „იმედი... იმედი...“

აკადემიკოსის სიტყვებმა თითქმის ცივი წყალი გადამსხხა, სიხარული ჩამიკლა, მაგრამ ბოლომდე ვერ დამაჯერა, რომ ძალზე თამამი იყო ჩემი დასკვნა. გულის სიღრმეში მაინც მწამდა, მართალი ვიყავი.

ჩემი მოსაზრებანი დუბნაშიც გავგზავნე და სერპუხოვოშიც. ვიცოდი, ადვილი როდი იყო, დღემდე უცნობი ელემენტარული ნაწილაკის აღმოჩენის დადასტურება, თუკი რასაკვირველია, სწორად გავშიფრე მისი არსი. ერთი მაინც მწამდა მტკიცედ, ფირზე უცნობი ელემენტარული ნაწილაკი იყო აღბეჭდილი. მით უფრო უხერხულ დღეში ჩავიგდებდი თავს, თუ ჩემი მოსაზრებანი მთლიანად ასცდებოდა სინამდვილეს.

ერთ დღეს...

განა ადვილი წარმოსადგენია, რა მოხდა ერთ დღეს?

კოსმოსური სხივების ლაბორატორიიდან თბილისში დაბრუნებისთანავე ნანას დავურეკე. სამსახურშიაო, მკვახედ მითხრა ვილაც ქალმა და ყურმილი დამიკიდა.

გაბრაზებულმა დაბლა ჩავიბრინე, მანქანა ტალახში იყო ამოსვრილი. გადავწყვიტე, ჯერ ინსტიტუტში მივსულიყავი და მანქანა მერე გამერეცხა.

დერეფანში გია შემეგახა.

— ნოდარ, შენს სახელზე წერილია სერპუხოვოდან! — მითხრა მოსალმების ნაცვლად.

— სერპუხოვოდან?!

საფეთქლები ერთბაშად დამებერა.

ვიგრძენი, ძარღვებში სისხლი როგორ გამიფითრდა.

— ჰო, სერპუხოვოდან, გუშინწინ მოვიდა. ვიცოდი, დღეს ჩამოდიოდი და აღარ შეგატყობინე. ახლავე მოგიტან.

„წერილია სერპუხოვოდან!“

მაინცდამაინც რატომ ვიგულისხმე, რომ წერილი ჩემს მიერ ნავარაუდევ (წერილმა შემაკრთო და ვეღარ გავბედე გამეფიქრებინა — აღმოჩენილ) უცნობ ელემენტარულ ნაწილაკს შეეხებოდა?

იქნებ სრულიად ჩვეულებრივი მიწვევა იყო რომელიმე სიმპოზიუმზე ან შეკრებაზე?

მაღე გიაც გამოჩნდა წერილით ხელში.

მე ახლა მხოლოდ მონაცრისფრო კონვერტს ვხედავდი, ერთი სული მქონდა, გიას მივეპარდნოდი და კონვერტი ხელიდან გამომეგლიჯა.

ნერვები დროზე მოვთოკე და გიას დინჯად გავუწოდე ხელი. ჩვენი თვლები წამიერად შეხვდნენ ერთმანეთს. შევატყვე, ერთი სული მქონდა, წერილს როდის გავხსნიდი. იქნებ ისიც მიხვდა, რომ წერილში უცნობ ელემენტარულ ნაწილაკზე იქნებოდა რაიმე ცნობა?

კონვერტი გამოვართვი და სხვათა შორის დავხედე. მერე ოთახში შევედი. გია ფეხდაფეხ შემომყვა. კარი მივხუტე, წერილი მაგიდაზე დავაგდე და ფანჯარა გამოვადე. დაბლა გადავიხედე, მანქანასაც შევაღლე თვალი. მერე მაგიდასთან დინჯად მივედი და სკამზე ჩამოვჯექი. არ მინდოდა, ავმჩატებულიყავი. უფრო სწორად, მეშინოდა, გიას არ შეეტყო, რომ ვღელავდი. თუ კონვერტში ჩვეულებრივი მიწვევა აღმოჩნდებოდა, ფსიქოლოგიურად მომზადებული უნდა ვყოფილიყავი. არავითარი სურველი არ მქონდა გიას შეემჩნია, იმედის სხივი როგორ ჩაქრებოდა ჩემს თვალებში.

ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე და გიას გავუწოდე.

გუშინაგან დაწყებული

აბტიუმი მზის წალიწადი

— არ მინდა, წელან მოვწიე.

ღრმა ნაფაზი.

თვალი ისევ კონვერტისკენ განაქცა. მისი სისქე შევამოწმე. თითქოს წერილის სისქითაც შემეძლო რაიმე დასკვნა გამეკეთებინა.

ისევ ღრმა ნაფაზი.

სიგარეტი ბოლომდე არც მომიწვია, ისე მოვსრისე საფერფლეზე და წერილი გავსენი.

მერე დიდხანს ცედილობდი აღმედგინა, რა განვიცადე პირველსავე წამს. როცა ნაბეჭდ სტრიქონებს ელვისებურად გადავაგლე თვალი. ასე მეგონა, გულს ერთბაშად დაეჯახა მაღალი ძაბვის მძლავრი ელექტრონული მუხტი, დაეჯახა, დაიშალა, ნაპერწყლებმა მთელი ორგანიზმი გასქოლა და სხეულიც უმაღვე განიმუხტა.

სიმშვიდე მალე დამეუფლა.

წერილი ჩავიკითხე და გიას მივაწოდე. ჯიბიდან სიგარეტი ამოვიღე. მოვუკიდე, ასანთი სულის შებერვით ჩავაქრე, საფერფლეზე დავაგდე და ფეხზე წამოვდექი.

— მომილოცავს! — გადამეხვია გია. — ახლავე დაფუძახებ ყველას.

— არ გინდა, მერეც მოვასწრებთ.

მართლა არ მქონდა არავისთან შეხვედრის თავი. წერილი გამოვართვი, ისევ დავეჭეძე და უფრო დინჯად წავიკითხე.

გამართლდა ჩემი ვარაუდი. ევროპის გაერთიანებული ატომური კვლევის ორგანიზაციისა და საბჭოთა მეცნიერთა შერეულმა ჯგუფებმა ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სერპუხოვოში, მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში მძლავრ ამჩქარებელზე ჩაატარეს ექსპერიმენტი. მეცნიერთა ორთავე ჯგუფი პროტონების მეზონებთან დაბომბვისას სხვადასხვა მეთოდით მუშაობდა. შედეგი კი ერთნაირი მიიღეს. აღმოაჩინეს ერთი და იგივე ნაწილაკი — ნეიტრალური მეზონი, რომლის მასა ზუსტად დაემთხვა ჩემს მიერ ნავარაუდევს და გამოდგა ორჯერ მეტი პროტონის მასაზე. სერპუხოვოდან მწერდნენ, რომ

ჩემი გამოთვლა ემთხვეოდა აგრეთვე ახალი ელემენტარული ნაწილაკების ცოცხლის ხანგრძლივობის მათეულ განსაზღვრას — ათი მინუს ოცდამესამე ხარისხში. სწორი იყო ჩემი მოსაზრებაც, რომ ახლად აღმოჩენილი ელემენტარული ნაწილი მილიონჯერ უფრო იშვიათად წარმოიშობა, ვიდრე, მაგალითად, ისეთი ნაწილაკი, როგორიცაა პი-მეზონი. აღიარებდნენ ნეიტრალური მეზონის აღმოჩენის ჩემს პრიორიტეტს და მთავაზობდნენ ახლად აღმოჩენილი ელემენტარული ნაწილაკისათვის დაგვერქმია „ჰაშ-მეზონი“.

სერპუხოვოელმა მეცნიერებმა მიმიწვიეს აგრეთვე მათ მიერ გადაღებულ და შერჩეული ფოტოფირების გასაცნობად.

ჩემი სიმშვიდე თვითონვე მოაცებდა.

გია ალბათ უკვე მეათედ კითხულობდა წერილს. სახეზე ღიმილი გადაჰკვროდა, გულწრფელი სიხარულის გამომსახველი ღიმილი.

«Прилетел самолет из Тбилиси рейсом 936. Повторяю: прилетел самолет из Тбилиси рейсом 936».

— ორნი ხართ? — მეკითხება ოფიციალტი.

— არა, ოთხნი!

— ოთხნი ვინა ვართ? — გაოცებას ვერ მალავს ნანა.

— რა გვენაღვლება, გააწყოს ოთხ კაცზე. არ მსურს, ვინმე მოგვიჯღეს და ხელი შეგვიშალოს საუბარში.

— რას დაღევთ?

— რას დავლევთ? — ვეკითხები ნანას.

— მე რას მეკითხები?! — იცინის ნანა.

— ორ უკეთეს მიიღე ხომ დაღევ. შამპანური შევეუკვეთოთ?

— კი ბატონო, იყოს შამპანური.

— ერთი ბოთლი კონიაკი და ერთიც შამპანური!

ოფიციალტი მიდის.

— მაშ ხვალვე უნდა დაბრუნდე თბილისში? — ვეკითხები სინანულით.

— ჰო, საღამოს რეისით.

— ვითომ მოასწრებ ინსტიტუტში საქმეების მოგვარებას?

— რა მოსწრება უნდა. თითქმის ყველაფერი დღეს მოვათავე, ხვალ უბრალოდ, ოფიციალურად მეტყვიან, ჩვენს ინსტიტუტს როდის გადმოუგზავნიან ცირკულარებს და სათანადო ლიტერატურას. თერთმეტ საათამდე ალბათ ამ საქმესაც მოვრჩები.

ოფიციალტმა გორგოლაჭებიანი მაგიდა ჩვენს მაგიდასთან მოაგორა. ოცი-ოცდაორი წლის ყმაწვილი იქნება, ეტყობა, საგანგებოდაა შერჩეული „ნაციონალისათვის“. თვალს სიამოვნებს მისი კეთილი სახე და დახვეწილი მოძრაობა.

— კარგი ბიჭია, არა? — მეკითხება ნანა ინგლისურად.

— ჯობია, ქართულად მითხრა, — ვუბნები მე. — ცოტა ინგლისური აუცილებლად ეცოდინება.

— ეგ აღარ გამითვალისწინებია. რასაკვირველია, ამ ოფიციალტისთვის ქართული უფრო უცხო ენაა, ვიდრე ინგლისური.

— ზეგ რომ წახვიდე?

— არ შეიძლება, ზეგ დისერტაციის დაცვა ინსტიტუტში, მე მდივანი ვარ.

— სერაპუხოვოში კიდევ მაქვს ორი დღის საქმე... — ვამბობ სინანულით.

ოფიციალტი მიდის. მოვერცხლილი საყინულედან ფრთხილად ვიღებ თეთრ-ხელსაწოცემოხვეულ შამპანურის ბოთლს და ჭიქებს ვავსებ. მერე ჩემს პატარა ჭიქაში ვასხამ კონიაკს.

— გაგიმარჯოს, ნანა! — ვუჭახუნებ ჭიქას. აღარც კი ვერიდები, ისე ვეალერსები თვალებით.

სოფლიდან დაბრუნების შემდეგ ნანა აღარ მინახავს. ათი დღე მთაში მომიწია ყოფნამ, კოსმოსური სხივების ლაბორატორიაში. მერე სრულიად მოულოდნელად, თბილისში დაბრუნებიდან მეორე დღესვე მოსკოვში გამოვემგზავრე.

წამოსვლის წინ ნანას დავუურევე, შენ არ იყო. ისე წამოვედი, ვერც კი გავაგებდი ჩემი მოსკოვში გამომგზავრების ამბავი. კოსმოსური სხივების ლაბორატორიიდან დარეკვა არ შეიძლებოდა. პატარა რაიონულ ცენტრს ოცდაათი კილომეტრი გვაშორებდა, იქ ჩასვლა არ შეუძლებოდა, მაგრამ მაინც არ ვურეკავდი. როცა სოფლიდან თბილისში ჩამოვიყვანე, ვუთხარი, ხვალ ათი დღით ლაბორატორიაში მივდივარ-მეთქი. ლაბორატორიიდან დარეკვას არც ელოდა, უბრალოდ, ავუხსენი, იქიდან დარეკვა შეუძლებელია-მეთქი. გული სინანულით მეკუმშებოდა, მაგრამ მაინც მიხაროდა, მთაში რომ მივდიოდი. მინდოდა, ის დღეები მარტოდმარტო ვყოფილიყავი, თან გამუდმებით მეფიქრა და გამერკვია, ნანა ნამდვილად მიყვარდა თუ არა.

თბილისიდან მცხეთამდე მანძილიც აღმოჩნდა საკმარისი დავრწმუნებულიყავი, რომ ნანა ნამდვილად მიყვარდა. „არა, — ვტუქსავდი ჩემს თავს, — აჩქარება არ შეიძლება, ნადრევი დასკვნები უფრო ხშირად მცდარია ხოლმე“.

დღეები დღეებს ემატებოდა და რწმენა კიდევ უფრო ნიმიტიკიდებოდა, რომ ნანა მიყვარდა, სიგიჟემდე მიყვარდა.

მხოლოდ მოსკოვიდან ველაპარაკე და გავიგე, ოც ოქტომბერს, პირველი რეისით ივითონაც მოსკოვში მოდიოდა.

როცა თვითმფრინავი ბეტონის ბილიკზე დაჯდა, თითქოს რაღაც მძივე ტვირთი მომშორდაო, ლაღად ამოვისუნთქე. რა ცვლილება მოხდა ჩემს არსებაში? სხეული როგორ აივსო სიხარულით და ენერგიით? სად გაქრა არაობისა და საკუთარი უმწეობის განცდა? ნუთუ ნანას სიყვარულმა დამიბრუნა ხალისი და მხნეობა?

ვაითუ ნანას სიყვარული წამიერი იმპულსია?!

ნუთუ ისევ განვიმუხტები, ისევ დაცარიელდები და გამოვიფიტები?

გურამ ფანჯიკიძე
აბაშიძის მუზეუმის წევრი

დავიჯერო, სერპუხოვოდან მიღებული წერილი ისევ გამეხარდებოდა, მანამდე რომ ნანას არ შეეხვედროდი?

ახლა ყველაფერი ნანას გამო მიხაროდა, როგორც ოდესღაც ეკა მაქლევდა ცხოვრების სტიმულს.

ეკა...

გულში მაინც გაწყდა ერთი ძარღვი...

რესტორანი ნელ-ნელა გაივსო ხალხით. უცხოელები სჭარბობენ. ყოველთვის მსიამოვნებს ხოლმე უჩვეულო და საზეიმო გარემო.

ნანას ვაკვირდები. მანტერესებს, გაჩირაღდებულმა დიდებულმა დარბაზმა, ფერთა სიჭრელემ, ელევანტურმა საზოგადოებამ და უცხო გარემომ ხომ არ გააფრმკრთალა ნანას სილამაზე, ხომ არ დაიკარგა მისი დიდებულება?

პირიქით, საზეიმო გარემომ თითქოს ახალი სხივი შესძინა, თითქოს უფრო წარმოაჩინა ნანას დახვეწილობა და მომხიბვლელობა, მეტი მასშტაბი შესძინა მის სილამაზეს.

დარწმუნებული ვარ, დარბაზში შემოსულ კაცს პირველად აუცილებლად ნანას ლაღი და სიამაყით აღსავსე გამოხედვა მოხვდებოდა თვალში.

— დალიე! — ვეუბნები მე.

— ხომ დავლიე ერთი ჭიქა!

— კიდევ დალიე!

— მაინც რა იფიქრე, სოფელში რომ წამოგყევი?

პაუზა.

ნანას თვალებში შევცქერი და ვფიქრობ, რა ვუპასუხო, ამ შეკითხვას ნამდვილად არ ველოდი.

— რა ვიფიქრე? განა ძნელი მისახვედრია, რაც ვიფიქრე? განა ისეთი რამ მოვიმოქმედე, რაც უკადრისის გაფიქრებას გამოხატავდა?

— მაპატიე! — ამბობს ღიმილით ნანა.

— გაპატიე! — ვამბობ მეც, — დალიე!

— ამ ერთ ჭიქას ნელ-ნელა დავცლი ბოლომდე. მეტი არ შემიძლია. იცი, სოფელში რატომ წამოგყევი?

???

— მე ძალზე დამაინტერესა შენმა პიროვნებამ.

— ნუთუ...

— ვიცი, რასაც მეტყვი, ჩვენი ვაგონის კუბეში შეხვედრა არაფერ შუაშია, თუმცა ნაწილობრივ მასაც მიუძღვის წვლილი.

სიგარეტი.

— როდესაც აკადემიკოსმა გზირიშვილმა თავი მოიკლა, შენ თურმე იქ ყოფილხარ და მისი სახედისწერო გადაწყვეტილებაც გამოგიცვნია.

— საიდან იცი?

— თბილისი მაინც პატარა ქალაქია, არაფერი არ იმალება. მით უმეტეს, ეს ამბავი არ იყო მოკლებული სენსაციურობას.

— მერე? როგორც დაკვირვების ობიექტმა, დავაკმაყოფილე შენი ცნობისმოყვარეობა?

— უფრო მეტად, ვიდრე ველოდი.

პაუზა.

— იცი, ნოდარ, შენ რომ რაიმე შეშლოდა, ალბათ მე სამუდამოდ დავკარგავდი რწმენას...

ნანას თვალებზე ცრემლი მოადგა.

როგორ მინდა წამოვდგე და თვალები დავეუოცნო. მინდა რაღაც ვთქვა, მაგრამ ვერ ვახერხებ. საბოლოოდ მაინც ვცლაპავ ყელში გაჩხერილ ბურთს და ისევ ჭიქას ვკიდებ ხელს.

გივი რამიშვილი შემოსასვლელთან იდგა და დარბაზს ათვალიერებდა. ალბათ თავისუფალ მაგიდას ეძებდა. რომ დამინახა, თვალებში სიხარული ჩაუდგა და ჩემსკენ წამოვიდა.

— ნოდარ, გამარჯობათ! — მითხრა მან და გადამხვია.

გივიზე ისე უფროსი არ ვიყავი, „ბატონობით“ ან „პატივცემულობით“ მოემართა, მაგრამ შენობით ლაპარაკიც ვერ გამიბედა.

— გაიცანით, ნანა ჯანდიერი! — მივმართე მეც თქვენობით.

ნანამ გაუღიმა. გივიმ პასუხად თავი დაუქრა.

— დაბრძანდით! — ვთავაზობ სკამს.

— ვესტიბიულში მეგობარი მელოდება.

— ცოტა ხანს ჩამოჯექით.

გივი ჯდება.

— უცხოა ვინმე?

— არა, ერთი ქალიშვილია, რომელიც მალე ჩემი მეუღლე გახდება.

— ოჰო, მაშ ჩვენთან ივანეშმეთ. სუფრა მაინც ოთხ კაცზე მაქვს გაშლილი.

— ხომ არავის ელოდებით?

— არავის. უბრალოდ, არ მინდოდა, უცხო ხალხი მოსხდომოდა ჩვენს მაგიდას.

— ხელს ხომ არ შეგიშლით?

— იქნებ პირიქით, თქვენ გასურთ მარტო ყოფნა?

— როგორ გეკადრებათ. პირიქით, ძალზე მადლობელი დაგრჩებით.

გივი მიდის.

— ვინ არის? — მეკითხება ნანა.

— გივი რამიშვილი. გეოფიზიკურზე სწავლობდა ჩემზე ორი წლით უკან.

— ახლა სად მუშაობს?

— თუ არ ვცდები, გეოფიზიკის ინსტიტუტში უნდა იყოს განყოფილების გამგე. იქნებ არ გსიამოვნებს მათი სტუმრობა?

— რას ამბობ!

— რომ არ მოგვეპატიჟა, უხერხული იყო. დარბაზში არცაა სხვა მაგიდა თავისუფალი.

— რატომ ბოდიშობ?

ფართო, მოვარაყებული მუხის კარი ისევ გაიღო და გივი რამიშვილი დარბაზში ქალიშვილს შემოუძღვა.

სიგარეტისკენ წაღებული ხელი ჰაერში გამიშვეშდა.

ათი ათასი წვრილი ბურღი ერთბაშად შეიჭრა გულში.

ეკა!

იგი ნელა მოაბიჯებს, ჯერ ჩვენსკენ არც იხედება, მოდის და ამაყად ათვალიერებს დარბაზს. ალბათ უნდა, შორიდანვე შენიშნოს მაგიდა, სადაც მისთვისაა ადგილი განკუთვნილი.

კიდევ ერთი წამიც და...

ეკამ წაიფორხილა, გივიმ ხელი შეეშვა.

ჩემს სხეულში ორ ტოტად შეიჭრა ცივი ჰაერის ნაკადი.

მერე...

მერე აღარაფერი მახსოვს. მხოლოდ შუალამით, სასტუმროში მარტო დარჩენილი, ვცდილობდი აღმედგინა რა მოხდა მანამდე, სანამ ეკა და გივი მაგიდასთან მოვიდოდნენ.

ნანამ, ბუნებრივია, დაინახა ჩემი გაქვავებული სახე და უკან შებრუნდა. უნდოდა დაენახა, რამ შემიცვალა ასე სახე. ეტყობა, შემეშინდა. არაფერს მიმხვდარიყო. უნებურად ხელი სიგარეტისკენ წავიღე. ალბათ უკანასკნელი ენერგია მოვიკრიბე და ფეხზე წამოვდექი.

— გაიცანით!

— ეკა! — ღიმილით დაუქრა ნანას თავი.

მერე ჩემსკენ მობრუნდა.

— ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს, — უთხრა გივის.

— მართლა? — გაუკვირდა გივის.

— ჰო! — ვამბობ მეც და ვგრძნობ, შუბლზე როგორ მასკდება ოფლი.

ეკა ნანას გვერდით აპირებს დაჯდომას.

— უხერხულია, ქალები ცალ მხარეს ისხდეთ, ჩვენ კი მეორე მხარეს, — ამბობს გივი, — შენ ნოდართან დაჯექი.

ეკა ჩემს გვერდით ჯდება.

წელანდელი ღიმილი, ელდით და ტკივილით აღსავსე ღიმილი, თითქოს ვიღაცამ მიახატა ჩემს სახეს.

როცა ყველანი დასხდნენ, მხოლოდ მაშინ ვხვდები, რომ მარტო მე ვდგავარ ფეხზე.

უნებურად თვალი ნანასკენ გავაპარე. ვითომ მიხვდა, რაც მოხდა? არა მგონია. იგი აღტაცებული შეჰყურებს ეკას, აშკარაა, მოეწონა.

არც გივის შეუნიშნავს რამე.

ეკასკენ გახედვა მეშინია.

გურამ დანჯიშიძე

აბაშის მუხის წელიწადი

ვერძნობ, სქელი, უხეში საღებავით მოხატული ღიმილი როგორ მიმახმამ ტუჩებზე.

სადაც, შორიდან ზღვის ხმაური ჩასწვდა ჩემს სმენას. მერე ეს ხმა თანდათან გაძლიერდა. ტალღები ჯერ წამოიჭოჩრა, მერე წამოიზიდა და ბოლოს მთებივით წამოიმართა. უკვე ვხედავ, ქედვით გრძელი და მაღალი ტალღა როგორ იხვევს აქაფებულ ქოჩორს.

ნებისყოფას მაქსიმალურად ვაბავ და ვცდილობ, ზღვის ტალღების ხმა როგორმე ჩავახშო ჩემს არსებაში.

— მივლინებაში ხართ? — ჩამესმის შორიდან გივის ხმა.

— ბატონო? — ვერ აღვიქვამ, რას მეუბნება.

— მოსკოვში მივლინებაში ხართ-მეთქი?

— ჰო, მივლინებაში ვარ, უფრო სწორად, მოსკოვში კი არა, სერაპუხოვში.

ოდნავ ვმშვიდდები, ზღვის ტალღების ხმაური ახლა შორიდან მოაქვს ნიავს.

დარბაზში ჩვენს ოფიციალს მოვკარი თვალი და სუფრასთან მოვიხმე.

— თუ არ გეწყინებათ, მე შევუკვეთავ! — ამბობს გივი.

— დღეს ჩვენი სტუმრები ბრძანდებით, ამაზე მეტს ნულარ ვილაპარაკებთ.

„ჩვენი სტუმრები“.

გივი აღარ მიძალიანდება.

სიგარეტი.

ყვითელი, პლანტი შხამი ნელ-ნელა წეება სხეულში.

ბედად, ორკესტრი წამომეშველა.

„ჩვენი სტუმრები“, — მაგონდება წელანდელი ნათქვამი და ვცდილობ წარმოვიდგინო, ამ სიტყვებმა როგორ დასერა ეკას გული.

დასერა კი? იქნებ მხოლოდ დამცინავი ღიმილი გამოიწვია და მეტი არაფერი?

ბოლოს მაინც ვხედავ და ეკასკენ თავს ოდნავ ვაბრუნებ. თვალში მხედება მისი გაფითრებული სახე.

გულში ისევ შეიჭრა უთვალავი წერტილი ბურღი.

— სიგარეტი ხომ არ გაქვს? — მეუბნება ტუალეტში ვილაც მთვრალი კაცი. ჯიბეში ხელს ვაფათურებ. მაგონდება, რომ სიგარეტის კოლოფი მაგიდაზე დევს, რესტორანში.

ხელით ვანიშნებ, არა მაქვს-მეთქი. მერე ცივ წყალს ვუშვებ და პირს ვიბან. სიამოვნებით შევუშვერდი თავს, რომ არ მეუხერხულებოდეს. ბევრი თითქოს არ დამიღვია. სახე მაინც მიხურს. სარკეში ვიხედები, საფეთქლებზე ძარღვები საშინლად დამბერვია. ლამის ხელის მოკიდებაც შეიძლება.

— მეგობარო, ვერ მომაწევინებთ? — მეუბნება იგივე კაცი. თვალეები სანახევროდ დაუხუტავს და ისე ლაპარაკობს.

წყნარი, მელოდიური ბლიუზი.

— ეკა, ვიცეკვოთ! — ამბობს გივი და ფეხზე დგება.

— თქვენ არ იცეკვებთ? — ღიმილით ეკითხება ეკა ნანას.

— ეგ ჩემზე არ არის დამოკიდებული! — ამბობს ნანა.

— იცი, ნანა, მე ხომ ჯერ შენთან არასდროს არ მიცეკვია. ახლა რატომღაც არა ვარ ცეკვის გუნებაზე. მინდა ჩვენი პირველი ცეკვა სამუდამოდ ჩამჩეს გონებაში. სხვა დროსაც მოვასწრებთ ცეკვას. — ვუთხარი ნანას, როცა გივი და ეკა მოცეკვავე წყვილებს შეერივნენ.

— კი, ბატონო! — იღიმება ნანა.

ორკესტრისკენ ზურგით ვზივარ და, ბუნებრივია, ვერც პატარა საცეკვაო მოედანს ვხედავ ორკესტრის წინ.

ნანა იქით იცქირება.

კონიაკით სავსე ჭიქას ხელში ვიღებ და უსიტყვოდ ვსვამ.

— ნოდარ, ვინ არის ეკა?

შეკითხვამ შემაკრთო. დაბნეული თავს მაღლა ვწევ და ნანას შევცქერი. მეგონა, მისი ცნობისმოყვარეობით სავ-

საფაღები მიხვრეტდა მუხლს. უცებ დაწყნარდი, ნანას ისევ მოცეკვავე წყვილებისავენ ჰქონდა თვალი მიპყრობილი.

— ვინ უნდა იყოს? ჩვეულებრივი ქალიშვილია, მუსიკის მასწავლებელი.

— დიდი ხანია იცნობ?

— არც ისე.

პაუზა.

რატომ მეკითხება? ვითომ მიხვდა რამეს? ალბათ მიხვდა. ქალს რას მოატყუებ! რასაკვირველია, მიხვდა!

პაუზა.

მაინც რას უნდა მიმხედარიყო? ვთქვათ, ეკა ოდესღაც მომწონდა კიდეც. მერე რა? განა ეს ნიშნავს რამეს?

სიგარეტი.

ღრმა ნაფაზი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა წვება სხეულში.

— რა ლამაზი ქალია, არა?

ისევ შემაკრთო ნანას შეკითხვამ. ისევ გცდილობ მის სახეზე წავიკითხო, რაიმე ქვეტექსტი ხომ არა აქვს ამ შეკითხვას. ნანას მშვიდი სახე არაფერს მეუბნება.

— ჰო, ძალიან ლამაზია.

თვითონვე არ მომწონს ჩემი უხალისო ხმა.

— იცი, რა ტიპის ქალია? რაც ღრო გავა, მით უფრო დამშვენდება. ნეტავი რამდენი წლისაა?

???

— მაინც რამდენისა იქნება?

— ალბათ ოცდაშვიდი ან ოცდარვა წლისა.

— მეც ასე ვიფიქრე!

პაუზა.

კიდეც ვსვამ ერთ ჭიქა კონიაკს, მაგრამ ველარაფერი მიმსუბუქებს გრანიტის ლოდივით დამძიმებულ გულს. თავს ვედარ ვიმორჩილებ. უნარი აღარ შემწევს გავიდიმო, ან საუბარი სხვა თემაზე გადავიტანო. ვიცი, დუმილი კიდეც უფრო მიმძიმებს გულს. ვიცი, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ნებისყოფა უნდა მოვიკრიბო და მხიარული იერი მივიღო. ვითომ ვერაფერს მიხვდა ნანა? მა-

ინც რას უნდა მიმხედარიყო?! ეკასთან ყოველგვარი ურთიერთობა გავწყვეტე მერე რა, რომ შემთხვევით შევევძინე ერთმანეთს. მერე რა, რომ გუნება მომეწამლა. უბრალოდ, უხერხული სიტუაცია შეიქმნა და მეტი არაფერი. სირცხვილის გრძნობამ დამთრგუნა და ამაფორიაქა. თვენახევარიც არ გასულა, რაც ერთმანეთს დავშორდით, მე კი უკვე სხვა მიყვარს, სხვასთან ვარ ლაღი და ბედნიერი. მანამდე თავგამოდებული ვუმტკიცებდი, გამოვიფიტე, დავილაღე, მეტი აღარ შემძლია-მეთქი. აღარც სამეცნიერო მუშაობის ხალისი მაქვს და აღარც არავინ შემიყვარდება-მეთქი.

თვითონაც არ მჯერა ჩემი ნაფიქრი. ვითომ მხოლოდ მოულოდნელმა და უხერხულმა შეხვედრამ ამაფორიაქა?

არა, ჩემი ახლანდელი განწყობილება სულაც არ არის დანაშაულზე წასწრებული კაცის მტანჯველი განცდა. სულ სხვა სიღრმის და სულ სხვა ზომის ტკივილმა დაამძიმა ჩემი გული.

იქნებ მიყვარს ეკა?

სისულელეა!

აბა რა მემართება?

იქნებ შურის გამო მომეძალა ბოლმა? რა შემშურდა? განა არ უნდა გამხარებოდა, რომ ეკა, ბოლოს და ბოლოს, გზას დაადგება და შექმნის ოჯახს? იქნებ სხვის გვერდით რომ დავინახე, უფრო მძაფრად განვიცადე ეკასთან გატარებული სიყვარულით გაჯერებულ წლები?

არა, არც შურს დავუბოღმე ვარ და არც სრულიად მოულოდნელი, უხერხული შეხვედრით შემოწოლილი სირცხვილის გრძნობას დაუმიმდებია ჩემი სული.

იქნებ გულის სიღრმეში ისევ იფეთქა ეკას სიყვარულმა?

შეუძლებელია!

— ოთხი ყავა, თუ შეიძლება.

— ახლავე მოგიტანოთ?

გუბრამ ფანჯიკიძე

აპტიური მზის წელიწადი

— ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ.

— ბატონი ბრძანდებით.

— რა კარგად ცეკვავდით! — ეუბნება ნანა ეკას.

— მართლა? — ელიმება ეკას.

— ძალიან გიხდებათ ცეკვა!

— გმადლობთ კომპლიმენტისთვის.

თითზე ბეჭედი შევნიშნე, ჩემი ნახუ-
ქარი ბეჭედი, დამასკოდან რომ ჩამოვუ-
ტანე.

გული კიდევ უფრო დამიძიმდა და
კონიაკის ჭიქები შევავსე. უფრო სწო-
რად, ჩემი ჭიქა შევავსე, გივის ჭიქა საე-
სე იყო.

— დავლიოთ! — ვეუბნები გივის, —
თქვი რამე!

— რა ვთქვა? მოდი, დღევანდელ სა-
ღამოს გაუმარჯოს...

სადღეგრძელოს დამთავრებას არ ვე-
ლოდები, ჭიქას ხარბად ვცლი.

გივიმ დალია თუ არა, ისევ ბოთლს
დავწვდი.

— მეტი არ გინდა, ნოდარი! — მეუბ-
ნება სასოწარკვეთილი ეკა.

შიშისაგან გული გამიჩერდა. ეკა ხმამ
გასცა, სასოწარკვეთილმა წამოძახილ-
მა, — „მეტი არ გინდაო“. ასე შემფო-
თებულები მხოლოდ ახლობელ ადამი-
ანს მიმართავენ ხოლმე. თვალი უნებუ-
რად გივისკენ გავაპარე. არაფერი შეუ-
ნიშნავს. მერე ნანას შევხედე. მასაც
მშვიდი ღიმილი გადაჰკვრია ბაგეზე.
შევებით ამოვისუნთქე.

კონიაკით მაინც შევავსე ჭიქები. შე-
ვავსე დინჯად, აუღელვებლად (ჰმ,
„აუღელვებლად“!), ვითომც არაფერი
მომხდარიყო.

ეკას ამჯერად ხმა აღარ ამოუღია.
მისმა უტყუარმა ალლომ უმაღლე გამო-
იცნო ჩემი შიშის მიზეზი. თვითონაც
მიხვდა, რომ თავი გასცა.

ორკესტრმა ისევ დაუკრა.

— შეიძლება, ნანასთან ვიცეკვო? —
მკითხა გივიმ.

— დიდი სიამოვნებით, — გავიღიმე
მე.

მე და ეკა-მარტონი ვრჩებით.

ერთხანს მაგიდას დავცქერი. ^{მართალია}
ვენი ზურგით ვზივართ ორკესტრისა და
პატარა საცეკვაო მოედნისაკენ. ვილაც
ნასვამი ახალგაზრდა ეკასკენ გამოეშუ-
რა. ბუნებრივია, საცეკვაოდ უნდოდა
გაეწვია, მაგრამ ისეთი თვალებით შევ-
ხედე, უმაღლე უკან გაბრუნდა.

ეკას სახეზე ნაღვლიანი ღიმილი გა-
მოესახა.

— აქ მივლინებაში ხარ, ნოდარ? —
მკითხა უცებ.

— ჰო, სერპუხოვოში გამომიძახეს.

— იმ უცნობი ნაწილაკის თაობაზე
ხომ არა, შენ რომ აღმოაჩინე?

— ჰო, იმ ნაწილაკის თაობაზე.

— დადასტურდა?

— ექსპერიმენტით დადასტურა ორმა
ჯგუფმა, რომლებიც სხვადასხვა მეთო-
დებით მუშაობდნენ.

— მერე? აღიარეს შენი პირველობა?

— იმითმე გამომიძახეს.

— მომილოცავს, ნოდარი!

— გმადლობ, ეკა!

„გმადლობ, ეკა“, — განა ეს ჩემი
ფრაზა იყო? განა წარმოვიდგენდი, რომ
ოდესმე ასე მივმართავდი ეკას?

უხარია?

რასაკვირველია, უხარია. აშკარად
ვამჩნევ სიხარულის სხივმა როგორ გა-
იელვა ნაღველჩაწოლილ თვალებში.

პაუზა.

სიგარეტი.

არ ვიცი, რა ვთქვა.

ვღელავ, საშინლად ვღელავ. არა,
მარტო მღელვარებას ვერ დავარქმევ იმ
სულიერ შფოთვის, რასაც ახლა შევეუყ-
რივარ. იგი უფრო მეტია, ვიდრე მღელ-
ვარება.

ეკა გვერდით მიზის. უხერხულად
შევცქერი. თითქოს მრცხვენია, თვალს
რომ მალულად ვაპარებ მისკენ. ჩვენს
შორის თითქოს უხარმაზარი მანძილი
გაიჭიმა.

ღუმილიც უხერხული ხდება.

რა ვთქვა?

ნერვები უფრო მეძაბება.

არც ეკა იღებს ხმას. ღარბაზს გას-



ცქერის, ხალხს ათვალიერებს, თითქოს ძალზე აინტერესებდეს, ვინ არიან რესტორანში. უკან, სადაც ორკესტრი უკრავს და პატარა საცეკვაო მოედანზე წყვილები ტრიალებენ, არც იხედება. მაგიდის მეორე მხარეს რომ ვისხდეთ, უფრო გამიიოლდებოდა მდგომარეობა ვითომ მოცეკვავე წყვილების ცქერით ვიჭნებოდი გართული. ასლა კი დუმილი აუტანელი ხდება.

— დიდი ხანია, აქა ხარ? — მიხსნა ისევ ეკამ.

— ერთ კვირაზე მეტია.

ლრმა ნათაზი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ისევ ჩაწვა სხეულში.

ბოლოს ვბედავ და შამპანურით სავსე ჭიქას ვკიდებ ხელს.

— ეს შენ გაგიმარჯოს, ეკა! — ვამბობ ჩუმად. ჭიქას მაგიდიდან ოდნავ ვწევ. არ მინდა გივიმ და ნანამ დამინახონ, რომ მათ გარეშე ესვამ ეკას სადღეგრძელოს.

— გმაღლობ, ნოდარ.

— მინდა რომ ბედნიერი იყო, მეტი არაფერი! — ჭიქას სწრაფად ვცლი.

კინალამ გამოუსწორებელი სისულელე ჩავიდინე, კინალამ თქვენობით მივმართე ეკას. ნუთუ ასე დავშორდი? ნუთუ ასეთი უცხოები გავხდით ერთმანეთისათვის?

ეკას პასუხად არაფერი უთქვამს, მხოლოდ გადმომხედა და გამიღიმა.

— მეტს ნუ დაღევ, უკვე მოგეკიდა სასმელი. — თქვა მცირე პაუზის შემდეგ. თითქოს მიმიხვდა, კიდევ რომ ვაპირებდი ჭიქის შევსებას.

მუსიკა შეწყდა.

უკან მივიხედე და მაგიდებისაკენ მომავალ წყვილებში ნანა და გივი მოვძებნე. ნანას შორიდანვე გავუღიმე, როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდნენ. მეშინოდა, ჩემს სახეზე ის საშინელი სევდა არ ამოეკითხა, გულში რომ ნელ-ნელა და საფუძვლიანად მასობდა ბრწყალებს.

გივიმ თავზიანად გამოსწია ნანას სკამი.

— გმაღლობთ! — უთხრა ნანას, თუმცა მივხვდი, ეს „გმაღლობთ“ მე მეცხრე ვნოდა. ჩემი მისამართით იყო ნათქვამი. მერე თვითონაც დაჯდა და ყავა მოსვა.

— რომელ სასტუმროში ხართ გაჩერებული? — მკითხა უცებ გივიმ.

— „ბუდაპეშტი“.

— კარგი და წყნარი სასტუმროა „ბუდაპეშტი“. — მიუბრუნდა ნანას.

— მე „მოსკოვში“ ვცხოვრობ, — თქვა ნანამ.

— ჩვენ „როსიაში“, ოღონდ სხვადასხვა ბლოკში! — გივიმ კონიაკით შეავსო ჭიქები — რატომღაც არ მიყვარს იმ სასტუმროს რესტორანში შესვლა, სადაც ვცხოვრობ.

— მე უნდა წავიდე! — თქვა უცებ ეკამ.

გივის ბოთლიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

— დავრჩეთ ცოტა ხანს!

— არა, ხვალ უამრავი საქმე მაქვს.

— კარგი, წავიდეთ! — აშკარად გულდაწყვეტილი დაეთანხმა გივი, ჭიქები მაინც შეავსო.

— დიდ მაღლობას მოგახსენებთ დღევანდელი საღამოსათვის. — ჯერ ნანას გაუღიმა, მერე მე. — იმედი მაქვს, ხვალ ისევ შევხვდებით ერთმანეთს. ოღონდ ხვალ ჩვენი ჯერია. ტელეფონის ნომერს ახლავე დაგიწერო. — ჭიქას მაგიდაზე დგამს, ჯიბიდან კალმისტარს იღებს და ტელეფონის ნომერს ქაღალდის ხელსახოცზე წერს. მერე კალმისტარს მე მაწვდის. — დამიწერეთ თქვენი ნომერი.

სასტუმროს ტელეფონის ნომერი ზეპირად არ მახსოვს. ჯიბიდან სავიზიტო ბარათს ვიღებ. იქ მიწერია ჩემი ტელეფონის ნომერი. ვიცი, სისულელეა ტელეფონის ნომრების ჩაწერა. ქვეყანა რომ დაინგრეს, მაინც აღარ მოვისურვებ მათთან შეხვედრას. ქაღალდის ხელსახოცს მაინც მთელი სერიოზულობით ვიღებ ჯიბეში.

გურამ ზანდუჩიძე
პატიმარი მზის წელიწადი

გივიმ ისევ ჭიქას მოჰკიდა ხელი, მო-
მიჭახუნა და დალია. მე უსიტყვოდ გა-
დავკარი.

— კარგად იყავით!

ეკა ფეხზე წამოდგა. ალბათ ეშინია
გივიმ ისევ არ გააგრძელოს საუბარი.

— კარგად ბრძანდებოდეთ! — გივიც
მკვირცხლად წამოდგა და სკამი მაგი-
დისკენ მისწია.

ეკამ გამოთხოვების ნიშნად ნანას თა-
ვაზიანად გაუღიმა, მერე მე დამიკრა
თავი და გასასვლელისაკენ გაემართა.
გივიმ ჭერ ნანას აკოცა ხელზე, მერე მე
ჩამომართვა ხელი, ორი ნაბიჯით უკან
დაიწია, მადლობის ნიშნად ხელები ერთ-
მანეთს გადააჭდო, რამდენჯერმე დავვიქ-
ნია და წავიდა. მანამ ვიდექი ფეხზე, სა-
ნამ გივი ეკას არ წამოეწია შუა დარ-
ბაზში.

— რა მშვენიერი ქალია! — თქვა ნა-
ნამ.

ვითომ არც გამიგონია ნანას სიტყვე-
ბი, უკან მოვიხედე და ოფიციალტს და-
ვუწყე ძებნა. მეშინოდა, თვალი ისევ
გასასვლელისაკენ არ გამქცეოდა, სა-
დაც ეს-ესაა ალბათ უკვე მიიმალნენ
ეკა და გივი.

ორკესტრმა ისევ დაუტრა.

— ვიცეკვოთ! — მეუბნება ნანა.

სიკედლილივით მეზარება ადგომა, მაგ-
რამ უარს ვერ ვეუბნები.

უმალვე ვიგრძენი ნანას მოქნილი წე-
ლი და ავაზასავით დაჭიმული სხეული,
მაგრამ ნალველგადასხმული გული მა-
ინც აღარ გამომიბრუნდა.

ნუთუ ნანამ ვერ იგრძნო, რაც მოხდა?
ნუთუ ვერაფერი შემატყო? დავიჯერო,
ისე მოვთოკე ნერვები, რომ ჩემი გრძნო-
ბები და განცდები არ გავეცი? ნუთუ
გივი რამიშვილმაც ვერ შემნიშნა, დამ-
ნაშავესავით რომ ვიჯექი?

მხოლოდ ეკა მიხვდა, ჩემს სულში
რაც ხდებოდა. თუმცა თვითონ? თვითონ
უფრო საშინელ დღეში არ ჩავარდა?

ყელში ისევ გამეჩხირა უზარმაზარი
ბურთი.

ნანა...

ნანა ჯანდიერი...

თვალი სანახევროდ მოუხუჭავს და
ისე ცეკვავს. წაბლისფერი თმა მხრებზე
გადაშლია. თითქოს ნეტარების ბურთს-
შია გახვეული. საესე მკერდი შავ რო-
ლინგსტონში კიდევ უფრო გამოჰკვეთია,
ჯინსის კურტკის ქვეშ რომ აცვია.

როგორ უნდება ვერცხლის სქელი სა-
მაჯური, დიდი დაღესტნური ბეჭედი და
მძიმე იაპონური საათი.

უნებურად ეკას ვადარებ. ეკას არ მო-
უნებდოდა ასეთი სამკაულები. ეკა თით-
ქოს უფრო ნატიფი და ნაზია, უფრო სა-
ლონურია.

ნანას სპორტული იერი, მაგრამ
მოძრაობის საოცარი პლასტიკა წმინდა
სისხლის ინგლისურ ფაშატს მაგონებს,
ადგილზე რომ ტოკავს და მოზღვავებუ-
ლი ენერგიისაგან ნესტოები რომ უთრ-
თის. თუმცა ახლა იგი მთლიანად მუსი-
კას მისცემია და თვალზემილული
ცეკვავს.

ნუთუ ვერაფერს მიხვდა?

დავიჯერო, ჩემმა თვალებმა და სახემ
არაფერი გამოხატა? ქალებს არასდროს
არ ღალატობთ ინტუიცია. იქნებ არ იმ-
ჩნევს?

ნანა ჯანდიერი...

ნანას როკი ან შეიკი უფრო მოუხდე-
ბა, ვიდრე მინავლული ბლიუზი.

წარმომიდგენია, როგორ დაეკვსავს
მისი თვალები მუსიკის გიჟურ რიტმზე,
როგორ გაიელვებს მისი დიდრონი თეთ-
რი კბილები, როგორი ვნება გამოკრთე-
ბა ოდნავ სქელი, ჯანსაღი ტუჩებიდან,
როგორი ენერგიული და მეტყველი იქ-
ნება უზადოდ პროპორციული ტანის
მოძრაობა.

ნუთუ მართლა ვერაფერს მიხვდა?

— როგორ თოვს! — ამბობს ნანა და
ქურქში ეხვევა. — გინდა, ცოტა გავი-
სიერნოთ?

ხელკავს მიკეთებს და ისე მივუყე-
ვით გორკის ქუჩას. სახით თითქოს მი-
ვარდევ გამოკვრივებულ, დაკრისტალე-
ბულ ჰაერს.

ორთავენი ვლუმვართ.



რუსუდანიანი
(ქართული ეპოსი)








„ბაჰნი ბაჰნი“

„ხანძარი“





ლავარა
ქველიძე



გოლო
პერიოდის
ნამუშევრები











თოვლი სასიამოვნოდ ხრამუნობს ჩვენს ფეხებქვეშ.

რა ბედნიერი ვიყავი ჯერ კიდევ ამ სამი საათის წინ. ვგრძნობ, გრანიტის უზარმაზარ ნატეხად ქცეულ გულს ნელ-ნელა როგორ გადაეკრა ყინულის სქელი ფენა.

საშინელი სურვილი შემომამწვა, მარტო ვყოფილიყავი. მინდოდა მეფიქრა, დღევანდელი ვნებათაღელვანი გადამეხარმა, ყველაფერი ამეწონ-დამეწონა...

„ამეწონ-დამეწონა?“ განა კარგა ხნის წინ არ ავწონ-დავწონე ყველაფერი? განა ერთხელ და სამუდამოდ არ გადავწყვიტე, ეკასთან ყოველგვარი კავშირი გამეწყვიტა? აბა დღეს რა მოხდა, ძარღვები რატომ დამივიწროვდა, გული რატომ დამიმძიმდა? ბედნიერებით სავსე დღე რატომ მომეწამლა?

იქნებ იმან იმოქმედა, მე და ეკა შეთქმული დამნაშავეებივით რომ ვისხედით მე ნანას, ხოლო თვითონ გივი რამიშვილის წინ?

არა, არა და არა!
სულ სხვა განცდამ ჩამაწვეთა მწარე ნაღველი სულში, სულ სხვა ტკივილმა გამიბურღა გული.

თოვს.
ყურში გამუდმებით ჩამესმის მანქანის საბურავებზე შემოხვეული ჯაჭვების ხმა.

— შემეცოდა, უკან გავბრუნდეთ! — ამბობს უცებ ნანა.

მერე სასტუმროს ვესტიბიულში შესვლამდე დიდხანს ვიბერტყავდით ქუდებზე და მხრებზე მიყინულ თოვლს. ჰაერის თბილმა ნაკადმა ერთბაშად გასჭოლა მთელი სხეული.

— ხვალ რა დროს მოვიდე? — ვეკითხები ნანას.

— ხვალ? — ამბობს ნანა.

— ჰო, ხვალ...

დუმილი.
სიგარეტი.

— არც ხვალ და არც არასდროს შენ ჩემთან აღარ მოხვალ, ნოდარ!

თითქოს დავინახე, ჩემი სხეული როგორ დახაზა ელვამ.

— ნანა...

— გეხვეწები, ნურაფერს მეტყევი, როცა ყველაფერი ნათელია, ლაპარაკი აზრი არა აქვს...

მცირე პაუზა.
ნანას სევდიანი ღიმილი.

— შენ კარგი ბიჭი ხარ, ნოდარ, ძალიან კარგი. მიხარია, რომ არ შევცდი. მიხარია, რომ შენისთანა ადამიანები კიდევ არიან ამ ქვეყანაზე... გისურვებ ბედნიერებას. მშვიდობით!

ნანა შებრუნდა და წაივდა.
გაქცევებული იმავე ადგილზე ვდგავარ და ნანას თვალს არ ვაშორებ, სანამ ლიფტის კარი არ ჩაიკეტა. ერთხელაც აღარ გამოუხედავს ჩემსკენ.

რატომ არ გამოვედევნე? რატომ არ დავეწიე, ხელი არ ჩავავლე და არ ავუხსენი, რომ მის მეტი არაფერი მიყვარს ამ ქვეყანაზე?

საწოლზე თავდაღმა ვარ დამხოზილი. ტანსაცმელი არ გამიხდია. საწოლის გვერდით სკამი მიმიდგამს და ზედ საფერფლე, სიგარეტის კოლოფი და კვესი დამიდვია. არ მახსოვს, როდის მოვიმოქმედე ყოველივე ეს. არც ის მახსოვს, სასტუმრომდე როგორ მოვედი. მახსოვს მხოლოდ ორი რამ, ფეხით წამოვედი. მცირე თეატრთან კი ვიღაცამ მთხოვა, სიგარეტზე მომიკიდევო.

ნეტავ რა დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ნანას დავშორდი? საათი კვლავ ხელზე მიკეთია, მაგრამ სინათლის ანთება მეზარება. სინათლე რომ ავანთო, ნომერში უცებ ორი ადამიანი აღმოვჩნდებით — მე და მე. ყოველთვის უსიამოვანცდა მიპყრობს, როცა გაჭირვების ქამს ვხედავ ხოლმე ჩემს ხილულ მეს.

ახლა ისე მომხამულ გუნებაზე ვარ, მირჩევნია სიბნელეში ვიყო. მირჩევნია, საკუთარ სხეულს არ ვხედავდე და ფიზიკურად არ განვიცდიდე.

გურამ ფანჯიკიძე
პეტროპოლისის რაიონის წალიწადი

ოთახს მხოლოდ ფანჯრიდან შემომა-
ვალი ქუჩის სინათლე ანათებს ოღნავ-
გულადმა ვბრუნდები.
სიგარეტი.

მაინც რომელი საათია?
ღრმა ნაფაზი.

ყვითელი, ბლანტი შხამი ნელ-ნელა
წვება სხეულში.

ალბათ ორის ნახევარი მაინც იქნება.
შეიძლება მეტიცაა, ქუჩიდან მანქანების
მოძრაობის ხმა აღარ ისმის.

კედელზე ხელს ვაფათურებ და ბრას
ვანთებ. სინათლემ პირდაპირ თვალებში
ჩამაჰყიტა და ერთბაშად ამომაგდო იმ
სამყაროდან. უფრო სწორად, გააქრო
ის სამყარო, სიბნელებში რომ ჩამოყა-
ლიბდა ჩემს ირგვლივ.

ოთხის ათი წუთია.

სინათლეს ისევ ვაქრობ.

როდის გავიდა ამდენი დრო?

საოცარია!

თითქმის ამდენი არაფერი მიფიქრია,
უფრო სწორად, თითქმის არაფერი არ
გამიანალიზებია და არაფერი არ გადა-
მიწყვეტია. ჩიტის გუნდებივით წამოფ-
რენილი ფიქრები ისე ანადგურებდნენ
ერთმანეთს, როგორც ნაწილაკები და ან-
ტინაწილაკები.

რასაკვირველია, ნანა მიხვდა. პირვე-
ლი წამიდანვე მიხვდა ყველაფერს, ეკას
დანახვაზე რომ სახე ვამიშვებდა. რო-
გორ ვერ მივხვდი, როგორ ვერ გავიაზ-
რე ან როგორ დავიჯერე, რომ ჩემს ამ-
ღვრეულ თვალებში ნანამ თავიდან ბო-
ლომდე ვერ ამოიკითხა ჩემი და ეკას
მთელი სიყვარულის ისტორია?

მთელი დღე ვცდილობდი არ გამეველო
იმ ქუჩეებში, სადაც ეკასთან ერთად მი-
სერიანია და გონებაში სამუდამოდ ჩამ-
ბეჭდვია სანეტარო წუთები, საათები,
დღეებიც კი... ბუნებრივია, მაინც მოვხ-
ვდით კალინინის პროსპექტზე და გორ-
კის ქუჩაზე, მეტროპოლითან და მანეჟის
მოედანზე... უმაღლეს ჩვენს შორის ეკა
ჩადგა. საშინელი სისწრაფით და სიზუს-
ტით აღდგა ის წუთები და საათები, ეკა-
სთან ერთად რომ გამიტარებია ამ ქუ-
ჩეებში.

„ნაციონალი“ განგებ შევარჩიე. ამ
რესტორანში არასდროს არ ვყოფილ-
ვართ ერთად მე და ეკა.

ეკა.

ხელს სკამზე ვაფათურებ და სიგა-
რეტს ვეძებ.

არ მინდოდა იმ რესტორანში გვევახ-
შმა, რომლის დარბაზიც ერთ დროს ჩემი
და ეკას სიყვარულით იყო სავსე, სადაც
დამტანჯავდა მოგონება, როგორ
ვცეკვავდი ეკასთან, ცეკვის დროს რო-
გორ ვუკოცნიდი თვალებს, თმას, ხე-
ლებს... როგორ ფეთქავდა მისი ნატი-
ფი და ნაზი სხეული ჩემს მკლავებში და
მკერდზე, როგორ შევცვიცინებდი თვა-
ლებში, სიყვარულით ატაცებულს რო-
გორ მიპყრობდა სურვილი ვყოფილი-
ყავით მარტო, სულ მარტო...

სწორედ იქ მოგვევლინა ეკა, ნამდვი-
ლი, ცოცხალი ეკა, სადაც არასდროს არ
ვყოფილვარ მასთან ერთად.

რა იყო ეს?

ბედისწერა?

იქნებ შემთხვევითობა, რომელიც
ხანდახან ბედისწერაზე მეტია?

მაინც რამ დაშალა ჩემი სხეული, რამ
ააფორიაქა ასე საშინლად ჩემი სული?

იქნებ სირცხვილის გრძნობამ, ეკამ
რომ ნანასთან ერთად მნახა? ტყუილი,
მწარე ტყუილი რომ აღმოჩნდა ჩემი აღ-
სარება და ახსნა-განმარტებანი?

არა, მარტო სირცხვილის გრძნობა
ვერ დამთრგუნავდა ასე ძლიერ.

ეკა მიყვარს?

იქნებ ისევ მიყვარს ეკა?

თვალს გხუჭავ და სიგარეტს ისე ვჭა-
ჩავ.

მწკლარტე გემოთი ვხვდები, სიგარე-
ტი ბოლომდე დამიყვანია.

არა, არა მგონია!

აბა რატომ არ გამოვეციდე ნანას?
ხელი რატომ არ ჩავავლე, რატომ ყვე-
ლაფერი არ ავეხსენი და საუბრად
სიყვარული არ შევფიცე? რა ძალამ გა-
მაჩერა? იქნებ იმ მეორე პიროვნებამ,
ჩემს არსებაში რომ ზის და ხშირად ჩემს
მაგივრად რომ იღებს გადაწყვეტილე-

ბეზს, ჩემს მაგივრად რომ ფიქრობს და მოქმედებს?

ვითომ ისევ მიყვარს ეკა?

იქნებ ჩემს სხეულსა და ტვინის უჯრედებში ჩაარჩენილი სიყვარულის უკანასკნელმა რეაქციამ იფეთქა ასე მძლავრად?

თუ ეს უკანასკნელი რეაქცია, სხეულის უკანასკნელი გაბრძოლება იყო, რატომ არ განვიმუხტე და არ დავიცალე? უფლო რატომ დავმძიმდი, კიდევ უფრო რატომ აღვეგზნე?

ალბათ ისევ მიყვარს ეკა, ნამდვილად მიყვარს!

უკვე მიჭირს სხვა დასკვნის გამოტანა. ეკა მიყვარს, მხოლოდ ეკა და მეტი არაფერია!

აბა რატომ არ გამოვეყიდე ნანას?

რატომ, რატომ, რატომ?!

რა ძალამ გამაჩერა და გამაქვავა ერთადგილზე?

როგორ ვერ ვიგრძენი, რომ ნანა ყველაფერს მიხვდა. მერედა როგორ ეჭირა თავი, წარბიც არ შეუხრია, წამიერადაც კი არაფერი დასტყობია!

ნათუ სრულებით არ იმოქმედა ეკას გამოჩენამ და მოულოდნელად დამუხტულმა სიტუაციამ?

დიდმა ნებისყოფამ შეაძლებინა შეენარჩუნებინა სულიერი სიმშვიდე, სილაღე და სითბო თუ საკუთარი პიროვნული ღირსების გრძნობამ?

იქნებ ჯერ ნანას არ ვუყვარდი ისე ძლიერ, რომ მოულოდნელი დარტყმისაგან წონასწორობა დაეკარგა?

სკამზე ხელს ვაფათურებ და სიგარეტს ვეძებ. ამაოდ ვცდილობ, დაცარიელებულ კოლოფში სიგარეტის პოვნას. გულმოსული კოლოფს ვკმუჭნი და იქვე ვაგდებ, სკამზე.

ეკა...

თითქოს ახლა მოხდა, ამ წუთში... ვიგრძენი, ლითონივით როგორ გალღვა ჩვენი სხეულები და ერთმანეთს როგორ შევევრიეთ...

ჩემს სისხლში ისევ ვგრძნობ ეკას ცხელ სისხლს. ჩემს სხეულში ისევ ბრუნავს ეკას სხეულიდან გადმოსული ელექტრონის ნაკადი, საოცარი ნეტარებით რომ მავსებს...

ეკა...

მხოლოდ ეკა, მეტი არაფერია!

ისევ თავდაღმა ვემხოები, უკვე სიბნელეშიც მაწუხებს საკუთარი სხეული და გამოხედვა. ბალიშს ვებლაუჭები. მინდა, ღრმად ჩავგრძო თავი და ჩავახშო ხმა-დალი ფიქრები, ყოველი მხრიდან რომ მოისწრაფვიან და მეხვევიან.

სახეზე ისევ ვიგრძენი ცხელი ჰაერის ნაკადი.

საიდან მახსოვს ეს მშრალი და გავარვარებული ჰაერი?

თვალს ვახეღ. ჩემს ირგვლივ უზარმაზარი უდაბნო გადაჭიმულა. ახლადა მგონდება, ერთხელ უკვე ვიყავი ამ უდაბნოში. აი, აქ ვიდექი, ზუსტად ამ ადგილზე. ძეხორციელი არსად ჩანს. გავარვარებულ ქვიშაზე სიკვდილი გაწოლილა. მხოლოდ შუაში მიდის დრო. აშკარად ვხედავ, ნისლივით ზანტად მიიზლანება.

ირგვლივ საშინელი სიჩუმე გამეფებულია.

დრო კი მიდის, მიდის ნელა, მტკიცედ და ჯიუტად. ვდგავარ და შევცქერი, გველესაბივით როგორ მიათრევს უზარმაზარ რუხ სხეულს. მიდის და სადღაც მთებში იკარგება. არა, ჰორიზონტს იქით, მთებს აქ რა უნდა, მხოლოდ დაცემული, უკიდევანო ველია ირგვლივ. დრო კი მიდის და მიდის, არც თავი მოუჩანს, არც ბოლო, მიდის და მიიზლანება, ზანტად მიათრევს მრგვალ, რუხ სხეულს.

სურვილი მიპყრობს, ხელით შევეხო, მაგრამ ვერ გამოიხედავს.

ბოლოს მაინც ვხედავ და ფრთხილად ვეხები. შევეკრთი, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს ცხელ ორთქლში შევყავი ხელი.

უცებ გულმა უჩვეულოდ დამიწყო

გუზამ ფანჯიკია
აპტიური მზის წაღიწადი

ძგერა. არა, თვალი ნამდვილად არ მატყუებს. აშკარად ვხედავ დროში გახვეულ ადამიანებს. ისინი სწრაფი ნაბიჯებით მიდიან წინ, მიდიან აბჯარასხმული მხედრები. ურმებით ქალები და ბავშვები. მიდიან უსასრულოდ, საუქუნეები საუქუნეებს ენაცვლება.

„შიში მიპყრობს, მე სადა ვარ? სად არის ჩემი საუქუნე?

„შენ ახლა სხვა სივრცე-დროში ხარ!“ — ჩამძახის იღუმალი ხმა.

შიშის ოფლი მასხამს, საშინელი განცდა მეუფლება.

ირგვლივ ვიხედები. ძეხორციელი არ ჰაჰანებს. ისევ დროს შევცქერა. მიდის და მიათრევს უზარმაზარ რუხ სხეულს.

ვცდილობ ისევ შევიხედო მის ორთქლისებურ მასაში.

ყურში თითქოს მესმის შიშინისმაგვარი ხმა. თვალი აშკარად არჩევს თოფიარაღში ჩამჯდარ ხალხს. უკვე სხვა საუქუნე მიიზლახნება ჩემს თვალწინ.

ასე მალე?

თმა ყალუხე მიდგება შიშისა და გოცებისაგან. უმაღლეს მაგონდება, რომ მე სხვა სივრცე-დროში ვარ და ერთი წამით ვწყნარდები. მერე ისევ მეუფლება სასოწარკვეთა. რატომ ვარ სხვა სივრცე-დროში?

ან იქნებ სულაც არა ვარ სხვა სივრცე-დროში? იქნებ რაღაც ძალებით დროისა და სივრცის გარეთ აღმოვჩნდი მოულოდნელად? სხეული ისევ მისველდება ცივი ოფლით.

უცებ შორიდან გუგუნის ხმა ჩამესმის თითქოს.

ნეტავ რა უნდა იყოს?

ირგვლივ ყურადღებით ვიხედები. არაფერი არ ჩანს. გუგუნი კი თანდათან ახლოვდება და ძლიერდება.

ისევ დაფეთებული ვიხედები ირგვლივ. კვლავ არაფერი არ ჩანს. გუგუნი კი ძლიერდება, თითქმის ჩემს ყურის ძირთან გრიალებს ძრავა.

მე საპაერო ხომალდში ვარ. სიმშვიდე მეუფლება. რაც ვნახე, სიზმარი მგონია. საპაერო ხომალდში ახლა ჩემი საუქუ-

ნე, ჩემი სივრცე-დროა გამომწყვდეული. ირგვლივ ნაცნობებსაც ვხედავ. ავერ გია, დათო. ავერ მამუკა თორაძე. ავერ ეკაც!

რა მოხდა, რატომ არ მესალმებიან? ვითომ ვერ მიცნეს? დავიჯერო, ეკა თვალს მარიდებს? არა, უბრალოდ, ვერ მცნობს. ნუთუ ასეთი უცხონი გავხდით ერთმანეთისათვის! რამდენჯერმე ავუარჩავეთ, პირდაპირ თვალებში ჩავხედე. ნამდვილად ვერ მცნობს. უცებ მეც ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს ეკა კი არა, სრულიად უცხო ადამიანია ჩემს წინ.

ხომალდი მიჰქრის.

სევდამ ნელ-ნელა მომიჭირა ბასრი, წვეტიანი მარწუხები. ამოდენა ხომალდში ნაცნობს ვერ ვპოულობ. რომ დაველაპარაკო, გულის წუხილი გავუზიარო.

ავერ ჩემი ძმებიც. რეზო მაინც რატომ მარიდებს თვალს. ნუთუ მანაც ვერ მიცნო? ნუთუ ასე შევიცვალე? თითქოს თვალი ამარიდა, საღდაც მიიმალა და გაუჩინარდა.

დათოსაც და გიასაც ვეღარ ვხედავ. ნუთუ ეს წაბლისფერთმიანი ქალი ეკაა? არა, ეკა არ უნდა იყოს. იგი რაღაცას მეკითხება, მეც ვპასუხობ. არ ვიცი, რა მკითხა, არც ის ვიცი, რა ვუპასუხე. არა, ეს ეკა არაა!

აწირალებული ვაწყდები უზარმაზარი ხომალდის კედლებს. მერე ილუმიანატორში ვიხედები. ხომალდის ირგვლივ უკიდევანო სივრცე გადაშლილა. ხომალდის თავში მიმავრებული ჩვენი სივრცე-დროის საათი განუწყვეტლივ ტიკტიკებს.

ოცდათხუთმეტი წელი გასულა, რაც ამ ხომალდში ვარ გამომწყვდეული, ოცდათხუთმეტი წელი გასულა, რაც ამ სივრცე-დროის დინებას მივყვები. სული ბეზუთება. ხომალდი საპყრობილედ მეჩვენება, რომლის იქით უკიდევანო, თავისუფალი სივრცე-დროა გადაშლილი. ვაშმაგებული კედლებს ვაწყდები, გაციფებული ვეძებ გასასვლელს. ყველაფერი ბტიციედ და ჰერმეტიულადაა ჩაყე-

ტილი. გაფთვებული ვურტყამ მუშ-
ტებს ილუმინატორს, მინდა გავამტვირო
და გავიჭრა გარეთ, რომ თავი დავაღწიო
დროის ამ უმიზნო სრბოლას.

ამაო ჩემი ცდა და მონდომება.

ხომალდის თავში მიმაგრებული საათი
გულისგამაწვრილებლად ტიკტიკებს,
ხომალდი კი მიჰქრის, მიჰქრის და მიჰქ-
რის.

უცებ კედელში პატარა ნასვრეტი
შევნიშნე, ნემსის ყუნწზე წვრილი ნასვ-
რეტი. გულში იმედი ჩამესახა, იქნებ
აქედან მაინც გავძვრე და დავაღწიო თა-
ვი ხომალდში ჩაკეტილი სივრცე-დრო-
ის საპყრობილეს?!

ამო გამოდგა ჩემი სიხარული. ამ
უწვრილეს ნასვრეტში თმის ღერიც კი
არ გაეტევა, სხეულზე ლაპარაკი ზომ
ზედმეტია.

სასოწარკვეთა ზეავივით მოწყდა,
გულზე დამეცა, მომგლიჯა და თან წარი-
ტანა.

უცებ გონება მინათდება, ისევ მეცხე-
ბა სხეული იმედით. ვხვდები, ეს ის ნას-
ვრეტი, საიდანაც სულები იბარებიან
ხომალდიდან. ჩემი გადაწყვეტილება სა-
ბოლოა. ახლაც, ამ წუთში დავტოვებ
სხეულს ხომალდში. ჩემი სული კი ნელა
გაიბარება ნასვრეტში, გაარღვევს ყვე-
ლა სივრცე-დროს და გავა იქ, რასაც
ჰქვია სამყარო დროისა და სივრცის გა-
რეშე, სადაც აღარ გიბურღავს ნერვებს
და აღარ გიხვრეტს ყურს საათის მო-
ნოტონური, სულის შემხუთავი ტიკტი-
კი.

სიცივისაგან შემაჟრჟოლა.

თვალს ვახელ.

ერთბაშად ვერ ვხვდები, სად ვარ, ^{სადაც ვარ}
საწოლზე ტანსაცმლიანად ვწევარ და
თვალებს უაზროდ ვაცეცებ.

სასტუმროს მყუდრო ნომრის ნაცნო-
ბი კონტურები...

თანდათან გონს მოვდივარ.

ფანჯრებიდან დილა იცქირება, დღის
სინათლეს უკვე გაუფერმკრთალებია
ქუჩის ლამპიონების შუქი.

ოთახი სიგარეტის ბოლითაა დანის-
ლული. სუნთქვა მიჭირს, სული მეხუთე-
ბა და რიტმდარღვეული გულიც ოდნავ-
და ფეთქავს.

წელში გაწყვეტილი ვდგები და თან-
ჯარასთან მივდივარ.

თოვს.

ლამაზი, ფართო ფანტელები ლაღად
და უდარდელად მოფარფატებენ ციდან.

ფანჯარას ვაღებ. მკვრივი, ცივი ჰაე-
რი ოთახში ისე შემოიჭრა, თითქოს
წყალმა კაშხალი გაარღვიაო. შემოიჭრა
და იქაურობა ერთბაშად აავსო სუფთა,
ჯანსაღი ჰაერის ცისფერი კრისტალე-
ბით.

ფილტვებმა უმაღვე იგრძნო შვება,
საფეთქლებთან შედედებული სისხლი
ამოძრავდა და დანისლული გონებაც
ერთბაშად გამოცოცხლდა.

წუხანდელი კოშმარი სადღაც გაქრა,
შორეულ მოგონებად იქცა. თითქოს
უზარმაზარი ტვირთი ჩამომხსნესო, სა-
ოცარი სიმსუბუქე და ხალისი ვიგრძენი.

გარეთ კი თოვს.

თოვს გადაუღებლად.



ლ ე ქ ს ე ბ ი



მზემ —
 ღრუბლის ტბა გამოსცურა,
 შენ —
 ზამთარში ხარ ჩაფლული,
 მურმან,
 ფოთოლი გამოსულა,
 ბიჭო,
 ფოთოლი გამოსულა —
 ჩქარა,
 ვნახოთ გაზაფხული!
 ვგავდი
 როსმე ამაყ არემს,
 მზისას
 შევხაროდი ჭიხვინს,
 წლებმა
 დამბაჩა დამადირეს,

მე —
 სიკვდილი არ მაკვირვებს,
 ტურფა
 გაზაფხული მიკვირს!...
 წლებმა —
 სისხლი გამოგწურა,
 ხარ —
 საკვდავად დაზაფრული,
 მაგრამ —
 ფოთოლი გამოსულა,
 მურმან,
 ფოთოლი გამოსულა, —
 ჩქარა!
 ფოთოლი გამოსულა —
 ერთხელაც
 ვნახოთ გაზაფხული!

არქივში ნაკრვნი ომიდან დაბრუნების შემდეგ 1945 წელს დაწერილი ლექსი

მზე ჩადის და
 კავკასიის დიდი მთები
 კვაშხეთის
 თაფზე ლურჯად შეზიდულან...
 კარიწყალა,
 ძეწნები და ტირიფები,
 და ტირიფის
 ტოტზე ტირის მესკიტუნა.

კვლავ ძველ პალატს
 ჩამავალ მზის სხივი სწვდება,
 კვლავ საჭათმის
 კარი რძისფრად შეზინთულა...
 კარიწყალა,
 ძეწნები და ტირიფები,
 და ტირიფის
 ტოტზე ტირის მესკიტუნა.

გავლილან
 თმის გზები ირიბები,
 შეილმკვდარ დედებს
 მოლოდინი წელში დუნავს...
 კარიწყალა,
 ძეწნები და ტირიფები,
 და ტირიფის
 ტოტზე ტირის მესკიტუნა.

მე გადავჩრი,
 კვლავ სამშობლოს ხილვით ვთვრები,
 ბევრის შუბლი
 მწუხარებით შეზინდულა...
 კარიწყალა,
 ძეწნები და ტირიფები,
 და ტირიფის
 ტოტზე ტირის მესკიტუნა.

მოფენილია

ბრძოლის ველი ცხენ-კაცის მძორით,
ქართველის აბჯრით
და ქართველის ჯაჭვით და თორით,
ყვავით და ყორნით,
შაბარდუხით, სვავით და ქორით...
მესამე დღეა,
მკვდარი მკვდარზე
აწყვია ყორედ.

...

და, უცბად, ვიდაც წამოსწევს თავს,
ტირილისმაგვარს გამოსცემს ხმას,
(ესვევა მწერი სულთმობრძავის სისხლიან ტუჩებს),
მოიკრებს ძალს,
მოიქნევს ხმალს —
დაჭრილი ვინმე მიცვალბეზულს ყვავ-ყორანს უქშევს.

...

დიაცი ყრმითურთ თმაგაშლილი ჩამორბის გორით...
იესოს ჯვარი
გადმოჰყურებს
ბრძოლის ველს შორით...

...

ცოფს ჰყრის შაჰ-აბას,
ნადირ-შაჰი გინებით გმარხავს,
სპარსი და თურქი
შენს თათხვაში და აუგშია...
ამ დუნიაზე, შე საბრალო, ძმაკაცი არ გყავს --
აუქშიე, ქართველო,
ყვავ-ყორანს აუქშიე!..



შენ ხარ — მიწა!
შენ ხარ — ახლა მარილი!
ხარ — ბალახი!
ხარ — ბალახზე მტვერი!..
მოგონებით
სდუმან შემოგარენი —
ყურში მესმის
ლაპარაკი შენი...

მატარებელი მცხეთას გასცდა, —
სანატრელი და
სანუკვარი, —

მამაკაცის დედაკაცთან
ყურს ჩამესმის
საუბარი:

— ვერ მიცანიტ?! — ქალის სმაში
სექსის სილბო
საგრძნობია;
რალაც მოტკბო არის მასში,
რალაც ძალზე
ნაცნობია...

— მაპატიეთ, მაგრამ ვერა!
(ქალის მზერა,
ალბათ, მკაცრი)

— გცნობთ და ვერც გცნობთ... —
დასძენს ხელად,
საშველს ეძებს მამაკაცი.

ჩაიცინა ქალმა სევდით,
მოგონილი
გაბრაზებით:

— გაიხსენეთ! კუდში მსდევდით,
მთელ თვეს
საშველს არ მაძლევდით!..

ბინდში ქსანი ჩავეიწროლეთ,
ვარსკვლავჭყუეტით
მოჰქრის ღამე,

ჭიქის დადგმა გავიგონე —
იქ, კუბეში,
ღვინოს სვამენ...

უცბათ — კაცის შეყვინება:
— ღმერთო ჩემო!
ლილი! თქვენ ხართ!

ქალს უთუოდ ეღიმება,
ახლა —
დუმილს ხმარობს ხერხად.

კაცი ხვნეშით კუპეს არყევს,
ქალი — ქალმა
მეტი რა ჰქნას:

ქმარი ჰყავდა, ახლა არ ჰყავს,
— თქვენ, თქვენ საით! —
ისიც გაგრას...

მთვარემ ღრუბელი გამოცურა,
კუბე მძინარ
კაცებს არხვეს,
კორიდორში გამოსულან
მამაკაცი
სარკმელს აღებს.

ფუი, საქმე გამიჩინეს,
რანაირად
ჰქსოვენ ბუდეს!
კაცი მალ-მალ ჩაიცინებს,
ტუჩი —
ქალის ყურზე უდევს.

მატარებელი მეტებს გასცდა,
ახლა უკვე
ძეგვს გავცქერო.

დედაკაცის ჩაიცინება:
— რა ხართ,
რა ხართ ეს კაცები!..

ქალის ცნობა არ გვესწავლის —
მყვირობის და
ნადირობის:

ლილი გახლავს ან მესამის,
ან მეოთხე
ყვავილობის.

არც კაცია მთლად ჩაუქი,
ლახვარ-ხანჯარ-
ამოწვდილი;

არც მოხუცია, არც ჭაბუკი —
ბერბიჭაა
გამოცდილი.

კი! — იწერენ მისამართებს!
კი! — არკვევენ
კორდინატებს!
ეს არ არის ვარიანტი
ის, რომელიც
შორს გვინათებს...

გუასლოვდებით გორს ტაატით
გაგრძელებით
ძველი ზვირთის —
ბარე ოცი, ოცდაათი
წლისწინდელი —
მწველი ფლირტის.

სიცილი ქალის

ბედნიერება იყო ჩემთვის, იყო და არის
სიცილი — ცოლის,
სიცილი — დედის,
და, საერთოდ,
სიცილი —
ქალის!

არის, ქალთაგან პირველის და პირველზე მეტის,
თოვლებზე სპეტაკი
მშობლიური
სიცილი —
დედის.

არის მეორე, ხმას გამოსცემს რომელიც ბროლის, —
მოსიყვარულის,
შემწყნარებლის, —
სიცილი —
ცოლის.

და კიდევ, კიდევ, ფუი ეშმას, იყო და არის,
ატაცებულის, მშვენიერის, ოცნებით მთვრალის, —
გამომწვევი და
ხორციელი
სიცილი —
ქალის...

იყო ცხოვრება, იყო სისხლის, ცრემლის ღვარები,
ესეც ხომ იყო —
იცინოდნენ
ჩვენთვის
ქალები!

ქდერდა გიტარა, მთვარის შუკი მიაღმა ქალწულს,
(ვიგონებ სიყრმეს,
ოქროსუბანს,
ბავშვობას წარსულს),

ის იცინოდა, იცინოდა ნათელში მთვარის,
თითქოს
პირველად გავიგონე
სიცილი
ქალის!

თორმეტი წლისას გაშეღვიძა უსიერ ტყეში,
ვთქვი:
ეს რა ხდება,
რა გრძნობაა,
რა ხდება ჩემში!

ვთქვი: იცინიან რანაირი ეშხით ქალები!
ვთქვი:
რას, რას ნიშნავს
ქალის ხმაში
ვერცხლის ზარები!

სიტყვა — აზრია, რით არ არის სიცილიც სიტყვა,
სიტყვა, რომლითაც
აზრი
მეტის სიცხადით ითქვა!

იყო ცხოვრება, იყო სისხლის, ცრემლის ღვარები,
ესეც ხომ იყო —
იცინოდნენ
ჩვენთვის
ქალები!

ესეც ხომ არის, — სასოებით, იმედით ზვალის, —
ხეს ცხოვრებისას
აშრიალებს
სიცილი
ქალის...

ოპ, გზას სოფლისას რა გალევდა, ანუ რა გალევს
აწ გზას გასავლელს,
რომ არ იყოს
სიცილი
ქალის!

რას, რას გვაპონება

ჯუჯა წიგნილები!

მოხუცს,
რომელიც საბოსტნეს ღობავს,
დიაცს,
რომელიც ჩამჯდარი დღობავს,
ურემს,
რომელსაც უცვლიან ბორბალს,
სივინდს,
ქერისპურს, მჭადსა და ხორბალს,
ღუდღუდს
ბუხრისას —
მჭადისას —
ცხოზას —
პატრიარქალურს, გარდასულ ყოფას...

საძვალე გორმასზე წარსულის ძვლებია,
ქორთას
ვარსკვლავები
გადმოდგნენ
მსხვილ-მსხვილები;
დამეულ ტირიფებში დგანან და ლპებიან
ჯუჯა
წიგნილები.

1978



პრეზენტაცია

პ რ ე ს ე ნ ი

ეს გული მართო ჩემი როდია:
მასთან ძალიან ბევრნი მოდიან,
რამეთუ სულის მზით სამკობელი —
ისმინონ ცისკრის საგალობელი.

ეს გული... თითქოს ნაკადულია
ტკბილხმოვანი და უანკარესი,
სად არ ყოფილა, სად არ უვლია,
წინაც დიდი აქვს გზა-ასპარეზი.

აბა, ახლა მას დაგუგდოთ ყური,
იქნებ რამეზე გვყავს უმადური?

მაშ, ძმებო, სმენა და გაგონება:

— ჩემი მეუფე გახლავთ გონება,
მე — მისი კარის ვარ მეზობელი,
არც სხვას ვიმონებ, არც ვემონები,
მოყვრისთვის თავი არ მეზოგება.

მე ნაპერწკლიდან ვაჩენ კოცონებს,
ჩემი ჰიმნები სად არ გაისმის,
ვაქებ კაიკაცს, სიღარბისლით
ასე საყვარელს და თავმომწონეს.

არც ძილი ვიცი, არც მოსვენება,
სადაც ბინდია, მშვენიის მზეობა,
და შთაგონება, მოგეხსენებათ,
როგორ გვამაღლებს,
გვმატებს მხნეობას.

ძვირფასო, აბა, ვით არ ხარობდე,
ეს ხვედრი ვით არ გიღირდეს ძვირად, —
მუსიკის ფრთებით ამ სამყაროდან
იმ სამყაროში რომ ფრინავ ხშირად?

სად პოეზიის დგას ღალადისი,
ჩანგები ჟღერენ ნაირ კილოზე,
შენც რუსთაველის
დადექ ხატის წინ
და უკვდავების ლექსზე ილოცე!

დაიმახსოვრე, ძმაო, მხოლოდ ეს —
არ მოენატროს სიტყვას ფერება!

თანამგზავრებად მუდამ გყოლოდეს
სილამაზე და მშვენიერება.



სტრესი — საქართველო

(ნაწყვეტი ავადმყოფობის ისტორიიდან)

გურამ კაპანაძე

შენს კრწანისებს ვენაცვალე —
ჩემს დამღუპველ სტრესებს!
ხან მატირებ, ხან მაციწებ
სახელგანთქმულ მტრებზე!
თან — სატევარს გულში მიყრი,
თან — ჭრილობას მიხვევ!
თან — მშვენიერს ღვთიურს მიჩენ,
თან — თვალებსაც მიხვევ!
სულელივით მალაქლაკებ
დამლილ მონასტრებზე!
ჯვარს და გელათს მალოცვინებ —
ჩემს დამდაღველ სტრესებს!
სადღეგრძელოს მათქმევინებ —
არასერიოზულს.
— გაუმარჯოს საქართველოს,
დიდ ბიჭებზე ორსულს!
მაინც უუნათლესი ხარ
თვალის სინათლეზე!
შენს წაგებულ ომებს ვითვლი —
ჩემს დამღუპველ სტრესებს!
შაჰ აბა'ს და
თემურ ლენგს და
აღა მაჰმად ხანს და
ალავერდს და
ბერთუბანს და
ფიტარეთს და
ხანძრას —
ზოგს — ვაგინებ... ზოგს — ვიგონებ...
ენადღობო ძვირფას მკედრებზე!
რა ვუშველო წარსულს შენსას —
ჩემს დამღუპველ სტრესებს!
როგორ გაგჭრა — ექიმს გულში

როგორ ჩავახედო,
თორემ შიგ შენ დაგინახავს,
ჩემო ჯავახეთო!
გულს რიონის სიღრმეცა ღლის
და სიმაღლეს რიცის!
რას მომარჩენს, გეგოთხები,
რას მიშველის შპრიცი!
ვიცი, გინდა გამინელო
მიკროსკოპის ზიზღი:
მეკითხები, რატომ დღემდე
ვერ ავიღე სისხლი!
ვერ ვუშველე ბოლო ძელქვებს —
ჩხვლეტებს სტენოკარდიულს!
ბოლო ბულბულების სტვენას —
ასე მწარედ ქართულს!
რისკ-ფაქტორი — ხვრელებიდან
უცხო ტალღის დენა!
რისკ-ფაქტორი — რუსთაველის
და წერეთლის ენა!
რისკ-ფაქტორი — ტაო ჩემი!
რისკ-ფაქტორი — ბანა!
ერთი იშემიისათვის
ვერ იკმარებს განა!

ალარც „კორდიამინს“ დაველე,
ალარც „ინოზიფს“...
სადმე იავ რესტორანში
დავლეე ღვინოს იაფს,
და კვლავ შევსვამ სადღეგრძელოს
არასერიოზულს:
— გაუმარჯოს საქართველოს,
დიდ ბიჭებზე ორსულს!



ბ ზ ე ბ ი

ისევ და ისევ ილევა შორი
მანძილი, მიზნის ახალ წვდომამდე,
სირინოზების გაჰკივის ქორთ
და იძირება ზღვაში ზომალდი.
როგორ ვამხილო ჩუმი იმედი,
რომ სხვას ვეძებდი და სხვა მაგნებდა
და მიცოცავდა ბარდი ხიმეზე
უკომპასებოდ და უმაგნიტოდ.
გწნავდი გვირგვინებს ეკლის ტოტებით
და დაუნასავით ვიდგამდი თავზე,
თან ვლილინებდი უცხო მოტივებს, —
მონატრებული სიმღერის მსგავსებს.
ჯერ ვერ დაგვალე ვერცერთი სურა,
მაინც სურვილი ურჩია კიდევ
და ფერგადაცლილ წარსულის სურათს
სულის საყდარში ზატივით ვკიდებ.
და ამ საოცარ სამლოცველოდან
ისევ იმედი, ფარული მადლით,
თავისწილ ლურსმანს რომ დაელოდოს,
მოდის, იკავებს განკუთვნილ ადგილს.

ახე მოგონების

აპრილის ბაღებს,
ფაფარაყრილს
ალუბლის ტევრით,
ვერ ვაჩუქებდი უშენობას,
დე, მომიტევეონ,
ფურცელზე ფანქრით გამოყვანილ
საოცარ სახელს
შენატრი, როგორც ბავშვობაში
სხვის ჰერბარიუმს.
მზეო მარიამ,
ივლისიც ხომ დამათოვს სხივებს
და მოთმინების ძაფს ააცქევს
ღღეებს მძივებად.
კვლავ ერთი წელი გაფრანღება
ჩუმი სისწრაფით
და კიდევ ბევრი მოგონების
მზე ღამდამდეგა.


არ მოდიოდი ჩემთან სტუმრად,
არ მოდიოდი.
სხვები ავსებდნენ სივრცეს სახლთან
მზით და სიცილით.
მათი ჩრდილები
გადამჭონდა ქიმერის ახლოს
და ყველა სიტყვას უცნაური ახლდა სიცივე.

უკვე ვხედავდი,
რა სველი აქვს ხელები სევდას
და კაეშანი,
მძიმე ეჭვანს ყელზე რად იბამს.
მაინც არ ვიცი,
გაციებულს რად ვიცავ ზეცას,
რად რჩები ჩემთან,
კვლავ ერთადერთ და დიდ ნადიმად.

რად არ ნებდები მორიდებით
მარადისობას,
რად გსურს იცოდე,
რას ედრება
შეცდომა მწვავე:
გზაჯვარედინზე არჩეული გზის დაბედება
და განსხვავება
მიკუთვნებულ ფიქრის და თავის.
მე კი მიყვარხარ,
და არ მინდა შემთხვევით ვნახო,
სხვის ძეგლს ეახლო,
ახოვანი და მაინც მხდალი,
ან როგორ არხევს
ნარღვევ სახის ცარიელ თაღებს,
გაფითრებული ევფორიის
ჩამჭრალი თვალი.

ინანებ ალბათ,
და რარიგად ინანებ მერე
გრძელ სიმღერების ჩუმ ფერებას —
გაფრენილს სხვასთან.
კისერს იღერებს
მინარეთის მირაჟთან წერო...
ეს გალანდული მოლოდინიც
კარგახანს გასტანს.





შაჰრის ხეცს რომ გასცდა, პირველად მაშინ გაიგონა ყმუილი. ჯერ თმის ძირები შეუცხელდა, მერე ის სიმხურვალე დაბლა ჩაცოცდა, მთელი სხეული ჩაჰინჭრა და კანჭებთან შეაცივდა. ეს მივარდნილი ადგილი ძველადვე წყეული იყო, ყაჩაღებისა და ნადირის სათარეშოდ ითვლებოდა და ახლაც კი უშიშრად ვერავინ გაივლიდა. თუმცა შიში აქ რა სახსენებელია, უნებურად დასციცხლა ტანში თორემ, მაშ რაღა ფირო იქნებოდა, მშიშარა რომ ყოფილიყო... კიდევ უფრო გამოფხიზლდა და მაშინვე ის გაიფიქრა, ეგებ სჯობდა არ წამოვსულიყავიო. ფეხს მოუჩქარა და ყური გაიმახვილა. მხოლოდ ქარის ხმა ისმოდა, ავად წიოდა იგი და დაფლეთილ ყომრალ ღრუბლებს უწესრიგოდ მიერეკებოდა პირქუშ ზღვასავით მოტორტმანე ცაზე. იმ შავად მოქცეულ ცაზე კი უღვთოდ წვალობდა ღამის მნათობი, ხან საბრალო თრთოლვით ჩაიძირებოდა შავ უფსკრულში, ხანაც რის ვაი-ვაგლახით ამოტივტივდებოდა და უნიათოდ გადმოწათებდა.

ასეთი შემზარავი ცა ჯერ არ უნახავს ფიროს და არც ასეთი უყმური დაუფლებია არასოდეს. ისე ეჩვენებოდა, თითქოს შავი ჯოჯოხეთი დამხოზოდა თავზე და შთანთქმით ემუჭრებოდა.

ყმუილი ისევ განმეორდა, ამჯერად ცოტა უფრო მკაფიოდ და გრძლად. ფირო გაქვავდა, სუნთქვაც კი შეაჩერა. თითქმის ნახევარ წუთს იდგასულ-შეგუბებული, მაგრამ აღარაფერი გაუგონია, მხოლოდ იმან გააოცა, რომ ამ ქარის ზმუილში საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა.

„იქნებ ქარის ხმა იყო? — გაიფიქრა, — ქარმაც იცის ასე, ხან მგელივით ყმუის, ხანაც გველივით სისინებს და წივის. არ უნდა წამოვსულიყავი“. — დაასვენა ბოლოს და რადგან უკან მიბრუნებასაც აზრი აღარ ჰქონდა უწყადინოდ განაგრძო ეს წყეული გზა, ირგვლივ რომ მეჩხერი ჯაგნარი ერტყა.

პირველად რომ აიშალა სუფრა, ნახევარი ხალხი უკან აღარ შებრუნებულა, ნელ-ნელა გაილაღნენ სახლებში, ფიროსაც უთხრეს თანასოფლელებმა,

წავიდეთ, მაგრამ ქვეყანაზე თავი როგორღა უნდა გამოვეყო, ვიღაცას რომ ეთქვა, სუფრიდან გაიპარაო. ეგეც არ იყოს, ნამდვილი მსმელები ახლა რჩებოდნენ და ნამდვილი ქეიფი და სმა-ჭამა ახლა იწყებოდა. პირიქით, ფირო იმასაც ფიქრობდა, ეს სუფრის ჭიკაძეები თუ გათენებამდე არ დაიფანტნენ. დილაზე ცხელ ხაშს დავაყოლებ და შინ ისე წავალო, მაგრამ ეს ვარაუდიც არ გაუშართლდა, შუალამის შემდეგ აბორიალდა ხალხი, სუფრა მიატოვეს და ბოლოს კისერმოწყვეტილმა თამადამაც ზედ მაგიდაზე ჩამოიძინა. ფიროს კი არა და არ მოეკიდა ღვინო, ქეიფის ეშხზე ახლა მოვიდა.

მასპინძლები გადააცდნენ ფიროს, ამ ჯოჯოხეთში სად უნდა წახვიდე, თავი არ მოგვეპოო, მაგრამ ვერ დაიყოლიეს. თავიდანვე ასეთი ჩვევა ჰქონდა, სხვაგან არ დარჩებოდა და შეორეც, რაკი ერთს იტყოდა, ველარავინ გადაათქმევინებდა, ჯორიდან ველარავინ ჩამოიყვანდა. ბოლოს ვეება ყანწით საყოვლადწმინდაო დალია, მერე თავისი საყვარელი სიმღერა წაიღილინა: მგელი არ მოშლის მგლობასაო, თან მგელივით დაკრიჭა კბილები ჩამოძინებულ თამადას რომ გადახედა და წამოვიდა, ძუნძულით დაადგა გზას ყინვასა და ქარში.

ნათლიამ პაპის სახელი ფირუზა დაანათლა, შინაურები და ნაცნობები კი ფიროს ეძახდნენ. დედისერთა ბიჭი იყო, ნანატრი, თვალისჩინი და ლაღად ზრდიდნენ. ომის მიწურულში, როცა კაცი ძვირად იშოვებოდა, ფიროს მამა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დააყენეს. სიჭაბუკეში შესული ფირო კარგი ცხოვრებით უფრო გათამამდა და გააზატდა.

როცა მოეპრიანებოდა, სკოლაში მან წავიდოდა, სამაგიეროდ, ალაზანზე აღრევე ჩაეჩვია, დილიდან საღამომდე წყალში დაბეჭდებულა ზაქივით და

დინამიტების ბათქაბუთქით აყრებოდა ქალას, გაწყვეტა თევზი. ვინ ოხერებდა, ჩიოდნენ მწყემსები. ვინ არის და, თავმჯდომარის ბიჭიო, ფირო, ალაზანში ბაყაყიც აღარ დაარჩინა მაგ დედასატირებელმაო.

საღამოს კი ძმაბიჭებს დააქუჩებდა ფირო და ქალაშივე ღრებოდა მდინარის პირას.

პირველი ამბავი ან, თუ გნებავთ, პირველი ლეგენდა ფიროს ვაჟკაცობისა, სოფლის სადალაქოში დაიბადა, ქორონიკონსა ამასა და ამასა, დღესა ერთსა წვიმიანსა, როცა შემოდგომის ღრუბლით გაქვდილი ცა დინჯად აწვიმდა დედამიწას. სწორედ იმ დღეს სადალაქოში სალაყბოდ შესულმა ჭორფლიანმა სოლიკომ ამცნო იქ თავშეყრილებს, გუშინწინ თავმჯდომარის ბიჭს ფიროს ოთხი ხელადა ღვინო დაუღევია და სამი კილო ცოცხალი დაუყოლებიაო. პირველად ძალიან იტკიცეს, ეგ ტყუილები თქვენს კრუხს დაუღაგეო, მაგრამ მერე სოლიკო რომ გაცხარდა და მოწმეების მოყვანაც დააპირა, ურწმუნონი დარწმუნდნენ, ესლა ჩაილაპარაკეს, კაცი კი არა, მგელი ყოფილაო და ჩაჩემდნენ, ამ სიჩუმეში უცებ ამოიკენესა პიჯაკწამოსხმულმა გამხდარმა და ჩია ტანის ბიჭმა: რატომაც არ დაღევდა, შვილოსა, რა ჩემსავეთ მუშაობით არის გამოთავებულიო.

ამის მთქმელს უხმოდ გადახედეს, თვალთ აწონ-გაზომეს, ცოტა ხანს დადუმდნენ და ბოლოს ერთმა ველარ მოითმინა, ყველას სათქმელი იმან თქვა: გაჩუმდი, ჩანთავ, როცა არ უქნისხარ ღმერთს, არ უქნისხარ... ჩემზე მეტი ჯაფა შენ არ გადაგასო.

ბიჭები ახარხარდნენ, ხოლო პიჯაკწამოსხმულმა ჩანთამ საყვედურით გადახედა მოზვერივით ჩასუქებულ ბიჭს და დამუნჯდა.

იმ დღიდან დედო დასაბამი ფიროს დიდებას — მის ღორმუცელობასა თუ

სოლომონ დემურხანაშვილი
მგლში



ლორკუქობას ან, თუ გნებავთ, მუცელ-
ღმერთობას.

ცხოვრება კი თავის გზით მიედინე-
ბოდა, ბრუნავდა და ბრუნავდა ღრის
მარადიული წისკელი და წლებსა ფქვა-
ვდა. ფირომ, როგორც იყო, მიაფუჩეჩა
საშუალო სკოლაში გამოცდები და მა-
მის ჩიჩინით სასწავლებლად თბილისში
ჩაეხეტა. ორიოდ კვირა ცვითა ქალა-
ქის ასფალტი, გემო და მაძღრისობა
მოუსინჯა იქაურ სასაღილო-რესტორ-
ნებს და ისევ უკან დაბრუნდა. ვერა,
ლაღად გაზრდილი მუცელღმერთა ფი-
რო იმ გასათუთებულ ქალაქში ვერ გაძ-
ლებდა.

სოფელში დაბრუნებულმა ფირომ
ახლა ნადირობას მიჰყო ხელი, მგლის
მუხლი გამოიბა, ორიოდ ძმაკაცი აი-
ყოლია და თუ ტყეში რაიმე ბოგინო-
ბდა, მუსრი გაავლო. არც ზამთარი იც-
ოდა, არც გაზაფხული, არც ღრო, არც
ნებართვა... ფეხებზე დაიკიდა ყველა
წეს-კანონი. შვლისა და კურდღლის
სინსილა გააქრო ტყეში. შვლის ნაკვა-
ლევს რომ წააწყდებოდა, მანამდე სდე-
ვდა, ვიდრე ნადირს არ მიაგნებდა და
თავის ლუკმად არ აქცევდა. მეტადრე
ის სიამოვნებდა, როცა დათოფილ ნა-
დირს ჯერ კიდევ ცოცხალს მიუსწრებ-
და და ყელში დანას გამოუსვამდა. მო-
ნადირეს სისხლიანი ხელი უნდა ჰქონ-
დესო, იტყოდა ფირო, ვეება კბილებს
გადმოჰყრიდა და ნახევარ შველს იჭვე,
ტყეში წამოაგებდა შამფურზე.

ერთ ღლეს მამამ მოიხმო ფირო და
უთხრა:

— შეილო, მგზავრი კაცი ნაშუა-
ღლევს უნდა ეძებდეს ბინას. ღროა, რა-
ღაც საქმეს მოჰკიდო ხელი. მე ხომ
მუდამ თავმჯდომარედ არ ვიქნები.

თავმჯდომარე ხარბიც იყო, ჰკვირ-
ნიც და ეშმაკიც. გუშანიტ ხედებოდა,
რომ უკვე წყალი ჰქონდა შემდგარი,
სოფელი თავმჯდომარედ აღარ ინდო-
მებდა და მართლაც, როცა ხალხით გა-
ჰყვილ ღარბაზს ჰკითხა რაიონიდან
მოსულმა კაცმა, თედო თავმჯდომარედ

დავტოვოთ თუ გადავირჩიოთო, ცხელ-
ცამ დაიძახა: მიწის ქვემოთ რაც თე-
ლა, ის მოვხსნათ, მიწის ზემოთ რაც
არის, ის დავტოვოთ.

როგორც ნათავმჯდომარალი, გამგე-
ობის წევრად მაინც დავტოვეს და თე-
ლომ იმდენი ივაჟკაცა, შვილსაც გაუჩი-
ნა სამსახური. ტყე მაინც უყვარსო და
ახალ თავმჯდომარეს ფერმის გამგედ
გამაშვებინა.

— ძროხას უთქვამს, შვილო, დასა-
ბმელი მიშოვნეთ და დასაწოლს მე ეი-
შოვნო. ესეც დასაბმელი, ახლა შენ
იცი, რა მარიფათს გამოიჩენ.

და ფირომაც გამოიჩინა მარიფათი.
კვირაში ერთხელ გადაჰიდებდა ცხენს
საცხე ტიკს, რომელიმე ძმაკაცს აიტო-
რლილებდა და ავიდოდა მთაში გრილ
ჰაერზე. როგორც უფროსებს შეშვენის,
მწყემსებს წაუღრენდა, საქონელს წესა-
ერად ვერ უვლითო, მერე რომელიმე
ჩასუტებულ მოზერს დაადგამდა თვალს
და თვითონვე გამოსჭრიდა ყელს. სვა-
ვივით დაადგებოდა და ვიდრე მთაში
ყოფნა მოსწყინდებოდა, ცერებზე იმ-
ტვრევდა ხაშლამის ძვლებს.

გალიოდა ღრო. ფირო ცხოვრება-
ში თანდათან იგეშებოდა და ბოლოს
ადამიანების შექმაც ისწავლა. პირველი
ლუკმა მისივე ავან-ჩავანი კრაზანა იყო,
ვისთანაც ფირო მრავალჯერ ზიარებოდა
პურ-მარილს. ფირომ კრაზანა ბინისთა-
ვად წაიყვანა ფერმაში, მესაიდუმლედ
და სულის ძმად გაიხადა. ექვსი თვის
შემდეგ, როცა ფერმიდან ორივენი გა-
მოაბანლურეს, ყველა ცოდვა კრაზანას
წამოეკიდა ზურგზე, რადგან საბუთებზე
ფიროს ნაცვლად ის აწერდა ხელს. კრა-
ზანამ ციხეს კი დააღწია თავი, მაგრამ
ტყავი გასძვრა, ვალებში ჩაფლულმა
ერთხანს მუქარა უთვალა ფიროს, მერე
კი იბოლმავა, საკუთარ გულს შეასკდა
და ცვილივით დადნა.

ღვინის წურბელა, ლაქლაქა ნოქარი
მიტო რომ ციხეში ჩასვეს, იმასაც ფი-
როს აბრალებდნენ, მაგას რომ არ დაძ-
მაკაცებოდა, ეს არ მოუვიდოდაო. მე-

სამე კი, ვინც ფირომ ცოცხლად შექამა, ხილის დამამზადებელი ცალთვალა სერგო იყო. ფირომ ისტატურად უთხარა ძარი, თანამდებობიდან ხელები დააბანინა და დამამზადებლად თვითონ დადგა. ეს კი სწორედ ფიროს შესაფერი საქმე იყო. წელიწადში რამდენიმე თვე წაიშუშავებდა, ფულს ჩაიჯიბავდა და ღანარჩენ დროს ხან ვარპალაღეში ატარებდა, ხან ნადირობდა. ღვინით ეშხში შესულს მეტადრე ერთი სიმღერა უყვარდა: მგელი არ მოშლის მგლობასა, კი ყმა მამაცობასო. როცა ამას წაიღიდინებდა, მკვეთრად, ხმამაღლა და ჯინიანად ამბობდა სიტყვებს: მგელი არ მოშლის მგლობასო...

და მაინც ფირო დაფასებული კაცი იყო, ვითარცა დიდი მსმელი და დიდი მჭამელი. ქორწილში თუ წვეულება ისე არ ჩატარდებოდა სოფელში, ფირო რომ არ მიეწვიათ და არ ეთამაშებინათ. გუშინაც მეზობელმა, ქალშვილის ქორწილში ათამადა ფირო, მერე როგორც დაუთრობელი მსმელი, მეფის მაყრიონს გააყოლა გამოსაჩენად. ფირომ იქაც გააკვირვა ხალხი, ყველა მიათრმოათრო, იქაურ თამადას ბოლო მოუღო, მერე წაიღიდინა: მგელი არ მოშლის მგლობასო და წამოვიდა.

მესამედ უკვე ისე ახლოს გაისმა ყმუილი, რომ საეჭვო აღარაფერი დარჩენოდა. ვეღარც ქარს დააბრალებდა, ვეღარც მოჩვენებას. ყმუილი იგი ზანზალაყებიან სიკვდილს წაგავდა, საბედისწერო ქლარუნით რომ ახლოვდებოდა.

ფირო შეჩერდა. მთელი სხეული უკანკალებდა. ნაბიჯი ვეღარ წარსდგა, თითქოს იმ ყმუილმა ჯადო სტყორცნა და ფეხები გაუბორკაო, ირგვლივ მიმოიხედა; მაგრამ საიმედო ვერაფერი დაინახა, ახლომახლო არც ხე იდგა, არც მოსახლე ჩანდა, მხოლოდ თოვლით გადათეთრებული, გათოშილი დედამიწა და პირქუში, შემზარავი ცა იყო, ზედ რომ საცოდავად მიტორტმანებდა მთვა-

რე... ცხოვრებით გაუმაძლარ ფიროს ერთი წამით ყველაფერი შესძულებულიყო. ყველაფე ფუქად და არარაობად მოეჩვენა, რასაც კი თვალით ხედავდა — ეს ჩამოქუფრული ცა თუ დედამიწა და საკუთარი თავიც, რადგან შიში და სხეულის კანკალი ვერა და ვერ დაეძლია, მაგრამ ეს მხოლოდ ცოტა ხანს გაგრძელდა, სიცოცხლის წყურვილმა იფეთქა და ხელახლა შთაბერა ძალა. ერთი კი მოიხედა უკან, საიდანაც ყმუილი ესმოდა, მერე ვეება სხეული მოკუმშა და იფხოჭა. თავქუდმოგლეჯით მირბოდა, თოვლზე ფეხი უსხლტებოდა, ხელებს მარჯვედ დააშველებდა და ისევ გაბრბოდა გამწარებულნი. ასე ირბინა ერთხანს, მაგრამ მძიმე და გაამძლარი სხეულის ტარება დიდხანს ვეღარ შესძლო. ძალა გამოეღია, გულს ისეთი ბაგაბუგი გაჰქონდა, სადაც იყო, გასცდებოდა. თვალები უპრელდებოდა და რაღაც გაურკვეველი ფერის წერტილები დახტოდნენ. შეჩერდა, რომ სულის მოეთქვა, ან მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ შეჩერებულიყო, არაქათგამოცლილი დაეცემოდა. ცოტა სული რომ მოიბრუნა, გზა ისევ გააგრძელა, მიდიოდა და მიახრამუნებდა თოვლს, თან ძლივს სუნთქავდა. ცოტაც, ცოტაც და სოფლამდე თუ მიადწია, მერე საშიში აღარაფერია...

უცებ ალავერდის ტაძარი აღიმართა მის წინ. თითქოს ნისლი ჩამოსვეტილა დედამიწაზეო, ისე ბუნდად ჩანდა ის ზვიადი და ვეება ტაძარი. მის დანახვაზე ფიროს რაღაც იმედი მიეცა და თავის სიცოცხლეში პირველად გადაისახა პირველად. უკან მოხედვას ვეღარ ბედავდა, რამდენჯერმე მოეჩვენა, რომ ზურგიდან რაღაც ეპარებოდა და შეაკანკალა. წინ წახრილი სწრაფად მიდიოდა, ხანაც მიძუნძულებდა და ბუტბუტით იმეორებდა: „ალავერდის მაღლო და ძალო, შენ მიშველე! ალავერდის მაღლო და ძალო, შემინდე თუ რა-

სოლომონ დეპუტატის მიერ
გზლივი

მე ცოდვა მაქვს, ალავერდის მადლო
და ძალო!..“

და ამ დროს ისევ გაიგონა ყმეილი.
ამჯერად ეს ყმეილი უფრო შორიდან
ისმოდა, თითქოს სხვა მხრიდან. მგონი,
საშიში აღარაფერია, ალბათ ნადირმა
ველარ გაბედა გამოყოლა და ახლა გაწ-
ბილებულმა სიმწრით შეჰყმევლა. იქ-
ნებ ალავერდის ძალამ უშველა ფიროს?
ამის გაფიქრება იყო და, მაშინვე
სულ ახლოდან, თითქმის ზურგს უკან
მიაყმევლა მგელმა.

ეს იყო თავზარდამცემი ურვა, ველუ-
რი ქრუანტელმომგვრელი ყმეილი.
თითქოს ფიროს სხეულში იყო ეს ხმა
ჩანაღმული, უცებ აფეთქდა და სულ-
ხორცი გაჰყარა ერთმანეთისაგან. ფი-
როს ეჩვენებოდა ასე, თორემ სინამდ-
ვილეში ეს შიმშილით გაწამებული ნა-
ღირის მოთქმა იყო. სიცოცხლეს შეჰ-
ყმეუოდა, შიმშილით სიკვდილი რომ
ემუქრებოდა, შიშს შეჰყმეუოდა, რაც
როგორმე უნდა დაეძლია სიცოცხლის
გადასარჩენად.

ფირომ მოიხედა და ოციოდე ნაბი-
ჯის მოშორებით დაინახა მგლები. სამ-
ნი იყვნენ, გადალასლასებულნი, მუ-
ცელგალასტულები... თავები მალა აე-
წიათ და ჰაერს ისეთი სიამით ყნოსავ-
დნენ, თითქოს ცას სწოვენო.

ფიროს სისხლი გაეყინა ძარღვებში.
პირი დააღო, ნადირს დაჰყვივლებო,
მაგრამ ყელიდან სუსტი, ყრუ ხრიწი-
ნი აღმოხდა, სწორედ ისე ემართებო-
და, სიზმარში რომ წვალობს ხოლმე
ადამიანი, როცა დაყვირება უნდა. იქ-
ნებ ეს ყველაფერი მართლაც სიზმარი
იყო? რა ბედნიერება იქნებოდა, სიზ-
მარი რომ ყოფილიყო, მაგრამ ფიროს
კარგად ახსოვდა, სუფრიდან როგორ
წამოღვა და როგორ ეხვეწებოდნენ
მასპინძლები, დარიო.

ფირომ კიდევ სცადა როგორმე დაე-
კოლა, ფეხებს აბრაახუნებდა. ზრიალი-
თა და ხელების ქნევით ემუქრებოდა
მგლებს, მაგრამ ისინი ფეხსაც არ იცე-
ლიდნენ, პირიქით, თოვლზე დაყუნცუ-
ლები ნელა-ნელა შემზარავად მოჩო-

ჩავდნენ წინ, თან კბილებს აკეწებდნენ
და რალაც უცნაურად წყვეტდნენ
ნებდნენ თუ ყმეუოდნენ.

ერთი წუთი, ერთი მძიმე წუთი გა-
ვიდა ალბათ ამ ყოფაში, მერე კი შებ-
რუნდა ფირო და ძრწოლვით გააგრძე-
ლა გზა. გაქცევა აღარ უცდია, რამდენ
ნაბიჯსაც გადადგამდა, იმდენჯერ უკან
მოიხედავდა. მგლებიც ნელა მოსდევ-
დნენ, არა ჩქარობდნენ, და ფირო მიხე-
და, ახლა გაქცევა საბედისწერო იქნე-
ბოდა. შუბლზე ცივი ოფლი დაასკდა,
თვალები აუჭრელდა, ველარ არჩევდა,
რამდენი მგელი იყო, სამი თუ უფრო
მეტ. გაძალებული იხზრეკდა ჯიბეებს,
მაგრამ ჯიბის დანის მეტს ვერაფერს
პოულობდა, რასაც ახლა იმედოვით
ბლუჯავდა...

დიდთოვლობამ მგლებს შიმშილი
მიაყენა კარზე. სამი დღე და ღამე ბუ-
ნაიდან არ გამოსულან, სამი დღე და
ღამე შიმშილით გაწამებულები უსმენ-
დნენ, ქარიშხალში როგორ კვნესოდა
და ბუბუნებდა ტყე. ძნელი ჟამი დაუდ-
გათ. მეოთხე ღამეს ველარ გაუძღეს
შიმშილს, მთვარის აცეხას აღარ დაუ-
ცადეს, ბუნაგი დატოვეს და ცალ-ცალ-
კე წალასლადნენ სანადიროდ: ორი
ღამე ამოდ იწანწალეს, ამოდ უტრია-
ლეს სოფლებს შორიასლო, კბილის
გასაკრავი ვერაფერი ნახეს. მთელი ღა-
მის ნაწანწალები განთიადზე სიმწრით
შეჰყმევლებდნენ თავიანთი გაჩენის
დღეს და გადალასლასებულები ისევ
ბუნაგში შეიძურწებოდნენ. ამ ღამითაც
ბევრი იწანწალეს, მაგრამ ნახრავ
ძვლებსაც ვერსად წააწყდნენ. შუალამის
შემდეგ კი, როგორც იყო, გაიგონეს
ნანატრი ყმეილი, ამდენ ხანს რომ
ელოდნენ. ეს ასე მოხდა: ახალგაზრდა
ლეგა მგელმა იკრა ადამიანის სუნი,
ქარს რომ მოჰქონდა. მგელს თავბრუ
დაეჭა, კბილები აუკაწკაწდა და მა-
შანვე ყმეილით იხმო თანამომგებნი.
ისინიც ყმეილით გამოეპასუხნენ და
ღაოთხილებმა გასწიეს ლეგა მგლის-
კენ...

ცა კიდევ უფრო ჩამუქდა და დედა-

მიწას თალხი გადაეკრა. ქარიც მიდგა. ეს მოახლოებული გათენების ნიშანი იყო. მალე დაიწყებოდა სამყაროს დიდი სასწაული — გათენება. თუ ცოტა ხანსაც ვერ გაბედავდნენ თავდასხმას, დღის შუქზე თვითონვე დაიფანტებოდნენ. ფირო კვლავ შეჩერდა და უკან მოიხედა, მგლები იმავე მანძილით იყვნენ დაშორებულები. თოვლზე დაყუნცულები ისევ ნელ-ნელა, ჯოჯოებივით მოჩოჩავდნენ წინ.

ფირომ გზა გააგრძელა. იმ სამიდან ერთმა ბალანგაქუცულმა მგელმა გადაუსწრო. ძუნძულით მირბოდა, მერე შეჩერდა და ოციოდე ნაბიჯის მოშორებით წინ დაუყუნცდა.

და ამ დროს მოხდა მოულოდნელი რამ: ფიროს უცებ გაუქრა შიში, გამძინვარდა, ხმაც დაუბრუნდა, საზარლად დასჭექა. სხეული დაძაბა და ნადირისკენ ჩქარა წავიდა. ათიოდე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, მგელი გაერიდა, წინ წაქნძულდა. ფირო გათამამდა და ყიჟინა დასცა. მგელი კი ისევ შეჩერდა და ისევ დაყუნცდა, ეს ავად ენიშნა ფიროს, ახლა უკან მოიხედა, თან ყვიროდა, მგლებს ემუქრებოდა. ის ორნი ნელ-ნელა მოსდევდნენ: წინა მგელმა, ბალანგაქუცულმა, ამჯერად უფრო ახლოს მიუშვა ფირო და ისევ გაერიდა, ოღონდ უფრო ზანტად, თანაც ავად შეჰყმევლა.

ფირო მესამედ უახლოვდებოდა წინ დაყუნცულ მგელს, მაგრამ მგელი აღარ ინძრეოდა. ფირო ლამის ზედ მიადგა. მაგრამ მგელი ისე გაშეშებულიყო, თითქოს მიწაშია ჩარკმული. ფირო შეჩერდა, თვლებში მიაჩერდა ნადირს

და წახდა, ხმა ჩაუწყდა — ფარ-ხმალის დაპყარა.

რამდენიმე წამს იდგნენ ასე, არც ერთი ინძრეოდა, არც მეორე და ამ დროს ზურგიდან საზარელი ღრენით ჩაუქროლა ფიროს მგელმა, თითქმის ზედ გაექლასუნა. ფირო არ წაქცეულა, მარტო ის იგრძნო, ბარძაყი როგორ შეუთბა. სველი სითბო კანცისაკენ ჩაცოცდა და მაშინვე უმწვავესი ტკივილი იგრძნო.

ღრენა და წკავილი ერთმანეთში აირია. დედამიწა შექანდა და დატრიალდა. უკანასკნელი, რაც ფირომ დაინახა, ეს იყო ლურჯი, ერთ ადგილას გახსნილი, მოკაშკაშებული ცა, დღის ნათელი რომ შეჰპარვოდა უკვე.

წყნარი დღე თენდებოდა. ქარმა ღრუბელი გადაყარა, ცა მოაკრიალა და თვითონაც ჩაცხრა.

ყვავებმა გადაიფრინეს. ისინი ყოველ დილაუთენია მიეშურებოდნენ ხოლმე ალაზანგადმა, სადაც თოვლი არ იდო და მიწას გადაქექავდნენ. მთიდან ჩამოხვეწილი წიწკანებიც აიშალნენ, გუნდ-გუნდად მიფრინავდნენ ფერმებისკენ. ცაში უკვე ბოინობდა ქორი და თავისი ონავარი თვლებით ზევრავდა დედამიწას.

დილის მატარებელმაც ჩაიარა, ხოლო ზემოთ, მთავარ გზაზე უკვე მიგუ-გუნებდნენ მანქანები. დიდებულად ამოანათა მზემ და კავკასიონი გააბრწყინა.

ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრება იწყებოდა...



სამს შესწიზო კაცმა თავი
მხარეს — ედემს ამისთანას...
მის ვეფხოვას, მის სიუხვეს,
სიყვარულს და ოქროს ხანას!

გალაკტიონი

ნესტორ მაღაჯონიკი

ს ა ზ ე ი მ ი

დილის დილა და დარია,
სიმღერა და ცეკვის ტაში,
ჩიტებიც რამ გადარია —
მზე ამოჰყავთ ყვავილნარში.
გულის გულში ეს მზე მოვა,
როგორ უნდა დაცხრეს გული;
საქართველოს ზეიშია
აჭარაში დაწყებული.
ასი წელი
სანატრელი,
მშობელ მხარის მასპინძლები,
ძველისძველი,
ძველთაძველი

დედა-შვილი, ძმათა ძმები.
მოელვარე მთელი მთვარე —
საქართველოს სუფთა ცაზე,
კვლავ ქართული სინარნარე,
სინაზე და სილამაზე.
ჰა, ისუნთქე მთელი მკერდით,
ბედნიერი ხარ და ლაღი,
შენი არის მთაც და ფერდიც,
ბაღნარი თუ იალაღი.
ო, რა მზე და რა დარია!
საზეიმო ალამს გაეშლი.
სიხარულის ღაღარია
ჩემს საყვარელ აჭარაში!

ფრიდონ ხალვაში

ვახაგასიანი კაცი

მარგლიდა სიმინდს, ათქვირებულს,
ნამით გაბანილს.
შემოდგომაზე ჩაირბენდა
ლარდა-კაპანებს,

ოღრო კლდეებზე მობარდავდა
სუროს ბურდოებს,
რადგან საქონელს, გასაზამთრელს,
მწვანე უნდოდა.

კაფავდა ძმერხლსაც და კვირხილსაც
 ზროხის საკვებად,
 დოლაბს კოდავდა,
 ხვიმირს ცლიდა,
 საფქვავს აფქვევდა.
 ხორბალს ლეწავდა მზის კალოზე
 კაჟის კევრითა,
 ჭერზე ხმებოდა აპოხტი და
 რეჰან-ომბალო,
 შვილებს უვლიდა,
 ღმერთს ლოცავდა,
 თავს იწყევლიდა.
 ასე ბრუნავდა წელიწადის ჭრელი ბორბალი.
 სახელს არქმევდა ბადიშებს
 და წარსულს აქებდა,
 ნერგს რომ ჩარგავდა,
 ქვას დაღებდა, — ხვალეს აგებდა.
 ესალმებოდა ნაცნობ-უცნობს,
 ჩაიღიმებდა,
 შეაჩერებდა ნიავს მკერდზე,
 ჩახსნილ ლილებთან.
 ჩაიგრილებდა ყელს წყაროთი, —
 თუნგს გამოცლიდა...

ბოლოს კი, თითქოს დაიღალა,
 თითქოს მოწყინდა,
 თვალი ჩაუშრო ამ უღმერთო
 სევდამ საოცრად, —
 მოიძრო თავზე ყაბალახი,
 სექვზე წამოწვა.
 არც შვილი ყავდა ახლო მაშინ,
 არცა ბადიში,
 სულ რომ ლოცავდა,
 აქებდა და სახელს არქმევდა,
 თვალმოხუჭული გასცქეროდა
 ყანას დუბეში,
 ესიზმრებოდა — დოლაბებზე
 საფქვავს აფქვევდა.
 აუღ, ყველაფერთან
 ყველაფერს რომ კაცი ათავებს,
 იმგვარად იწვა, — უღიმგილოდ,
 უხმოდ, უბრად.
 იმ ყაბალახსაც წყინდა, —
 მორთხმით უჯდა სათავეს,
 გრძნობდა, — პატრონი ალბათ
 ველარ დაიხურავდა.

დედაჩემის ჯამი

მიყვარს ბუხრის ახლო
 ცაცხვის ტაბლა ჯამით,
 ჯამში — ფხალობია,
 რომ ვერ ძღვები ჭამით.

ვებერთელა ჭადი,
 ზაფხულივით ცხელი,

ზედ რომ ჯვარი არის
 დედაჩემის ხელის.

ეს სუნია ნატერის,
 ხუნი მზის და ფოთლის,
 ყადრი მისი მაღლის
 ათას წლიდან მოდის.

ახეიდ პელაშვილის ნათქვამი ბურსაში

ქართველი ჭირსაც შებმია,
 გემოც იგემა ობლობის,
 მაგრამ მას არ უძებნია
 სამშობლო სხვის სამშობლოში.

გლოცავს შენი სავანე

ვუძღვნი ცნობილი საზოგადო მოღვაწის,
მგზნებარე პატრიოტის მე მე ე ჯ ა ბ ა შ ი ძ ი ს
ხსოვნას.

მემედ, შენი აჭარა
გულში ჩაგვეკონება,
ფეხქვეშ ლაქვარდს გაგიფუნს, —
მნახველს ზღვა ეგონება;
მინდა გითხრა სათქმელი,
სიტყვა არ მემოწმება.
იქნებ ჩემი ალერსიც
გულზე მოგეფონება.
ნეტავ ასლა შენს ყელზე
ტკბილად მომახვია და
მოგაგონო შენს მიერ
თქმული ომახიანად:
„— ვინ დამიყო მამული,
საქართველო ერთია,
ჩვენი მდინარეები
ჩვენს დედაწყალს ერთეიან,
ვინ დამიყო მამული,
საქართველო ერთია!“

მემედ, შენი ანდერძი,
მემედ, შენი ოცნება,
შენს აჭარას გულში აქვს
ხატებად და ლოცვებად.

გიგონებთ და გიგალობთ
სევდით და სინანულით.
გიხაროდა, ვაჟკაცო,
ალზევება მამულის.
ალტაცებით ამბობდი:
„— სანატრელ ჟამს მოვესწარ“,
ასეთი მზე წილად ხვდა
რომელ მიწას, რომელ ცას?!
გიხაროდა ბალღივით
შენ, ამტანო დიდ ჭირთა,
პატარა რომ მღეროდა:
„მე ქართველი ბიჭი ვარ!“
საქართველო გიხუტებს,
ქართველის დედა გიხუტებს,
ჩემს წინ დგახარ ღმერთკაცად
და მე ლოცვად ვიმუხლებ.
ენატრები პატარძლებს,
მოხუცებს და პატარებს,
ნეტავ გვყავდნე ცოცხალი,
ხელის გულზე გატარებთ.
ყველგან გაუხარია
შენს ლურჯ იასამანებს.
მემედ, იყავ კურთხეულ,
გლოცავს შენი სავანე!

გიორგი სკლუშჩაკი

ცისფერი ნათელი

ქარი მოქრის ნისლის სვეით,
მიწას აწვიმს ნათელი.
ლაღად სუნთქავს შუახვევი —
მადლიანი ქართველი.

მოფენილა ეზო ჭრელად
წითელ-ყვითელ ფურცელით.
საწნახელში უკვე ელავს
დასაწური ყურძენი.

ოქრო-ვერცხლი შემოდგომამ
უხვად ამოალაგა.
ხელმართალი კაცის შრომამ
მოიკიდა ბარაქა.

დღეს ზღაპარი არვის უკვირს,
ცხოვრებაა მზისფერი.
მთაში მოაქვს ეკრანს შუქი
საქართველოს ცის ფერი.

ძველ ვენახებს და ძველ ტაძარს,
ტყეებს შემოდგომისას,
გადმოჰყურებს ტელეანძა —
ნაცნე ჩვენი დროისა.

აბიზინდა ოქროყანა,
როგორც ღომის ფაფარი.
ეკრანზეა მთლად ქვეყანა —
ცხრა მთაა თუ ცხრა ბარი.

ეკრანზეა მეზობელი —
მეზურეა თუ მეოსანი.
ეკრანზეა ეს სოფელი,
ხალხი პატიოსანი.

შენი ლხინი, შენი გარჯა
გახდა ქვეყნის ზიარი.
შეუმჩნევი აღარ დარჩა
შენი კერა მზიანი.

სინდერა რომ გესმის ტკბილი,
ეს სინდერაც შენია.
შენი ნიჭი დალოცვილი
მიწას გადაჰყვანია.

ასლა მეტი გინდა ღონე,
იყავ მკლავშემართული.
მთელ პლანეტას გააგონე
შენი სიტყვა ქართული.

სასიკეთო შენი საქმე,
სასიკეთო ნაბიჯი.
მომავალი მკვიდრად ავე
ამ ცისა და ამ მიწის.

სულ ეფინოს მთას და მდელს
ეს ცისფერი ნათელი.
ასახელე საქართველო,
ასახელე ქართველი!

ფურცა მორბილაქა

ღედის ნაქსოვ ღროშასავით...

წყალნი წითლად დიდდნენო, —
განგაშებენ შვილნი შენნი,
ხატის ღიმილს გვიცდნენდენო, —
გნიახებენ შვილნი შენნი,
გნიახებენ, —
მე კი მიგვირს,..
ციხით,
მჯიღით,
კლდით თუ კბოდით,
არ გემარჯვა, — რა კლარჯი და
რა კლარჯეთი იქნებოდნი.
გადარჩი და აქ დარჩიო, —
ცას სწვდებიან შვილნი შენნი,
აღსდექ და აღორძინდიო, —
ღაფებს სცემენ შვილნი შენნი,

ნცვიფრობენ და მე კი მიგვირს,
ხევით,
ხრამით, კენჭით, ლოდით,
არ გექუხა, — რანაირი
მაჭახელა იქნებოდნი.
იდექ ზვარში მირთნივით
და ვაზივით ბჭობდი ღმერთთან,
ამ კარიბჭით დაგვეწინდა
იუდაც და ქრისტეც ერთად.
პირველობა გერგო წილად,
როგორც ფესვს და როგორც დირეს,
გაიწირე?! — საქართველოს
სიცოცხლისთვის გაიწირე.
გოლგოთაზე ასვლა შენი
ზოგს ღიმილით პირს უცვარავს,

მე კი სხალთის ხატის ცრემლის
წვეთი მცემს და ტანში მზარავს.
გამდგარა და ფუშტი გჭორავს,
მომდგარა და ბრიყვი გჩხვერავს,
შენ კი ღმერთმა შენს ქვაზე და
შენს ჭიშკარზე დაგაბერა.
მანც... ბეწვსაც ვერ აგადლეტს,
ცა რისხვით თუ დრო სავსავით,
წინ გინთია დედაგნა
დედის ნაქსოვ დროშასავით.
ოღონდ უფრო ილორძინებ
და ყველა ბელტს გადახიდავ,

შინაური მტრის თუ მოყვრის
გარჩევა რომ შესძლო ცოტა.

წყალნი წითლად დიოდნენო, —
განგაშებენ შვილნი შენნი,
განგაშებენ, — მე კი მიკვირს,
ცინით,
მჯილთი,
კლდით თუ კბოდით,
არ გეომა, — რანაირი
საქართველო იქნებოდო!

ჯემალ ქათამაძე

მწვანე კონცხი

მწვანე კონცხი თუ მწვანე ედემი,
მზე — ჭადრის შტოზე შეკაფებული.
მაგნოლიებზე თეთრი მტრედები,
მაისის წვიმას შეფარებულნი.

მოვა გოგონა ცისფერთვალემა,
დამშვენებული ფარული ვნებით,
მერე იწყება სულის წვალემა
და ზღვას მიაპობ ოცნების გემით.

დაბლა ზღვა — ნელი და მოლივლივე —
მოათამაშებს ტალღებს ქათქათას.
მზე აბრეშუმის გააბამს სიმებს
და ოქროს ფუნჯით მიწას დახატავს.

მწვანე კონცხი თუ მწვანე ედემი,
მთვარე — ტოტებზე შეკაფებული.
და გაფრენილი თეთრი მტრედები,
თბილ მოგონებებს შეფარებულნი.

შოთა ზოიძე

პ ი ტ ე რ ი

დავიარები

„ჩრდილოეთის ვენეციაში“.

ქალაქში მხედება პეტრე დიდი პატარა ქართველს.

კვარცხლბეკზე ცხენი.

ცხენზე პეტრე.

გასცქერის ნათელს.

თეთრი ღამეა, „ჩრდილოეთის ვენეციაში“.

მიედინება კალაპოტში მდინარე ნევა,
სასაბლეს ხიდთან მეგებება ბებერი ზვირთი.
მიედინება და თან მიაქვს ვეება ტვირთი
და მე მგონია ყველაფერის მიზეზი მე ვარ.

ღამეა თეთრი
შეთვალული ვენახის ფერი,
პროსპექტი ნევის,
რესტორნები და ორკესტრები,
საათის ორზე განაბული პიტერი მღერის,
საათის ორზე ხიდის გახსნას ვერ დავესწრები.

ივნისის დილა,
სიყრმის ხილვა,
სიყრმის მირაჟი,
სასტუმროები,
სადგურები,
ზამთრის სასახლე...
ჭაღარა ფიქრი ჩრდილოეთში გადმოვასახლე,
ისე, ვით რუსი პოეტები კავკასიაში.

მამაც მეზღვარს ვესალმები ავრორას ვახტზე,
ხელთათმანს მესვრის დანტესი და დუელში მიწვევს.
ცეცხლი გვინთია გულებში და ამ ცეცხლში ვიწვი,
რომ სამართალი ავიყვანო სამეფო ტახტზე.

ცარსკოე სელო.
ლიცეუმი.
პუშკინის ლანდი.
რუსეთის მიწა დაინახა პოეტის სისხლით,
რუსეთის მიწა განიბანა პოეტის სისხლით,
პუშკინის სული პეტროგრადის ქუჩებში დადის.

იღვრება სევდა,
პეტერგოფის შადრევანივით.
დიდი ქალაქის სტუმარი ვარ და სულ ერთიან —
შუადღის სევდა შუადღეზე უფრო მეტია,
ქალაქს კაცივით ხელისგულზე უდევს მარილი.

მიედინება კალაპოტში მდინარე ნევა,
მე კი ვდგავარ და შუბლგახსნილი გავცქერი ნათელს,
ნევასთან მხვდება პეტრე დიდი პატარა ქართველს
და მე მგონია ყველაფერის მიზეზი მე ვარ.

აქარული სიმჟონია

მოდიოდი,
 მოდიოდი,
 მოდიოდი გულმხნედ,
 ბევრჯერ დედა-საქართველოს საზეიმოდ უბნე,
 ბევრჯერ ღვინში დაიწვიე,
 დაიხმარე ჭირში,
 მოდიოდი ქართულ სისხლით და ქართული ჯიშით.
 მოდიოდი სამხრეთიდან ქართა მოსაფარი,
 საქართველოს მუზარადი,
 საქართველოს ფარი.
 უკვდავების წყაროდ ჩქეფდა შენთა მთათა შრენი,
 საქართველოს ამადღება იწყებოდა შენით.
 მოდიოდი მხრებგაშლილი,
 მოდიოდი მხნედა,
 შეხაროდი დედას შვილი,
 შეგხაროდა დედა.
 მაგრამ ბედმა გიშაგებდა, გზა გაეხსნა წყვილიადს,
 გველეშაპმა დრო გიხელთა, ბნელში მოვიწყვდი.
 მოგაშორა დედის თბილ მკერდს — იმერსა და ამერს,
 სიკვდილივით მოგისაჯა სამუდამო ღამე.
 რაც გებადა სულზე ტკბილი, წამსვე წარიტაცეს,
 თბოლს ჰგავდი ნაჯახირეგს,
 ნაწამებს და ნაცემს.
 შენთა ცრემლთა შენაკადი სწევდა ჭოროხს განზე,
 შავ ზღვასავით გიბორგავდა გული ბოლმით საფე.
 მაგრამ მაინც არ ტყდებოდი, ჭირს უტევდი მედგრად,
 კახაბერი კახაბრობდა,
 კვლავ ქედობდა ქედა.
 მიწის გულში შუქს მალავდი, ცის ლაქვარდში — ოქროს
 მძლე მარჯვენით მიიკვლევდი გზას ძნელს, ოკრო-ბოკროს.
 სურდათ ენის ამორთმევაც და ვერ ამოგართვის,
 ვეფხვის წიგნით იმკვიდრებდი გულში მზეს და ნათელს.
 სამას ზამთარს გადაურჩი, გრივალების ბორგვას,
 ვარსკვლავებით დახუნძლული ზეცა მხრებით მოგაქვს.
 მოგაქვს დედა-საქართველოს სიხარული დიდი,
 გადიადდა დიდაჭარა, ქედა, მარადიდი...
 შენს მიწაზე აწ ვერავინ ფეხს ვერ დადგამს ბრუნდად.
 საქართველოს შუქურა ხარ, იკაშკაშებ მუდამ!

ამ ლექსმა აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს კოლეგიისა და
 საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის გამგეობის მიერ გამოც-
 ხადებულ კონკურსზე პრემია მიიღო.

მშრამ კანკაპა

ქართული მწერლობის სივრცე ფართო

წარსულის ნაშთებისა და გადმოცემების მიხედვით, აქარა საქართველოს ის ისტორიული კუთხეა, რომელიც კულტურული ტენდენციებით უმკიდროვებდა უნდა უოფილიყო დაკავშირებული აღექსნდრე მაკედონიისა და რომის იმპერიის ომების ხანიდან დამკვიდრებულ ელინისტურ ტრადიციებთან, ხოლო ძველს აქარაში ქართველი ხალხი პირველად ეწიარა იმ მაღალ კულტურას, რომელსაც ქრისტიანული აღმსარებლობა ეწოდება. როგორც ჩანს, სამუალო საუკუნეების დასაწყისშივე საერთოდ მესხეთი და კერძოდ მისი მეზობელი აქარა ამ მაღალი კულტურისთვის მომზადებული იყო და სქარბობდა სხვა მხარეებს არა მარტო სივრცითი და სულიერი დონით, არამედ ეროვნული შეგნებითაც.

აქარამ თავის ისტორიულ გზებზე არა ერთი სულიერ-პოლიტიკური წიგნაგი შემოსწერა და უველაზე საოცარი შესაძლებელია ის იყოს, რომ მხარე, რომელიც პირველად ეწიარა ქრისტიანობას, პირველშივე დაჰკარგა იგი და ამ მხრივ, სულიერადაც ჩამოშორდა თავის სამშობლოს.

წელს ახი წელი შესრულდა, რაც აქარა ეროვნულ წიადს დაუბრუნდა.

რელიგიური აზროვნება, რომელიც ხაეროოდ შესუსტებას განიცდის, სულ სხვა სულიერი ღირებულებებით იცვლება. ქართული პოეზია ის სულიერი ძალა, რელიგიას რომ გაუწია მრისხანე მტოკეობა. ამ ახი წლის განმავლობაში სულიერ ნათესაობას აქარასთან ჩვენ ენის უმაღლესი პროდუქტით — პოეზიითაც მივაგვიანო და დავამკვიდრეთ.

გავისხნოთ რას განიცდიდა ნიკო ნიკოლაძე, როდესაც ეთნიკურად შეხანიშნავად შენახულ აქარლებს სწევდა და ახლო გაუცვნიდა: „... ენასაც თავი რომ დავანებოთ და მარტო გარეგან შეხედულებას, ხახს, აგებულებას, ტანადობას დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ აქარლებს ცოცხალი, ძალითა და სიმართლით სახეს, ტალით მგარი, ლომური გვამი აქვთ,

გონიერი და ალით სახეს თვალბით, მშენიერი შუბლით, მარჯვით მოთილილი ყბით, ფართო მხარბით, წერწეტა წილით, გაპარული მუცლით და მარჯვე წვევებით. ერთი სიტყვით, კაცი გრძნობს, რომ ეს ბრძოლაში გამოქნილი და გამარჯვებისათვის გამოქრილი ხალხია.“

ეს გამარჯვებისათვის გამოქრილი და გამოქნილი ხალხი დღეს სულიერი ცხოვრების ნამდვილ წყურვილს განიცდის. მას არ აკმაყოფილებს საკუთარი კულტურული მონაპოვარი და ამ მხრივ მტე ხიმაღლებს, ესწრაფვის. ამის დამადასტურებელია მისი პოეტების ლტოლვა ფორმის მტე სიახლისკენ, მხატვრული აზროვნების მტე სირთულისკენ, თემების შეუწუღადვ მრავალფეროვნებაკენ.

ამჟამად აქარაში იღვწის საიმედო რაში ქართული მწერლობისა, რომელიც გამარჯვებებისთვისაა მოწოდებული ქართულ სიტუასთან შემოქმედებით ქიდიში, გამოირჩევა მშობლიური მიწის ჰარბი სიყვარულით და მისი საქიბოროტო საკითხებისადმი პოეტური მსახურებით. ამიტომ ბუნებრივია, თუკი ქართველი მკითხველი და მასთან ერთად მთელი ქართული მწერლობა გულისხმურით უნდა ადევნებდეს თვალს აქარაში მომუშავე ნიჭიერი მწერლების შემოქმედებით წარმატებებს.

მოეზაა უფრო ეროვნულია, ვიდრე პროზის ხელოვნება — ეს ლიტერატურული ფორმულა კარგა ხანია, რაც აღიარებულია წერლობაში. ლექსში უფრო კონდენსირებულია ინტონაციის ეროვნული ხასიათი, უფრო აშკარად გამოხატულია პოეტური სინტაქსის ეროვნული მიმობრა. სიტყვასაც პოეზიაში ეროვნული განუმეორებლობისა და წარუვაღობის ბეჭედი აწის. ამგვარი „სიტყვისი“ სხვაგან არ არსებობენ. მხოლოდ სალექსო სტიქიწმია. სიტყვა აქ ბევრად უფრო განცდილია და ბევრად თვითმყოფია, ვიდრე პროზაში.



ერთ-ერთ თავის ბრწყინვალე წერილში „ნოქლოზ ბარათაშვილის პოეზია“ სიმონ ჩიქვანია წერდა: „ნოქლოზ ბარათაშვილს ნდომია თავისი დროინდელი ქართული ლექსის ფაქტურაც შეეცვალა და აღედგინა ქართული პოეზიის ნამდვილი ეროვნული იერი. მან სცადა სიტუცისათვის პირვანდელი შინაარსი აღედგინა, ძველი ქართული მწიგნობრული; ხალხური ლექსიცა და სინტაქსური იერი შეეტანა პოეტურ მეტყველებაში... ბარათაშვილს შესანიშნავად ესმოდა ქართულ ლექსში თანხმოვანთა მუსიკის მნიშვნელობა. რუსთველისა და ბესიკის შემდეგ ნოქლოზ ბარათაშვილი ერთ ახალს ჰქონდა შეთვისებული თანხმოვანთა სურნელება და ინტონაციის საოცარი ვანგენილობა“.

აქა პოეზიის პირველადი საფუძვლები, რომელიც მის ეროვნულ საფუძვლებს თანხვდება: ინტონაციისა და ზგერწრის თავისებურებებში, როგორც ამოსავალ სფეროში, ინასკება ლექსის პირველსახე, შემოქმედი პოეტის ენობრივ-სიტუციურ ქსოვილში ჩანს ხალხის კულტურული თვითშემცენება, ამ თვითშემცენების ისტორიული საფეხურები. ყველაზე ორგანულად პოეტი გრძნობს ამ აქტის მნიშვნელობას.

ფრიდონ ხალვაშმა კარგად იცის, რომ პოეტური შემოქმედება ეროვნული ღირსებისაა. ზოგჯერ თავისი ლექსის საფანელი მამინ ჰგონია მიყვლეული, როდესაც ამ ლექსის ეროვნული მნიშვნელობა დადასტურებულად უყვანა და სამშობლოს კედლის ერთ ნატხვად მიუჩნევია. თავის ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც „ჩემი სული“ ეწოდება, თუკი იგი უკმარობის გრძნობას თრგუნავს (XX საუკუნის პოეტს რომ ხშირად ეწვევა და მოსვენებას უკარგავს), უფრო იმის წყალობით, რომ ლექსს იგი სამშობლოს დამცველად უქცევია, ლექსის წყალობით იგი სამშობლოს სიძლიერის ნაწილად ქცეულა:

რადგან ეუმღერი ამ უკმარობას, —
მრავალტანჯული მამულის ჩივილს,
ასე მგონია, ვაგებ სენობას,
რომელიც მთლიან სიცოცხლედ მიღირს.
ამ შენობაში ვინაც შემოვა,
ვიცი, ხანდახან მაინც დამლოცავს.
მე განშორების შვიი დემონი
აიმ შეგვითის მთიდან დაშეკა.
მიყვარს დანდალოს რგული ხუხილი,
ხევი თაქარის ხილით მშვენიდება,
ეს ჩემი სული ქვის ნატხვიით
სამშობლოს კედელს ჩააშენდება.

სხვა ლექსში „ხმა უნდა იყოს...“ ავტორი თავის პროუცნიულ გამოცდილებაზე გვიყვება. იგი, მადლიერია, რომ საკუთარი გამოცდილებით მივიდა ამ აზრამდე, რომელიც ა.მ.

დუც ათახერ აღიარებული იყო. მაგრამ იგი საკუთარი ძალით გამოიმუშავებს იმედი, რომელიც საზრისს, რომელიც წყალგამყოფივით ზვოყს ნამდვილ პოეტს — მოჩვენებათისაგან. საკითხი ეხება პოეტის ცოცხალ და სასიცოცხლო მნიშვნელობის კავშირს ხალხთან, მკითხველ აუდიტორიასთან.

ერთ ცნობილ პოეტს ჰკითხეს: დავრდა იგი ლექსებს თუ არა, თუკი უდაბურ და უკაცრიელ კუნძულზე მოუხდებოდა ცხოვრება. მან უპასუხა, რომ საწერი მოწუხილობაც რომ არ უოფილიყო ამ კუნძულზე, მაინც დაწერდა ლექსებს უშუალოდ ზღვის ქვიშიან ნაპირებზე, თუმცა ეცოდინებოდა, რომ ზღვის მიტევა და მოქცევანი მის სტრიქონებს უკალოდ წარეცხავდნენ.

ასეთია გეშმარიტი პოეტის შემოქმედი სახე. მაგრამ ამჯერად ჩვენ ვლაპარაკობთ არა პოეტის შემოქმედ სულზე, არამედ იმაზე, რომ თვითონ ლექსის არსებობას გააჩნია დამოუკიდებელი სიცოცხლე. ფ. ხალვაშის აზრით, რომელიც საყოველთაო აზრს ემთხვევა და მითაა ძლიერი, ლექსი ხალხის მეხსიერებაში უნდა სახლობდეს და იქ უნდა იღებდეს სასიცოცხლო სითბოს. ყველა სხვა შემთხვევაში ლექსი მკვდრადშობილად უნდა ჩაითვალოს.

ის ხმა რა ხმაა,
თუ თვითონ ხალხმა
ვერ იგრძნო
და ხმა ხალხში არ თებდა.
თუ სიტუვა გახმა გასულულ ტოტევიტ,
ლობეს დაეცა და ჩუმად კვდება.

ფ. ხალვაშის აზრით, ეროვნულობა უფრო იგრძნობა სოფლად, ვიდრე ქალაქად თუ თვით დედაქალაქში. ქალაქში იგი, აღნაი, კონფორმიზმის ზეგრად უფრო მძაფრ შემოტევას და უნიფორმის ერთსახოვნებას ნახულობს. მან იცის, რომ პოეზია ძალზე ეროვნული მოვლენაა (მწერლობის სხვა სახეობებთან შედარებითაც) და ამიტომ ლექსის შექმნა უფრო ბუნების წიაღში ჩაწერილ სოფელში წარმოუდგენია. ეს თითქმის მისი კრედიოა. რამაც ჩვენ მას, სხვათა შორის, არ ვუთანხმებთ. ერთგან იგი პირდაპირ ამბობს:

ლექსებს არ უყვართ დედაქალაქი,
დედაქალაქი უყვართ პოეტებს...

ჩვენ ამ სიტუცეებში პარადოქსალურს არაფერს ვნახულობთ. ავტორის აზრით, არა მარტო პოეტური თემატიკა, არამედ შემოქმედებითი იმპულსებიც სოფლად მტეხია.

ჩემი შეხედულება დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. ყოველმა ხალხმა უნდა შექმნას იმგვარი ქალაქი, სადაც ეროვნული სული დიდ დიდილიზაციის მასშტაბებით იქნება გამოხატული, სადაც ეროვნული სული ქალაქური უკლინებით იქნება ჩამოსმული და ამო-

წორად აღწერილი, ქალაქი, რომელსაც
ეროვნული სულის სადგურად გამოვაცხადებთ.
ასეთი შუაგულ ქალაქის გარეშე ღრუბანდელ
დღეს დიდი ეროვნული ცხოვრება უქმი გაბ-
დებოდა; პოეზია კი დიდ ეროვნულ ცხოვრე-
ბასთან წილნაურაა. მშვენიერ სოფლურ სინ-
ედლეს ქალაქი (მით უმეტეს, დედაქალაქი)
სულიერ სიმწიფეს უპირისპირებს. ამიტომ
ჩვენ უფრო ვეთანხმებით ბორის პასტერნაკს,
რომელმაც ერთგან ქალაქზე ბრწყინვალედ
სიტყვა:

„Он жизнь веков считал наброском,
Лежавшим до него вчерне.

ფ. ხალვაშის ლექსებში, მართლაც, ინტო-
ნაციები უფრო სოფლური უოფიდან და
უოცოდდღიურობიდან მომდინარეობს; ფინიხე-
ბის კვამლი მასზე განწყობნავად მოქმედებს
(„იუზახლოვდები ბუნრიან ოდას, ყორეზე უი-
ვის შავი მამალი, მე ნალიასთან ვიწოსე ოდ-
ნავ ფინიხების კვამლი, როგორც წამალი“). მაგ-
რამ „საქმე საქმეზე რომ მიდგება“, იგი სოფ-
ლურობის დეკორაციას მაშინვე გვერდზე გა-
დასდებს და დარწმუნებულია, რომ პო-
ეტი ქვეყნის მასპინძელია. იგი მასპინძლის
როლში გრძნობს თავს და ქვეყნის სახელით
მოგვმართავს. პოეტის შინაგანი ვალდებუდე-
ბის გაცნობიერებისას ფ. ხალვაში აჭარბს პოე-
ტი კი არაა, იგი სრულიად საქართველოს პოე-
ტი-მოქირანხელეა.

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულით ვიდებ მდუმარი...
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი!
ნუ დამიძახებ სტუმარს იმითომ,
რომ უშენობა მწევადა ასწლობით,
შეილი მშობელთან ვეღარ მოვიდა,
ვეღარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.
მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,
ხიხინის ციხედ ვიყავ ქვეყნო!
და შენი სიტყვის გადასარჩენად
იღუწებოდა ჩემი სხეული...
მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,
ე საქართველოს დიდი სიმღერა
გულში ჩავინთე, ვით ნავერჩხალი.

ვაზის კულტურა აჭარის ისტორიული სახის
აღდგენაში მძაფრად მონაწილეობს. ისტორი-
ული ტრადიციები, აჭარამ ამ ბოლო საუკუნე-
ებში რომ განიცადა, ზოგჯერ ვაზის უმწირო
გაჩენებასთანაა გათანაბრებული და გაოგინე-
ბული. მის პოეტებში ცოცხლად იგრძნობა,
რომ მზარე ჭერაც ვერ გასწორებულა წილში
და ისტორიულად განწირულ ეროვნულ ნაე-
ვთებს თანდათან ისწორებს. ვაზი აჭარელი
პოეტისთვის აღდგენის სიმბოლოდ იქცა. მზა-
მიანი თრიაქით გაბრუნებულმა ხალხმა აჭარას

მოუშალა ვაზის სიცოცხლეხალისიანი ნაფური.
პოეტი ამგვარად ეხმარება ისტორიულ მემკვიდრეობას
ლენად ქცეულ ამ ფაქტს:

მაინც წამოვდა მიწიდან ვაზი
და მისი ცეცხლით ძარღვები თბება.
მამულო, ტყეზილი ნაფური მასვი,
პაპის ფილა მომეცი, დედევ.
იმ ძველ ყორეში ფილა იდო,
გამოგვალული უწვიმო წლებით,
შენ, ჩემი ვაზის მტევანო დიდო,
მესროლე შენი წითელი წვეთი!

გვირულ სულს ადამიანისას მისი ეროვნუ-
ლი ჩაცმულობაც გამოხატავს. ტანსაცმელი
თავდაცვის აუცილებლობამ წარმოშვა და გა-
ამრავალფეროვნა. ქართველი კაცის გარდერო-
ბიც გარემოსგან და მტრისგან თავდაცვის გა-
მო შეიქმნა, ხელო სიკოტავის ელემენტები მე-
რე და მერე გამოუმუშავდა. კარგად ჩაცმული
ქართველი კაცი კარგად აღჭურვილი ვეჟაკიც
იყო. პოეტის აზრით, ძველ ეროვნულ ტანსაც-
მელს თუკი დღეს აღარავინ იცნავს, სახლში ის
შაინც ოჯახის ავგაროზივით ხელშეუხებელია და
ოჯახს საცვისაგან იფარავს. ამგვარი გრძნობები-
თაა გამსჭვალული მისი ლექსი „ნაბადი“.

ფ. ხალვაშს არა ერთი რომანტიკულად გან-
წყობილი ლექსი აქვს მიძღვნილი ბუნების სიყ-
ვარულისადმი თუ მშობლიური პეიზაჟები-
სადმი. პეიზაჟი მისთვის, აგრეთვე, ეროვნული
ფენომენია; სამშობლოს ღანდშავტები ეროვ-
ნული ხასიათის ფორმირებაში იმდენად მონა-
წილეობას. ქართველი კაცის სიკისკასე მისგა-
ნაა: „სხეულში ჩამაწურვინა ბუნების მთელი
შეგნება!..“ — ოცნებობს იგი ერთგან.

გულწრფელი სტრიქონების გვერდით, სამ-
წუხაროდ, მის კრებულში ვხვდებით ნაძალა-
დევ და უაღბო მჭევრმეტყველებით აღბეჭდილ
ლექსებს. ავტორი ზოგჯერ კარგავს ზომიერე-
ბის გრძნობას (ჯერ, ალბათ, შეგნებულად, შე-
მდეგ კი გაუცნობიერებლად...), ეს კი იმ-
დენადაა სახიფათო, რამდენადაც ასეთი პრე-
ცედენტების შემდეგ ვაცდლებით ქირს საყუ-
თარი ქვეშარობი ხმის პიგნება და მხატვრუ-
ლი მარშონის აღდგენა. ზომიერებას მოკლე-
ბულ რიტორიკაზე და იაფ სენტიმენტუზზე
აგებული, მაგალითად, ლექსი „გენაცვალე“.
იგი იმეუშა იმხმა, თუ რაგორ არ უნდა გამ-
ოხატოდა ინტიმური გრძნობა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოეტის ლექსებ-
ში იპოვნით არა ერთ სანდომიან მხატვრულ სა-
ხეს (ჩვენ ვუსურვებდით მას, რომ ამ მიმართუ-
ლებით კიდევ უფრო ენერგიულად გააგრძე-
ლოს მუშაობა). გვინდა მოვითანოთ მათი რა-

ბურაშ პანაბაშა
პარმუშლი მწერლი ბორის საიმედი ფრთა

მდენიმე ნიშნით. ბუნების ფერებზე იგი ამ-
ბობს, რომ ისინი მიწის სიტყვები არიან, ხო-
ლო მინდვრის უკველები — ბუნების თითო
„ანბანით“; ოთახის დიდი ფანჯრები სათვა-
ლედ წარმოუდგენია, მთის ნისლი მასთან ეძ-
ებს ატარების მიზეზს, ხოლო მშობლიურ
მდინარეზე ამბობს: მინდა, რომ „... კალმახე-
ბით სავსე ქორაბი მხარე შევიღოს, როგორც
სურჩინა“...

მას აქვს თავისუფლების თემაზე დაწერი-
ლი ლექსები. ერთ-ერთი მათგანია „ზღვა და
თავისუფლება“. ზღვა თავისუფალია. ასევე
თავისუფალი უნდა იყოს მიწა, ასევე თავისუ-
ფალი უნდა იყოს ქვეყანა, ასევე თავისუფალი
უნდა იყოს ადამიანი და პოეტის სულიერი
ცხოვრება. იგი მიმართავს წყლის დიდ სტი-
ქიას:

... ადამიანი ვარ მუდამ შენი
თავისუფლებით შესინებულ...
შენს მუჭარაში ხეტილს ვბედავ,
დავიშვებოვ ტალღა მეკობრე,
დი, ზღვაო, შენებრ ძლიერი მუდამ
თავისუფლება მეშუქრებოდეს!

ამავე თემაზე დაწერილი მეტად შთამბეჭ-
დავი ბალადა მერხნაგურზე. ეს არის ნაწარ-
მო, რომელიც თავისუფლების აღკვეთის
... გამწვანებულადაა გადაწვეტილი. ბა-
ლადაში აღწერილია ისეთი ეპიზოდები დამო-
ნებული ხალხის ცხოვრებიდან, როდესაც მი-
სი ზნეობრივი ჩაწიხვა აშკარად ჩანს: როცა
ადამიანს სიმღერას უკრძალავენ, როცა ადა-
მიანს სიხარულს უსაბოვნო, როცა ადამიანს
ეროვნულ სახეს წაუშლიან, როცა ადამიანს სი-
ცოცხლეს უმარხვენ.

ლექსის „მუხა ბურსელის“ ეპიგრაფში ავ-
ტორი წერს: „ქალაქ ბურსადან (თურქეთი)
ერთმა თანამემამულემ გამომიგზავნა სახალ-
წლო ბარათი, რომელზეც ქართულ ჩოხაში
გამოწყობილი ზეთი ბეჭუნა. ბარათს რომ
ვკითხულობდი, ჩემი გემი „გოგორგი ლეონი-
ძე“ უკვე შორეთისაკენ მიაპობდა ტალღებს.
პასუხს ოკეანეში ვწერ“.

თურქეთში მცხოვრები ქართველები, რომ-
ელთაც არ შეუძლიათ საუთარი თავის დავი-
წყება და თავის ეროვნებაზე ხელის აღება,
მგრძნობენ სასტიკ სიმცირესა და უკმალო-
ბას ქართული წიგნისას, საქართველოდან მა-
თთან ჩასულ ყოველ გონიერ ქართველს ისი-
ნი თხოვენ ქართულ წიგნსა და ქართული
ცხოვრების შესახებ მასალის მიწოდებას. უფ-
რო სწორად ეს ვერ ხერხდება და ლექსის
„მუხა ბურსელის“ გამოუქმებელი სცდაც ამი-
თაა გამოწვეული. ამ ლექსის ავტორმა გააზ-
ნა, რომ მცირეწლოვან პერსონაჟთა სახლე-
ბი ლექსში არ შეუცვლია, იხივე, როგორც
არ შეუცვლია მათი საოცარი სწრაფვა ქარ-
თული სინამდვილისაკენ.

ლექსი რომელიც ოკეანის გადახრვისას
არის დაწერილი გემ „გოგორგი ლეონიძეზე“

მუსა ბურსელი, გასცოცხლეს უნახავ
მამიდაჩემთან როცა მიველით?
შემომცქეროდა რა გულმდღერად,
შემომცქეროდით შენც და ივერიც...
უპირველესთა შორის პირველი
და უმთავრესთა შორის მთავარი —
მარცხნიდან მეჭდა შენი ივერი,
მარჯვნიდან მეჭდა შენი თამარი.
შენი შავთვალა მორცხვი ციცი
მეშუადრება თვალბეზარად:
— მე „ღვდიანა“ მინდა, ბიძია,
მე დავიწველო მინდა ანბანი...
ივერი ასლა თითქმის გემში მყავს,
ფაფხაქვეშიდან მიმზერს ორბივით,
შენი ბარათი მე იმად მიყვარს —
ძველი იარა ცრემლით მომზანა.

აუღელვებლად არ შეიძლება გაეცნოს მკით-
ხველი ლექსს „სულხან საბას ხელნაწერი“,
რომელიც სტამბოლში არსებულ ქართულ კა-
თოლიკურ ეკლესიასა და მის მომვლელ, მეს-
ხეთიდან წამოსულ მღვდელს პავლე იაკობაშ-
ვილს ეძღვნება. ეს ტაძარი ტყუპისცალია ბა-
თუმის ცნობილი კათოლიკური ეკლესიისა.
სტამბოლის ამ ეკლესიაში აშუამდ ინახება
სულხან საბა ორბელიანის ხელნაწერი ევრო-
პაში მოგზაურობის შესახებ. ასეთნაირად იქ-
ცა სტამბოლის ქართული ეკლესია საქართვე-
ლოს ცოცხალ ნაწილად.

ქვეშარიტი პოეტური ექსპრესიით გამოირ-
ჩევა „წუხელ მესიზმრა“. ლექსი, არსებითად,
სტილიზაციის ნაყოფია, მაგრამ მაღალნიჭიერი
სტილიზაციის ნიშნებს წარმოადგენს. ამ ნაწარ-
მოებში ჩანს თუ როგორ დახვეწილად
გრძნობს ავტორი ქართული მთის ფოლკლორს,
რადგან „წუხელ მესიზმრა“ სწორედ მთის ხა-
ლხური პოეზიის მოტივებზეა შექმნილი.

ფ. ხალვაშის ლექსების კამპოზიციურ თავისე-
ბურებზე ის უნდა ითქვას, რომ, როგორც
წესი, ემოციურ-აზრობრივი აქცენტის ავტორს
ლექსის ბოლოში აქვს გადატანილი. ბოლო,
ფინალური აკორდი ლექსისა. როგორც მისი
კულმინაციური ნაწილი, სწორედ მოულოდ-
ნელი პოეტური დასკვნის შემცველია ამ
პრინციპითაა აგებული მისი ლირიკული ნა-
წარმოების დიდი უმრავლესობა.

ეს შენიშვნები ფ. ხალვაშის ლექსების კრებუ-
ლზე გინდა დავამთავროთ მისი მშვენიერი
ციკლის „მემღვდელთა“ ვახსენებით. იგი, ჩვე-
ნი აზრით, ყველაზე შთამბეჭდავია მის ერთ-
ტომეულში, რომელიც გასულ წელს გამოვი-
და გამოცემილობა „საბჭოთა საქართველოში“.
ამ ციკლში რამდენიმე დასამახსოვრებელი
ლექსია, მაგრამ ქვეშარიტი დრამატოზმით აღ-
წინწელია მანც ლექსი „მთხარა, როგორაა
მემღვდელთა“.

„მემლექეთს“ თურქულად „მამულს“, ნა-
ქართველოს უწოდებენ თურქეთში მცხოვ-
რები ქართველები. „მითხარ, როგორაა მემ-
ლექეთი“ ცრემლიანი საუბარია სამშობლოზე.
თუმცა კი მოსაუბრე ვაჟკაცურ სულისკვეთე-
ბას ინარჩუნებს და მომავალს იმედინად შე-
ჰყურებს. უნდა ითქვას, რომ მოსაუბრე იგი-
ვე მუსა ბურხელია, რომელსაც ჩვენ ავტო-
რის წინა ლექსებიდან ვიცნობთ.

ეს ლექსი ავტორმა 1968 წელს თურქეთში
წაიკითხა ქართველ პოეტებთან იქ მოწყო-
ბილი შეხვედრის ფაზის პოეტი აქ მუსა ბურ-
ხელის პირით ღაღადებს. ლექსიც ამ ბურხე-
ლი ქართველის მონოლოგს წარმოადგენს.
როგორც იტყვიან, იგი კომენტარს არ საჭი-
როებს.

მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავაპრთელო.
მითხარ, როგორაა მემლექეთი,
მე სულ მასზე ფიქრით დავდოდი,
ახლად დავიბადე, თბილისიდან
ხმა რომ დავიჭირე რადიოთი...
მითხარ, როგორაა მემლექეთი,
აქ ჩვენ არ გეგონთ ჩამქრალბი.
იზმირს, ეგეოსის ნაპირებზეც
ვავეთ საქართველოს სახლ-კარები.
მითხარ, როგორაა მემლექეთი,
ჩემი სანატრელი საქართველო,
რამე იმნაირი გამაგონე,
გული დაკოდილი გავაპრთელო.



ღაღად სეიდშეილი ადღეს ერთ-ერთი საინ-
ტერესო პოეტია საქართველოში. მართალია,
მან, შესაძლოა, ჭერ კიდევ ვერ მოაყვლია თა-
ვის ძირითად თემაზე, თავის პოეტურ სტრუქ-
ტურებს ეერ მიანიჭა შექველობისა და საკუ-
თარ თავში დასრულებულობის სახე და არც
დედაქალაქის სოლიდურ ყურნალებში უცდია
თავისი ადგილის მოპოვება, მაგრამ თავისი
ბოლო კრებულებით (1975) მან დავაარწმუნა,
რომ მასში ჭერ ისევ გამოუმუშავებელი პოე-
ტური ძალაა დაფარული.

ლ. სეიდშეილი პროფესიონალი მხატვარია.
იგი ერთხანს მერყეობდა ლექსსა და პოეტობას
შორის. მაგრამ ეს „მერყეობა“ შემდეგნაირ-
ად აიხსნა მის პოეტურ შემოქმედებაში: მის
ლექსში სახეები ვიწუაღურია, საგნობრივი
და სივრცეში ყურადღებით განაწილებული.

წარმოუდგენელია ქვემარტი პოეტი „მერი-
ფერიულად“ გრძნობდეს თავს; იმიტომ, რომ
შეთათვისებელია ნამდვილი და „მერიფერი-
ული“ პოეზია, არ არსებობს განაპირებულ
და უმნიშვნელო პრობლემებზე აგებული
შემოქმედება, პოეზიად არ მიიჩნევა კილო-

კავებადმდე ჩამოქვეითებული ლექსი. პოეზიას
ჩვენ მაქციად ვმიჯნავთ ფოლკლორულულობის
ნისკან.

ლ. სეიდშეილის საოცრად მიმზიდველი, მა-
ღალსერიოზული ინტონაცია აბადია. იგი ყმა-
წვითაცობიდანვე ნასაზრდოებია გალაკტიონ-
ტაბიძის პოეტური სამყაროთი, მისი მსოფლ-
განცდით. „გალაკტიონისმები“ მასთან ხშირია.
მაგრამ ლ. სეიდშეილის პოეტური კულტურა
უფრო ორგანულად უთავსდება და თავისე-
ბურ მხატვრულ მოყვარებაშია სიმონ ჩიქოვა-
ნის პოეტურ ენასთან: ნაქედობას მოკლებულ
პოეტურ სინტაქსთან და მეტაფორული აზრო-
ვნების დისკურსულ ბუნებასთან.

ლ. სეიდშეილი საინტერესო მოვლენაა ჩვენს
პოეზიაში. ამგვარ შთაბეჭდილებას გვიქმნის
ჩვენ მისი ფილოსოფიური მსოფლგანცდა, უხ-
ვად შეტანილი მთელს მის შემოქმედებაში.
ყოველივე, რაც მას ადევლებს, ფილოსოფი-
ურ დონეზე სურს განიხილოს და გაიზაროს.
პოეტური გვლამა მისთვის ფილოსოფიური
ცვრტის წვით ხორციელდება.

მიუხედავად იმისა, რომ ავტორში ძლიერია
სულიერი საწყისი, მიუხედავად მისი სულიე-
რი სიმწიფისა, ლ. სეიდშეილის ლექსები ტე-
ქნიკურად მოუშაგრებელი, სუსტნი ჩანან. მი-
სი ფრაგმენტოვანობა ხშირად ამორღული და მო-
უქნელია. მისი სატოვანი სისტემა და მხატვ-
რული აზრის განვითარება, არაიშვითად, ბუნ-
დოვნების შთაბეჭდილებას გვიტოვებს. მოკ-
ლებულია გამომსახველობით კონკრეტულო-
ბას და გაცილებით მეტი დამუშავების სურ-
ვილს აღგვიძრავს. მაგალითისთვის ავიღოთ
ასეთი რიგითი ნიმუში:

შემრიგებლობის უჩინო თათი,
რალანაირი ნდობის უნარით,
ჩემი ფიქრების სხეულზე დაღის
ამაღლებული, როგორც უარი...

ტაქვის აზრი ერთგვარი ჩამების შემდეგ
თიქვის გასაგებია (და არა მარტო გასაგებია,
მისაღება და მოსაწონიც): შემრიგებლობა და
კონფორმიზმი მისი ლექსებისათვის უკუნაჩე-
ნებია, რადგან მისი ლექსების („ფიქრების“)
უარისმყოფელია. მაგრამ უნდა დავკვირავს
ავტორს, რომ ეს „შემრიგებლობა“ იმდენსა-
რადიანია მეტაფორა-ემიტიტებითა მოცული,
რომ ჰკარავს პლასტიკურ გამომსახველობას,
აზრის კონკრეტულობას. ეს „უჩინო თათი“
„რალანაირი ნდობის უნარით“, „ამაღლებუ-
ლი, როგორც უარი“ — მოკლებულია
თვალსაწიანობას და არა მარტო თვალსა-
წიანობას, არამედ სიზუსტეს, მხატვრულ
თანმიმდევრობას და მთლიანობის განცდას
(მაგალითად, როდესაც მკითხველი ჩაიკი-
თხავს: „...ამაღლებული, როგორც უარი“,

მეზრბე ბანაბაშა

პარტული მწიგნობრის საიმედო ფრთა



ფიქრებს „უარი“ ამაღლებული შეიძლება იყოსო. ტაქში კი დაპარაკი უნდა იყოს ზნობრივი შემრიგებლობის ნებატიური და უარყოფილი ბუნების აღწევებასა და მომძღვრებაზე).

ამიტომ, პირველ ყოვლისა, მან უნდა გამოიმუშაოს მეტაფორული აზროვნების ბევრად უფრო დახვეწილი კულტურა. ავტორი თითქმის წვდომის პოეტური ხატების ქარბი შემოსვისაგან, მათი ერთბაში მოჭარბისგან და ვერ უქმნის მათ მწუბორ სინტაქსურ მდინარებას. დ. სეიდიშვილი ინტელექტუალური ყუილის პოეტია, მაგრამ მკითხველია მოწმე, რომ იგი მხოლოდ იკარგება საკუთარ სექტელში. მას, თუ არ ვცდებით, დაუბრუნებელი ზომიერების გრძნობა მეტაფორული კონსტრუქციების აგებისას. როგორც ჩანს, არსებობს მეტაფორათა ერთობლივი სისწორის რაღაც კანონზომიერება, რომელიც ვგაუწუებს, რომ ხმარების სისწორის აქვს თავისი ზღვარი. სტროფში, რომელიც დახუთმებულია მეტაფორებით, აზრის მათლიანობა ირდევება, აზრის ლოგიკურ სტრუქტურაში შეუსაბამოაზნი იჩენენ თავს. თუკი სტროფის ოთხ სტრიქონში თავს ოთხი მეტაფორა მოიყრის, მათი მხატვრული „ჯამი“ შეიძლება მხატვრულ ნოღზე დავარდეს...

დ. სეიდიშვილის ზემოთყვანილ სტროფში მეტაფორათა ზედმეტი სიჭარბება. ამის გამო მათგან მკაფიო აზრის გამოყვანა ჭირს. მაგრამ ეს კიდევ არაფერია. მეტაფორათა დახვედებისა და მეტისმეტი სისწორის გამო ქრება ლექსის ემოციური ლოგიკა და რაც უმთავრესია — გრძნობის დრამატიზმი; ლექსი კარგავს ბუნებრივი განვითარების უნარს.

სამართლიანობის გრძნობა ითხოვს, ითქვას მისი შესახებაც. თუ კიდევ რითაა გამოწვეული ზემოსხენებული ხარვეზები დ. სეიდიშვილის ლექსებში. უნდა აღინიშნოს ძიებისა და ექსპერიმენტაციების წყურვილი, რომელიც მას ამოძრავებს ექსპრესიულ საშუალებათა გამოანახავად მედილი მისი ლირიკა რეფორმის-ული მოწოდებითაა აღბეჭდილი. მას სურს რეფორმა ჩაატაროს მეტრის საკითხებში, ახალი მიჯნები მოსინჯოს ასონანსური რითმის სფეროში და ჩაწვდეს თავისუფალი ლექსის საიდუმლოს, რომელიც ჭერ ისევ სინორჩის ასაკს ინარჩუნებს ჩვეს მწერლობაში.

თავისებური სირთულე, რომლითაც დ. სეიდიშვილის ლექსები გამოირჩევა, განყენებული თემები და ფილოსოფიურობა, რომელიც მისი სტიქიაა — ზოგჯერ აპირობებენ, მის სახეობრივ-სინტაქსურ წყობას აკლდეს რელიეფურობა, აზრს — კრისტილური სიამარავე, ფრაზას კი — პლასტიკურობა. თავის პოეტურ ხილვებს იგი ზოგჯერ „უგზოობას“ და გაუაფავი გზით სიარულს ადარებს. იგი იპასაც აღიარებს, რომ „ათასგზის“ დამარცხებულია, მაგრამ მაძიებლის სული და შემართება არა-

სოდეს დაუქარგავს. ეს იმიტომ, რომ უნდა იქნას ხსნის პოეტი — ჩემი წვდომა საგანმანათლებლო მალე ბუნებისა შედეგია ჩემი უსაზღვრო, გამაზივლებელი ყურადღებისა მათ მიმართ.

თავდაიწევებით ათასჯერ ფრთხილი ვუყურებ საგნებს და უფრო მეტი — გაუღებელი იდუმალი სილუთი მზეზე გადადის ჩემი ღდის ეტლი. ან უკანგებლო კაცი როდი ვარ, დაშინებული საკუთარ მიწინთ, ამბოხებული სულთ დავდივარ და ჭიანჭარ ქვეყნად ყველაზე დინჯი.

ამ ლექსში, რომელსაც „მარადისობა“ ეწოდება, ავტორმა თავისი წარმოსახვის ზოგიერთი მხარე დავანახა, საკუთარი ხელოვნების ზოგი საიდუმლო გვიამბო კვლავ მეტაფორების ენით და თავისი მგრძნობელობა ხატოვნად დავვისურათა.

დამარცხებული ათასგზობით, ისევ მაფრთხილებს გზების ნიშანი, ისევ მაფრთხილებს, რომ უგზოობა უფრო ძნელია და საშიშარი. და პირველსავე ყოველგვარ გზათა — წელამდე მწვდება ბალახი მწვანე. ჭერ არ იციან, რა ჰქვია ზამთარს, სით მოსულები, საითვენ წავლენ. მხოლოდ დღიანი სხედან და ქოთნებს აესებენ მსუფე მარტორჩის რძით. კრთიან ჭიქნები და მწვანე ფოთლებს აქა-იქ ფერავს ნაკურთხი წვეთი... გამოსრულდება ელვის სისწრაფით ტრატანამონის კბოლ და ძვიდე. მარადისობა უბრალო წყაით ჩემში გაივლის ათასჯერ კიდევ.

დ. სეიდიშვილის ლექსებში მეტაფორული აზროვნება ძალზე სუბიექტური ბუნებისაა. მეტაფორაში ჩადებული ინფორმაცია, ე. ი. მისი შემცვენებითი მხარე ისე ჩაღრმავებულად და მიეკრძებულად არის გახსნილი პოეტის ხატოვან სტრუქტურაში, რომ ამოცნობა ხშირად ჭირს. დ. სეიდიშვილის პოეზია რამდენადმე ავტობიოგრაფიული შინაარსისაა, მაგრამ მისგან განზოგადების მოხდენის დროს იგი უფრო კონკრეტული, ცხადი და გახედული უნდა ჩანდეს. პოეზია განზოგადების ხელშეწყობა, მაგრამ მისი ბუნების დიალექტიკა მოითხოვს, აგრეთვე, რომ იყოს საგნობრივად კონკრეტული. მაგალითისთვის გამოდგება ლექსი „მეუღრო ბალი“, რომლითაც კრებული იხსენება. აქ მკითხველი ხვდება, რომ „მეუღრო ბალი“ წმინდა პიუჟურული ლირიკა არაა, რომ იგი სიმბოლური და მეტაფორული სახეცაა. ავტორი არაერთ მინიშნებას გვთავაზობს, რათა ამ სახის სიღრმისეულ პლანზე მივვითითოთ: „მაგრამ აქ არის მსგავსი შეხება იმ ნაცნობ დროსთან...“ ან კიდევ: „მინა-



ნიების უცხო კვალივით სადღაც ზუზუნებს ფუ-
გები ბახის, და თავისთავში ვერ გარკვეული
დგას შინაგანად დაცლილი ბაღი!... პირდაპირ
უნდა ითქვას, რომ ასეთ ტაქტებს თითქმის ში-
ნაგანი ლოგიკური კარკასი არა აქვთ, რადგან
მოკლებულნი არიან საგნობრივ სიცხადეს, ინ-
ფორმაციის სისუსტეს ოსტატობა განსოვა-
დების ხელოვნებაში — მდგომარეობს ბუნ-
დოვანების დამტყუასა და ზუსტი მოტივიციე-
ბის გამოწვევაში. ამ მხრივ, ლ. სედიშვილს
კიდევ დიდი გზის გავლა მოუწევს.

ლ. სედიშვილს არ უუვარს პოეტური რი-
ტორიკა. რიტორიკისადმი ხშირი მიმართვა
მას ლიტერატურულ სისუსტედ მიაჩნია. აქ-
იომ ძალზე ცოტაა მის შემოქმედებით პრა-
ქტიკაში ე. წ. რიტორიკული სტილი. მისი
სახეები აშკარად ვიზუალურია, მისი მეტაფო-
რები ზოგჯერ სურათებისტურ სტრუქტურებს
ქმნიან. რიტორიკა აქ გამოირჩევა. წვიმის
შესახებ იგი წერს:

წამით ჩერდება დაღლილი მგზავრით,
პაერი ბავშვ იღუპება წვილად...
და მთელი სხეული სუნთქვის სიმსუბუქით,
როგორც რამ სრული და არა დამოკიდებული —
ხელში უჭირავს ქუჩას დღუდუკით
დაიქცირება ჭორფლიან ბავშვით.

მის ლირიკულ გმირს მოგონებები ვაშლე-
ბივით ზურგივით მოაქვს, როგორც ზღაბს;
იგი წვიმას ცრემლივით გეგოს უხიწავს, ხო-
ლო როდესაც მოხდება ისე, რომ ლოდინი აღ-
არ ძალუბს, დროს უსწრებს ხოლმე. „უველა
კაცს თავისი სიხარულის ზეცა ახურავს, თავ-
ზე კუთვნილი წვიმა ასხამს, ცრემლიც — თა-
ვისი“, — აცხადებს იგი.

ავტორისთვის უცხო არაა ფილოსოფიური
სენტიმენტები, აუვანადი მაღალ პოეტურ რე-
გისტრში: „სიცოცხლის მსგავსი არ ყოფილა
სხვაგვარი სეფი“, ან „ფიქრების გარდა არ
არსებობს კიდევ სხვა ყურე“...

წმინდა პატრიოტულ თემაზე ლ. სედიშ-
ვილს შექმნილი აქვს რამდენიმე ლექსი, რო-
მელთაგან გამოირჩევა „იუვენე მეფენი“ და
„სადაც არს მცხეთა“. კიდევ უფრო საინტე-
რესოა პუბლიცისტური გზნებით შექმნილი
„გავლვა“ და „ნეტარ იყოს“. საფუძველი
გვქვს ვერაუდლო, რომ შედგომს პოეტურ
კრებულიში პუბლიცისტური აზროვნება გალ-
რმავდება, გამრავალფეროვნდება და თემატი-
კურადაც გამახვილდება.

მაინც მის კრებულში დომინანტობს სიუვა-
რულის თემა. მისი მგრძნობელობის თანახმად,
ადამიანის ყოფიერება მხოლოდ სიუვარულის
შუქზე შეიძლება იკითხებოდეს და მთელი სი-
სრულით განიხილებოდეს. ამას გვაფიქრებ-
ნებს მისი მრავალი ლექსი, მაგრამ განსაკუთ-
რებით — შესანიშნავი მოზაიკა სონეტებისა,
რომელსაც პოეზიაში თავისი სახელი აქვს და

ეწოდება „სონეტების გვირგვინი“. სონეტ-
ების ეს თავისებური კაცადი პოეტის შემოქ-
მნიშვნელოვან შემოქმედებით გამარჯვებას
წარმოადგენს. ფილოსოფიურობით გამორჩე-
ულ სონეტების ამ ციკლში იმდენი სონეტია,
რამდენიც სტრიქონია მასში, ხოლო მათი პი-
რველი სტრიქონებიდან შედგენილია უკანას-
კნელი მეთხუთმეტე სონეტი, სონეტი-„აქროს-
ტისი“.

„სონეტების გვირგვინი“ სიუვარულის პიმს
არ წარმოადგენს, მასში იგრძნობა მძაფრი
სექსისიცი, ერთგვარი წნეობრივი კრიტიციზ-
მი, მაგრამ ამ ნაწარმოების ღირსებას შეად-
გენს ის, რომ ეს კრიტიციზმი არ დასტურდა-
რი და იგი მთლიანად ცხოვრებისა და ადა-
მიანის ყოფიერებისადმი მიმართოს.



როდესაც პირველი შთაბეჭდილებები მინე-
ლდება და შექმნილი შეხედულებები განზო-
გადდება მოთხოვს, იბადება სურვილი უპა-
სუხო მთავარ კითხვებს: რა არის ყველაზე
მეტად ნიშანდობლივი ბათუმელი მწერლების
მგრძნობელობისა და შემოქმედებითი ხელწე-
რისათვის, უფრო რომელ ფრთას განეკუთვნე-
ბიან ისინი ქართულ პოეზიაში, აქვთ თუ არა,
ამ მხრივ, ერთი საერთო გამართანებელი ნი-
შანი, საერთო მხატვრული მნიშვნელობა? ჩვენი
აზრით, ისინი თავისი პოეტური მსოფლგან-
ცით, ტემპერამენტითა და მხატვრული გეოვ-
ნებით ყველაზე უფრო უახლოვდებიან ციცი:
ან ტაბაძისა და ლალო ასათიანის სამწერლო
მავსტრალს. ამას გვაფიქრებინებს ემოციუ-
რი საწყისის პირველადობა, მძაფრი მგრძნო-
ბელობა, პოეტური ენის სტილური ბუნებით
— ხალხურ ძირებთან სიახლოვე, გულდავულ,
პირდაპირ გამხედრილი სინაში თუ სისხლპა-
რი ენებთან, რაც არაერთ ბათუმელ პოეტს
ახასიათებს.

ამგვარი გრძნობადი „პოეტური სკოლის“
ყველაზე ტიპურ წარმომადგენლად მიგვაჩნია
ზურაბ გორგილაძე. თიხა, რომლისგანაც ძე-
რწავს იგი თავის ნიმუშებს, ზოგჯერ გამოიწვა-
რიც არ არის, ხორცი, რომელიც მუდამ პლე-
ვალურებს ყოველივეზე, მისთვის ყველაზე დი-
დი რელიზია. პატარაქალური გარემო, სოფ-
ლური ყოფის ადამისდროინდელი დეტალები,
გლხტური ცხოვრების მაღლი — მისი პოეტუ-
რი ფაქტურის ანი და პოეა. ნუ ეცდებით, გა-
დააჭიროთ იგი. მისი ლექსების კულტურულ-
ისტორიულ კლასტებში ბათუმის სახე თით-
ქმის არ ირეკლება. ზ. გორგილაძე თავისი
მსოფლგანდობით „მარადიული გლხტის“ პი-
ნოგრაფია. შეიძლება შესდგეს (ფილოსოფი-
ური თვალსაზრისით საკმაოდ საინტერესოც

გურამ ბანბახაძე

პირთული მემკვიდრის საიმედო ფრთა

იქნებოდა) ზ. გორგილაძის პოეტური ლექსი-
კის სიტყვარიც. აქ, მაშინ, შევხვდებით ასეთ
ოშვით სიტყვებს: ბორჯგალა, ბურგალა, ყუერ-
ვა, უღვლეობა, კატრები, ჭინჭა, ღარღალი...

ეს ბგერწერული თაღსაზრისით მეტად მე-
ტყუელი და კოლორიტიანი სიტყვები ჩვენ მი-
სი ერთი ლექსიდან ამოვწერეთ, რომელიც
ხსნის კიდევ მისი ლექსების კრებულს „ჩაღ-
მა ჩაყრილო ვენახო“ (1975); ლექსს ეწოდე-
ბა: „წავალ... შევხვდები ძმას და მეგობარს“. იგი მართლაც პოეტური კამერტონის მოვა-
ლეთობას ასრულებს და მთელი კრებულის ხა-
სიათს ხსნის. აქ პოეტის სიყვარული წარმარ-
თულია, რომელიც არ სცნობს საგანთა ტრა-
დიციულ იერარქიას და ყოველივე არსებულ-
ში გამოავნებელი სიყვარულის მიზეზს პო-
ულობს. სიყვარულის მიზეზებს ამ ქვეყანაზე
რა დაღევს და მათ რიცხვშია, პირველ რიგში,
თვით „სიტყვაც“. თუკი მას ვუძეულებ და ნა-
ღები გრძნობა მოვათავსე მასში, „არ მაპატი-
ებს გლების ბუნებაო“, — წერს იგი.

ამავე ლექსში („წავალ... შევხვდები ძმას და
მეგობარს“) იგი თითქმის თავისი ცხოვრებისა
და პოეზიის უმაღლეს ცნებას ამკვიდრებს:
სიყვარული უმაღლესი ეთიკური ვითარებაა;
მისი ღრმა რწმენით, პეროიკული სიცოცხლე,
პეროიკული ეთიკა — სიყვარულის ჩარჩოებ-
ში ვლინდება.

წავალ...

შევხვდები ძმას და მეგობარს,
ჯმუნს და ბორჯგალას,

ღრმას და ღონიერს,
მის სულს მგონური სევდით შევლობავ
და მთების შიგნით შევიყოლიებ.

წავალ...

შევხვდები შენთან შლეგობას,
მოვუსმენ კლდის და წვეთის გალობას,
წამილებს სიზმრად ქარის აშარის
ხევ-ხევ ბოვინი და ბურგალობა.

წავალ...

შევხვდები გვანცას, გონის,
გაზრდილს გალობით, გწერთილს
კირთებით,

გულზე დავიფენ ნისლის გენიას,
ავსარბარდები და ავტირდები...

ყოფითი ელემენტების, ეთნოგრაფიზმისა და
კუთხური ლექსიკის მოძალდება, სამწუხაროდ,
ზ. გორგილაძის ლექსებში თვითმონაწილე ხა-
სიათსაც შეიცავს და მხატვრულ გემოვნებას
გამოუსწორებლად აზიანებს. ლექსში „გლე-
ხი“ არის მშვენიერი სტრიქონები, მაგრამ
თვით ლექსი თემის „ვარიაციებით“ ისეა გა-
ქიანურებული და, ცხადია, „კოლორიტიანი“
ლექსიკით აღსავსე (ჩქოლი, ჩაჩქოლა, რეგ-
გვა, ჭიგვა, მოწკი, პოტიკი, ჭანდრვა, ქუწაწალა,
თქვარები, ნაჟა, ხაო აფხავებული...) რომ
მთლიანობაში ესთეტიკურ ტკბობას აღარ გვა-

ნიჭებს და მხატვრულ სიზღარეში გადაიზარდ-
ბა. აი, ამ ლექსის პირველი, ტექნიკური
სამახსოვრებელი სტროფი:

გლეხმა —

როდის იყო, მთა არ აქიფავა,
ნისლი არ დაათრო, ხევი არ ამღერა,
ტყე არ შეუსია კორტოხს მაყარივით,
გლეხმა,
ამ მიწაზე სისხლით დანამუცნა...

ზ. გორგილაძის პოეტური რვეული იხურე-
ბა კარგი ლირიკული ლექსით; მის განწყობი-
ლებაში მკითხველს ეჭვი არ ეპარება; ლექსი
კვლავ გამოუთქმელი სიყვარულის ყოვლის-
მძღოლობის თემას ეხება; სიყვარული ერთადე-
რთი თავდებობაა წარმავლობითა და სასოწარ-
მკვეთი სევდით გარემოცული ჩენი მაღალი
არსებობისა. აღმანიან ყოფიერება, — როცა
ერთმანეთში თანაარსებობენ ცნობისწამლება
სიღამაზე და სიკვდილი, შემოქმედებით
სწრაფები და წარმავლობის სევდა, — ყოვე-
ლივეს აწესრიგებს ხმსხვერპლოდ გამოადებ-
ული სიყვარულის ძალით.

ჩვენს სიყვარულზე იტიპიკებთ

ალბათ მერცხლები,

პოი მერცხლებო! იტიპიკეთ,

მე გაგაცლებით.

შენ ჩემი სიყრმის ოქროს ხეო,

მზით რომ ვერ ძღებო,

სულ მზე გეფრქვიოს მაგ ხუტუშზე,

მე გაგაცლები.

შენ, ჩემო დედავ, დედობით რომ

მომიქანცები,

შენ ნუ, ძვირფასო, მე წავალ და

მე გაგაცლები.

მამულო, სახევე ჩონგურების

ცხელი ვერცხლებით,

ერთ ღარს ჩამოყრავ შენს კალთაში,

და გაგაცლები...

დასასრულ, ზ. გორგილაძის კიდევ ერთ
კარგ შემოქმედებით თვისებაზე გვსურს მი-
ვუთითოთ, რომელიც თვითონ ავტორმა მარ-
ტივად გამოთქვა: „კმაყოფილი არ ყუოფილვარ
არასდროს, ქვეყანაზე ბედნიერი მით ვარო“...



მაშია ვარშანიძემ ერთ-ერთმა პირველმა შე-
მოიქანა ქართულ პოეზიაში ისტორიული აქ-
არის მწვევ და ტიპიკებით აღსავსე თემატიკა.
სწორედ მის პოეზიაში შეიცა მოქალაქეობრი-
ვი უღვლეობები აჭარის ისტორიულ-წინაპრე
საკითხებს. და ყველაზე მეტად მის ლექსებში
შემუშავდა და გაბატონდა ამიტომ გამამხნე-
ვებელი საზოგადო ლექსის სტილისტიკური ნი-
შნები, საზოგადო ყაიდის პოეზია. ამ მხრივ, მი-
სი ღვაწლი ქართულ პოეზიაში გამოსარჩევია.

მ. ვარშანიძის სქელტანიანი წიგნი ლირი-



კა. ლირიკული პოემების“ (1976) ამ აზრით, შეიძლება ითქვას, რომ განვითარება პანეგირისტულ ლიტერატურას. აქ უკვეა თემა, უკველი ცალკეული მოტივი თუ საკითხი მადლი-ფარდონად სახობო სტილშია გადაწყვეტილი. პანეგირიკული ლექსი, თავისთავად, შეიძლება დიდი არტისტული და ექსტრემური წიგნის ხასიათს ძალზე პირობითად თუ შეესატყვისება. იმატომ, რომ პანეგირიკული პოეზია ლირიკული ბუნების არაა, ლირიკული ნერვი ამგვარ პოეზიაში მოდუნებულია.

რით შეიძლება იყოს გამოწვეული ის გარემოება, რომ სახობო ყაად კრებულში არსებითი და წამყვანი მეთოდია? ჩვენ გვგონია, რომ ამის გასაღებს იძლევა თვით ავტორი თავისი წიგნისათვის დაწერილ შესავალ წერილში. „იღია“ ორკუთხედულ ჩამახას, — წერს ავტორი. — შენი მუშა თავს დასტრიალებს მხოლოდ სამხრეთ საქართველოს და ან თუ გადადებული შენი ლტოლვა არ მომწონსო. ამ შენიშვნაში სიპარაღის მარცვადიყაა. ზოგიერთი (არა მარტო პოეტი) ძალიან გაგვიაცა სამხრეთ საქართველოს, კერძოდ, აჭარის ტრაგედია წარსულშია. თუკი ამა მთვეცა დიდი მგზნებარებაც და დიდი პათოსიც, ურთმლისოდ, განსაკუთრებით, პოეზია არ არსებობს. ამ უზომო ლტოლვაში შექმნა აგრეთვე ჩვენს შემოქმედებით სამყაროში ერთგვარონებაც, რაც არაა სასურველ-მოსაწონი...

სავსებით მართალი ბრძანდება ამ სტრიქონების ავტორი: მისი წიგნის ძირითად თემა-საც ხომ აჭარის წარსული და დღევანდელი სახე წარმოადგენს. ეს თემა უზერბრელი და მარადმწვანე, მაგრამ მხოლოდ პატრიოტულ საკითხებზე აგებული პოეტური წიგნი (თემის სპეციფიკის გამო) მართლაც „ერთფეროვანი“ და სახობო ხასიათისაა. ძალზე ძნელია სქელ-ტანიანი წიგნის ძირითად თემად გაიხადო სამშობლო მხარის ქება-დიდება და პანეგირისტად არ იქცე.

ჩვენ გვინდა აქ მოვიტანოთ პატრიოტული სულისკეთებით აღზენილი ლექსი „ზარზმა“, სადაც ავტორმა შედარებით უძნელად სახობო ტონისთვის გვერდის აქცევია: „იგ, გულო ჩემო, ტკივილის ზღვა ხარ, დასჯილი მკაცრად, ნუნუ ახმედავ შებოლილ ზარზმას, ეს არის ჭვარცმა... სულთნის მუშტები აჩნია კედელს, სხვა რა იცოდა — მუშტი და ცეცხლი, რომ მოელოდა შენდევ და შემდეგ, უცქირე, ბიშო, უცქირე დერცვლილს. ჩემო ბიჭუნავ, დამახსოვრე სატემა მისი, გიბრი რომ ჰქეა, ცრემლი დედათა, მამების ღონე... მათი ღანდები აქ ჩუმად ჰქრან. დამახსოვრე ტკივილი დიდი,

ხელაპყრობილთა ღოცვა და არზა, შენც გაიღე გულადან მინდა, გახსოვდეს ზარზმა მარადმწვანე“
მ. ვარშანიძის ლექსი სიამოვნებით იკითხება, თუკი იგი მიახლოებულია მხატვრულ სი-სადავებთან. პოეტი აქ უშუალოდ მიმართავს აღმზანს, მოუწოდებს რა მას წინაშეობისა-კენ:

გავტეხოთ პური, ძმობა კი არა,
ძნელია, როცა ფერხბ და ეცუბ...
დე, გულე გვეონდეს ფაქრი მარად
და სული ჩვენი სულს გადაეცდოს.

კიდევ მეტი ბუნებრივობით გამოირჩევა „ზღვასთან მდგროდა გოგონა“. ლექსის კილო, მასში დაუფული პირტის ატმოსფერო, გრძნობის უშუალო გამხელა ლექსს ადვილად ასათვისებელი ხდის: „ზღვასთან მდგროდა გოგონა“ რომანსული ყაიდასა. იგი შესაფერისი ინსტრუმენტის აკომპანიმენტსაც გულისხმობს. ეს სისადავე და ბუნებრიობა მამია ვარშანიძის ლექსების მხატვრულ დაწერებ-ლობას სძენს:

ჩემო კარგო კაპიტანო, გადმოხედე,
თერამეტი წლის გოგონას არ შემიყვარებ?
მაგ შენს ლამაზ სასახლეში, გენაცავე,
გეხვეწები — წამიყვანე...
შენი ჭირი შემყაროს, კაპიტანო,
გელოდები, მოდი, შემხვდი წამით ბარემ.
ფერია ვარ, შენი სულთქვეთ წარმითანე,
წამიყვანე, კაპიტანო, წამიყვანე...



ბათუმელი პოეტების შემოქმედებაში პირადულ განცდათა მხატვრული გამოსატყის დონე ჭერს ისევ დიდ წრთობასა და დახვეწას ითხოვს. ლირიკულ ლექსში ინდივიდუალური სულიერი ნიშნის შეტანა ან ფსიქოლოგიური დაკვირვების ფიქსირება დიდ ოსტატობასთან ერთად მაღალ მხატვრულ კულტურას გულისხმობს. ხელოვანი (პოეტი) მიისწრაფვის საკუთარი სულიერი და გრძნობათა სამყაროს გამოხატვად და მთელი ენერგია იქითა მიმართული, რომ გრძნობათა გამოს ეს გამოხატვა ინდივიდუალურად მოხდეს. ავტორისთვის გამოსახატად ყველაზე რთული ხფერო — საკუთარი მხატვრული ცნობიერებაა.

ჭემალ ქათამაც წწორედ ის პოეტი, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს საკუთარი ინტიმური გრძნობების გამოხატვას. უფაოდ ხანიაშოვნა, რომ მის ლექსებში ხშირად ჩანს პირადული განცდები, განწყობილების ფაქიზი განვითარება და თვით ოცნების დიდი სურვილი. იგი იმის მომხრეა, რომ აეთი მნიშვნელოვანი სასოვალოებრივი მოვლენა გაიზაროს როგორც საკუთარი ბიოგრაფიული ფაქტი.

ზურაბ პანკაძე
გარეთული მშობლობის სანიმლო ფრთა

მარამ სულიერ განცდათა ზუსტად გადმო-
საცემად ჯ. ქათამაძეს ჭერ კიდეც დიდი სიძნე-
ლეები აქვს დასაძლევია. იგი ხშირად არ არის
ასეთ შემთხვევებში ზუსტი, შემოქმედებითი,
დამოუკიდებელი. პოეტი ადვილად ეძიება,
აგრეთვე, ზეგავლენების ქვეშ და ამიტომ ლი-
ტერატურისში მისი ლექსების ხშირი სტუპა-
რია.

მაგალითად, უდავოა, რომ ესკიზურ ჩანა-
ხატში „არა, ამ მიწის პატრონს“ მუსხრან მაქა-
ვარიანის შეუნიღბავი და აშკარა ინტონაციუ-
რი გავლენა იჩენს თავს:

არა, ამ მიწის პატრონს,
რა დამაძინებს, რა?
ბათუმი რად ღირს მარტო
და საქართველოს ცა..

მას არა ერთი ლექსი აქვს სიყვარულის
გრძნობისადმი მიძღვნილი. ზოგჯერ იგი სასიუ-
ვარულო განცდას საკმაოდ ექსპრესიულად გა-
მოხატავს. იგი არ ერიდება რომანსული უაი-
ლის სტანდარტებსაც და ხშირად მარჯვედ იუ-
ენებს მათ. ასეთია ლექსი „ნუ მიხვალ ზღვას-
თან“, რომელიც ამგვარად იწყება:

ნუ მიხვალ ზღვასთან,
ზღვას ნუ გადარევ,
ამდენ გულეში გეყოს თარემი...

პოეტს, ცხადია, გააჩნია ორიგინალური სახე-
ების შექმნისადმი მიდრეკილება: „შეშველი
მთვარე ზღვაზე ბანაობს და ვარსკვლავების
დაპყრის ქვირილთებს“. ან „მზემ გაიტება ლო-
დებზე წარბი“... მას ახსიათებს ცხოვრების
წოდელი გამოვლენისადმი დახარბება: სანამ ვარ
ცოცხალი, სიკვდილის სახელი არ მისხნოთო...
მაგრამ ზოგჯერ ჯ. ქათამაძე არაგალანტურია
და უმოწყალოდ იმეტებს მკითხველის გემოვ-
ნებას. აი რას სწამებს იგი მისთვის, როგორც
ჩანს, ერთ დროს მიმწოდველ ქალს:

ეგ შენი მკერდი, გაესილი ვარდი,
ბოლოს დაჰქენება, როგორც ფუჩიჩი...

იგი ყურადღებას არ აქცევს იმ გარემოებას,
რომ მაიაკოვსკის ურბანისტულ პოეტურ ნაშ-
უაროსთან შეხმიანება ოდნავ მაინც შესატყვის
მხატვრულ გარემოში უნდა მოხდეს და შეი-
ყავს დიდი რუსი პოეტი საკუთარ მღერად
ლექსში („ბაღდადის ცა“):

ბაღდადის ცაო, დასალოცავო,
გასალოცარო, ბაღდადის ცაო,
საოცრად ღრმად, გახსოვს ის ყრმად,
შენს წინ მუხლებზე რომ დეცაო?..

შთამბეჭდავია და ცოცხალი, სიყვარულით
გაჭერებული გრძნობითაა დაწერილი ლექსი
„გემი „გიორგი ლეონიძე“. ვისაც კი ახსოვს
გიორგი ლეონიძის მასშტაბური და ზორბა კო-

ნტურები. ავტორთან ერთად სიამოვნებით შე-
ადარებს მას მისი სახელობის გემის ტორტაზსუმი
შავი ზღვის ღონიერ ტალღებში.

გემი გავიდა ზღვაში
და გზას მიარღვევს ცისფერს.
ზღვა შეუგება ტამით
„გიორგი ლეონიძეს“.
მოჩანს ჩინარი ოზლად,
რა აჩურჩულებს ნეტავ...
ზღვა და ბათუმი გოგლას
უყვარდა სულზე მეტად.
მაშინ ნაპირზე იდგა,
ახლა ზღვას ებრძვის მხრებით,
მაშინ სიმღერა ღლიდა,
ახლა — ცისფერი გზები...

თავის ლექსებში ნესტორ მალაზონია უფ-
რო ხალხურ კილოს ეტანება. იგი ფოლკლო-
რულ უაიდაზე აზროვნებს და ამით, ალბათ,
სურს მეტი მღერადობა და გრძნობის სინედ-
ლე შემატოს ლექსებს.

ავტორი ზოგჯერ პოეტურ ფოლკლორ ეა-
დაუბევს და თვით მუსიკალურ ფოლკლორ.
საც შეიტანება. სიმღერა და ლექსი მის ცნო-
ბიერებაში მთლად დიდფერენცირებული არაა,
ასეთია მისი „სიყვარულის რამაშა“, დაწერი-
ლი სასიმღერო კილოთი. იგი მოკლებული
არაა ჭეშმარიტ გრძნობასაც:

რამაშა და რამაშა
გოგო გამეთამაშა.
კოცნა ვთხოვე, არ მაყოცა
ცივი წყალი დამასხა.
გამაწბილა, რაი მერე,
წავედი და წავიმღერე —
რამოვდილა რამაშა
შეეეე...

მიუხედავად თავისი ქარმაგი ასაკისა, ნახი
წარმოასხვა სავსეა ხატოვანი განცდებითა და
წარმოადგენებით. ლექსში „ლაგამი“ იგი გულ-
წრფელად ამბობს:

შენ თქვი დამწერი,
შენ თქვი დამწერი,
თორემ
ლექსები სავსეა ყველგან...

ერთ ბალადისტურ ლექსში, რომელსაც
„ნაციხართან“ ეწოდება, ღირიყულ გმაძი
აჩნევს, რომ ძველი ციხის ნანგრევებთან აუ-
დამ ია ჰყავს. ამ ადგილას თურმე ერთხელ
თამარ დედოფალი მდგარა და მიწაც ამგვა-
რად ინახავს მის ხსოვნას.

ნ. მალაზონია გვიმოწმებს, რომ ვაჟაკური
გრძნობა ქარმაგი ასაკისთვისაც უცხო არაა.
დიდიულოვნად და აცუკრად წარსდგე სიბე-
რის წინაშე, ადამიანისათვის დიდი წნეობრი-
ვი ნუგეშია. ვაჟაკური სევდითაა გაზავებუ-

ლი მისი „გამოსათხოვარი“, ნ. მაღაზონია აქ
ეხება ადამიანის ყველაზე მტანჯველ საკითხს
— სიბერისა და წარმადობის ბუნებას:

გახუნებულა ჩემი პირიშზე
და მეც სიბერემ აღარ დამზოგა.
არ გამიღმომ, შენი ჭირიმე,
არ გამახსენო ახალგაზრდობა...
ვიქნები ჩემთვის,
და თითქმის გაჟღერდეს,
არც სიბრალული გქონოდეს ჩემი —
დადუმებულ და უგრძნობელ გულზე
არ დამაწვეთო კურცხალი ცრემლი.

ნ. მაღაზონიას ლექსების კრებულს, რომე-
ლიც გამოცემლობა „საბჭოთა პარამ“ გასულ
წელს გამოსცა, ასეთი განმარტება უძღვის:
„წიგნში თავმოყრილია პოეტის მიერ უკანას-
კნელ წლებში შექმნილი ლექსები. ცალკეულ
რკალეზებზე წარმოდგენილი პოეტური ნაწარ-
მოები ეხმანება ჩვენს ცხოვრების ნათელ
დღეებს, თავდადებული შრომის მძლავრ
რიტმს, დიდი სამაშალო ომის ტყეილიებს.
წიგნში გარკვეული ადგილი უჭირავს სატ-
რფიალო მოტივს, რომლისთვისაც ნი-
შანდობლივია სათქმელისადმი პოეტის უშუ-
ალო, გრძნობიერი დამოკიდებულება“. ასეთი
ანოტაცია ყოველ ახალგაზრდულ პოეტურ
კრებულს დამუშვენდა. ნესტორ მაღაზონიას
წიგნს „მესუთე სიზაბუე“ ეწოდება. ეს კი იმ-
ას ნიშნავს, რომ (ქართული თვლაც სომ ოც-
ობითი სისტემით წარმოებს) პოეტმა ოთხ ოც-
ეულ წელიწადს გადააბიჯა და მესუთე ოცე-
ულს შემოქმედებითი მხნეობით შესდგომა.
უდავოდ, ახალი მესუთე „პოეტური სუნთქვა“
შემოქმედებითი ისევე ძალეში იქნება, რო-
გორც იგი წინა შემოქმედებით ციკლებშია.

პირველად შოთა როყვას თბილისის პიონერ-
თა სახსლის ქართული ლიტერატურის კაბი-
ნეტში შეეხვადი. კაბინეტს ხელმძღვანელობ-
და შესანაწავი ლიტერატორი ქეთო ანანაშ-
ვილი და ჩვენი შეხვედრები მისი ზედაზნედე-
ლობით ვითარდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ
შ. როყვას ლიტერატურული ცხოვრება იმა-
ნად დაიწყო, თუმა მას შემდეგ ვმ წელიწად-
ზე მეტი გავიდა. და აი, ასლა, როდესაც შე-
მოქმედებითი და შეგნეული ცხოვრების დი-
დი ნაწილი განვლილია, ჩვენი გზები კლავ
შეიყარა.

შ. როყვა მაშინ გავიცანი, როგორც შორე-
ული სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდა დამ-
წყები პოეტი. როგორც ჩანს, ტრადიციულ
ცხოვრების ნიბს მან შემდეგშიც არ უღალა-
კა და სოფელი აირჩია თავისი პოეტური სამ-
ყარობის სასის მიწვევ გარემოდ:

ვარდილა ვარადა,
დავალ კარიკარადა.
სოფლის თავში ლექსი გვოვე.
სოფლის ბოლოს — ბალადა...

ამ სტრიქონებით იხსნება მისი ბოლო კრე-
ბული „მამულის მამითილი“ (1974). ამას უნ-
და დამატოს შემდეგი ფაქტორი: პირობითად
რომ ვთქვათ, ლაღო ასათიანის გრძნობადი
პოეტური სისტემების ანარეკლი თუ ზეგავ-
ლენა დღეს აქარის პოეტებში კვლავ ჭაღუ-
შია. ამიტომ ბუნებრივია, თუ პირაქიან და
ხევერიელ აღწერით სურათებს მათ ლექსებ-
ში ბოლო არ უჩნათ. ამ სასიათის ლექსია შ.
როყვას „დამესიზმრა ჩემი ენოს ფერდი“,
რომელიც ამგვარად იწყება:

დამესიზმრა ჩემი ენოს ფერდი,
კუნტრუშობდა ბორილა და თიკანი,
სასიკი ტუე დამასიზმრე, ღმერთო,
აკაციის ყვეილი და ჭიქანი.
ცივ წყაროზე გამაქციე ღოჭით,
სიბ ქვეზე რომ მოწანწყარებს ღელე,
კაცლის ხეზე ამიყვანე ჭოკით
და ფუტკრები მიმისიე ველებს... და ა.შ.

კრებულში თითქმის განყენებულად დგას
ლექსი „როგორ გამაცნო სიმონ ჩიქოვანმა
მაცქმი რილსკი მოსკოვში“. ამ მოგონება-ლექ-
სში უჩვეულო, განსხვავებული ინტონაცია
იგრძნობა და მსოფლგანცდის იერსახე უფ-
რო დარბაისილურია, ციღერ მთლიანად კრე-
ბულში. საკერძოდია, რომ კრებულში მთლიან-
ნად ამ დღიწე არ დგას. თუკი ვთქვამრეთ,
რომ ამ შემთხვევაში თემა ითამაშა გადამ-
წყვები როლი, ეს ამხსნელ მიზეზად არ გამო-
დგება: ხეროზული თემები კრებულში სხვა-
ცაა. ალბათ ლექსის მაღალი ემოციურობა გა-
ნაპირობა იმ გარემოებამ, რომ შ. როყვა ამ
ნაწარმოებში აღწერს ერთ-ერთ ბედნიერ მო-
მენტს თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან.
ორ ამგვარ ბრწყინვალე პიროვნებასთან შემ-
თხვევამ დაეკავშიროს შემოქმედებითად —
უდავოდ ბედნიერი მოვლენაა პოეტის ცხოვ-
რებაში. შ. როყვა სსენებულ ლექსში თავის
ბედნიერებაზე ლაპარაკობს. ლექსი ძლიერია
ფაქტის სუბიექტური განცდით.

ბევრად უფრო პარადელად, „სახაზინო“ ენ-
ითაა დაწერილი ლექსები, რომლებიც საზო-
გადოებრივ სფეროს განეკუთვნებიან (მაგალი-
თად, ბუნების დაცვის თემა...). ამიტომ ისი-
ნა მსჯელობისთვისაც მცირე მასალას იძლევი-
ან.

გურამ კანაბა

ქართული მწერლობის საიმედო ფრთა



ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, გიორგი სალუქვაძის ლექსებში ყველაზე მეტ შთაბეჭდილებას ტოვებს „წყუდირო ოთახში“. ავტორის რწმენით, ვერც სტიქიის ანობოქრება და ვერც თანამედროვე ცივილიზაციის საოცრებები ჩრდილს ვერ მოაყენებენ და ვერ დააბრებენ კლასიკოსი მწერლის აზრთა სიცხადეებს. ცივილიზაციის კლასიკა (მაგალითად, ტელევიზორი) თუ ბუნების ძალთა ამხედრება (გრიგალი წიგნად) ვერ მოსწყვეტს პოეტის ფაქტის ეოლტერასაგან.

ახლა, როდესაც მილიონ ეოლტით ელვა ანათებს ღრუბელთა გრაგნილს, მყუდრო ოთახში ვუზივარ ეოლტერს და ტრაგედიის სტრიქონებს ვთარგმნი. ტელევიზორის ანტენას არწევს შემოვარდნილი ქალაქში ქარი, და განათებულ უფარდო ფანჯრებს აწყდება წვიმის მომწყდარი ღვარი. აწყდება, როგორც ფარვანა სანთელს, მერე მინაზე უღონოდ სსლტება. ეკრანზე გააქვთ შრიალი ვარდებს და ტყეში ისმის ბუღბუღის ყეფა. გარეთ ათასი მავთული გოდებს... და ზღვაზე ახლა გრიგალი დაჰქრის... მყუდრო ოთახში ვუზივარ ეოლტერს და ტრაგედიის მონოლოგს ვთარგმნი.


აქვე უნდა ითქვას, რომ გ. სალუქვაძისათვის არ არის უცხო ტრივიადური მსჯელობები ცხოვრების ფილოსოფიის თემებზე. რაც

ამგვარ ლექსებშია თქმული, ზოგჯერ ადრევე იცოდა თავად ავტორმა და, ასე განსაჩეთ, მისმა მკითხველმაც. მის ლექსებში ბევრია ცარიელი რიტორიკა. კიდევ უფრო მეტია აღწერილობა. გ. სალუქვაძის ლექსების დაუძინებელი მტერი — უწევბო აღწერილობაა.

მაინც მას აქვს არა მარტო კარგი საბავშვო ლექსები („თეა“), არამედ რამდენიმე პეიზაჟური ლექსიც, სადაც იგი ყველაზე უშუალოა და მაქლუბად რიტორიკული. ასეთია ჩანახატი ახალგაზრდა ტანაყრალი ცაცხვის გადარჩენაზე, ანდა ლექსი კრიმინალური წმინდა წყაროზე. აქ ლექსის წაკითხვისას თითქოს გურული კაფოს ინტონაციაა განათვალისწინებული:

კაკლის ხისგან გათლილ ღარში
მოცეცვობ და მოხარხარობ,
კრიმანჭული ვინ დაგარქვა,
ვერცხლის წყაროვ, ბროლის წყაროვ?
გბურავს ფოთლის ჩუქურთმები,
გაზაფხულის დახატული,
კრიმანჭული ვინ გასწავლა —
დაგრებილი, დახლართული?
გასსოვს გოგო? მისი თვალი
შავი მწიფე მავალივით?
მან გასწავლა კრიმანჭული,
ნემსის ყუნწში გაყვანილი?
მეც მესხურა შენი შხეფი,
მეც შენს ღარზე ვიკლავ წყურვილს,
რომ ლექსებშიც წკრიალებდეს,
რეკდეს შენი კრიმანჭული.





გრივმერ ფარულკვ

დიდი პერიოდი პერიოდული კულტურისა

პერიოდული ეროვნული ენერგიის პირველი დიდი გამოფენილება დაახლოებით ამ ოცდა-სული საუკუნის წინათ მოხდა. მაშინ ძველი იბერიელები და კოლხები უზარმაზარ აღმოსავლურ იმპერიას — ირანს გამოეყვნენ, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება დააფუძნეს. ასწლეულების შემდეგ, ეროვნული კულტურული სულის თვითგამორკვევის საგანგებო უამრბო დადა, ქართველები კვლავ გაემიჯნენ აღმოსავლურ გზა-სავალს; მაშდენ სასანიანთაგან ვასალად დაგულებულულებმა, ღვთისმშობლის წილხვდომილად გამოაცხადეს თავიანთი ქვეყანა და კაბადოკიიდან ნინოს მიერ მოტანლ ვაზის ჭვარს მოუყარეს მუხლი (IV ს.). ერთი დიდი ეპოქა, წარმართული მითოლოგიისა და ანტიკურის მსოფლშეგრძნებისა, დასრულდა, ახალი დაიწყო.

კიდევ ერთხელ გაცხადდა იმ შორეულ წარსულში ჩვენი კულტურული სულის ძალმოხილობა, ქართულმა ენამ და ესთეტიკურმა მსოფლშეგრძნებამ განახორციელა თვითგამორკვევა, შეიქმნა ანსანი და სიტყვაკაზმულ მწერლობას დაედო სათავე. წიგნი, რომელმაც ჩვენამდე მოიტანა თავი და სინამდვილის უჩვეულები ეროვნული სურათი, 1500 წლის წინათა დაწერილი. ეს წიგნი იმაზე მოგვითხრობს, რაც ბედისწერად ექცა საქართველოს: დასავლური თუ აღმოსავლური ორიენტაცია, ქრისტიანობა თუ მაშდენაობა (გვიან — მაშადიანობა). ორი მსოფლიო რელიგიის შეჭახება ორი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორიენტაციის სახეს

იღებს და ორი თანამოთნე და ძლიერი ხასიათის ტრაგედია იქცევა.

ეს წიგნია მაგიოგრაფიული რომანი „შუშანიკის წამება“, ავტორია იაკობ ხუცესი, დრო მოქმედებისა — V ს. მეორე ნახევარი, ადგილი — ქვემო ქართლი, კერძოდ, დაბა ცურტავი. ირანი ახლა უფრო მეტის გააფთრებით ესწრაფვის სარწმუნოებრივად მისგან უცხოქმნილი იბერიის ასიმილაციას. ამ მიზნის მისაწვდომელ საუკეთესო საშუალებად ირანის შამგებს ესახებოდათ ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის აღმოფხვრა და დანერგვა ზოროასტრიზმისა. ამავე მიზნით შამიშამი ყოველგვარი წყალობით და პრივილეგიებით ავსებდა თავის წარჩინებულთ იბერიაში.

ასეთი იყო უამრბო და სამეფო ტახტზე იჭდა ვახტანგ გორგასალი იგია „მეფე თვითმპყრობელი“, მას „არა ცუდად აბიეს ხრმალი, რამეთუ ღმრთისა მიერ მთავრობს“. ვახტანგმა ცენტრალიზაციის გზაზე, სამეურნეო და კულტურული აღმაშენების, ირანისაგან დამოუკიდებლობის დიდ გზაზე დააყენა საქართველო. ეს „მეფე თვითმპყრობელი“ მით უფრო შემართული უნდა ყოფილიყო, რომ ავი მთესვარების მიერ ჩაგდებულ თესლს ქართლის მიწაზე აქა-იქ ნაყოფი გამოუღია. „და შეერია ქართლსა შინა ერსა ზედა წვრილსა ცეცხლის მსახურება“. ვაგლაზ, რომ არა ოდენ „ერსა წვრილსა“!

467 წელს ქვემო ქართლის გამგებელი, პიტიაში ვარსკენი. „წარდგა წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათჳს, არა



მედ ჰლენად თავსა ოკსაა შესწირვიდა მეფისა მის მამართ უარის-ყოფითა ქეშმარიტისა და ღმრთისაათა და თაუანის-სცემდა ცეცხლსა. რამეთუ ყოვლით კერძოვე თავი თჳსი ქრისტეს-გან განაგლო. ხოლო საწყალობელი ესე ცოლსა ითხოვდა სპარსთა მეფისაგან, რათამცა სათნო ეყო მეფესა, და ესრეთ ეტყოდა, ვითარმედ: „რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შეიღნი, იგინიცა ესრეთ მოვაქცინე შენსა შჭულსა, ვითარცა-ესე მე...“. ასე შეედევართ ხუთმეტ-საუუწუნოვანი ქართული პოეტური სიტყვის ტაძარში, ასე იწყება იაკობ ხუცესის თხზულება. ამ ტპარის კარიბჭესთანვე ქართლის ბელზე დღლად დაფიქრებულნი კაცი დგას. კარიბჭესთანვე სიტყვა დრამატული ინტონაციითაა წეწმ-რილი.

როცა ქმრის განდგომის ამბავს ცოლი, სომეხთა მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ასული, შუშანიკი შეიტყოზს, ტყვეზს ქმრის სარეცელს, ოჯახს. ვარქმენი თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, მუქარითა და ცემათ ცდილობს ქალის წინააღმდეგობის გატეხვას, მაგრამ ამაოდ. პიტიაზშმა შუშანიკი ციხეში გამოაშწევ-ღია. დედოფალი ექვსი წელი იტანჯებოდა აქ და საქვეყნო მრწამსის ერთგულებაში დაღლია სული. ეს მოხდა 475 წლის 17 ოქტომბერს. VI საუუწუნეო კათალიკოსმა კირიონმა დედოფლის ნაშთნი თბილისში, მეტეხის ტაძარში გადმოასვე-ნა. ქართული ეკლესიის კალენდარში შუშანიკის ხსენების დღედ დაღებულია 10 სექტემბერი. ნაწარმოები 476-488 წლებს შორისაა შექმ-ნილი. ხელნაწერი X საუუწუნისა. ნაწარმოები ნათარგმნია სომხურ, ლათინურ, ფრანგულ და რუსულ ენებზე.

თხზულების ავტორია მოთხრობილ ამბავთა აქტიური თანამონაწილე. პიტიაზშის კარის ხუცესი იაკობი. იგი ჩანს რომანის მრავალ ეპიზო-დში და პირველი პირით ლაპარაკობს თავის თავზე. ხუცესი გავლენიანი პირი ყოფილა სა-პიტიაზში კარზე, დედოფლის თანამდგომელისა და მანუგებების უღელი გაუწევია წლებას მანძილზე. მას უზიარებდა ქალი ფიქრებსა და განცდებს, ხოლო ხუცესი ქეშმარიტი სულიერი მამის რულუნებით უამებდა მარტვილს ხორ-ცილსა და სულიერ სატკივარს.

იაკობი ხელოვანის შინაგანი მჭერიტ განჭვ-რეტს ამბავთა მომავალ განვითარებას, ვარქმე-ნის ცურტავს დაბრუნებაზმდე მივა სენაკში გა-ნმარტოებულ შუშანიკთან და მიმართავს: „ღუ-აწლსა დიღსა შესლვად ხარ, დედოფლო“, მიამ-ბე შენი თავგადასავალი, „რათაა უწყოდი და აღეწერს. შრომაჲ შენი“. ამრავალ, ის ფაქტები, რაც შემდგომ შევლია ნაწარმოებში, აღრევე აღინუსხებოდა მწერლური აღლოთი. ესეც გვა-ფიქრებინებს, რომ იაკობი ლიტერატურულ სა-ქმიანოზში გამოცდილი უნდა შედგომოდა ამ

რომანის წერას ასეთი ვარაუდისათვის სხვა, ანგარიშგასაწევი საბუთებიც არსებობდა. და-ღება საკმაოდ უცნაურად იწყება: „და აწ დამ-ტარცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმი-ღისა და სანატრელისა შუშანიკისი“. ეს ნიშ-ნავს: ახლა კი საგანგებოდ მოვითხრობთ შუშა-ნიკის აღსასრულსაო. იქვე, დასაწყისშივე, ვკი-თხოლობთ: შუშანიკი იყო „მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა — იგი ვთქუი, სიყრმითგან თჳსნი“. ხოლო თხზულებაში არაფერია ნათქვა-მი დედოფლის სიყრმისდროინდელ ღვთისმოში-შობაზე. სარწმუნო ხდება, რომ ყველაფერი, რაც ამ უძველესი ქართველი მწერლის სახელით შექმნილი, დღეს ხელთ არა გვაქვს.

ერთ-ერთ სომხურ საისტორიო თხზულება-ს („ეპისტოლეთა წიგნი“) შემოუნახავს დვინის საეკლესიო კრების (506 წ.). მონაწილე ქარ-თველ ეპისკოპოსთა სია. მათ რიცხვში მოხსე-ნებულია ცურტავის ეპისკოპოსი იაკობი. შეი-ძლება ვიკუფოვოთ, რომ ეს არის „შუშანიკის წა-მების“ ავტორი. ის, ვინც V ს. დასასრულს ასე გავლენიანი და განათლებული მღვდელი იყო, VI ს. დასაწყისისთვის ეპისკოპოსობამდე ამაღლებას შეიძლება. აი, ყველაფერი, რაც იაკობ ხუცესის „ფიზიკური“ ბიოგრაფიის შესა-ხებ შეგვიძლია ვთქვათ. ხოლო ამ მწერლის ში-ნაგანი ცხოვრება და გულის მოძრაობა, შემოქმე-დებითი ტემპერამენტი მისსავე წიგნშია დაბუ-დებული. როგორია ძალი ამ სულისა და ხარის-ხი ამ ტემპერამენტისა, მისი რომანის გმირებზე დეკრივებამ, მისი პოეტისა და სტილის გან-ხილვამ შეიძლება გამოამუღავნოს.

თუ იმას გავიხსენებთ, რომ „ქრისტიანობა აგრეთვე, გარდა იმისა, რომ წარმართობასთან შედარებით, უფრო პროგრესული რელიგია იყო, ხელს უწყობდა საქართველოს კულტურული კავშირის დაცვასა და განვითარებას ევროპის ქვეყნებთან“,¹ გასაგებია, რომ იგი ყველა რწმე-ნაზე მეტად მისსადაცა ქართველი ხალხის ფსი-ქიკურ წყობასა და ბუნებას, ეროვნული თვით-შეიქცნების გარკვეულ ფორმად იქცა. საუუ-წუნეთა განმავლობაში იგი იყო დროშა და კედე-ლი, რათა არ გათქვეფალიყოთი ჭერ მაზდე-ანურ და მერე მამამლიანურ მტრულ გარემო-ცვაში. ამიტომ იყო, რომ „საქართველოს მთე-ლი გულისსყური და თანაგრძნობა დასავლეთის ქრისტიან სახელმწიფოსსავე (ბიზანტია) იყო მიჰყრობილი“.² რწმენის ერთგულება ჩვეულებრივ ერის ერთგულებას მოასწავებდა და მტერი მუდამ ერთის აღმოფხვრით ცდილობდა მე-ორის დამოხებას. იგი სწორად ანგარიშობდა.

ასე იყო იმ კონკრეტულ ეპოქა, რომლის შე-სახებაზე უძველესი ქართული თხზულება მოგ-ვითხრობს. ვარქმენი რწმენის დაღლით ეროვნულ საქმეს დალატობს, შუშანიკი კი ქრისტიანობის დაცვით ქვეყნის ინტერესებს უმაგრებს



წერდა. პიტიახში განმარტებით დგას ნაწარმოებში, დედოფალს კი, აშკარად თუ ფარულად, ყველა სიმათით მუსკეტების. თვით შუშანის ნათლად აქვს გაცნობიერებული თავისი მოქმედების მაღალი მისია. ეს შეგნება ანიჭებს მის ყველა სიტყვას, მოძრაობას დიდ შინაგან ძალასა და თვითღაჭრებულობას. „მამამან შენმან, — მიმართავს ქალი პიტიახს, — აღმართნა სამარტკლენი და ეკლესიანი აღაშშენა და შენ მამისა შენისა საქმენი განმარტუნენ და ხსუად გარდაქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმიდანი შემოიხსუნა სახიდ თვსა, ხოლო შენ დევნი შემოიხსუნენ; მან ღმერთი ცათა და ქუეყანისა აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უფარ-ჰყავ და ცცხლ-სა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უფარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ და თუ მრავალი ტანჯვა მიაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა“. წინაპრის მამულიშვილური დეკლარის სინათლე აქ კონტრასტულად აღმოვლენს სულმდაბლობას შთაბეჭდილს. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ ვარსკენის მამა არშუშა იძულებით და გარეგნულად მასდენობაზე მოიქცა (ღაზარე ფარცვის ცნობა). ამ ფორმალური აქტით სამშობლოს თავიკოფლებისათვის ჭკვიანმა და მედგარმა მებრძოლმა თავისი ხალხი დოიფარა აგრესიულად შემართული ირანის მახვილისაგან. არშუშა შეეწირა კიდეც ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლას. დავაკვირდეთ, მწერლისა და გმირის (შუშანის) წარმოსახვაში ჭკვიანისა და სარწმუნოების ინტერესები ერთ სამსხვერპლოზე იყრის თავს: მერე რა, რომ არშუშამ ჭტეიფონში ანთებულ ცეცხლზე ილოცა, გულში ხომ ღვთისმოსავი მამულის სიყვარულის ცეცხლი ენით და მისთვის დოიფერფლა, ჭეშმარიტება ერთიად გროვული თვალსაზრისი და ხელოვანის ფანტაზია ემპირიულ ფაქტსა და შემთხვევითობაზე ბატონდება, არშუშას უკომპრომისო ქრისტიან მოღვაწედ წარმოგვიდგენს. ასეთი უფლება ხელოვანს (და არა ისტორიკოსს) ეძლევა, რათა „გახსნას შინაგანი მარცვალი და აზრი მომხდარიხსა, ქმედისა, ნაციონალური ხასიათისა, გამოჩენილი ისტორიული პიროვნებისა“.³

ვარსკენის გამაზდენება ეროვნულ ღალატად იყო შერაცხილი ხალხისაგან, ასე ფაქტობდა ეკლესია, მეფე და მთავრობა საქართველოსი. ამიტომ იყო, რომ „ვარსკენ არშუშას ძე, როგორც სპარსთა სამსახურში მყოფი სატარსა და ქრისტიანობის მტერი, მოკლეს მეფე ვახტანგის ბრძანებით (484 წ.). ეს მკვლელობა სიგნალად იქცა სპარსთაგან დაძლეული ხალხებისათვის. სომეხმა ხელმა იარაღი აისხა. ომებში სახელმწიფოელი ვახტანგის გმირული სახე გამარჯვების იმედს ჰმატებდა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ მეზოზლებს“.⁴

რომანის სიღრმეში შესვლა გვარწმუნებს, რამ-

დენად მრავალგანზომილებიანია იგი ეროვნულსა და სარწმუნოებრივ ინტერესებს აქ შექმნილი იმპულსები. ამ იმპულსთა მიღწერება უფრო სიღრმისეულია და სწორედ ამიტომ დიდად საინტერესო. ხომ ასე მძიმეა ვარსკენის შეცოდება, ხომ „მგალდაა“ სახელმწიფო ეროვნება, მამამ პიტიახში სრულიად არაა სწორსაზოგადი პერსონიფიკაცია ამ სიძლიერის. რ. ბარამიძე მიუთითა, რომ „ვარსკენი საკმაოდ რთული და შინაგანი წინააღმდეგობების შემცველი სახეა“, და ამის საუფლისხმო მაგალითები მოიტანა.⁵

იაკობ ხუცესს ჭეშმარიტი რომანისტი ნატიფი ხელოვნებით შევყავართ ძველი ქართული ყოფისა და ხასიათების მრავალფეროვან სამყაროში. ამ სამყაროში ქრისტიანული მსოფლშეგრძნების ეთიკურ პათოსს უფრო ადრეული ეთიკის განწყობილებანიც შერევია, სიყვარული და სიძულვილი ერთ ტახტზე დასაბრძანებლად შეცობილიან ერთმანეთს, გმირები ზოგჯერ თავის კი არა, სხვის როლს თამაშობენ. სულის, ხალხისა და ოჯახის სპარსთა მეფისათვის „ძვინად შემწირველი“ ვარსკენი სამშობლოში ბრუნდება. „ვითარცა მოიწია იგი სასულვართა ქართლისათა, ზრახვა-ყო რაათა აუწყოს და წინა მოეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაათა მათ გამო, ვითარცა ერთ-ერთი, სოფლად შევიდეს“. საამისოდ მან შიკრიკი „წარამშპართა სადასპანოთა ცხენითა“, შესვლირის რიტუალურ პატივს არც ახლა იკლავს ზეიადი ფეოდალი და „ერთგულის“ ნიღბით შედის ცურტავეში. ნიღბითვე იწყებს იგი კარგა ხნის მოფიქრებული როლის თამაშს. „და ხვალისა დღეს ვითარ აღდგა პიტიახში, — ჰყვება მწერალი, — გვწოდა რიუნ ხუცესთა და მივედით. და სიხარულით შეგვმთხვევნა და გურქუა ჩუენ: „აწ ნურას მერიდებით მე და ნუცადა გჰა“. ხოლო როცა ხუცესთა შეჰქადრეს: „წარსწყმიდე თავი შენი და ჩუენცა წარგუწყმიდენო“, პიტიახში პასუხს თავი აარიდა, თვითონ დადგა შეურაცხყოფილის პოზიცი: „რაჰაჰა კელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და საქუთ, ვითარმედ შენ ჩემი ხატი დაამქუ და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდასხ, და შენი აღგოი დაგიტეხებებს და სსუად წარსულ ხარ“. აი, ამის საპასუხოდ წამოიქცა ზემოთ უკვე მოხმობილი ხიტყვები დედოფლისა, მამა-შვილის დაპირისპირებას რომ შეიცვს. „ხოლო მან (ვარსკენმა) განიწყო გული და იბრდღუენდა მისთჳს“. აქ კი არაფერს „თამაშობს“ გმირი, მოქმედება და შინაგანი იმპულსი ფარავს ერთმანეთს. ასეთ წინააღმდეგობას კი აღარ მოელოდა ვარსკენი. ცოლ-შვილის მასდენობაზე მოქცევას იგი შაჰს ისე „უქადებდა, რომელ-იგი

გრიმირ ფარულსაჲ
დრიდი პარიზში ეროვნული კულტურისა



არა აქუნდა კელთა შუშანიკისგან“. როგორც მაღალი რანგის ლიტერატურას შეეფერებოდა, იაკობის თხზულებაში ბევრი, ძალიან ბევრი რამ სტრიქონებს, შორის უნდა წავიციოთ შინაგანი მზერით. ამ მზერას კი არ უნდა განოქმაროს, რომ ვარსკენი მაინცდამაინც კარგად არ იცნობს საურმე თავისი ოთხი შვილის დედას. მრავალი პასუხი ფიქციოლოგიური სირთულე მწერალს იმაზე აქვს დამუყარებული, რომ მოქმედების წარმმართველის (ვარსკენი) მიერ შექმნილ სიტუაციას და მიზანს საშუალებები არ შეესაბამება. ასე, სიტუაციიდან სიტუაციამდე სდებოქმრისაგან ცოლის „აღმოჩენა“. ვარსკენი კინცლას არ ძრავს იმის თაობაზე, რომ ცოლმა სარწმუნოება შეიცვალოს. დავა ოჯახური მთლიანობის შენარჩუნების პოზიციიდან უფრო მომგებიანია. პიტაზში გადაწყვეტს ძმასა და რძალთან, პურკობაზე მოგლდაპარკოს ცოლს და მსახურთ საგანგებოდ აფრთხილებს: „სხუასა ნუვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლდა“, შინაურულ წრეში და სლფრასთან უნდა გააღვიდღეს მორიგება, უცხოთა თვალწინ მოსალოდნელია. ქალმა მეტად იზრუნოს თავისი პოზიციის შენარჩუნებაზე. ეს ჩანაფიქრი თვალსა და ხელს შუა ემსხვერვა ვარსკენს, წონასწორობას კარგავს და ქალს სასტიკად სცემს. ამ გაფთრების უამხაც „აგინებდა ვარსკენ თესლ-ტოპსა მისსა და სახლი სა მაკრებელად სახელს დედა და მას“. ამბავთა მთელი შემდგომი განვითარება, პიტაზში მოქმედებათა, უცხოთა ურთიერთშეღარება, გულისყურისი განჭვრეტა იმისა, რავკარ შინაგან ვითარებას უნდა მიეცა ბიძგი ამ უცხოთათვის, გვარწმუნებს, რომ რის აქცენტრებდასაც ვარსკენი აკეთებს, არის არა მხოლოდ ეფექტური მოტივი საზოგადოების თვალში, არამედ ფრიალ მნიშვნელოვანია პირადდ მისთვის. ფრთხილი ცრაუდის სახით ასეთი თვალსაზრისი გამოიქვეა რამდენიმე წლის წინათ: „შეიძლება ვარსკენი არც თვალმაცოლებს და მას გულწრფელად სურდეს ოჯახური სიმტკიცის დამყარება. ვარსკენი თითქოს არც ელოდა, რომ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ოჯახის ნგრევას გამოიწვევდა და ამიტომ, რომ ასე თავსარდაცმული და წონასწორობა დაკარგული მოქმედებს. და თუ ეს ასეა, კიდევ უფრო რეალისტური და მიწმიდველი ხდება ვარსკენის სახე... მას გარკვეული სიბოი და გრძნობა აკავშირებდა შუშანიკთან და ამ უკანასკნელის სიკვდილთა შედეგად იყო მოვლენათა თანდათან განვითარება, ურთიერთობისა და სიტუაციის გამძაფრებისა და არა იმის, რომ ვარსკენს თავიდანვე სასიკვდილოდ განწირული ჰყავდა ურჩი მეუღლე, ვარსკენის მიერ მიღებული მკაცრი ზომები უფრო შუშანიკის დაშინებას იხსავდნენ მისნად და არა სიკვდილს. ეს უკანასკნელი ფაქტი თვით ვარსკენისთვისაც მოულოდნელი იყო“. ნუკველივე ეს სიმართლეა. ვარსკენმა ძალიან მძიმე ტვირთის აწევა იკისრა ირანელთა

წინაშე. პირველი ნაბიჯი კი გადადგა, ფიქრისგან, მაგრამ მეორე ნაბიჯისთანავე მარცხად მთელს მიუღწევს ვერ უცვალა ფერი და მთელს სპიტაიასშორს რაღას გასწვდებოდა. უარყოფი მოხდა, ცოლმა ჩამოსვლა და სიტყვის დამკრაც არ აღელა, ისე მიუტოვა სარცევილი. ქრისტიანული ეთიკური ნორმის თანახმად, ქალი სწორედ ასე არ უნდა მოქცეულიყო, „რამეთუ განწმინდების ქმარს იგი ურწმუნოა ცოლისა მისგან მორწმუნისა და განწმინდების ცოლი იგი ურწმუნოა ქმრისა მისგან მორწმუნისა“ (პავლე. I კორინთ. 7, 14.). შუშანიკს არც უცვლია ასეთი „განწმინდა“ შეუძლია. ეს იმიტომაც მოხდა, რომ მას საფუძველი ქონდა უყვლაფერთან ერთად შერაცხული იყო. მეუღლე და ცერძნო თავი. აკი მწერალი თხზულების დასაწყისშივე გვაუწყებს, რომ ვარსკენის მოქმედებით „განისხარა მეფემან (ირანისა) და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაჲ“. ე. ი. ქტეზიფონს ვარსკენს სხვა ცოლი შეურთავს ან საამისოდ შეურჩევით მაინც ირანის მბრძანებლის ასული. შეურაცხყოფილი ქალური თავმოყვარეობის მომენტის გათვალისწინება უკეთ გვაგებინებს ზოგიერთ სახესს, სადაც შუშანიკი აღმოიკურად ან უხეშად იქცევა (უღანაშაული რომაოს „ქიქა იგი პირსა შეაღწეა“). იმ ტონს გაავებოსა, შურისძიებისა, ხშირად რომ ვგრძნობთ ქალის სიტყვაში, თესტში და რაც სათანადო ეთიკური ნორმების საკეთესო ილუსტრაცია არ არის. ვგრძნობთ, ნამდვილად ვგრძნობთ. რომ საქმეში ერევა გრძნობა შეგინებული სიყვარულისა.

ის, რაც აღერ ფრთხილად აღინიშნა, მკვეთრად იქნა საზგასმული მერე, როცა მწერალმა განიზრახა მწერლის ნასვლავის ინტერპრეტაცია. თ. ჭილაძე წერს: „ეს არის სულის მსურველი ქტარში სიძულვილად გარდაქმნილი სიყვარული და ჩვენ, ვართ რა მხოლოდ ამ უკანასკნელის მოქმენი, სწორედ მისი წყალობით ვგრძნობთ, ვხელობთ. თუ რა ძალით უყვარდათ ერთმანეთი ვარსკენსა და შუშანიკს“.7 ქეშმარიტებასთან უფრო ახლოს ვიქნებით, თუ ასე ვიფიქრებთ. მაგრამ ცნობილია, რომ დიდი სიყვარულის სიძულვილად ფერისცვალება ძნელად მიმდინარეობს, ხასიათის აფეთქებას უკავშირდება. ასეთ სიტუაციაში ხშირად ვხედავთ ვარსკენს, პირივითაღ — შუშანიკს.

პიტაზში ცოლის გვემის მეორე დღეს, „ვითარცა ციკარს ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ „წყლულუბნისა მისგან ვითარ არს?“ ხოლო მან პრჭუა მას: „ვერ განსარინებელ არს იგი“ (ვერ გადარჩებაო). მაშინ „თუთ შევიდა და იხილა იგი და დაუკვირდა დიდძალი იგი სიმსიენმ მისი. და ამცნო მსახურსა მას და პრჭუა: „ნუშეა ვინ შევალს ხილვად მისა“. და თუთ ნადირობად წარვიდა“. დავავიკრდით: „ვითარცა ციკარს ოდენ იყო“... მართლაც ცხადია, რომ პიტაზს

მშფოთვარე ღამე აქვს გატარებული. უთენია რომ დედოფლის სენაკის კართან ვხედავთ. დამშვიდებით არც ქალის ჩანმრთელობის ამბავი უკითხავს. პიტიახშის შემდგომი მოძრაობებიც ნერვიულია და შინაგანი სიმძიმის მათყუებელი. „ნადირობად წასვლა“ მხოლოდ ამ სიმძიმისგან განრღებდა, საკუთარი თავისაგან გაქცევა შეიძლება აღვიქვამთ.

რა თქმა უნდა, არც ის დეტალებია შემთხვევითი, რომ საპიტიახშოს განმგებელი თითქოს საგანგებოდ მარტოსულად ამწყვდევს დედოფალს, ხოლო მასთან შედის ყველა, ვინც მოისურვებს. დრამის მრავალშრიანი სიღრმედან ცხადდება ყველაფერი. ვარსკენი გარკვეულად თამაშობს როლს მკაცრი, შეუვალი პიტიახშისა, რომლის ნება რკინისებრ მტკიცეა და აღებული კურსი — გაუღუნავი. იგი მით უფრო ზრუნავს, შექმნას ასეთი წარმოდგენა, რამდენადაც მოვლენათა განვითარების ყოველდღიური ლოგიკა, მიღებული ზომები კი არ აახლოვებს, აცილებს დასახულ მიზანს. იშლება არა მარტო შამთან შეთანხმებული გეგმა აღწევებისა, იკარგება არა მხოლოდ თანაგრძნობა საზოგადოებისა, არამედ ირდევს ოჯახიც. პიტიახში საბოწარკვეთილი იბრძვის, შეაჩეროს თითქმის ფატალური გარღვევალობით მიმდინარე პროცესი კატასტროფისა. სხვადასხვა მკაცრი ღონისძიებით იგი აშინებს შუშანიკს, რათა გატეხოს მისი ნება. და როცა ერთი ცდა იმსწვრება, გააფთრებული პატივმოყვარეობა გამეტეხილთ აფარებს ხელებს საკუთარი გულის შინაგან მოძრაობას და მიმართავს მეორეს. ამრიგად, პიტიახში თავის თავსაც ებრძვის.

ვარსკენმა ცოლი სასახლეში მოაყვანინა. „და უბრძანა შეერგა მისი და ცემა; ბოროტებდა და იტყუა: „აჰა ეგერა არა გერგო შენ ეკლესიაა შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი და უფალი იგი მათი“. და ვითარცა სცეს კუთრთხთა სამას ლენი, არაჲა აღმოქდა პირსა მისსა ვეება, არცა კუნესა“. პასუხი საქმოდ გამჟღავნა: ვარსკენი ელოდება, ახლა კი უნდა მოიხაროს ქალი. კენესაც არ დასცდა წამებულს, არაღმანიარო ძალაც კი ჩაიდო, შეიბრძოა. „უბადოო, — ეტყუასათი გაჰკეთოს ამ ჩამუქებულ ღონს ქალის ხმა, — შენ-ღა თავი თუხი არა შეიწყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალე?“. ეს მეომრის შესტია, მახვალად ქცეული სიტყვაა, რათა სული დაუკოდოს იმას, ვინც მარტვილის ხეულობის და სულის მოწყლვას ცდილობს. აქ შერეული და ცემით გათანჯვრული მეომარი ცდილობს, რათა თავისი მეომრული სულის რაღაც ნიშანი დაადოს მოწინააღმდეგეს. ეს იმის მსგავსი სულიწკვეთებაა, როცა ხასიკდილოდ დამტრიალი მუსილი (გუჟას „აღლდა ქეთულარია“) „ფერის არა ჰპარავს მგლისასა... ერთიც ესრელა აღუდას, ხანს არა ჰპარავს ცღასასა“. აი, ანალოგიური პასუხი: დედოფალი უკვე ციხეში მიიყვანა ვარსკენ-

მა, ჩრდილოეთ მხარეზე „მცირე და ბნელი“ სენაკი მონახა, იქ შეამწყვდია. „და ჯაჭვად დაკეცა, რომელ ედვა ქედსა მისსა ზედა, ეგრეთვე ეძვა, და დამბეჭდა ურჩულომან ვარსკენ ბეჭდითა თუსითა. ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „ნე ამას მხიარულ ვარ, რათა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუენო“. ხოლო პიტიახშმან ჰრქვა მას: „შე, შე, განისუენი!“. წამებული და მებრძოლი აქაც „ხანს არა ჰპარავს ცდისასა“, მთელი არსებით საიმისოდაა შემართული, რომ სული მოუწამლოს მოწინააღმდეგეს, საშუალებად არ მისცეს, გამარჯვებულად გრძნობდეს თავს მაშინ, როცა მტერი თავისი ძალმომრეობის მწვერვალზე ადის. ვერ ვიტყვით, რომ ყოველივე ეს იმ ეთიკური ნორმების დემონსტრაცია იყო, რაიც ტანჯვასა და სიკვდილთან მიმართების მაღალ იდეალდაა დასახული ბიზიანში: „და იგი ვა ნბოროტებისათჳს არა აღადგებს პირსა თჳსსა. ვითარცა ცხოვარი კლვად მიმართ მიიყვანა, და ეითარცა კრავი წინაშე მრისეველისა (მტრეველი) თჳსისა უშმო, ეგრეთ არა აღადგებს პირსა თჳსსა“ (ისაია, 55,7.).

არას იმ ეპიზოდში მეორე, პაწაწინა დეტალი, რომელიც კონკრეტული სულიერი მდგომარეობის, ხასიათის საერთო ბუნების და შექმნილი სიტუაციის საოცრად გამჟღავნებელი, მეტყუალს სურათს ქმნის. ეს არის სასიტყვიანი რეპლიკა პიტიახშისა: „შე, შე, განისუენი!“. დღიი ხელივინება ზეიმობს აქ თავის სრულქმნილობას.

პიტიახში თავს ებრძვის, მრისხანე და ნება-შეუვალი მბრძანებელს თამაშობს ნაწილობრივ მაინც. ამ როლს იგი საკუთარი თავის წინაშეც თამაშობს. ფაქტები გამჟღავნებელი: შუშანიკის დაკარგვით, ოჯახის რღვევით შეძრწუნებულ ვარსკენს, მეორე — პატიმოყვარე და უფლებიწმინდოვარე პიტიახში ვარსკენი უტევს: არ გემორჩილება, არ სურს ხომ გაიგოს შენი სურვილი ერთად ყოფნისა, ნურც შენ შეისმენ ნურარას მისას, შენ ძალგამს და უნდა მოიგლიჯო იგი გულიდან. და პიტიახშის ბრძანებისამებრ სამასი როზგი დაჰკრეს დედოფალს. ქალი შეტევაზეც გადავიდა. და აი, ბრძანა პიტიახშმა და დედოფალიც ციხეში ჩასვეს. „და ამცემ მით (მცემლად), რათა სიყმილითა მოკლან იგი“. მე-სამე კვირა რომ დადგა, ამბავი იკითხა. უთბრეს: მკვდარს უფრო გავს, ვიდრე ცოცხალსო. ვარსკენის განცხადება დემონსტრაციულია: „ნურარაჲა გელთან (გენადვლებათ), უტე, — მოკუდეც“. პიტიახში ილტვის, რათა თავისი ძლიერი „მე“ დაამკვიდროს სხვათა და საკუთარი თავის წინაშე.

ილტვის, მაგრამ ამ ნიღბის სატრიალად ფანატური ღონეა საჭირო. საჭიროა, რათა საკუთარ გულს შანით მოჰკეთოს სახე შუშანიკისა. ეს არ სერბდება და ზემოაღწერილი ამ-

გრიშერ ფარშლამაზ

დრიშერ ფარშლამაზი მრეწველი კულტურისა

ბების ცოტა ხნის შემდეგ ამის, თითქოს მო-
ულოდნელ სურათს ვხედავთ: „მოციქულნი მი-
აელენა პიტიაშმან და მრქუა: „ანუ ნებაა ჩე-
მი ყავ და მოვედ ტარძა: უკეთუ არა მოხვდეს
შინა, ჩორდ წარგვე შენ ანუ კარად კარაული-
თა“. ხოლო წმიდამან შუშანიკ მიმრქუა ესრეთ:
„უბადოო და უგულისქმოო, ხოლო მე თუ კა-
რად ანუ ჩორდ წარმცე, ვინ უწყის, თუ მუნ
კეთილსა რასმე შევემთხუო და ბოროტსა ამას
განვერცე“. და გულისა ეტყოდა პიტიაში იგი
სიტყუათა მათთვის (ვითარ-იგი მრქუა მას, ვი-
თარმედ: „ვინ უწყის, თუ კეთილსა რასმე მი-
ვემთხუო“), ვითარმედ: „ნუუკუე მთავართაგანსა
ვისმე ეცოლოს“. და მიერითგან არღარავინ მი-
აელენა მისა“. აქ ცოლი ქმარს ისე გამჭვირვალე
მინიშნებით უპასუხებს (აქვიანებს), რაიც საო-
ჯახო დრამისადმი მოძღვნილ ახალი დროის ნა-
წარმოებისთვის იმდენად ბუნებრივია, რამდენა-
დაც არარეალურბრევია მარტვილის გუნება-გან-
წყობილებისათვის. აქი მაშინვე და ადვილად გა-
აცნობიერა ეს პასუხი ვარსკენმა: „გულისა ეტ-
ყოდა: „ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცო-
ლოს“.

თუმცა უცხო ამ საოცარი რომანისათვის
ასეთი განწყობილება არ არის. აქი უფრო ადრე
მხვავს ცენა ვარსკენმა „დადაგა“. ქალის პირ-
ველმა ფიზიკურმა შეურაცხყოფამ რომ პიტი-
აში ნიშანს ევრადრით მიუახლოვა, ახლა მეუღ-
ლეობრივი ექვის აღმგზრის გზით სურს ვარსკენს
აწის გაკეთება. იგი იაკობს ავალუბს: „ჩემი სამ-
კაული მას არა დაუტეო, ოდეს იგი არა ჩემი
ცოლი არს, — იპოოს ვინმე, რომელ-
მან განკაფოს (გაცვიფოს) იგი“. ხოლო როცა ხუცესმა სამკაულები მიუტანა,
ვარსკენმა „კუალად თქუა: „მერმეცა იპო-
ოს ვინმე, რომელმან ესე შეიმ-
კოს“. ასე მძაფრად უთვალთვალუბს ერთმა-
ნეთს ეს ორი გმირი, ასე ეძებენ და შორდებიან
ერთმანეთს, ასე „თამაშობენ“. ორივე ეწამება,
წამებულად კი ერთმა მჩინეული, ვარსკენიც წა-
მებულად, ვითარცა მტანჯველი შუშანიკისა და
მტანჯველი თავისი თავისა.

ოქაბად დაბრუნების ვარსკენისეული პირვე-
ლი ოსოვნა ხომ იმგვარად გააზილა ციხეში
მყოფმა დედოფალმა, რომ ავტორი შენიშნავს:
„და მიერითგან არღარავინ მიავლინა მისა“. შუშანიკის სახე მაინც ვერ ამოუკეთავს ვარს-
კენს გულისა და ერთი წინადადების შემდეგ
წიგნში წერია: „ხოლო პიტიაშმან გამოარჩია
ძეულას-მტე მისი საკუთარი, რამთა მოიყვანოს
იგი ტარად, და ვითარცა მრქუა კაცმა მან:
„ისმინე ჩემი და ჩაოვედ ტარად. და ნუ აკე-
რებ სახლსა მას თქუნესა“, მრქუა მას წმიდამან
შუშანიკ: „არქუ მას უღმრთოსა, ვითარმედ შენ
მომკალ და მარქუ მე: ცოცხალითა ფერკითა
არა გამოხედ შენ მაგიერ ციხით. ხოლო აწ,
უკეთუე შემძლებელ ხარ მკუდარსა აღდგინე-
და, პირველად დედაა შენი აღადგინე, რომელი

ურდს დამარსულ არს, გარნა თუ მისცემს შემ-
ძლებელ ხარ აღდგინებად. ვერცა ჩემდა შემძ-
ლებელ ხარ განყვანებად. გარნა თრეოთ გან-
მითრიო“. და ვითარცა მიუთხრებს პიტიაშმანსა სი-
ტყუაა იგი, და მან თქუა: „ნანდღუდუ ვთქუ
ეგე!“ ციხეში ჩამწყვდევის უამს მართლაც ვთქ-
რა ქმარსა ცოლს მხვავს რამ. იქედან მოყოლე-
ბული ამ ეპიზოდამდე გასულია დაახლოებით
4-ს წელი, სკამო დრო, რათა ზეცისაქენ ნზირა-
ლი მოწამე მიწიერ ამოგებაზე ამალდეს, გაწო-
ნასწორდეს, იყოს მიმტევებელი და თუ ვერ
შეიყვარებს, სწყალობდეს მაინც „მოძულეთა
მისა“. მაგრამ არც ამ უკანასკნელ ეპიზოდში
ახდენს მარტვილი აღნიშნული ეთიკური ნორმე-
ბის დემონსტრაციას. ვაანხლებსა და სამაგი-
ეროს მიგების ცხადი ინტონაციითა დატვირ-
თული მისი პასუხი, აშკარად „განბოროტე-
სათვს ალაღებს პირსა თვისა“, გარდაცვლილი
დედაშობის ანრდილსაც კი არ ასვენებს. ამ
სიტუაციაში ვარსკენს შინაგანი მდგომარეობა
ფსიქოლოგიურად დრამა მეტყველი ფერითაა
გაცოცხლებული: „ნანდღილავე ვთქუ ეგე!“ —
სანაღეროდ სათავისოდ ამბობს დაფიქრებული
პიტიაში. აქ გმირი გონების თვალს უმწეოდ
მაპყრობს იმ უხეშ ყესს, რომელიც ცოლის
დასაშინებლად მოიხმობს თავის დროზე. სინა-
ნულის ინტონაცია მსკვალავს ამ მოკლე ფრა-
ზას. ეს არის გრძნობა გმირის უღრმესი და
უკეთესი ნაწილისა, მიმართული წინააღმდეგ
ურაცხი ნაწილისა. ამ ორი ასპექტის, ორი საწ-
ყისის მძაფრ ბრძოლის ასპარეზია ვარსკენის
პიროვნება. პიტიაში „ორთა უფალთა მონებას“
ცდილობს, ცდილობს სინამდვილის ლოგიკის
საწინააღმდეგოდ, ცდილობს თავისი უღრმესი
და უკეთესი ნაწილის საწინააღმდეგოდ, და ეს
ცდა და ბრძოლა ვნებად ექცევა. ამდენად, უფ-
ლებისმოყვარე, პატივმოყვარე და ძლიერი ინ-
დივიდუალის ეს ვნებიანი ბრძოლა თავისი „მეს“
დამკვიდრებისათვის აბსტრაქტულ ხასიათსაც
იღებს გარკვეული თვალსაზრისით. ეს არის სფე-
რო ინდივიდუალური ეგოიზმისა. ხოლო ინდი-
ვიდუალური ეგოიზმი „გამართლებულია, როცა
შთაგონებულია ისეთი სახის ინდივიდით, რო-
მელიც მაღლა მიიწევს ცხოვრების პრინციპე-
ბის შესაბამისად. ზღვრამდე ავითარებს რა სა-
კუთარს, უნიკალურს შინაარსს. ეს ნიშნავს,
რომ იგი გრძნობს სწორად. ერთადერთი შეც-
დომა, რომელიც მას მართალი გზიდან გადაიყ-
ვანს, მდგომარეობს ადრევე იმ დიდი დუ-
ლ უ რ ბ ი ს ა და პ ი რ ვ ნ უ ლ ბ ი
სა“.8 აი, ამგვარი შეცდომის გზით მიემართება
ვარსკენის ინდივიდუალური „მე“. ცდილობს
რა, იყოს მთლიანად თავისთავადი, ცალკეობა
რა თავისი საზოგადოების წევრთაგან, ვარსკენი
ეცემა, უკან ეწევა საზოგადოებას. ინდივიდუა-
ლიზაციის ეს გზა არ ამკვიდრებს პიროვნულ-
ობას. „რომ ვიყოთ სრულიად თავისთავადნი, ჩვენ
საპირისპირო მიმართულებით უნდა წავიდეთ —

ყველა დანარჩენთან, სხვასთან კონვერგენციის მიმართულებით. ჩვენივე მწვერვალი, გვირგვინი ჩვენი ორიგინალობისა — არის არა ჩვენი ინდივიდუალობა, არამედ პიროვნება ჩვენი. ნამდვილი Ego „ეგოიზმის“ უკუპროპორციულად ძლიერდება. ...ეულემენტო მხოლოდ უნივერსალიზაციის გზით მოიპოვებს პიროვნულობას“⁹

შუშანიკის Ego ნამდვილია, იგი „ეგოიზმის“ უკუპროპორციულად ძლიერდება. ხომ ისე ძლიერა მოწამის ინტიმური გრძნობები, რომ შესაძენება ამდგრებს დიდალურ ნორმას, დედოფალი მაინც სრულიად არ მიდის თავის მრწამსთან გარიგების გზით. იგი მოქმედებს, იბრძვის, მაღლდება ისეთ ინდივიდუალურობაზე, რაც უნივერსალიზაციას ვერ დაქვემდებარება და პიროვნულობას ვერ დაამყარებს. ამ ამაღლების გზით ფლობს შუშანიკი იმ თავისუფლებას, რასაც შეგნებულ აუცილებლობას ეძახიან, რაც პიროვნულ ცნობიერებას ანსხვავებს ოდენ ინდივიდუალიზირებული არსებობისაგან. აქ ცილდებიან ერთმანეთს შუშანიკი და ვარსკენი, ცილდებიან „ცენტრში“. „რომ იყო მთლიანად თავისთავადი“, ამისთვის იბრძვის უძველესი ქართული რომანის ორივე გმირი. მიზანს აღწევს ერთი, შუშანიკი, ვინაიდან იგი მიდის სწორი გზით, უნივერსალურთან დამთხვევის, „ყველა დანარჩენთან, სხვასთან კონვერგენციის მიმართულებით“. ვარსკენის გზა იწყება თავისი თავიდან და იქვე მთავრდება. ეს მას ნიშნავს, რომ იგი ვერ სწვდება იმ თავისუფლებას, რაც ამ ინდივიდის ნამდვილ თავის-თვადობას და პერსონალიზაციას განაპირობებდა. რა მიზეზითაც და სადაც პიტიასში ეთიშება საზოგადოებრივ მოედს, საბოლოოდ იქვე შორდება იგი პიროვნებას — შუშანიკს.

ის გარემოება, რომ შუშანიკის სახეში თვალსაჩინოა შემოტანილი მიწიერ-ინდივიდუალური ვნებები, რომ მას შინაგანი წინააღმდეგობები ტანჯავს და ამ მიწიერზე ამაღლებით, გარეების დაძლევით მიეახლება იდეალს, კი არ აღვევს, შეესაბამება ქრისტიანულ მსოფლმხედველობას, თეოსოფიას. წინააღმდეგობის, შინაგანი დრამატიზმის სული ქრისტიანული ღვთაების გაგების საფუძველსევა ჩაიდებული. აქ ღმერთი თავის სრულიად საპირისპირო არსებობამდე აღწევს — ხორციით იმოსება, განკაცდება, ზღვება წილნაყარი ამ განსაზღვრულობიდან მომდინარე მოვლენებისა: დაბადება, შეგრძნებათა ცხოვრება, ღმერთობა და კაცობასთან დეკავ-შირებული ტკივილი გარეგნისა. ჭვარციის ეპიზოდში თვით ქრისტე მამააღლა დადადებს ამ ტკივილზე: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რაისთვის დამიტევებს მე?“ (მათ. 27, 46). ქრისტიანობა თანამგრძნობელ თვალს მიაპყრობს და აკვლევს იმ მტანჭველ გაორებას, პიროვნების შიგნით რომ იჩნის თავს. პავლე მოციქულს მოვუსმინოთ: „რომელსა—იგი ვიქმ, არა ვიცი; რამეთუ არა რომელი მნებავს, მას ვიქმ, არამედ

რომელი მშულს, მას ვჰყოფ. უკეთეს რაჟალს არა მნებავს და მას ვჰყოფ, არღარა მე ვიქმნის არამედ რომელი—იგი დამკვიდრებულ ვარსკენთანა ცოლდაა. და ვხედავ სხუასა შკულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელნი წინა—განწყობვიან შკულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტყუნიანს მე შკულთითა მით ცოდვისაჲთა, რომელი იგი არს ასოთა შინა ჩემთა“ (რომ. 7. 15, 20, 28). ამის მიხედვით, ადამიანი უკვე აღარ მოიაზრება, ვითარცა მარად თავისი თავის ტოლი ბუნებრივი მდლიანობა (კლასიკური ანტიკურობა), არამედ დასახულია რთულ არსებად, რომელიც ღვთაებრივი და მიწიერი საწყისების გადაკვეთის ცენტრში დგას. კლიმენტი ალექსანდრიელი მიუთითებდა, რომ ჩვენ მტერს ყოველთვის დავატარებთ ჩვენსავე შიგნით და თუ გარეგანი ომი ადვილად მთავრდება, ომი ჩვენს სულში სიკვდილამდე გრძელდება.

წარმართული სამყაროს ღმერთები ეხმარებიან ბრძოლაში თავიანთ თავუანისმცემელთ. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, ომს თავისთვის ეს ღმერთები არ აწარმოებენ, თავისი საქმისთვის არ „ირჩევენ“ და არ „მოუწოდებენ“ ადამიანებს. ხოლო ბიბლიური ტრადიციის წარმომადგენელ უძველეს ძეგლში („ღებორას სიმღერები“), როგორც ს. ავერიცევი განმარტავს, უკვე „საქმე სრულის სერიოზულობით ეტება ომს ღვთის საქმისთვის. ღებორა უბრალო თავუანისმცემელი კი არაა თავისი ღმერთისა, არამედ იმავედროულად მისი მეომარი და რაზმელი... ამ არკაული სიმღერის უკან უკვე დგას იდეა „აღთქმისა“ თუ „კავშირისა“ ღმერთსა და მის „ერთგულთ“ შორის. ამ იდეის კონტექსტში ყოველი საკრალური ნიშანი არის სწორედ „ნიშანი აღთქმისა“ — დაპირება და დამოწმება მხედართმთავრის — ღმერთის და რაზმელის — ადამიანის ურთიერთისადმი მეომრული ერთგულებისა“¹⁰ აქედან იღებს სათავეს ახალი აღთქმისეული იდეა ბრძოლისა არა „სისხლითა მიმართ და ქორცთა, არამედ მთავრობათა მიმართ და კელმწიფებათა, სოფლის მჰყარებელთა მიმართ ბნე-ლისა ამის საწუთროფასთა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე“ (პავლე. ეფესელთა, 6, 12). ასე ფართო და საზოგადოებრივად საგულისხმო შინაარსი ღვთის ტანჯვისა და წამების ბიბლიურ კონცეფციაში, პავლიოზაფიული ლიტერატურის გმირთა ბრძოლაში. აქედან გამომდინარე მოიაზრებოდა მარხვა, როგორც „მეომრული გუშაობა“ და ასევე როგორც სამხედრო დიციპლინა. „სახარებისეული „წმინდა ისტორია“ მსგელობს არა უბრალოდ „ეკთილსინდისიერებასა“, არამედ ერთგულებაზე (საგულისხმებელ ერთგულებაზე დღისთა და იმ ერთგულებაზე, რომელიც ადამიანისგან მოითხოვება)“¹¹.

ზნინმერ ფარულზეა

ღირფი კარნაჰი ეროვნული კულტურისა



შუშანიის ბრძოლა უნდა გავიგოთ, როგორც ომი „სოფლის მპყრობელთა მიმართ“, „სულთა მძიმართ უტოვრებისათა“. ხოლო ის შემართება, რომლითაც შუშანიი თავის ინდივიდუალურ იმპულსებს უპირისპირდება, უნდა გავიგოთ ისე, როგორც მის თანადროულობას ესმოდა: ზორციელი სწრაფვა, თუ მისი მიღვენილება უმაღლესს, საზოგადოებრივად უმნიშვნელოვანეს ფაქტულობებს ამცირებს, უნდა აღვეკეთოთ; ჩვენ უნდა ვიბატონოთ იმაზე, რაც ჩვენზე ცდილობს გაბატონებას, სხვაგვარად ვერ შევინარჩუნებთ საუკეთესო ნაწილს ჩვენი არსებობისა („სადაც არს საუწეე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი“ (მათ. 6, 21). შუშანიის ქედუწილობა, ის საოცარი ძალა, რომლითაც ქალი საკუთარ ტანჯვაზე მდლდებოდა, უნდა გავიგოთ როგორც საკრალური ნიშანი, „წამება“ ანუ „დამოწმება“ იმ ერთგულებისა, რომლითაც პიროვნება უპასუხებს ერთგულებას ღვთისა. „შუშანიის წამებას“ სწორედ ამ აზრით ჰქვია „წამება“, ისე როგორც „წამებას“ ევსტათისა, აბონი, გობრონისა და ა. შ. შუშანიი არის მარტვილი, ხოლო ბერძნული სიტყვის $\mu\alpha\rho\tau\upsilon\varsigma$ თავდაპირველი მნიშვნელობა არის „მოწამე“, „დამოწმებელი“, „ $\mu\alpha\rho\tau\upsilon\varsigma$ “. „წამება“ ამ მნიშვნელობით ფიგურირებს ბიბლიურ ტექსტებში, ადრეულ ქრისტიან ავტორებთან, ძველ ქართულ თხზულებებში. „ტანჯვის“ მნიშვნელობა ამ სიტყვაში გვიან შეიძინა.¹²

ამ სიტყვის სემანტიკის ისტორიაზე საგანგებოდ შეგჩერდით. ის, თუ რა აზრი ღევს სათაურში, გვაკვლიანებს ნაწარმოების შესამეცნებლად. უძველესი ქართული ნაწარმოები არის რომანი ერთგულებაზე. ამ რომანის მთავარი გმირის ტრაგიკული ცხოვრება არის წამება-დაღასტურება მაღალი იდეალებისადმი პიროვნული ერთგულებისა. ის, რასაც ეს წიგნი ამკვიდრებს, დაკავშირებულია არა უძრობასა და სიმშვიდის ნეტარებასთან, არამედ მოქმედებასთან, შეურიგებელ ბრძოლასთან, სიმტკიცესთან. არა გაქცევა-განრიდება ბოროტებისაგან, — შეუპოვარი ბრძოლა მასთან, ბრძოლა გამარჯვებამდე.

წარმოშობისთანავე ქრისტიანობა იყო „რელიგია პიროვნული ერთგულებისა, ღვთისადმი მხედრული სამსახურისა“. და სწორედ ამდენად სახარებისეული „წმინდა ისტორია“ თავის ძალიან მნიშვნელოვან ასპექტში არის მოთხრობა ორგულბაზე. მასში ფრიად აუცილებელია იუდაის ფიგურა: შესაძლებლობა ღალატისა და ვერაგობის უფსკრულში ჩავარდნისა, რომელიც მეომრული ღალატის (და არა უბრალო „ბიწიერების“) მსგავსია, — „ქრისტიანი მხედრის“ მთელი ყოფიერების ერთ-ერთი უნივერსალია“.¹³

იაკობ ზუცისის წიგნში განვითარებული კონფლიქტი საერთო მონახაზით შინაგანად ენათესავება სახარებისეულ კოლიზიას. რადგან ამ წიგნის შინაარსშიც განმსაზღვრელია პათოსი

ერთგულებისა, სწორედ ამდენად მნიშვნელოვან ასპექტში იგი არის მოთხრობა ორგულბაზე. მასშიც ძალიან მნიშვნელოვანია და უცილობელი ფიგურა ვარსკვნისა. სახარებაში ჰემმარტიებისა და მთავარი გმირის საქმეს ღალატობს ამ გმირის უახლოესი პიროვნება. ქრისტეს ტანჯვა ორმაგია და უსაშინელოესი: იუდას და მისმა თანამშრომებებმა არა მხოლოდ ჰემმარტიებას უღალატეს, ყველაზე თვისს, ყველაზე მოყვასს უღალატეს: „თხზთა თანა მოვიდა, და თხზთა იგი არა შეიწყნარეს“ (იოანე. 1, 11). იაკობ ზუცისის თხზულებაშიც ასეა: ჰემმარტიებისა და შუშანიის მოღალატე აქ არის ქმარი შუშანიისა. იაკობი ტრაგედიას გარკვეულად ახსოვებს ჩვენთან: აქ ღალატის ჩამდენი არა მხოლოდ „ერთსულობით“, არამედ „ერთხორცობითაც“ იყო დაწინდული იმასთან, ვისაც უღალატა. „თხზისგან არ შეწყნარების“, თვისისგან ღალატის ეს უძმაურები ბიბლიური მოტივი VI საუკუნეში გადაამუშავა დიდად პოპულარულმა ბიზანტიელმა პოეტმა რომანოს მელოდოსმა („იუდას ღალატის შესახებ“). იტალიური აღორძინების ოსტატთან ყველაზე ძლიერ ამ თემაზე განგვაფიქვებს ჯოტო („იუდას ამბორი“). ძმათაგან ძმის — იოსებ მშვენიერის გაყიდვის ბიბლიურ მოტივს მიუბრუნდა თომას მანი („იოსები და ძმანი მისნი“). ქართველი მწერალი V საუკუნეშივე ჩაფიქრებია ამ სამარადურო პრობლემას, ოღონდ თავისი შთაგონება ერთგულ-ისტორიულ მასალაზე დაუფუძნებია. თემის სადაგებოდ, ღრმად გასარებამ განაპირობა ის, რომ რომანის იდეური პათოსი უარყოფითის შინაგანს, მხატვრულ-ლოგიკურ დამოზაზვეცაა დამყარებული, ზოლო ასეთი ესთეტიკური პოკუნების მწერლობაში.¹⁴ ვარსკენი სრულიად სისხლსავსე ფიგურაა ნაწარმოებში და არც მისი შინაგანი დრამატისმა უგულბებელყოფილი.

თასი, რომლითაც შუშანიი თავისი გოლგოთისაკენ მიემართება, რამდენიმეგვარი საწამლაკითაა ავსებული; იგი უმაღლესი საზოგადოებრივი იდეალის ღალატს აღუდგება წინ, ამ ღალატის ჩამდენ ქმარს ებრძვის, ინტიმურ მუხთლობას და ფიზიკურ შეურაცხყოფას უპირისპირდება. ქალის სულსაც და სხეულსაც დაუნდობლად თელავენ, შეურაცხყოფენ. ყველაფერი ეს არ ტოვებს ადგილს უშფოთველობისა და პლასტიკური მონუმენტურობისთვის, როგორც პრეტერისტანული ქართული მითოსის გმირები გამოიყურებიან. შუშანიი სხვა მდგომარეობაშია, ვიდრე მთავარი გმირი ღალატონის თხზულებისა „სოკრატეს ამოღობა“. „როცა სოკრატე უშფოთველად იღებს ხელში თავის თასს საწამლაკით — ეს ამაღლებული ეესტია. შეინარჩუნო უშფოთველი შესახედაობა, თანაზომიერებაში მოიყვანო მოღულაციები თავისი სმისა და ამ მოღულაციებში გამოკლენილი მოძრაობა საკუთარი სულისა, შესაძლებელია სიკვდილის მი-



რისპირ, მაგრამ არა წამების ქვეშ.¹⁵ სოკრატეს სულის სამაგალითო თავისუფლება სიკვდილის წინაშე განპირობებულია რესპუბლიკის ხრულ-უფლებიანი მოქალაქის სოციალური გარანტიებით. შუშანიკი კი სიკვდილას, წამებისა და შეურაცხყოფის პირისპირ დგას ერთდროულად.

თუმცა პლატონური სილამაზისა და ამაღლებული ფესტის ანტიკური იდეალი ქართულ ესთეტიკურ მსოფლმეგობრებს მტკნალებად უოველით თან სდევდა. იაკობის ნაწარმოებსაც აწინა მისი კვალი. „არის რაღაც არტიკული შეშანიკის სიტყვებსა და პოზიციო“, — აღნიშნა თ. ქიქაძემ. სამდევნად არის. დედოფალი რომ სახსელიდან წავიდა და სენაქი გამარტოვდა, მასთან შესული სუტეხი იღუპალი შიშით შიმართავს ქალს: „ღუაწლსა დიდსა შეწვდა ხარ, დედოფალი...“. დრამატული, მაგრამ პათეტიკური ინტონაციითაა დატვირთული ქალის საძაწიზო რეპლიკა: „ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა გამწადებულ ვარ“. პალსა, რომელიც აქ პირველ სიტყვას მოყვება, ჩვეულებრივზე გრძელია, დაძაბული და ერთბაშე მტკნელი. შემდგომ ინტონაცია ერთბაშად მაღლა იწევს და სიტყვიერი ფესტის უკან წარმოადგება ბედის მძლავრი დარტყმის შესახვედრად სტოიკურად შემართული პოზა მარტვილისა. შინაგანი პათოსითა და ფორმის არტიკული დამუშავებით ეს ისეთივე ფესტია, როგორიც, მაგალითად, ერთგან ვკვდები კორნელის ცნობილ ტრაგედიაში. მედღას მიმართავენ: „ხალხს შენ ეზიზღები, მეუღლე შენი გავირბის შენ, ასეთ უბედობაში რა რჩება ერთგულად შენდა?“ ქალი უპასუხებს: „მე, თავად!“

გვირობის არისტოკრატიული მორალის, ელიზირი „სულის სიდიადის“ ნიშნებიანა აღბეჭდილი შუშანიკის ზოგიერთი ფესტი. წამების მეშვიდე წელს „მოიწია წმიდისა და სამეფის სანატრელისა შუშანიკის ზედა წყლულებიანა კორცთა მისთაჲ... მატლიცა დასხმულ იყო წყლულთა მათ, რომელთაგან აღიღო კელითა თჳსითა და მიიწუნებდა მე და მჰადლოვდა დმეროსსა. და თქვა: „ხუცეს, ნუ მძიმე გიჩნ ესე, რამეთუ მუნი იგი მატლი უდიდეს არს და არა მოკუდების“. სხვა ეპიზოდი: ნაკვეთ დედოფალს იაკობი შესთხოვს: „მიბრძანე და მოგზანო სისხლი ეგე პირსა შენსა და სახლთა და წაშლი დავგდო, რაათა, მე, ღამე თუ განიყურნო!“ ხოლო წმიდამან შუშანიკი მრქა მე: ხუცეს, მაგას ნუ იტყვ, რამეთუ სისხლი ესე განწმენდელი არს ცოდვთა ჩემთაჲ“. შინაგანი თავისუფლების არისტოკრატიული ფესტი იღებს მოწამე მატლს საკუთარი სხეულიდან, დემონსტრაციულად აჩვენებს იაკობს და თან ამხნეებს. მეორე შემთხვევაში კი ღვთის საქმისათვის ნაოზარი „წმიდა მხედარი“ უარს ამბობს სახიდან სისხლი მოზანონ, მას სურს ატაროს სულიერი ვაჟაცობის და სიწმიდის ეს უტყუარი ნიშანი, უყვამლ დაიხანოს ეს სისხლი. ანტიკური სამყაროსთვისაა ტიპური შინაგანი თავისუფლების და „სულის სიდიადის“

ასე გარკვეულად არტიკული დემონსტრაცია. ტაციკის „ანალებში“ ასეთი ეპიზოდი ვკვდებით: Тразея уводит в спальный покой Гельвидия и Деметрия; там он протягивает обе руки, чтобы ему надрезали вены, и, когда из них хлынула кровь, кропит ею пол, подзывает к себе квестора и говорит: «Мы совершаем возлияние Юпитеру Освободителю; смотри и запомни, юноша»¹⁶.

მატლის ჩვენების ზემოხსენებულ სცენას ასეთი საგულისშორ ტერიტორია ამოვარებს მწერალი: „მე მიუგე და ვარქუ: „ძაძისა სამოსელი მცირედ-და შეგვარება საგუდმელად. აწ მატლთა მაგათვს მხიარულ ხარ?“ და მან მრქა მე ქენებით: „ნუ ვის თანა იტყვ ძაძისა სამოსლისათვს ცნობრებასა ჩემსა, რამეთუ ადრე უოვად არს დატეგება უზადრუკთ: ამთ ქორცთა ჩესთაჲ“. რამეთუ შინაგან ძაძაჲ ემოსა და აზავინ იცოდა ჩემსა გარეშე, ხოლო გარეგან კაცთა თუღლსა ანტიოქიისა პალეკარტი ემოსა“. თუმცა შეიძლება კი ახას ტერიტორია თუ დეტალი ვუწოდოთ?! აქ ხომ ერთი მოთხრობისათვის საქმარის მიზანარსია რედუქტირებული ხასიათის და უოფის, კოლიზიისა და განწყობილების შესაშენებლად. ეს ქალი ანტიკური ძვირფასი ქსოვილით შეკერილი კაბით ევლინება „კაცთა თუღლსა“. ეს ტრიუმფალური სამოსელი ასევე ტის ძაძს ფარავს. ძაძა — დაწყულეზებულ, მატლებდაცვლელ სხეულს, დამახინჯებული სხეული — ახოვან სულს, ზეცისა და მიწის სიყვარულით ანთებულს, ამაღლებულს თავისი უბედურებით, უბედურს — თავისი ფიზიკური უმწიკობით. აქ გვიჩინს მხატვრული სახე თითქმის კონტრასტული პრიციპითაა აგებული: დიდებულ სამოსში გამოწყობილი დედოფალი და სიბიძახ-შოსი და ძაძით მოხილი, შეურაცხყოფილი მარტვილი მთლიანობაშია, წარსული და აწმყო, ოცნება და სინამდვილე ერთად. რთული, დრამატულია ეს მთლიანობა.

ხასიათებისა და ვნებების, განწყობილებებისა და კონფლიქტების ასეთი მასა ქმნის რომანის ატმოსფეროსა და სივრცეს. ოღონდ უმაღლესი ხელოვნების ძალით უვლადფერი საოცრად შეკუმშულია, რედუქტირებულია, მცირე სხეულშია დატებული და დიდი სული.

მიუხედავად იმისა, რომ ანტიკური მსოფლმეგობრებისა და ესთეტიკის კვალი 1990 წლის წინათ შექმნილ ძეგლს ნამდვილად ატყვია, მასში ზორცშესხმული მოდელი ადამიანისა მთლიანად, უმეველად არის იდეალი ახალი ადამიანისა. მასში არაა წაშლილი „უოველგვარი ნიშანი სისუხტისა“ (მეგელი). იგი არ არის გაუმზადავი, მთლიანი არსება, რომელიც წამების უახსაც არ დაჰკარავდა მარმონიულ წონასწორობას და ღამეჲ ძლიერებას. ეს არის სახე ტანჯული სხე-

ბრიმერ ფარულაშვა
 დიდი პარბიშვი მარმონიული კულტურისა



ულისა, რომელშიც ცოცხლობს ისეთი „სისხლისმწიკრი“, „შინაგანი“, „გულისთაღი“ სიბოროტობისა, რომელიც უცხოა სარწმუნოდ სტატუსიზმურად გამოდგმული ელინი ათლეტის სხეულისათვის“. აღმანიის ღირსების ელინისტურ წარმოდგენას ახასიათებს „გარკვეული ნაკლები ინტიმურობისა, სიღრმისა, საბოლოო კონკრეტულობისა“.17

ევროპული ლიტერატურათმცოდნეობის კლასიკურ ნიმუშადაა აღიარებული ე. აუერბახის „მიმდინასი“, რომელშიც ნაჩვენებია, რომ სიღრმისეული ფენები, რომლებიც ანტიკურ მოაზროვნეებთან თვლემენ, ახალ ეპოქაში აღვიდნენ და დაიპრინენ და ამოქმედდნენ; ნაჩვენებია, რომ ბიბლიის პერსონაჟები შინაგანი განვითარებით ბევრად უფრო მდიდარნი არიან, ბევრად უფრო აღზედილნი არიან თავიანთი ცხოვრების ისტორიით და ამდენად, ვითარცა ინდივიდები, უფრო ნათლად არიან გამოკვეთილნი, ვიდრე ჰომეროსის გმირები. ბიბლიური გმირების ბედის ქანქარას გაცილებით მეტი გაქანება აქვს, მათში ხასიათის დადგინების პროცესი და ინდივიდუალური ბუნება მოჩანს, პიროვნული ცნობიერება იკვეთება. ბიბლიაში განსუფილად აღარ ბატონობს მათისათვის დამახასიათებელი „განსწორება“ ამბებისა, მათი პარამონიული გაწონასწორება. „მოტივთა გამარტივება და სტატიკური განსახიერება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი ხასიათებისა, გარეშე რუყებისა, გარეშე კონფლიქტებისა და შინაგანი განვითარებისა. არაამი, იაკობი და თვით მოსე ჰომეროსის გმირებთან შედარებით უფრო კონკრეტულნი, ჩვენიან ახლობელნი და ისტორიულ ფიგურებად ჩანან არა იმიტომ, რომ ისინი უფრო თვალშიწოდებულნი იყვნენ განსახიერებულნი (საქმე სწორედ საპირისპიროა), არამედ იმიტომ, რომ მათ განსახიერებაში წაშლილი არ არის სამყაროსა და სულის გარეგანი და შინაგანი ამბების უთავბოლო, წინააღმდეგობრივი, რთული მრავალფეროვნება, ყველაფერი ის, რაც ნამდვილ ისტორიას ახასიათებს“.18

შუშანიკი ახალი ეპოქის მხატვრული იდეალის განსახიერება და ნაკლებად ჰგავს ეროვნული მითოლოგიის მთავარ გმირს ამირანს, გაწმენდილს მიწიერ ნაკლოვან, მთლიანს, რომლის შინაგანი სამყარო დახურულია ჩვენთვის. შუშანიკი თავიდანვე როდესაც ანსახიერებს თავის იდეალურ არსსა და ნებას, როგორც ამირანი. შუშანიკი ასეთი არსის დადგინების შინაგანად წინააღმდეგობრივ გზას გადის. მეტოხედილი ამ დადგინების პროცესს ესწრება. თუ რა ტიპივლის ფასად ექვემდებარება შუშანიკის ინდივიდუალურ-ინტიმური იმპულსები იდეალურ არსებობას, ამის უფრო ფარული, უფრო სიღრმისეული მაგალითები ჩვენ უკვე მოვისმეთ. ახლა უფრო ცხად ნიმუშებს მივმართოთ, როცა ღვთაებრივი შემართების კვალდაკვალ მიწიერი სწრაფვა და სისუსტე შედგანდება. ვარსკენის გამაზღვა-

ნებას ხომ ქედუბრელობის უესტი უკმაყოფილო დედოფალმა, — ქმრის სარეცელს შუშანიკის მხალხლად დასაბრუნებლად და შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურთა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტირილად“. სანიმუშო პლასტიკურობით მოხაზული უესტი გვამცნობს, რომ მარტოდ დარჩენილ გმირს კარს მომდგარი უბედურება ატყობს.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა დიდი შემართებით ესაუბრება სენაკში პირველად მასთან შესულ იაკობს დედოფალი („ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განშაიდებულ ვარ... და სხვა). იმავე პასუხზე ბედთან მღურვისა და შინაგანი ტანჯვის ზარი ჩამორევას შუშანიკის სმამი: „ჩემდა მარტოხას არიან ჰერონი ესე!“ — შესჩივის იგი ხუცესს.

სხვა შემთხვევაში მარტვილი კუშტად და გაავებით ეპაქებზეა სასახლეში დაბრუნების მითოვნედი, სენაკში განმარტებული კი ბელაპყრობით დაღაღებს: „უფალო ღმერთო, არცა მღელთაგანი ვინ იპოვა მოწყალე, არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამს, არამედ ყოველთა მე სიკუდილად მიმოთუალეს მტრისა ღმრთისასა ვარსკენს“.19

ხოლო როცა ციხეში შუშანიკს გოგია მოინახულებს, ქალის სულისა და სხეულის ყველა იარაღს თითქმის ერთბაშად პირი გაეხსნაო, ისე მოედინება მარტვილის ბაგათაგან მუქარა და ყვევა, მოთქმა და სასოება: „განვისაჩნეთ მე და ვარსკენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არ არს თუალდება წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთა-მსა და მეუფისა მის მეუფეთა-მსა, სადა არა არს რჩენა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყუა ვთქუათ წინაშე უფლისა ჩუენისა ისუ ქრისტესა; მიაგოს მას უფალ. მან, ვითარ მან უფამდე ნაყოფნი ჩემნი მოისთუნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დაჰვნო, შუენიერება სიკეთისა ჩემისა დაამხელა და დიდება ჩემი დაამდაბლა“.

იმ აღმანიურ მდგომარეობიდან, როცა ასე მძიმედ განიცდებდა ამქვეყნიური სიკეთის „დაბნელება“ და დიდების „დამდაბლება“, როცა ასე ტრაგიკულად დასტირინა ფიზიკური სილამაზის „ყუფილების დაქნობას“, რა თქმა უნდა, უზარმაზარი მანძილა ყოველივე ამაზე ამაღლების ღვთაებრივ ძალმოსილობამდე; და შუშანიკი გავლენა ამ მანძილზე აღამაზურა სისუსტიდან — ღვთაებრივ ძალმოსილობაზე, დიდი შინაგანი ტანჯვის საფასურად, მაგრამ სწორედ სისუსტიდან და ტანჯვიდან მინიჭებული ძალისხმევით. როცა სისუსტე და მისით შობილი ტიკილი და ტანჯვა ძლიერი ეთიკური საწყისით გაცნობიერდება, პიროვნებას საპირისპირო მიმართულებით აღმასვლის ძლიერი შინაგანი პათოსი ვსვებს. იმიტომ ამბობენ, რომ ტანჯვის ფაქტს ღვთაებრივი საწყისი აქვს ქრისტიანულ გაგებაში, იგი უცილობელი გარდამავალი საფეხურია ღვთაებ-



რიგობამდე ასამაღლებლად. და როცა დედოფალი შემდგომ ეპიზოდში ღადადებს — „...ხოლო მე, საუყურენო, ამა ესერა წინაგამაღლებულსა მას გზასა წარვალ საუყუნესა. ქირისა ამის წილ ჩემისა ქრისტემან მომამდლოს მე სიხარული, სატანჯელთა ამით წილ განსუენებაჲ; გუემათა ამით ჩემთა და თრევათა და შეურაცხებათა — მივემთხვო მე ღიდებასა და პატენსა ცათა მნა დაუსრულებელსა“, — მოწამე უყვე განონასწორებულია და ახოვანი სული სულ ახლოს ქერტს მარადიული შშის საუფლოს. მაგრამ ეს მაინც არ არის კლასიკურად მონოლითური და გაუზნარავი გმირის უესტი. ეს სწორედ მოპოვებული, გაწონასწორების ძლიერი ცდის შემდგომ მიღწეული მთლიანობაა.

ადამიანის ბიბლიური კონცეფცია მიიჩნევს შესაძლებლად პიროვნების ზედის ამგვარს მძაფრ გაქანებას. პეტრე მოციქულის მიერ მოძღვრისგან ზედზედ სამზღის განდგომის ტრაგიკული ეპიზოდია ამის დასტური, მას წილად ის ხვდა, რაც ყველაზე საშინელია ღვთისმოსავისათვის — იგი ცახცახებს თავისი უზადრუკი ცხოვრების გადარჩენისათვის. „სრულიად გასაგებაა, რომ თვითშემცდების სწორედ ამ საშინელმა გამოცდელმა გამოიწვია ახალი რბევა ზედის გაქანისა — იგი მეორე მხარეს გაქანდა, და უფრო ღლი ენერგიით: სასოწარკვეთილებიდან, სინანულიდან (თავისი დაცემის გამო, რომელიც იმედის დაკარგვის უამს მოხდა) იშვა შზაფოფნა — აღქმულიყო ის სილვეტი, რომელთაც გადამწყვეტი როლი შეასრულებს ქრისტიანობის ჩამოყალიბებაში; ამ გამოცდილებით იხსნება პეტრესათვის აზრი ქრისტეს გამოცხადებისა, მისი ტანჯვის აზრი“. პეტრე არის ტრაგიკული ფიგურა, „...გმირი სუსტი, რომლის უღიდესი ძალი იბადება სწორედ ამ სისუსტიდან“.19

ადამიანის ახალი იდეალისათვის ნიშნული ეს დრამატული პათოსი ტრაგიკული სიძლიერითაა გამოვლენილი იაკობ ზუცესის რომანის გმირთა სახეებში. IV-V საუკუნეების ბიზანტიურ მწერლობაში ეს სულისკეთება ყველაზე მაღალი ხელოვნებით გახსნილია გარგოლ წაიანწყელის (329—390 წ.წ.) ლირიკულ აღსარებებში:

Кто я? Отколе пришел? Куда направляюсь? Не знаю. И не найти никого, кто бы наставил меня²⁰. თანვე ოქროპირის (344—407 წ.წ.) პოშილიება (მაგალითად, საჰურის ევტროპიოსის მიმართ) შეუდარებელია თავისი ტექნიკურ-ფორმალური დახვეწილობით, მაგრამ მათში მაინც რიტორიკული დამოძღვრა — ქადაგების სულია მოავარი.21 ბიზანტიური პავიოკრაფიული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშად ითვლება ათანასე ალექსანდრიელის (293—373 წ.წ.) „ცხოვრებაჲ წმიდისა ანტონისი“, რომელიც ძველთაგანვე უთარგმნათ ქართულად (გამოცემულია კიდეც ვ. იმნაშვილის მიერ, 1970 წ.). ადამიანის ახალი გაგების ის ცხოველყოფილი სიმძაფრე, რაზეც

ზემოთ ვსაუბრობდით და რაც უმაღლესი ხელოვნებითაა რეალიზებული „შუშანიკის წამებაში“, შესაძინევად შენელებულია ამ ნაწარმოებში, რომელიც ცხადი ბელეტრისტული ინტერესით იკითხება.

მეოთხე საუკუნის ლათინურ სამყაროში იერონიმე კმნის ეპისტოლარული ეპარის ღიდე: ბულ ნიმუშებს (მაგალითად, წერილები პამაქესადში. ევსტოქესადში)22 იერონიმეს ენობრივ ხელოვნებას და სტილს თაყვანს სცემდნენ შუა საუკუნეებშიც და აღორძინების ხანაშიც. მაგრამ, როგორც აუერბახი იტყვის, „მისი ალი პირქულისა“. სულ სხვაგვარია ავგუსტინე „როგორც ყოველთვის, ავგუსტინესთან ბრძოლის ველი — მისი საკუთარი სულია. ნაცვლად იმისა, რომ გადაეწყვიტა ექვემი ავგუსტინე მთამრავლებდა: სულიერ ქრილობებს იგი იმდენად მაღალსა არ სცხებდა, რამდენადც აღიზიანებდა. ამით იგი რომანტიკოსს შორეულ წინასწარმეტყველად იქცა: შატობრიანი ამაღლ როლი სწავლობდა მის სკოლაში“.23 ავგუსტინეს „აღსარების“ გმირი, „ალიპიუსი ცოცხლობს და იბრძვის; მასთან შედარებით არა მხოლოდ ის პირები, რომლებიც ამიანეს ნაწარმოებებში გამოვლიან არამედ პამაქეც იერონიმეს თხზულებაში — სხვა არაფერი არიან, თუ არ უსიცოცხლო სქემანი“. ალიპიუსიც ეცემა ბიბლიური პეტრეს მსგავსად (და მით უფრო დაბლა, რაც უფრო მაღლა იდგა). ეცემა და კვლავ წამოიბართება, ვინაიდან ქრისტიანობას შეცოლებასა და მაგიურ მოხიბვლასთან საბრძოლველად სხვა იარაღი აქვს. ვიდრე „...რაციონალურ-ინდივიდუალისტურ ანტიკურ კულტურას. ქრისტიანობა ტუფილად როდია მოძრაობა, მომდინარე სიღრმიდან, — სიღრმიდან მრავალთა, მასებიდან, და უშუალო გრძნობის სიღრმიდან; ქრისტიანობას მტრის დამარცხება მისივე საკუთარი იარაღით ძალუძს. ქრისტიანობასაც აქვს თავისი მაგია, მაგრამ ეს ის მაგია როდია, რომელიც სისხლით ათრობს; იგი უფრო ძლიერია, ვინაიდან უფრო ადამიანურია და მდიდარი იმედებით“.24

ავგუსტინეს მიერ შეუდარებელი ფსიქოლოგიური სიღრმითა და ქეშმარიტი ხელოვნებით ხორცშესხმულ მოდელს ახალი ადამიანისა მაშინდელს ქრისტიანულ სამყაროში შეიძლება ვერავინ უზამდეს მხარს ისეთის ღირსებით, როგორც ამას აეთეებს მითონის ეპისკოპოსის უმცროსი თანამედროვე, იაკობი, ზუცესი ცურტავისა.

თანამედროვე მეცნიერული მიღწევების დონეზე უნდა იქნას გააზრებული „შუშანიკის წამების“ ის პასაჟები, რომლებშიც თითქოს უაზრო ასეტიზმის და აბსტრაქტული ლოცვა-ღაღადი

ბრნიშვრ ფარულაჲა

ღიღი პარიზში ეროვნული კულტურისა



დისის დემონსტრაცია ზდება თანამედროვე მედი-
ნიკურულმა მიდევნებმა კი სასურველად მოგვი-
ახლოვს და გაგვაგებინებს შორეული დრო. სა-
გულისხმო აზრი დავანახებს იმაში. რაც უაზ-
რობად შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა. კ. ვეს-
სელი, მაგალითად, განმარტავს, თუ რა აზრი
იყო ისეთ სიმბოლოში, როგორცაა ჭვარცმა,
რომელიც მაინცდამაინც მთაზე განხორციელდუ-
ბა, სახიფათოდ გამოჩნდებოდა. ამალღებულ ად-
გილზე; იმ მთაზე კიდევ სხვა სიმალღე აღიშარ-
თება — ჭვარი, თავის მხრივ პლასტიკურად ასე
გამოკვეთილი. ჭვარცმული სხეული გაშლილია
როგორც დროშა, გასხილია როგორც წიგნი;
ბრძოლის შუაგულში იგი აღმართულია როგორც
დროშა და როგორც წიგნი, თვალწინ მოყვასთა
და მტერთა, პირველთა შთაგონებისათვის, მეო-
რეთა გააფთრებისათვის.²⁵

ს. ავერინცევი განმარტავს სიღრმისეულ აზრს
ერთი ბიბლიური ეპიზოდისა: მძიმე ომის უამს,
როცა ისრაელის მსედრონი ებრძვის ამალღებუ-
ლებს, მოსე ხელმის შემართავს და ლოცულობს
თავისი ხალხისათვის. სანამ იგი დიდი ჭაფის
ფასად ხელმის შემართულად იწარუენებს, ღვთის
მხედრობი იმარჯვებს, ხოლო როცა ხელმის
უნებურად დაეშვებიან, იმარჯვებს მტერი (წიგ-
ნი გამოხსილსა. 17, 11—12). „ასეთი ლოცვა —
იგივე „მეომრობაა“, „სულიერი ბრძოლა“, და-
ძაბვა თეურგიული ძალებისა, რომლისგანაც უნ-
და „აღგვინე“ ხილული და უხილავი, ხორციე-
ლი და უხორციო მტრები“.²⁶

ასეთ მეგრძოლ სულს, ბოროტებისთვის ქმდ-
მოლხებოების პათოსს თესავს შუშანიკი, როცა
ნაგვემ სახეზე შემხმარ სისხლს სიწმინდესავით
დაატარებს და მატლებს აჩვენებს ხუცესს; რო-
ცა ბოკილთა ახსნაზე ამბობს უარს და როცა
„სასათუღსა ზედა თავი არა მიდვს, გარსა აღი-
ზი ერთი დაიდვს სასთუნად“ შემოსევით, არ
არის, რომ დედოფალი ჩვეულებრივ მაღლობით
არ ხვდება, როცა მისი ასეთი უბედობის გამო
სხვები სწუხან, — თუ ასე არ მოვიქცეთ, ჩვე-
ნი არსებობის უკეთეს ნაწილს დავკარგავთ,
განმარტავს მარტივლი. შუშანიკი მთელ ქვეყანას
აჩვენებს, რომ, როცა ქვეყნის ინტერესები მო-
იხოვებს, პიროვნებას უფრო მძიმე ტვირთის
აწევა ძალუძს, ვიდრე მას ზგონია. აქი „განთ-
ქუა ყოველსა ქართლსა საქმე მისი. და მოვი-
დოდეს მამანი და დედანი“... მოდოდნენ და
მიჰქონდათ აღმართის ღირსების შენარჩუნე-
ბის, ბედისწერასთან ქედმოხუცებლობის, რწმენი-
სა და ქვეყნის ერთგულების თემა...

მკითხველის წარმოსახვაში გოლგოთასავით
გაქცადუკებულად, ამალღებულ მთაზე, უმე-
ლაფრისგან გამორჩეულად წარმოიდგინება ის
ციხე, სადაც შუშანიკი იტანჯებოდა ექვსი
წელი. აი, როგორ „აოცარდნისი“, გამოყოფი-
ლი, გამორჩეულია საქართველოს მთელი ლანდ-
შაფტიდან პოეტური წარმოსახვის ძალით ეს

ციხე და ეს მხარი: „უამსა ზაფხულისასა ციხე-
ლებს შემწუელი იგი მჭურვალეზაჲს მსხრფე-
ქარნი სორშაქი და წყალნი მავნებელნი, რომ-
ლისა მკვდრნიცა მის აღგლისანი სავსენი სენი-
თა, წყლითა განსივებულნი და განუვლიებულნი,
დაწერტილნი და დამქნარნი და დამღერებულ-
ნი, ჩარადოვანი, პირ-მისიანი და დღე-მოკლედ
ცხოვრებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ
ქუეყანათა“. ასეთი შუშანიკის გოლგოთა. ამ
გოლგოთის თავზე „როგორც დროშა და რო-
გორც წიგნი“ აღმართულია ხატი შუშანიკისა,
უძველესი ქართული წიგნის გმირისა. ასეთია
შუშანიკის ასკესის — მხედრული დისციპლი-
ნის — შინაგანი აზრი. ასეთივე აზრის ასკეტო-
ბა იყო აბო თბილელისა და მეფე დიმიტრის თავ-
დადებულის, ბიძინა ჩოლოყაშვილისა და თეო-
დორე მღვდელის, შალვა და ელიზბარ ქსნის
ერისთავების ზედარი.

ამ წიგნში სამი არსებია, — ღმერთი, ქვეყანა
და ადამიანი, — რომელთა ერთარსებად ქცევის
ეწირება მთავარი გმირის ღამაში სხეული და
კიდევ უფრო ღამაში სული. ამ წიგნში ერთი
მოტივია, — სიყვარული, — რომლის ძალითაც
ხელოვანი და მთავარი გმირი ცდილობენ ამ სა-
მების ერთარსებად ქცევის. ხოლო უმთავრესს
განწყობილება თუ ტონი, რომლითაც აღბე-
დილია იაკობის თსუფლება, არის განწყობილება
ზნეობრივი რიგორიზმისა.

ქეშმარიტება სარწმუნოებრივი და საქვეყნო
ინტერესების ორგანული შერწყმის იმ კონცეფ-
ციისა, რაც „შუშანიკის წამებაში“ ჩამოყალიბდა
პირველად, მთლიანად დადასტურა ჩვენი ქვეყ-
ნის შემდგომი ინტერესების მოვლად კულტურულ-
ისტორიულმა გზამ. პირველი წიგნის კავლობაზე
ქართულმა მაგიოგრაფიამ და პიზნოგრაფიამ მარ-
ტილის სახით წამოაყენა ეროვნული გმირის
პრობლემა. საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი
მოტივის ასეთმა სიმძლავრემ კი სასულიერო
მწერლობის წიაღშივე შეამზადა როგორც ში-
ნარსობრივი, ისე ფორმალური წანამძვრება
ხერო ლიტერატურის აღმოსაყენებლად (კ.
კეკელიძე).

გმირის მოდელის სტრუქტურული ელემენტე-
ბის (ზოგადი და კერძო) ურთიერთგანმედიების
გეგმა. რაც ქართულ ლიტერატურაში პირველად
იაკობ ხუცესის თსუფლებაშია მოცემული, გა-
ზიარებული და გართულებულია „ვეფხისტყაო-
სანში“. რუსთველთანაც ძირითადი კონფლიქ-
ტი ადამიანის სულის შიგნითაა გადატანილი და
გმირებს ზოგადი და კერძო საწყისების მტანჯ-
ვად ღამირისპირებაზე ამალღებით სწვდებიან
იდეალს (ოღონდ ეს იდეალი სხვა კულტურუ-
ლი წყაროებიდან, მაგალითად, ანტიკურობიდან,
მომდინარე ელემენტებითაა შევსებული). მორა-
ღული რიგორიზმი, პიროვნული ნების სიმძ-
ლავრით, მგრძნობიარე გულით რუსთაველის
გმირები შუშანიკის, აბოს, გრიგოლ ხანძთელის



მემკვიდრენი არიან, ახოვანი სული აქ ღონიერი მკლავითაა შეცხებული, მიწიერ საქმეებში ღვა-
ტერიე ამაღლებულობის მიღწევას ცდილობენ.
„ვეფხისტყაოსნის“ მთავარი მოტივები სიყვარუ-
ლი და ერთგულება (სხვა აქცენტითა და სიღ-
რმით). მიმართებათა კონსიურის მრავალსახეობის
პრინციპად პარამონიასა და სიყვარულის მოაზ-
რებას საფუძვლად უნდა ედოს ქრისტიანული
მსოფლანობა, რომელიც მოციქულ იოანეს პი-
რით აცხადებს: „ღმერთი სიყვარული არს“,
„ვეფხისტყაოსნის“ უმთავრესი გმირიც ქალია —
ნესტანი, წლების განმავლობაში ისიც ცხეში
გამომწყვდევრულია და ტანჯული. ტანჯვის ხამს-
ხერამდღოვან განწმენდალ-ამაღლებული მიგახლე-
ბა ნესტანი ტარიელს, ტარიელს — ნესტანს.

უკვე ითქვა, რომ ეროვნული მწერლობის კა-
რიზმისთანავე დგას ქართლის ბედსა და ჭირზე
ღრმად დაფიქრებული ზელოვანი. ეროვნულ
სატიკვართა ჭირისუფლობის ასე გამძაფრებულ
პათოსსა და ნერვუტა დამყნადი ძირითადად
მთელი შემდგომი ხანის ჩვენი ლიტერატურა,
განსაკუთრებით კი „ქართლის ჭირისა“ და „ბე-
დი ქართლისა“ ავტორთა მსოფლმეტყვნება. ამ
პოემებშიც აღმოსავლურობის დამღვევსა და
ევროპული ორიენტაციის პარობლემა დგას. ზო-
ლი „ქართლის ჭირის“ შინაგანი წყობა პირო-
ვნული ინტონაციის სიმღერითავე ენათესავება
„შუშანიკის წამებას“. ავტორები ორივეგან გვე-
ლინებთან მოქმედ პირებად და ეპიურ თხრობას
ცხადებენ ალბედავენ თავისი პიროვნული გან-
წყობილებით. მსგავსი რამ ზაზაწათიურ ლიტე-
რატურაში მხოლოდ X ს. გაოჩნდება (გრიგო-
ლის — „ცხოვრება“ ვახლი ახლისა“). ამის
თაობაზე მითითებენ: „თუთ ავტორის მუღ-
მივი თანადამხვედრობის ეს გრძნობა სრულიად
ახალია არა მხოლოდ ამგვარი ნაწარმოებისათ-
ვის, არამედ მთელი შუა საუკუნეების ლიტე-
რატურისათვის“. 27

შუშანიკი „ბედის სამწვდრის“ გადასალახავად
ამხედრებული გმირია. ჩვენ ვნახეთ, რაგვარი
ქედუბრელობით და შინაგანი დაძაბულობის,
ტივილის ფასად, დაუწინებოთ მიიღების იგი
იდეალისავენ, როგორ მიაქვს პირადული ვნებე-
ბი ამაღლებული, საზოგადო ინტერესების სამ.
სხვერპლოზე. სინამდვილისა და იდეალის მტანჯ-
ველ გათიშულობაში ადრევეა შეგარძნობილი
რომანტიზმის პარობლემა. შუშანიკის წასვლა სა-
სახლიდან ისევე არაა გამტკევა უკუღმართი სი-
ნამდვილიდან, როგორც „მერანის“ ლირიკული
გმირის ქროლვა. აქედან იწყება სწორედ ბრძო-
ლა, ვნებიანი ბრძოლა ლირიკული არსებობის
დამკვიდრებისათვის რომანტიკული გმირი შე-
მართებით აცხადებს, რომ მზადაა ამ მოწინათ-
ვის ყველაფერი გაიღოს: „დაე, მოკვდე მე
უპატრონოდ მისგან ოხერი! ვერ შემინისის მის.

მა ბასრმა მოსისხლე მტერი“ შუშანიკი: ~~მეცხე~~
თუ მრავალი ტანჯვაა მიაწიო ჩემ ზედა, მეცხე
ვეწიარო საქმეთა შენთა“. ან: „...და მეცა ღუაწ-
ლისა დიდსა განწაღებულ ვარ“. არც შუშანიკი
სცხებს მალამოს თავის სულიერ სატიკვართა,
უფრო აღიზიანებს მათ. ესეც ხასიათის „შუშო-
მობის“ რომანტიკული ნიშანია. და თუ შატო-
რიანი სწავლობდა ავგუსტინეს სკოლაში, ბარა-
თაშვილსაც უნდა მიეღო შემოქმედებითი იმ-
პულსი იმ ლიტერატურული ტრადიციებიდან,
რომლის პირველ ხნულს ჩვენში იაკობ ხუცესი
ავლენდა.

იაკობ ხუცესის კლასიკურად ნატიფი ენისა
და სტილის გავლენა ცხადად აწინა ქართულ ბა-
გიოგრაფიულ ეპოსს. სულხან-საბა ორბელიანის
პროზის მხატვრულ სახესა და სტილში კიდევ
უფრო განვითარებულია მოვლენის, დეტალის
რეალუტიკრებულად, შეკუმშულად წარმოდგენის
ტენდენცია, რაც ფრანკის ელიფსურად შეკუმშ-
ვაშიც ცხადდება. ერთი წამით მივუბრუნდეთ
გარემოს იმ სურათს, სადაც შუშანიკი იტანჯე-
ბოდა. დავაკვირდეთ, რა მშვიდ რიტმულ ინ-
ტონაციებში, ზუნებრივად გამჭვირვალე და
ლაკონურ სინტაქსურ კონსტრუქციებში ამწყვ-
დებს მწერალი შინაგანად უაღრესად მძაფრ სი-
ტუაციებს. რომანტიკულად მძაფრი, დრამატუ-
ლი შინაარსი პირველად სწორედ იაკობ ხუცე-
სის მხატვრულ სტილშია „მოთვინიერებულ“
კლასიკურად გამჭვირვალე, რაფინირებულ ფორ-
მაში. 28 განა ზუნებრივი იქნება დაუშვავთ, რომ
ასე დრმა, დრამატულ სინამდვილეს, ვნებებს
კლასიკურად ნაქმედი სტილი და ფორმა ლიტე-
რატურული შემოქმედების პირველსავე ცდაში
მოუტყნებს?!

ისევე, როგორც არქიტექტურაში ბოლნისის
სიონის ტაძრის, რომელიც „შუშანიკის წამების
კბილაა, ორნამენტს, სამაყულს „შუშანიკის წა-
მების“ მხატვრულ სამყაროშიც მეორეხარისხო-
ვანი მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული. ეს
„წმინდა სისხლის“ ლიტერატურაა, ძირითადად
ხასიათების და სიტუაციების, შესტეს, დიალო-
გის შინაგან სისხესზე დამყარებული. მხატვრუ-
ლი კონსტრუქციის შემადგენელი ელემენტები
და მთელი პასუხები კლასიკური თანაზომიერე-
ბით ლაგდებათ ცენტრის გარშემო და მათი
მრავალფეროვნება კომპოზიციური ნახაზის გა-
მოკვეთილობასა და მთლიანობას არსად არ-
ღვევს, ეკლექტიზმის ნახაზიც კი არ ჩანს. ყო-
ველივე ეს, შერწყმული სინამდვილისა და ადა-
მიანის მხატვრული მოდელირების სრულიად
ცხად პრინციპებთან, უწყვეტს ქართულ თხზუ-
ლებასავე გამოკვეთს ტიპოლოგიურ ნიშნებს

ბრიშვილ შარულაშვილ

ადილი პარიზში მრეწველური კულტურისა

დასავლური კულტურისა, მიდრეკილებას კლასიკური ესთეტიკური მსოფლმეგობრებისაკენ.

ასე, ბიბლიური იაკობის ძალისხმევით, უბრა-

ძოლია სინამდვილის მხატვრული დაპყრობისათვის. ვის დიდ ქართველ მწერალს, იაკობს.

მას შემდეგ 1500 წელი გასულა!...

შ ა ნ ი ზ ზ ნ ა ბ ი :

1 ბ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია. ნაწ. 1, 1948, გვ. 81.

2 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 295.

3 Гегель, Лекции по эстетике. Сочин. т. XIV, стр. 188.

4 ბ. ბერძენიშვილი, ვ. ღონღა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, საქართველოს ისტორია, I, 1958 წ. გვ. 96.

5 რ. ბარამიძე, ნარკვევები მხატვრული პროზის ისტორიიდან, 1966 წ. გვ. 22—31.

6 იქვე, გვ. 23—24, 28.

7 თ. კილაძე, იაკობ ცურტაველის „შეშანიკის წამება“, „ცისკარი“, 1977 წ. № 5, გვ. 124.

8 Пьер Тейяр де Шарден, Феномен человека, М., 1965, стр. 257—258.

9 იქვე, გვ. 258.

10 С. С. Аверинцев, Поэтика ранневизантийской литературы, М., 1977, стр. 125—126.

11 იქვე, გვ. 126.

12 იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973 წ. Т. В. Попова, Античная биография и византийская агнография. Сб. «Античность и Византия», М., 1975, стр. 262. Brox N. Zeuge und Martyres. Untersuchungen zur frühchristlichen Zeugnis - Terminologie. München, 1961.

13 ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 126, 127.

14 რ. სირაძე, ძველი ქართული თეოლოგიური ლიტერატურული აზროვნების საკითხები, 1975, გვ. 201.

15 ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

16 Корнелий Тацит. Сочинения. В двух томах, т. 1, М., 1969, стр. 326.

17 ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი, გვ. 62.

18 Эрих Ауербах. Мимесис, М., 1976, стр. 41.

19 იქვე, გვ. 62.

20 Памятники византийской литературы IV—IX веков. М., 1968, стр. 70.

21 იქვე, გვ. 87—103.

22 Памятники средневековой латинской литературы IV—IX веков. М., 1970, стр. 34—47.

23 И. Н. Голенищев-Кутузов. Средневековая латинская литература Италии. М., 1972, стр. 86, 88.

24 აუერბახის დასახელებული ნაშრომი, გვ. 87, 86.

25 K. Wessel. Die Kreuzug («Iconographia Ecclesiae Orientis»). Recklinghausen, 1966, S. 71.

26 ს. ავერინცევის დასახელებული ნაშრომი, 127.

27 ტ. პოპოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. 249.

28 „შეშანიკის წამების“ პოეტისა და სტილის შესახებ იხ. გ. ფარულავა, იაკობ ცურტაველის პოეტური ხელოვნება. კრებ. „შეშანიკის წამება“ (გამოკვლევები და წერილები), 1978, მისივე, ექვ სულისა, „ცისკარი“, 1975, № 2.





თავისუფალი თემა

ორი რედაქციის — მხატვრულ-ლიტერატურული „ცისკრისა“ და სამეცნიერო-პედაგოგიურის — „ქართული მნა და ლიტერატურა სკოლაში“ მსჯელობის საგნად თავისუფალი თემის არჩევის შემთხვევითი არ არის პედაგოგიური შტრნალისათვის ეს ღვიწილი საკითხია, მაგრამ არც „ცისკრისთვის“ გახლავთ იგი სხვისი ბირი — ღობის ჩხირი; ღვებანდელი კარგი თავისუფალი თემის დამწერი ხვალნდელი „ცისკრის“ კონტენცირი ავტორია. კოლმეიკაური მონაწილეობენ მასწავლებლები თამარ გურჯანაძე და ნელი რუხაძე; მწერალი თამაზ შილაძე; საბამოცდო კომისიათა უკანასკნელი წლების თავმჯდომარეები — კროფესორები მუჰამალა ზანიძე, ელგუჯა ხინთიბიძე, რევაზ სირაძე და ღოცენტი გუჩა კვარაცხელი; შტრნალ „ცისკრის“ წარმოადგენენ მისი რედაქციის წევრები — კომბი ტარიელ ზანტურიძე და კროფესორი რისმაგ გორდუიანი, შტრნალს „ქართული მნა და ლიტერატურა სკოლაში“ კი — მწერალი რევაზ თვარაძე და რედაქტორი თამაზ კვანანტირაძე.

თ. კვანანტირაძე — ჩვენი დღევანდელი თავმჯდომარე გაქირვების თავმჯდომარე და ეს ამთავითვე უნდა ვაღიაროთ; არც დრო და არც თემა ჩვენი მსჯელობის შემთხვევითი არ გახლავთ; ახლახან მოთავდა მისაღები გამოცდები, ჭერ კიდეც არ განელებულა ის შთაბეჭდილებანი, რაც მშობლიური ენისა და ლიტერატურის წერიტი გამოცდებიდან გვაქვს მიღებული. შთაბეჭდილებანი კი, პირდაპირ უნდა ითქვას, მძიმეა. მძიმეა, უპირველეს ყოვლისა, არა იმიტომ, რომ წელსაც თვალნათლივ გამოჩნდა ის, რაც არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს — ჩვენი აბიტურიენტების წერის კულტურისა და აბიტურიენტის საერთოდ დაბალი დონე — (ეს — თავისთავად!); საწყენია, ცხადია, აბი-

ტურიენტის უძლეურება, მაგრამ უფრო საგანგაშოა, როცა გამომცდელი იგარძნობს თავს უმწოდ. არ იფიქროთ, რომ აქ ლაპარაკი იყოს კომისიათა უზიაროდ დაკომპლექტებაზე — მართო ეს რომ გვერდეს, ამას შედარებით ადვილად მოეფლებოდა; სიტუაციის შთელი ტრაგიზმი ის გახლავთ, რომ სწორედ კომპეტენტურ გამომცდელს ეუფლება უკმარისობის გრძნობა, როგორც ყოველ პატიოსან ადამიანს, რომელიც გრძნობს — ამოცანას თავი რიგაინად ვერ გავართვიო. მისაღები გამოცდებით იმითომ ვიწყებთ ხალბარს, რომ აქ ყოველგვარი საფარველი ცდლება ხოლმე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობას სკოლაში და თავად ამ საგანში გამოცდის სისტემისა



და მეთოდების ხარვეზებიც თვალნათლივ წარჩინდება. არც ერთ სხვანს არ უჭირს ისე მისაღებ გამოცდებზე, როგორც მშობლიურ ენასა და ლატერატურას და ეს სირთულეები არაღელ ისე არ „უკირის“, როგორც თავისუფალ თემაში. სწორედ ამგვარი თემების შეფასების დროს არც თუ იშვიათად გამოჩნდებილი დამნაშავეის ღიმილით წინ დაუდებს ხოლმე თავმჯდომარეს ნაწერს და უცხადებს — ვერ შემოფასებია: დავწერო სამიანი და, ემანდ ვიპეცო დროში ფეხი არ ჩავდგა, დამესმარეთო. ცხადია, ამგვარი სიტუაცია ნორმალური ვერ იქნება, მაგრამ ეს კიდევ სჭოზს იმ შემთხვევებს, როცა გადაღლილ-გაწაბრებულ გამომცემელს საკუთარი ექვებში ჩაღრმავების თავი აღარა აქვს. გადავლის გრამატიკულ-პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობას და გამოიყვანს სამიანს. ეს ექვი, ყოყმანისა და მერყეობის ეს განცდა კი არც თავმჯდომარეებისათვის გასლავთ უცხო (აქ ლაპარაკია არა იმ სიტუაციაზე, როცა თავად ნაწერი მერყეობს რაღაც ორ ნიშნის შუა, — ამ შემთხვევაში გამომცემელმა იცის, რომ ნაწროში ობიექტურად, ვთქათო, სამსა და ოთხს შუა არის დაწერილი, და თავად შეუძლია ყოველგვარი სინდისის ქენწნის გარეშე გააყეთოს არჩევანი). ამ ჩვენს საუბარს რომ მკითხველი ეყოლება და თანაც უაღრესად ტენდენციური (რა შეიძლება იყოს ბელმოცარული აბიტიურიენტის მშობელზე უფრო ტენდენციური), ეს ყველამ ვიცით; დიდი გულთმისნობა არც იმას სჭირდება, ცალკეულ სირთულეებს როგორ განვვიზოგადებენ და წამოგვძახებენ — თქვე უღმერთოებო, ღამე როგორ გძინავთ, თუ თავად ვერ დაგვიდგენიათ ნაწერის შეფასების კრიტერიუმები და ისე ახწორებთ საგამოცემო ნაშუაერებსო. მაგრამ თავისუფალი თემების ეროი ნაწილი რომ მართლაც უაღრესად რთული შესაფასებელია და ჩვენი გამომცემლები რომ ასეთ შემთხვევებში თავად აღმოჩნდებიან ხოლმე დიდი გამოცდის წინაშე. ესეც ფაქტია...

ბ. შანტურიძე — არა მართო ჩვენი... რამდენიმე წლის წინ „საქსეციაში“ გამოქვეყნებული ერთი ექსპერიმენტის შესახებ წაგიკითხე: მოსკოვის სკოლების ახ საუკეთესო პედაგოგს დაურიგეს გასასწორებლად ერთი და იგივე თავისუფალი თემა. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამ თემაში ზუთიანებიც დაიწერა და ორიანებიც... როგორც ხედავთ, ცენტრალური პრესა ბეჭდავს ამგვარ მასალას; ხოლო დემოკრატიაში გაწაფული მავანი და მავანი ამ მწარე სინამდვილეს როგორ შემოგვიტრიალებს და რა კუდს გამოაბამს, — ამის რიდით ჩვენ დუმილი არ გვარგებს... კი, ბატონო, სირაქლემასი

არ იყოს. თავი შეიძლება დავმალეთ, მაგრამ ეშველება ვითომ ამით საქმეს?...
 შ. შანტურიძე

მ. შანტურიძე — სწორედ მაგ ექსპერიმენტის შესახებ პროცედურას ჩავატარებთ ახლა. ყველას დაგვარავდება ერთ-ერთი აბიტიურიენტის მიერ შესრულებული თავისუფალი თემა — „თანამედროვე მუსიკა — კლასიკა თუ ჯაზი“. ცხადია ამ შემთხვევაში თემის შეფასებას ნიშნით ჩვენგან არავინ მოითხოვს, — უფრო საინტერესოა აზრის მოსმენა იმის თაობაზე, თუ როგორ არის გააზრებული თემა და რა საშუალებით აღწევს აბიტიურიენტი მიზნს — თუ, საერთოდ, აღწევს მას...

მზ. შანტურიძე — თავისუფალი თემის ამ სათაურებში თავის დროზე დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. იმ წელს საგამოცემო კომისიის თავმჯდომარედ მე გახლდათ და ჩემი მცირე განმარტება იქნებ აქაც არ იყოს ზედმეტი... გვედავებინა, — ზოგჯერ კორექტული და უფრო ხშირად არაკორექტული ფორმით — თითქმის ჩვენ აბიტიურიენტებისგან ამ შემთხვევაში რაღაც განსაკუთრებული რამ მოვითხოვეთ, საგანგებო კლდნას რომ საჭიროებს. არამც და არამც... შესაძლოა ამ თემაში კონსერვატორიის სტუდენტმა ორიანი მიიღოს, ხოლო მუსიკის მოყვარულმა, რომელიც ნოტებსაც კი ვერ კითხულობს და არავითარი სპეციალური მუსიკალური განათლება არა აქვს — ფრანდი... ეს იმიტომ, რომ ჩვენ ამ შემთხვევაში მისგან მოვითხოვდით არა პროფესიულ ანალიზს კლასიკური და ჯაზური მუსიკისა (აქ კლასიკა ფართო გაგებით უპირისპირდება ჯაზს, თორემ ჯაზსაც აქვს თავისი კლასიკა), არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სოციოლოგიური ასპექტის ანალიზს ამ პრობლემისას.

მ. შანტურიძე — თუმცა, ჩემი აზრით, ვინც ამ თემას მოჰკიდებს ხელს, მუსიკალური გაუჩინებლობა მისი კარგი მეკავშირე ვერ იქნება...

მზ. შანტურიძე — გეტანხმებით, მაგრამ ეს წინააღმდეგობა იყოს გადამწყვეტი ფაქტორი; მუსიკა, როგორც გარკვეული ეპოქის პროდუქტი, განსაზღვრული ფსიქიკური წყობის გამომავალი, ცხოვრების ტემპისა და რიტმის ანაზღაურება და, ამასთან დაკავშირებით, ასაკობრივი ფაქტორი — თაობათა განსხვავებული აღქმა მუსიკისა — ამის შესახებ ახალგაზრდა სისტემატურად ისმენს, კითხულობს, უყურებს და ფიქრობს... თუ არ ფიქრობს, უნდა ფიქრობდეს. აი, ეს ფიქრები, ეს განსჯა გვინტერესებდა ჩვენ, უპირატეს ყოვლისა, და არა თავისთავად აღწეული მუსიკალური ერთეულია. აი, წაგიკითხოთ თემა და ვიმსჯელოთ, რამდენად გავრთვა თავი აბიტიურიენტმა ამ ამოცანას.



თანამედროვე მუსიკა — კლასიკა თუ ჯაზი

მუსიკა სახლში, ტრანსპორტში, ქუჩაში, მეტროში... მუსიკა ყველგან... მუსიკა დღეს — კლასიკა თუ ჯაზი (!)... კი მაგრამ, რატომ გეისევით ახალგაზრდობას საკითხს ამგვარი — მუსიკა: კლასიკა თუ ჯაზი? იქნებ აქ არაფერია ამოსარჩევი, იქნებ კლასიკა და ჯაზი ერთდროულად? სხვისი არ ვიცი და... კაცას კითხვა: ისეთსავე ესეთები (თუგინდ ინტელექტუალურ) სიამოვნებას მგერის, როგორსაც გოგეტე და ჰაფეზი... განა დღესაც ისევე არ გეგვადობს მონა-ლიზას (ჯოკონდას) ღიმილი, როგორც საუკუნეთა მიღმა? ანდა, პიკასოს გენას რა ჩრდილი ადგება, კლასიკოსი რომ არ არის? არ ვიცი, ფიქრობდა თუ არა, რა სახით დაუწერა ბეთოვენს „მთვარის სონატა“, არც ის ვიცი, ელ-გრეკო განგებ „ანგრეკდა“ თუ არა ფორმებს... ეს კია, ერთიც და მეორეც წერდა და ხატავდა ისე, როგორც უნდოდეთ. დიახ, როგორც უნდოდეთ. იტყვი: სელოვანმა უნდა აეთოს ის და ისე, როგორც ეპოქას, ხალხს სჭირდება! შევეშვათ მოსაწყენ რიტორობას!...

ერთ-ერთი მხატვრის პერსონალურ გამოცენებზე მისივე ნათესავები (ჩემი აზრით) შეკრებილიყვნენ. მხატვარი დამნაშავესავით უსმენდა მათ განაჩენს. განაჩენი? განაჩენი ასეთი იყო: „ამნაირი ქალები მოგწონს, ბიჭო, შენ?“ (მკვეთრი გურული კილო). რას ფიქრობდა ამ დროს შემოქმედო? მინდოდა მეზარხაა — ჩემზე, იმ მხატვარზე, ყველაზე... ჰმ! „ყველაფერი ხალხისათვის!“ მერედა გაიგებს ის შენი ხალხი? ერთი ანდაზა გამასხენდა: „ხალხი ქვევრია, რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებსო“... ბავშვობიდანვე ჩაგვიჩინებენ: გოგედა და რუსთველი გენისოსებიაო. რატომ არას იტყვიან პლატონსა და კანტზე? არ სმენიათ, არ იციან და იმიტომ. არა და არა! კიდეც ერთი მაგალითი... სცენაზე ინოცენტი სმოკტუნოვსკი ჰამლეტის მონოლოგს კითხულობს... კითხულობსო, ვამბობ... ის ჰამლეტია იმ წუთში, ჰამლეტია! აი, უკანასკნელი სიტყვაც დი... გულგრილი ტაში... მინდოდა მეყვირა: „ეს ზომ, ჰამლეტია!“ მერე?.. მერე ზიკინას გამოსვლა და ოცადიებო... მე ავტირდი... გვონებ კომენტარი ზედმეტია...

მე მიყვარს მუსიკა, პოეზია, მხატვრობა, მაგრამ ქეშმარიტი!

მამ გაუმარჯოს დღევანდელ მუსიკას — კლასიკასაც და ჯაზსაც!!!!

ბ. შანტაძე — ლევ ტოლსტოის რომ ლეონი — ანდრეევის პიროსა წაუკითხავს, უთქვამს — მაშინებს, მე კი არ მეშინიაო. ამ ახალგაზრდასაც, ეტყობა, მეოთხედის „შეშინება“ უნდა, და ეს უკვე გამომცდელდება და მოკიდებული, რამდენად სუსტი გული აქვთ...

მ. მილბამი — საგამოცდო თემებთან მე

კავშირი ნაქლებად მაქვს, მაგრამ ახალგაზრდობის ერთი ნაწილის განწყობილება, ამ უკვე ნაწილში გამოსატყულო, საკმაოდ ტიპურია და ამდენად — ჩემთვისაც ნაცნობი. ეს არის ირონიული, ზოგჯერ გაუცნობიერებლად ბუნტარული დანაკადიანობა სინამდვილისა და, განსაუხრებელი, უფროსის თაობის მიმართ; ამაზე არ უნდა შეგვაკოთოს, ყოველ შემთხვევაში, გამომცდელი არ უნდა გაადვილანოს, თუმცადა თვალსა და გამოგეტყუებით და, გამიჭირდება ურთიკაციოდ დამეტოვებინა ზოგიერთი გამომწვევი ფრაზა. ეს არის ახალგაზრდული მაქსიმალიზმი, რომელიც ჩინებულ ნაყოფს გამოიღებს, თუ მას ცოდნა დაემატება. სამწუხაროდ, ზშირად ასე არ ხდება. ამის მაგალითია თუნდაც ეს თემა — პირდაპირ მოგახსენებთ, მან ჩემზე კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა: არა ამ გამომწვევი ტონისა და მცდარი დებულებების გამო; არც იმიტომ, რომ უფროსებს მოსაწყენ რიტორობას გვაბრალდენ; ეს პოეზია, ეს სივრცეებს ეპატიება; მაგრამ არ ეპატიება ამის დამწერს, რომ იგი საკითხის ირგვლივ არ მსჯელობს, უჭირს პრობლემის დასაგება და საუბრის თემას ცვლის: როცა დასაწერ თემად მუსიკას ირჩევ, კეთილი უნდა იყნებო და ამ საკითხზე უნდა იაზროვნო. ეს ყველაფერი სკოლიდან მოდის, როგორც და რასაც იქ ვასწავლით, იმას ვისმენთ და ვკითხულობთ მისაღებ გამოცდებზე, სკოლაში კი აზროვნებას, დამოუკიდებელ მსჯელობას მაინცდამაინც არ წყალობენ. კლასიკოსა ციტატებს კი არ უნდა ვაუპირებინებდეთ, — ლიტერატურულ აზროვნებას უნდა ვასწავლიდეთ, უპირველეს ყოვლისა, ბავშვს. თანაც ეს თავისუფალი აზროვნება მარტო თავისუფალი თემების წერის დროს კი არ უნდა გამოვლინდეს, არამედ საპროგრამო თხზულების წერის დროსაც — იქვე უნდა მივცეთ მოსწავლეს მეტი თავისუფლება.

მ. ძამბაძე — თავისუფალი თემის რაღაც ასპექტით დაახლოება საპროგრამო თხზულებებთან მართლაც შეინიშნება: მაგრამ სასრული ნიჟიერება რომ მოხდეს, ეს, ალბათ, სასურველიც არ იქნებოდა — თავისუფალში ყოველთვის ჭარბობს ემოციური მიმართება ხათაურში დასმულ პრობლემასთან...

ბ. ძამბაძე — ეს იმიტომ, რომ საპროგრამო თხზულება არაკვეთილი საკვლევადი სქემის, გეგმის რეალიზაციაა, თავისუფალი თემისთვის კი ასეთი სქემა არ არსებობს. იმიტომ, პირველ შემთხვევაში, თუ გეგმის რეალიზაციე უნებურად არ არის რეალიზებული, თხზულება სისრულის შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, მაშინ როდესაც სისრულის გრძნობას

თავისუფალი თემა

თავისუფალ თემში სხვა რამ ჰქმნის — უფრო სწორად, აბიტურიენტმა სხვადასხვა გზით შეიძლება მიადგნოს ამას. საპროგრამო თხზულებაში მოცემული ანალიზი მაინც რაიმე ტექნიკით არის შემოსაზღვრული და განსაზღვრულიც, ამიტომ ანალიზის შედეგი და დასკვნება მეტწილად ერთნაირია, რაც ერთგვარად ტრადიციულსა ხდის კარგად დაწერილ თხზულებასაც კი. თავისუფალ თემში კი ამის საშუაროება არ არის. მოკლედ, პირველ შემთხვევაში უმეტესად მაინც გავალუღი გზით მიდის მოსწავლე იქნება ეს თუ აბიტურიენტი და ეს მისი ბრალი არ არის, ხოლო მეორე შემთხვევაში თითქმის ყველგან უამრის ხვდება, რაც მეტ საშუალებას აძლევს გამოავლინოს თავისი ინდივიდუალობა, თუ გნებავთ — ორიგინალობა. მთავარია, გქონდეს სათქმელი და თქმის უნარი. ამიტომაც ეტანებიან თავისუფალ თემს თხზვის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები — იციან, რომ აქ უკეთ გამოიჩენენ თავს. ამგვარი ახალგაზრდა უნდა იყოს ამ თემის ავტორიც, თუმცა ზომიერება და გემოვნება, რაც ასე ფასდება თავისუფალი თემის წერილსა — კაცმა რომ თქვას, როდის არ ფასდება, — შეიძლება ღალატობს; მიუხედავად ამისა, მე მაინც ვერ დავეთანხმები პატივცემულ თამაზ ჭილაძეს ნაშუაგზის შეფასებაში და ამ შეფასების არგუმენტებში — პრობლემას ვერ ხედავს და საკითხს გვერდს უქცევს — ჩემი აზრით, საკითხს არ უხვევს, ოღონდ უფრო ფართო ასპექტით განიხილავს მას: ჭაუჭური და კლასიკური მუსიკის დაპირისპირება აუჯანყლია საერთოდ ხელოვნების წვდომის, ხელოვანსა და მასს შორის დაპირისპირების რანგში...

თ. ბილბაძე — ეს უკვე სხვა ასპექტი კი არა, სხვა სიბრტყეა...

რ. სირაძე — აქ არის ერთი დეტალი — მხატვრის გამოფენებზე მკვეთრი გუროული კილოთი წამოსროლილი ფრაზა — რაც მაფიქრებინებს, რომ ამ თემის ავტორს მახვილი თვალი აქვს.

თ. ბურჯანაძე — კარგი მსწავლებელი ყოველთვის ცდილობს, რომ ეს მახვილი თვალი, ეს თავისებური ხედვა საგნისას ნიჭიერ მოსწავლემ არ ჩაასოს, არ დაუქვემდებაროს ჩვეულებრივსა და საერთოს. ნაძალადევად არ მოახვიოს თავს თავისი აღქმა მოვლენისა. აქ უკვე გამოითქვა რამდენიმე მკვეთრი შენიშვნა ჩვენს სკოლებში მოშობილი ენისა და ლიტერატურის სწავლების თაობაზე, ბევრი კიდევ ითქმება: სკოლებში რომ რთული ვითარება გვაქვს, ეს პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა ვიცით — ციხეზე უკეთ ვის ეცოდინება ქონის აშებობა... მაგრამ არ მინდა არც თქვენ და არც მკითხველს ისეთი შეხებულდება შექმნეს, თითქმის — როგორც აქ ბრძანეს — დამოუკიდებელ აზროვნებას სკოლაში არა

ვწყალობდით; ძალიანაც ვწყალობთ, მაგრამ ახალგაზრდაში მის განვითარებას უნდა შევუდგეთ. ცხოვრებისეული კომპლექსიდან ნუ ამოვგლეჯთ და მოვლეს პასუხისმგებლობას სკოლაზე ნუ გადავიტანთ, თანაც მარტოოდენ ქართულის გაკეთილწე... აი, თავისუფალი თემები ავიღოთ, როგორც ამ დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების ერთ-ერთი გზა. განა არ ვაშუშავებთ მოსწავლეებს ამ თავისუფალ თემებზე? ჩვენს სკოლაში ბავშვი უკვე მეორე კლასიდან ეჩვენა ამკარი თხზულებების წერას...

რ. გირგმაძე — ეგ ვითარება არის საერთოდ ჩვენი სკოლებისათვის უფრო ტიპური, თუ ის — რომ საშუალო სკოლას მოსწავლე ზოგჯერ ისე ამთარბებს, რომ თავისუფალ თემს არც დაწერს, უფრო სწორად, არ დააწერინებენ?

თ. ბურჯანაძე — უფრო — ჩვენი, თუმცა არ გამოვიცნავ, რომ მეორე ვარიანტიც შესაძლოა არსებობდეს... დიდი მნიშვნელობა აქვს ტრადიციას; ჩვენს სკოლაში — თბილისის წაღ- საშუალო სკოლაში — მოღვაწეობდა ისეთი პედაგოგი, როგორც გახლდათ ვარო ვარდიშვილი; მისგან მოდის ეს ტენდენცია — მივცეთ რაც შეიძლება მეტი დამოუკიდებლობა მსკელობაში მოსწავლეს, მივცეთ თავისი უნარის უფრო სრულად გამოვლენის საშუალება. საამისოდ მარტო ტრადიციულ თავისუფალ თემს არ ვიყენებთ: შარშან მათეკლასში ცნობილი ნახატი — „სკოლის ზღურბლიდან“ მივტანე და სათაურას ნაცვლად დაფაზე დავკადე. ჩინებული მოთხოვნები დაწერეს — მოსწავლის პირობაზე; ერთმა, გოგრა კვლიაშვილმა — წელს იგი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, — ისეთი ლექსი დაგვიწერა, ყველანი აღტაცებულნი დავრჩით...

თ. კპაზნაძე — ლექსად თემს — თანაც არა მარტო თავისუფალს — მისაღებ გამოცდებზედაც წერენ და უნდა პირდაპირ ითქვას — აღტაცებას ვინ დაქმნეს, გოგონებულნი ვრჩებით ამ „საგამოცდო პოეზიის“ უსუსურობით; უფრო მეტიც, ახლა უკვე წინასწარ ვაურობოდით აბიტურიენტებს, რომ ლექსად დაწერილი თემა არ შეიფასდება. ასე რომ, ჩემი აზრით, სკოლიდანვე არ უნდა წავახალისოთ მოსწავლე თემა ლექსად დაწეროს...

რ. გირგმაძე — იმ კონკრეტულ შემთხვევაში ცოტა განსხვავებული ვითარება შექმნილა — ფურცელთა ტილოსთან თავისი მითარება მოსწავლემ მართლაც შეიძლება ლექსად გამოხატოს.

რ. სირაძე — აქ სხვა მომენტია — იყო კი საკონტროლო წერის პროცესი შემოქმედებითი სიტუაცია? რომ განვაშოგადოთ — ცოტა ძნელი წამოსაღებია, რომ მისაღები გამოსცდების პროცესი შემოქმედებითი იმპულსის მიეცემა აღქმას ახალგაზრდაში.



თ. შილაძე — „საგაშვილო ღირსი“ თავიდან ბოლომდე ყალბი მომენტია. ლექსად წერენ თემებს, ლექსად აგზავნიან წერილებს, მაგრამ ეს ხომ არ არის პოეზია; ეს არაფერი არ არის. ვინც გამოცდაზე ლექსად წერს, ის, ალბათ, პოეტი ვერასოდეს გახდება... დამატებით, მე ვიცი ლექსი რა უზედურებაა... უნდა სკოლიდანვე მივაჩვიოთ ბავშვებს ჰეცარად რეგლამენტირებულ ფორმას აზრისა და ემოციის გამოხატვისა...

თ. კპაპანტრიძე — ეტყობა თავისუფალი თემის ემოციური დამუხატულობა არის მისი ლექსად გამოხატვის ერთ-ერთი მიზეზთაგანი. უნდა დავიფანთოთ მოსწავლისა და აბიტურიენტის შეგნებაზე, რომ ქუშმარიტად ღრმა ემოციური იდექტი სწორედ ხადა, დაუწყებელი ფორმით მიიღწევა.

მ. შანიძე — თავისუფალი თემში ავტორის ემოციური დამოკიდებულებების გამოჩენება არც შესაძლებელია და არც სასურველი. მაგრამ იგი მაინც დაქვემდებარებული უნდა იყოს მსკელობასთან, ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გვანტერესებს, თუ რას ფიქრობს ახალგაზრდა ამ საკითხზე, რა მოსაზრებები აქვს და როგორ შეუძლია მათი ჩამოყალიბება. როდესაც თავისუფალ თემად „ბუნების დაცვა-თანამედროვე ადამიანის მოვალეობა“ მივიტანე, მცირე განმარტება აბიტურიენტებს მიეცათ — ჩვენს დროში ბუნება რა მდგომარეობაშია, რა ემუქრება მას და ჩვენ, ადამიანებს, რა გვევალება ბუნების და, აქედან გამომდინარე, საკუთარი სიცოცხლის და შთამომავლობის გადარჩენა. მაგრამ რა გამოვიდა? უმეტესობამ დაიწყო თავისი გრძნობების გადმოღერა — მე მიუყარს ბუნება, რა ლამაზია ბუნება, რა ლამაზია საქართველო, რა თვალწარმატება ჩემი საშუაო გაზაფხულზე, ნეტავ ახლა აივარდნა ჩემი ყვირალას ჩხრიალი და ასე დაუხრულუბლივ ვიშისა და ჰობის ძახილი და იგივე ყვირალა რომ ზესტაფონს ქვეშით არ დაინახება, ამზე არავინ დაწერა... ასე გაიგებს ბუნების დაცვის პრობლემა...

თ. კპაპანტრიძე — ზოგმა, ვგონებ, ვაქვას ბუნებაც შემოგვპარათ...

მ. შანიძე — რა თქმა უნდა: როცა ეს „ემოციური“ შეხედულება მოთავსდეს შემდეგ ნაქერ-ნაქერ გაღაც დენი სასკოლო მახალაზე — ბუნება რომანტიკოსია. შეგოქმედისა? ბუნება ვაჟსთან, ბუნება ვაჟზეთან... ხად აყო აქ აზროვნება, ხად აყო მსკელობა საკითხის ირგვლივ... ვერც კი ციფებს, რას ვთხოვდით, რა ევალდებოდათ. ჩვენ იმის წინააღმდეგ ვართ, რომ საკუთარი ნაცურალების ნაცვლად იაფფასიან ეპოქებს — რომელიც ანაშადღეშ არავისი ემოცია არ არის — გვიხალდედნენ თავისუფალ თემად... თორემ ვინ იქნება მოწინააღმდეგე იმგვარი ემოციისა (მე ვიტყვოდი —

კეთილშობილური აღშფოთებისა და გაცხარების), რომელიც ყოველ მოქალაქეში უნდა შეიქმნას ბუნების ბარბაროსულმა შეზღავნებამ და ჩვენმა უთავურობამ! უფრო მეტიც, ნუ შევადავებთ აბიტურიენტს, თუ მისი აზრები და გემოვნება ჩვენსას არ ემთხვევა... თუ დაგწერათ, რომ მას ჯაზი მოსწონს და მოცატი კი მთქნარების გუნებაზე აყენებს, თქვენი კი თავგადაღებული მოწინააღმდეგე ხართ ჯაზისა, ამან შეფასებაზე არ უნდა იმოქმედოს; ეს ჩვენი, გამსწორებლების, საქმე არ არის, ჩვენ მის მუსიკალურ გემოვნებას არ ევალებათ, ამიტომ ჩვენც აზრი ჩვენთვისვე უნდა დავიტოვოთ. თუ მას ჩვენთვის მოუღებელი აზრი კარგად აქვს დაწერილ-დასაბუთებული, ნუ ჩავუთვლით ამას შეცდომაზე...

თ. კპაპანტრიძე — აზრს ნუ შევადავებთ (თუნდაც თავისუფალ თემში). ამგვარი პოზიცია, ცოტა არ იყოს, საეჭვოდ მეჩვენება. იშვიათად — ორგინალობისაკენ სწრაფვა, ხშირად კი — უეცრობა ახალგაზრდას თავისუფალ თემში იმისთანა რამეს დააწერინებს, რომ მისი უუყრადღებოდ დატოვება არ ივარგებს.

მ. შანიძე — მე დაუყრიფავში გადასვლაზე არ მოგახსენებდით... ასე შორს, ჩვეულებრივ, არ შეტოპავენ ხოლმე...

რ. გორდემიანი — ამ თემის ავტორმა, მაგალითად, შეტოპა... ყოველ შემთხვევაში, სწორედ დაუყრიფავში ცდილობს გადასვლას... აქ ლაპარაკია ხალხზე ერთგვარი ქედმაღლობით, სრულიად უსაფუძვლო და უმისამართო ბრალდებებიც არის — არ გვეუბნებიან, რომ პლატონი და კანტი გენიოსები არიანო; კი მაგრამ, ვინ არ ეუბნება, ვინ არ აღიარებს, რომ პლატონი გენიოსია? აქ, ცოტა არ იყოს, ქაოსია ემოციების — ეს ახალგაზრდა ქარის წისქვილებს ებრძვის...

მ. შანიძე — მე უფრო ტიპურ შემთხვევებზე მოგახსენებდით; მაგალითად, მივეცი თავისუფალი თემა „მოდა და თანამედროვეობა“. აქ რაიმე იდეოლოგიურ სიბრტყეზე პრობლემის დახმა არ ხდება... რას გვიწერენ ხოლმე ჩვეულებრივ? გოგონებმა, დიდი-დიდი, დაგვიწერეს: არ ხართ მართალი უფროსი თაობა, რომ შარვლით ხიარულს გვიშლითო. და კოდვდ გავეძიოთ. — მე რომ გამსწორებელი ვარ, სომწონს თუ არ მომწონს შარვლიანი ქალები (სიტყვაზე — ძალიანაც მომწონს, ვისაც უზნება, დაიხაც რომ უნდა ატაროს!), ეს განზე უნდა გადავდო და ამაზე არ უნდა ვედავო თემის ავტორს...

რ. გორდემიანი — ასეთ შემთხვევებზე არც მე შეგედავებოთ. მაგრამ ზოგჯერ მხოლო-

თაპისუფალი თემა

ოდ გემოვნების და მხოლოდ „მოწონს — არ მომწონს“ საკითხი არ დგას. ზემოთაც ითქვა და ახლაც თავს ფაქტიურად ერთ პარობლემას და-ვსტრიალებთ — შეფასების კრიტერიუმს. არის რამდენიმე მყარი საზომი, რომლითაც შეიძლე-ბა ყოველგვარი — თავისუფალი თუ საპროგ-რამო — თხზულების შეფასება; უპირველეს ყოვლისა — ჩანს თუ არა თემაში საკითხის ცოდნა და ზოგადი განათლება; მეორე — აქვს თუ არა თემის ავტორს წერის კულტურა; მესამე — ზუსტად უპასუხა თუ არა სათაურს; მეოთხე — აზროვნებას თუ არა დამოუკიდებ-ლად და ბოლოს — აქვს თუ არა ემოციური მიმართება პარობლემასთან: ვალის მოხდის გა-მო წერს, თუ განიცდის, გულთან ახლო მი-აქვს საკითხი, რაზედაც წერს. ამ უკანასკნე-ლის (ე. ი. ემოციური მიმართების) არსებობა თემაში არც შორისდებულების დახვავებით და არც ლიტონი განცხადებით არ დადასტურ-დება, იგი თემის მთლიანი ქსოვილიდან, ქვე-ტექსტიდან, დეტალიდან გამოჩნდება. ამ კრიტერიუმთან თავისუფალი თემის შეფასე-ბისას ზოგი წინა პლანზე წამოიწევს, ზოგი, შედარებით, ჩრდილონ მოექცევა; ჩემი აზრით, თავისუფალ თემაში განსაკუთრებით ზოგადი განათლება და დამოუკიდებელი აზროვნება უნ-და მოვიძიოთ და შევაფასოთ ავტორისა... და ამასთან დაკავშირებით ერთი თითქოსდა ტიქ-ნიკური საკითხი — გამსწორებლმა უნდა იც-ოდეს, სადავო თემის უკან ვინა დგას. უნივერ-სიტეტში რამდენჯერმე ვცადეთ და, ჩემი აზ-რით, საერთოდ, წესად უნდა ვაქციოთ — სა-დავო თემის ავტორი გამოვიძახოთ და გავესა-უბროთ ნიშნის დაწერამდე. მაგალითად, ამ თემას მე მხოლოდ მას შემიძლე დავუსვამდი ნი-შანს ყოველგვარი ემივისა და სინდისის ქენჭის გაჩეხე, როდესაც ავტორს გავესაუბრებოდი და გავარკვევდი — განვითარების რა პერსპექ-ტივები უჩანს მას... უნდა გაირკვეს, აქ ნახ-სენები ავტორები — კაცია იქნება ეს, ზაფხუი თუ კანტი — ყურმოკრული, ზერედი ინფორ-მაცია თუ წინასწარ მომზადებული ემპიტიკ-რი (აბიტურიენტის აზრით!) რეცეპტი, უნივერ-სალური მოდელი ყველა თავისუფალი თემის-ათვის, ვინაიდან მესხიანე იქ მხოლოდ თავსა და ბოლოშია თითო ფრაზა...

თ. კიშნაშვილი — მინდა შეხამე ვარიან-ტიც დაეუშვათ — იქნებ ჩინებულიად იცნოს პლატონიც, ჰაფეზიც და კაფუჩიც — ღმერთი მაღლით, ახეტებიც ხომ გვყვანა!

რ. გორდემიანი — სწორედ ეს მესაზე ვა-რიანტი რომ არ გამოგვებაროს და, როგორც იქნენ ბრძანეთ, ახალგაზრდის ცოდვაში ფეხი რომ არ ჩადგათ, წინასწარ უნდა გავესაუბ-როთ მას. განა გამოიცხადია, რომ ამ თემის ავტორი ნაკითხი, განათლებული ახალგაზრდაა და, როგორც ქაბუკოზაში სწორად ემართება

კაცს, სურდა ნაწერში ყველაფერი ჩაეტია, ამ ფონზე, როდესაც, სამწუხაროდ, ჩვენსავე რიგებში უმეტესობა ელემენტარულ ცოდ-ნას ვერ ავლენს, განა გააქვს უფლება უმაღ-ლესის კარი დაეუშვით ასალგაზრდას, რომელ-მაც იცის ზაფხუი, გოეთე, კაფუა, კანტი, პლა-ტონი...

რ. მირაბაძე — ვინც ეხენი იცის, იმას რა-ღა უნდა ახწავლოთ უმაღლესში?

რ. გორდემიანი — ამ ცოდნის სათანადო სისტემაში მოუყანა..., პატივცემულ თამაზ ტი-ლაძეს აბიტურიენტთა ნაწერების სწორება, მი-სადა სახვანგებოდ, არ უწყევს, ამიტომაც ჩემ-თვის გასაგებია მისი პოზიცია ამ თემის შეფა-სებისას... ჩვენ კი მისადებ გამოცდებზე ლაშის ჩაიხრჩოთ შაბლონურ ფრაზებსა და სახელ-მძღვანელოდან გადმოწერილ მთელ პარაგრა-ფებში — იქ აშკარა თემა, თუნდაც არადას-ციპლინირებული აზროვნების ნაყოფი, რაინი-ვით გამოანათებს ხოლმე.

მ. სინთინიძე — მკაცრად დისციპლინირე-ბული აზროვნება თავისთ არ მოდის ციდან — ამგვარი აზროვნების გარემოცვაში უნდა გაიზარდოს მოსწავლე... ამ თემის ავტორის განსმარებლად არ მოგვასვენებთ (ე თუ მკითხავთ, იგი გაცეკა სათაურში დასმულ საკითხს; ამგვარი თემა მაშინ უნდა აირჩიო დასაწერად, როცა გაქვს რაიმე სათქმელი მუ-სიკაზე), მაგრამ ის მოთხოვნა, რომ თავისუფალ თემაში გმოცივებთ ერთგვარად უნდა დაიკო-და პირდაპირ, ლოგიკურად იმსჯელო პრობ-ლმაზე — მისუღია განა ყველა აბიტურიენ-ტამდე? თუნდაც, ამ თემის ავტორამდე? იქნებ მას ჰგონია, რომ ასეც შეიძლება თავისუფალი თემის წერა? რა დასამალია და, არა მარტო აბიტურიენტს, ზოგჯერ უფრო მაღალი რანგის ავტორებს უყვართ უცხოური და უღერადი გვარებით კვალუცობა და პარობლემასთვის გვერდის აღება — მოკლედ, „თავისუფლად“ წერა! მოდ, ამგვარ გარემოცვაში გამოიცხა-დი არ გასლად, რომ ბევრს ეგონოს, თითქმის წერას ამგვარი მანერა საერთოდ არის მიღებული.

მ. კიშნაშვილი — გვონებ, ჩემი საუბა-რიც თანდათან თავად ემსხვერპლა ამ სტილის თავისუფალი თემის — ვიზიზ, ნელნელა სხვა სტრატეგიაში არ გადავიცდებოთ... ცხადია, მო-სწავლის წერის მანერა გარკვეული თვალსაზ-რისით განპირობებულია პრესის, მეცნიერე-ბის, ლიტერატურის ენითა და სტილით, მაგრამ უშუალო პასუხისმგებელი ამზე მაინც სკო-ლა და ჩვენი მას დაეუბრუნებოდ, რა საშუა-ლებებით ვცდილობთ იქ მოსწავლეში დამოუ-კიდებელი აზროვნებისა და ლიტერატურული ჩვევების გამოუშვავებას?

ნ. რუხაძე — საინიზო სწორედ თავისუფა-ლი, ანუ განყენებული თემები არის მიჩნეული



ჟველაზე ეფექტურ საშუალებად. თავისუფალი თემა, პირველ ყოვლისა, აზრის თავისუფალ გამოხატვას ნიშნავს, თუმცაღა პრობლემა აქაც განსაზღვრულია. ასე რომ, მოსწავლის თავისუფლება იმით ვლინდება, რომ იგი საკითხის გაშუქებისათვის ისეთ მასალას იყენებს, რაც იცის, მოსწონს და რაც მის შემოქმედებით აქტიურობას, ერთგვარ აღმაფრენას იწვევს. ახლა საკითხი ასე დავსვათ: განა ასეთი აღმაფრენით წერა გამორიცხულია სამაროგრაჟო მასალის ფორმე? სწორედ იმის გამო, რომ ამას სკოლაში ვერ ვაღწევთ, თვით შემოქმედებით ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებიც კი უპასუხოდ წევენ თემებს: ისინი ვერ ეგუებიან იმ შაბლონს, რაც თან ახლავს ჩვენ მიერ სამაროგრაჟო მასალის დამუშავებას: ზოგჯერ გვაიწყვდება, რომ ნიჭიერ ახალგაზრდას არ უყვარს გატყეპილი გზით სიარული, ჩვენ კი დაჟინებით მოვიხოვთ სხვის ნაკვალევზე იარაღს. დროა უფროდ ვიღოთ ეს ფაქტები. ხანამ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს ჩვევად არ ჰქცეოდათ თავისუფალი თემის მოსვლის იმედით სამაროგრაჟო მასალის სრული აგნორირება.

აქ საუბარი იყო თავისუფალ და სამაროგრაჟო თემატიკის დაახლოვებაზე, სამაროგრაჟო მასალაშივე მოსწავლეთათვის მეტი თავისუფლების მიცემაზე. მე ამ შიშას სენტენციალ-აფორიზმების გაშლის გზით ვცდილობ მივაღწიო. მერვე კლასში, „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის შემდეგ, ჩავატარე საკონტროლო წერა, საკონტროლოზე ყოველთვის სამი დასათურების თემა შემაქვს — ესეც თავისუფლების ერთ-ერთი ფორმაა, არჩევანის თავისუფლებისა: „ჩემი საყვარელი გმირი „ვეფხისტყაოსნიდან“, „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელი“ და „გონიერსა მწერთენი უყვარს, უგულურსა გულსა გმირდეს“. აი, როგორ გაიზარა „რაღაა იგი სინათლე“... ერთ-ერთმა მოსწავლემ:

რალა იბი სინათლე

მე მხოლავს პირიმზე ავთანდილი, ვინ „მეგრეთაგან მისანდომია, სპათა სპასპეტი, ჩაუტი, ვითა ეფხი და ლომია“; მხოლავს მისი გატაცებული ტრფობა, მიჯნურობის ცეცხლიცა და ცრემლიც, ფარულად ნაწვიმი; მაცეციფრებს მისი ნებისყოფა და ამტანობა, გონიერება და წინადახედულობა. მიტაცებს მისი დიდი მეგობრული სიყვარული და მოყვრისადმი თავგამოლეება. მომწონს მისი ჩაგრულთა მოსარჩლეობა და ევაკუტური დახმარების აღმოჩენა, „ლარიბთა და არასმქონეთა“ სიბრალული, თავის ხალხსა და ქვეყანაზე ფიქრი და ზრუნვა.

მომწონს „მშობლურად მზრდელი“ მეფისადმი ავთანდილის მოკრძალებულობა და რიდი, მაგრამ ისიც მომწონს, რომ მისი ყოველგვარი ნების წინაშე მონურად ქედს არ იხრის და

ეუბრება (იპარება), ისწრაფის პირადი ნების თავისუფლებისაკენ და ადამიანური ცხოვრების იდეალური მწვერვალების დასაბურავად მიემართება. ორმაგად მხიბლავს და მატკობს მისი დიდი გრძნობით წარმოთქმული სიმღერა, სეფიარევი ტებლ-მწარე ოხვრა — „ვაჰ სოფელა, რაშიგან ხარ...“ და მიზანში ამოღებული ფრინველის ციდან ისრით ჩამოღება, მომწონს მისი აუჩქარებლობა, სიღინწე, შინაგანი თავმოწონებით გამოუხატველი სიამაყე.

მაკვირებს მისი მოხერხებულობა, სიბრძნე და სიტყვის ძალა, ადამიანის ფიქრის მიხედვითობა, მისი ენატკილობა, რომელიც გველს სვრულიდანაც კი გამოიყვანს.

მხოლავს, მიტაცებს მისი პიროვნება და როგორც კაცურ კაცს მაყუფებს კიდეც, მაგრამ მაფიქრებს, მაღელვებს მის მიერ გულშემატკივრულად, სახელდახლოდ კაცის სიცოცხლის დანით ჩაქრობა, დიას, მაფიქრებს, მაღონებს „ესე საქმენი“ და სინანულით გამამორბებინებს შოთას სიტყვებს: „რღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“

ეს მერვე კლასელის ნაწერია, მაგრამ მისადებე გამოცდებზეც მე მასში ხუთს დავწერდი; ჭერ ერთი, გონებაშავილურად გააერთიანა ორივე თემა, მერე — კრიტიკულად და, ჩემი აზრით, საღადც მიუღდა იმ საკითხს, რაც რუსთველოლოგიაშიც სადავოდ არის ქცეული; და რაც თეორიაა, თემას მოუწაბა ორიგინალური, მინიატურულ-ნებისტური ფორმა. მე, საერთოდ, ვცდილობ ხოლმე მოსწავლეები დავაუფლო ამგვარ მინიატურულ-ნოველურ სტილს...

მ. კაშხაძისტირამ — ეტყობა, სკოლებში დიდიწო ერთგვარი უაქრეაქცია — ტრადიციული ფორმის ნაცვლად ფებს იყიდებს, როგორც თქვენ ბრძანეთ, ნოველისტური სტილი. ამის გამოძახილი უნდა იყოს, რომ ამ ბოლო დროს გახშირდა მისადებე გამოცდებზე თავისუფალი თემის ნაცვლად მოთხრობების წარმოდგენა. თემის გალექვა უვდება დავგმეთ, ახლა თემა-მოთხრობა უნდა „გავჩნდეთ ახლოში“. ამრიგად, თავისუფალი თემისათვის იდეალურად თქვენ ნოველის ფორმა მიგანიათ?

ნ. რუხაძე — გაიდეალდება, ალბათ. არანაირი ფორმისა არა დირს... სასურველად კი უდავოდ მიმართა.

მზ. შანიძე — თქვენ რომ თემა წავგივითხეთ, მე მას ნოველის სტილში დაწერილად არ ჩავთვლიდი... იქ მსჯელობა იყო, ანალიზი. მასში თუ გაქირდეოდა ფრიადის დაწერა, მხოლოდ სიმოკლისათვის. ეგ რომ გაშლილ-გავრცობილი იყოს, თავად ფორმა შესანიშნავი

თავისუფალი თემა

ვდა არის მოძებნილი; თანაც ერთი ბნელი მხარეც უპოვა ავთანდილს...

ბ. შანტრიპა — მე მაგ „ბნელი“ — როგორც თქვენ ინებეთ თქმა, — საცქიერისთვის უფრო მიუვარს ავთანდილი...

მზ. შანიძე — ეგ სხვა საკითხია და, როგორც უკვე ითქვა, რუსთველოლოგიისათვისაც საკმაოა... ნოველური სტილი სხვა განლაგთ. წელს, მაგალითად, უნივერსიტეტში თავისუფალი თემის ნაცვლად ჩავვაზარეს რამდენიმე მოთხრობა, დიახ, დიახ — მოთხრობა, რომელსაც აქვს სიუჟეტი, ჰყავს გმირები და ა. შ. ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც პრობლემა „ბნელდება“ და საზოგადოება უნდა გაეშუქებინა, იწვევს და თბილისის ალიონის აღწერით. ამ ექსპოზიციის შემდეგ მოთხრობის გმირი, ცხენზე ამხედრებული, ზურგს აქცევს ურბანისტულ ცივილიზაციას და ბუნებაში გაიქრება. ჭენებისა იგრძნობა, რომ მასზე უკეთესი მხედრები იწვევა და საცაა გადასწრება. მოიხედავს და... მე შეუხერხულება ჩვენი დიდებული მწერლის სახელის მოხსენიებაც კი ამ კონტექსტში, ჩვენს აბიტურიენტს კი არავითარი უხერხულობა არ უგრძნობს მასთან არც ცხენის ჭენებითა და არც ფინჯან უავსად და ჭიკა კონიატზე — ხუთუნებზე საუბრით... აი, ამნისის სტილი მოთხრობისა არის თუ არა ის, რასაც უნდა მოვიტხოვდეთ მისადებ გამოცდებზე თავისუფალი თემისაგან? თავი დავანებოთ იმას, რომ ამგვარი შემოქმედება ეცეს იწვევს წმიდა საგამოცდო პრაქტიკად გამომდინარე: მე არ მჭერა, რომ ეს „მოთხრობა“ იმპროვიზებულად გამოცდის დროს დაიწერა...

რ. სირაძე — თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ გამოცდები ქართულ ენასა და ლიტერატურაში გვაქვს და არა პოეტური უნარის შეფასება ან შემოქმედებითი ოლიმპიადი.

მ. პაპაშანტრიპა — საინტერესოა ამ საკითხზე აქ დამსწრე მწერალთა აზრი. საკითხი ასე დაისვა — ვებრძოლოთ თუ არა თავისუფალი თემის ამგვარ ფორმას — დავარქვათ მას „ნოველისტური“. რაც შეეხება ეცეს, წინასწარ მომზადებულ, ე.წ. „უკუბრ შპარგალ-კას“-ხომ არ მამარბენო, ეს, ცხადია, სხვ ვართუდის სფეროშივე უნდა დარჩეს: თავი რომ დავანებოთ პედაგოგურ ეთიკას, იურიდიული უფლება არა გვაქვს ჩვენმა ექვმა იმოქმედოს ნიშნზე. შემოქმედებითი უნარის გამოცდა არა გვაქვს, ბრძანა ბატონმა რევზამა. ჩემთვის ეს დებულებაც სადღოა: თავისუფალი თემა სწორედაც შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის გამომცდენი უნდა იყოს უპირველეს ყოვლისა...

რ. სირაძე — ბატონი ბრძანებით, განვსაჯოთ...

მზ. შანიძე — ამ შეთხვევაში, მე მგონია, ოლტიკალური მოთხოვნებიდან უნდა ამოვიდეთ,

ხოლო თუ ის მოთხოვნა არ მოგვწონს, ჩერების შესაცვლელად უნდა ვიბრძოლოთ? მკვეთრი შავით თეთრზე წერია, რომ აბიტურიენტის ნაშრომი უნდა იყოს თხზულება; არსად არ წერია — უნდა იყოს მხატვრული ნაწარმოები...

ბ. შანტრიპა — ეგ ორი ცნება ვითომ გამოირიკავს ერთმანეთს? თუ — ვაჟს თხზულებათა ხუთი ტომი გარჩევა და შიგ მხატვრული არაფერია?

მზ. შანიძე — ტერმინს გამოდევენება არა ღირს — ლაპარაკია სასკოლო თხზულებაზე, იქ კი, დებულებას მიხედვით, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს მსჯელობა გარკვეული საკითხის გარშემო; საამისოდ საჭიროა თავისუფალი თემათა სათაურებიც სათანადოდ შეირჩეს. მე წაგვიტხავთ მოსკოვის მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების თავისუფალი თხზულებათა თემატიკას — შეიკვება, რომ ამგვარად ფორმულირებულ სათაურებზე შესაძლებელი იყოს მოთხრობის დაწერა: „ბუნების დაცვის ფორმები და საშუალებანი“, „ლომონოსოვის მეცნიერული მოღვაწეობის მნიშვნელობა“, „ნიუტონისა და ეინშტეინის აღმოჩენათა მნიშვნელობა“, „საბჭოთა მეცნიერების ავანგარდული როლი“, „მეცნიერება და რელიგია“, „მათემატიკა ჩვენს ცხოვრებაში“ — ეს განლაგთ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებისთვის გამოზნული თემები; ახლა ჰუმანიტარებისა ვნახოთ: „ლიტერატურის მნიშვნელობა რადიოს, კინოსა და ტელევიზიის ეპოქაში“, „რისთვის არის საჭირო მუსიკა“, „რა არის ისტორია“... არ ვამტკიცებ, რომ უკეთესი თემატიკის შერჩევა არ შეიძლებოდა, მაგრამ ერთი თვალსაზრისით ეს დასათაურებანი სანიშნოდ მიმაჩნია: უპირველეს ყოვლისა, ისინი მოითხოვენ მსჯელობას და ლექსის ან თუნდაც მოთხრობის დასაწერად ნაკლებად განაწუბონ კაცს... ამ თემების წერის დროსაც არ გამოირიკება (სხვათა შორის — არც სხვა შემთხვევებში) პრობლემისადმი ემოციური მიდგომა და მხატვრულობის ელემენტები, მაგრამ ერთიცა და მეორეც დაქვემდებარებული უნდა იყოს ძირითად ამოცანას — მსჯელობით გახსნას სათაური გამოტანილი პრობლემა.

მ. პაპაშანტრიპა — მოთხრობაც, ჩვეულებრივ, რაღაც იდეას, მხატვრულ ამოცანას არის დაქვემდებარებული...

რ. გომრეშინი — მაგრამ მაშინ აბიტურიენტს თავისუფალი თემა უნდა შევავსოთ როგორც მოთხრობა, როგორც მხატვრული ნაწარმოები. აქ კი კრიტერიუმები განსხვავებულია და მოთხრობის საშოთით თავისუფალი თემის შეფასება ავტორის მძიმე მდომარეობაში ჩააყენებდა.

მ. შილიშაძე — შესაძლოა პარადოქსად მოვეჩვენოთ, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, რაც



უფრო არალიტერატურული იქნება თავისუფალი თემა, მით უფროცნა. მეტსაც მოგახსენებთ — კატეგორიულად უნდა აიკრძალოს გამოცდებზე თემების ლექსად ან მოთხრობად დაწერა...

თ. კპაპანტინიძე — ლექსზე არ ვფალობ...
თ. შილაძე — პრინციპულად ეს ერთი და იგივეა.

მზ. შანიძე — როცა ამ ფორმას ირჩევ, რომ ცხენზე ზიხარ და დოღს უმართავ შოთა რუსთაველს — ეს ტუთილია, თანაც არა მხატვრული ტუთილი, არამედ — სიუაღბე...

ნ. რსებამ — როცა თემის სათაურად მოდის „ოცნება და სინამდვილე“, ფეიქრობ, ახალგაზრდას უფლება აქვს თავისი ოცნების რაღაც მონაკვეთი მხატვრულად აგვიწეროს.

თ. შილაძე — ო, ეგ რთულ თემად მერჩენება აბიტურიენტისათვის: თუ არ იცი, რა არის ოცნება და რა არის სინამდვილე, ამ თემას რიგაზად ვერ დაწერ. ამის ცოდნა კი ახატან ერთად მოდის. და მაინც, თუ ვინმე გაბედავს და ამ თემას ხელს მოჰკიდებს, მან თავისი ოცნება კი არ უნდა აღწეროს, ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებულ მიმართებაზე უნდა იმსჯელოს — რატომ არის, რომ ისინი ზოგჯერ ასე ტრაგიკულად ეჭახებიან ერთმანეთს, ზოგჯერ კი (უფრო იშვიათად!) მათ შორის მარშონია სუფევს. აი, ეს მსჯელობა მაინტერესებს მე და არა ის, თავის ოცნებაში ცხენები იქნება თუ საკუთარი იახტით იმოგზაურებს! აქაოდა ლექსად ან მოთხრობად ვწერო — თავისუფალი თემის ავტორი არ უნდა გაეკცეს პრობლემას...

ბ. მანუჩარიძე — მოთხრობა და ლექსი აზრის დიფერენციების თავშესაფარი არ გახლავთ...

თ. შილაძე — კეშმარიტად! ამიტომაც ნუ დაგვაფრთხილებს თუნდაც თავისუფალი თემის ფორმის მკაფიოდ განსაზღვრა, ერთგვარი სტანდარტის მოთხოვნა... იმდენად მომრავლდა ეს არასტანდარტული გადაწყვეტა თემისა, ეს ფსევდომოთხრობები, რომ თავად იქცა სტანდარტად. რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ — ვინც თავისუფალ თემას ლექსად ან მოთხრობად წერს, იგი თავისი არსებით, მოწოდებით არ არის ლიტერატორი და საექვოა, ასეთად როდისმე იქცეს. ვიმეორებ, უმწიფილნი თავიდან, სკოლაშივე უნდა მივაწვიოთ სავალდებულო აქტებს. შევაგუოთ იმ აზრს, რომ გამოცდებზე მოსვან, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვენ ანალიზს და არა ლექსებსა და მოთხრობებს, როგორი უგულუბაც არ უნდა დაგეწამონ გამოცდებზე იმ ახალგაზრდათა მიმართ, რომლებიც ასე გულუზგად აფრქვევენ თავიანთ ემოციებს, საქმისთვის მანც ეს აკობებს...

თ. კპაპანტინიძე — ემოციების გადმოღვრა პროზის აუცილებელი ატრიბუტიც არ არ-

ის. შესაძლოა მოთხრობის ფორმამაცემული თავისუფალი თემა უადრესად საქმიანი იქნება და განსჯით სავსე, თანაც გარეგნული გამოვლენით — მშრალიც კი.

თ. შილაძე — თუ ამგვარ უნიკუმებთან გვაქვს საქმე, მაშინ რა მეთქმის...

რ. გორდემიანი — თოვას მანსაც აქვს მოთხრობები ხელოვნებასა და სინამდვილეზე, მაგრამ იმათ წლების მანძილზე წერდა.

მზ. შანიძე — ის „ნოველა“ც, მწერალთან მარულა რომ არის აღწერილი, თუ წლობით არა, ეტყობა, კარგა ხანს იწერებოდა... ის არ გახლავთ გამოცდაზე დაწერილი, ის წინასწარ არის მომზადებული...

თ. კპაპანტინიძე — მერედა, ეს განა დიდ ცოდვად ჩათვლება აბიტურიენტს? თითქმის ყველა თემა, რომელიც გამოცდებზე იწერება, რაღაცნაირად შინ არის წინასწარ მომზადებული. ვინ აკრძალა თავისუფალ თემებზე შინ ვარჯიში?

მზ. შანიძე — შე მაგას არ მოგახსენებთ — წინასწარ მომზადებაში სხვა აზრს ვდებ: ეს თემა აბიტურიენტს წინასწარ აქვს მომარაგებული 6-7 სატუაციისათვის და, სათაურად „ჩემი საყვარელი მწერალი“ რომ მიგვეცა, მაინც ამას დაგვაწერდა... ის გვატყუებს ამით, ამასოა საქმე, გვატყუებს და იცის, რომ გვატყუებს, ჩვენ კი იძულებულნი ვართ ზოგჯერ თავი მოვატყუებინოთ...

გამოცდების დროს მძიმე სურათი იქმნება — აბიტურიენტთა ნაწერების ოთხმოცი პროცენტი არაფრად ვარგა. ამისთანა რაღაცას რომ დავინახავთ, მშვენიერად ვიცით, რომ ეს წინასწარ არის რეცეპტივით მომზადებული, იმასაც ვხედავთ, რომ ავტორს ლიტერატურული გემოვნება ღალატობს, მაგრამ იმასაც ვითვალისწინებთ, რომ თუნდაც ამ დონეზე — შე ამას პროვინციალურ დონეს ვეძახი — თემა-ნოველის დასაწერად მან რაღაცა უნდა წაიკითხოს, წერის მეტი კულტურა და რაღაც ლიტერატურული ინტერესი უნდა ჰქონდეს. ამიტომ ვიტყუებთ თავს და ამგვარ თემებში დადებთ ნიშანს ვწერო.

რ. სირაძე — და, შესაძლოა, სწორსაც ვშვებოთ, თუ ნაწერში სხვებთან შედარებით მეტ ლიტერატურულ კულტურას ვხედავთ; ეს ღირსება გახლავთ დღეისათვის ყველაზე დეფიციტური. წილს დავრწმუნდი — მასალა იცოან, შეიძლება ითქვას, რომ საპროგრამო მასალა აბიტურიენტებში მასობრივად იცოან სულზე, მაგრამ, ბოდიშს მოვითხოვ და, ხელი არ მიმიდიოდა ხუთის დასაწერად მათ იცოან განხილვა და გარჩევა, მაგრამ ეს ცოდნა არ არის შემოქმედებითი, — პასიურია, მიღებული რო-

თავისუფალი თემა

გორც ერთადერთი და ურყველი ქეშპარტება და აქედან გამომდინარე, როგორც დოგმა, შტამი. ამის დაძლევა ურთულესი პრობლემაა და, არა მხოლოდ აბიტურიენტებისათვის — თავად ჩვენ გვაქვს უამრავი შტამი და აუცილებელია აზრები. ლიტერატურაში ყველა საკითხზე ერთადერთი სწორი პასუხის რწმენა — იმ პასუხის, რომელიც ჩვენთვის არის ცნობილი და რომელსაც მოვითხოვთ აბიტურიენტისაგან — თავისი ერთადერთობის გამო, ვფიქრობ, ცრურწმენაა, მცდარი პოზიცია. თავისუფალი თემა, განსაკუთრებით სუბიექტურად მიმართული, ამ პოზიციას უპირისპირდება, ამდენად იგი ჩემთვის მისაღებია, თუნდაც ნოქსის სტილში დაიწეროს.

ბ. მანტურონი — თავისუფალ თემაში სუბიექტივიზმზე უარის თქმა თავისუფლებაზე უარის თქმა...

თ. კპპანტირაძე — ნოველისტური სტილი ამ სუბიექტივიზმის გამოვლენის აუცილებელ ფორმად უნდა მივიჩნიოთ?

ბ. კპპანტირაძე — აუცილებელ ფორმად — არა, მაგრამ შესაძლებელ ფორმად — კი!

თ. კპპანტირაძე — ყველას გვანატრებს ამ საკითხზე ჩვენი საფიქნოს ყველაზე ჩუმი წევრის, ბატონ რევაზ თვარაძის აზრი.

რ. თიბარაძე — მე იმით დავიწყებ, რომ თავისუფალი თემა მიმართა გამოცდის უმჯობეს ფორმად: საპროგრამო თსსულებზეზე ატეხულ თემებში ცოდნის გარკვევის ობიექტური შესაძლებლობანი თითქმის შეტია, მაგრამ ისინი იმდენ ტრაფარეტს შეიცავენ, რომ მათ მიღმა ახალგაზრდის ინდივიდუალობა ძნელად გასარჩევია. აქ შესანიშნავი აზრი წამოაყენა ბატონმა რისმაგ გორდენიანმა — თემის ავტორთან შეხვედრა-გასაუბრების თაობაზე...

თ. კპპანტირაძე — რისი განხორციელება, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ალბათ შეუძლებელია...

რ. გორდენიანი — ყველა შემთხვევაში, ცხადია, ეს ვერ მოხერხდება, მაგრამ სადავო თემების მიმართ ეს სრულიად რეალურია!

რ. თიბარაძე — რასან უნივერსიტეტის ერთ-ერთი ბელმძღვანელოვანია ამას აცხადებს, ეტყობა საამისოდ პრაქტიკული ნაბიჯებიც არის გადადგმული. რა აქოზებს, თუ გამოცდელს მართო დაშიფრულ ნაწერთან კი არ ექნება საქმე, ანამედ ამ ნაწერის შემოქმედთანაც. მეტყვით, საამისოდ ხომ გვაქვს ზეპირი გამოცდებიო, მაგრამ, ჭერ ერთი, არა ყველა უმაღლესში და ყველა ფაკულტეტზე, მეორეც — ზეპირი გამოცდა პრინციპულად სხვა რამ არის, ვიდრე ნაწერის შესახებ ავტორთან გასაუბრება. არ არის უმნიშვნელო ფაქტი, გამოცდელმა იცოდეს, ამ ნაწერის ავტორს უშვულის სკოლა აქვს დამოუკიდებელი თუ თბილისის I საშუალო სკოლა...

თ. კპპანტირაძე — და ეს ფაქტი შეფხერა ბაზე იშოქმედებდა?

რ. თიბარაძე — მიჭირს პასუხის გაცემა... შესაძლოა, გარკვეულ ფარგლებში ემოქმედა კიდევ და ამით ქვეყანა არ დაქცეულიყო... ყოველ შემთხვევაში, ასეთ პირობებში თავისუფალი თემა კიდევ უფრო მეტად იქნებოდა იმის გამომავლინებელი, რასაც ბავშვში ვეძებთ. მიმაჩნია, რომ გამოსაცდელში, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვავლენდეთ მისი სულიერი განვითარების დონეს. ამაში ვგულისხმობ: მის აზროვნებას, მის ემოციურ საშუაროს და მის ეთიკას, შინაგან კულტურას. ბავშვს თუ აქვს შინაგანი კულტურა, მას ჩვეულებრივ, წერის კულტურაც გააჩნია — სულიერად მაღალგანვითარებული ახალგაზრდა არ შეიძლება სტილიც, წერის ფორმის საკითხებზე არ იყოს ნაფიქრი. ამრიგად, რა ფორმითაც არ უნდა იყოს მისი სულიერი განვითარება გამოვლენილი — გნებავთ მოთხრობა დაარქვით მას, გნებავთ — პოემა, ამას პრინციპული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. რასაკვირველია, თუ ეს ყველაფერი მისეულია და დასმულ პრობლემას მიეხილება.

თ. კპპანტირაძე — როგორც ჩანს, ნოველისტური სტილის შეფასებაში ჩვენ ერთსულოვნებას ვერ მივაღწევთ. ასევე რთულ პრობლემად შეჩვენება საკითხი თავისუფლების საზღვრების შესახებ თავისუფალ თემაში: აქაოდა, სათაურში გამოცხადილი პრობლემა ზოგადად და ნაირგვარ ინტერპრეტაციას იგუბებო, ხშირად თავისუფალ თემას უფრო იქით გამოაბამენ, საითეცნაც მოესასიოთებათ.

ბ. მანტურონი — თავისუფალი ჭიდაობაც თავისუფალია, მაგრამ ყველაზე ხელის წაბანება, წერის უკაცრავად, როდეს შეიძლება.

თ. კპპანტირაძე — ასევე უნდა აიკრძალოს თავისუფალ თემებში საკითხიდან საკითხზე ფარფატი; ცხადია, ამგვარი თემები უფრო იგუბენ სხვადასხვა სახის წიაღსვლებსა და ასოციაციებს, მაგრამ საკითხს თუ დავცოდლებით, მხოლოდ იმითაა, რომ სხვადასხვა რაკურსით, განსხვავებულ მანძილსა და შუქზე დავანახოთ იგი და არა იმიტომ, რომ პრობლემა თვალთახედვის არიდან საერთოდ დავეკარგოს. „პარალელ ილეთად“ უნდა მივიჩნიოთ, აგრეთვე, სხვადასხვა დასათაურების თავისუფალი თემების „ამოცხება“ ერთი და იმავე შინაარსით...

მ. შენიძე — მაგარი ფანდით ხშირად გვიმასხანძლდებიან მისადებ გამოცდებზე: მისცემ „ხელოვანი და შემოქმედება“ — დავიწერს, რაც იცის „დიდოსტატის მარჯვენაზე“ — სხვაგანაც თუ დავს ეს პრობლემა, ამაზე წარმოადგენა არა აქვს; მისცემთ „საქართველოს ისტორიული ძეგლები“ და ისევ „დიდოსტატს“ ვაგვიჩვენებ. გამოუსცადებთ, საწერად „ჩემი



საყვარელი მწერალი“ და — შორს წასვლით თავს როდღე შეიწუხებს, ისევ სახელმძღვანელოსეულ „სტეფანის ბედის შესახებ ტირანულ სახელმწიფოში“ ჩაგვიწყობებ.

ბ. შანტაშვილი — თავისუფალ თემაში თავისუფლების სამანგის განსაზღვრისას ერთგვარი სიფრთხილიც გვმართებს, რომ ნიჟერი ახალგაზრდას არ მოვუპოვოთ სათაურის ორიგინალურად გააზრების შესაძლებლობა. ერთი მაგალითი: ჩემი მეზობელია შეხანაშნავი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის ოჯახი. მწერლის ქალიშვილი ნატო წილს სამედიცინო ინსტიტუტში აბარებდა. სწორედ ქართულის წერითი გამოცდიდან დაბრუნებულმა მისთხრა, თავისუფალი თემა ვერც, „ჩემი სოფელიო“. სანამ დაწერილობით გამოვყიფიხვდი, იმის გააზრება ცვადა, როგორ უნდა დაწერა ეს თემა ისე, რომ გამოცდილების გული მოეგო. მოდელი პირველი: შეიძლება მართლა შენს სოფელზე დაწერო, ერთ კონკრეტულ სოფელზე, მის წარსულზე, დღეის დღეზე, ბუნებაზე, ადამიანებზე და მშვენიერი თემა გამოვიდეს...

ბ. კაპარცხელი — ახიც გვიწერენ ჩვეულებრივ...

ბ. შანტაშვილი — მოდელი მეორე: შეიძლება დაწერო ისე, რომ გამოამჟღავნო საბრჯრამო მასალის ცოდნა, შეეხო საკლმეურნეო მოძრაობის თემას, გაისხნო „გვალი ბიგვა“ და „კოლხეთის ცისკარი“, თქვა ორიოდ სიტყვა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ბოლო წიგნზე „რა მოხდა აბაშაში“, დაახასიათო გზა, რომელიც შეგი გაშაქმებ პირველი ტრაქტორიდან აბაშის მინდორებამდე გამოიარა, და ყოველივე შემოთქმული შენი სოფლის ცხოვრებას დაუკავშირო — მის წარსულს, აწუხოს, მომავალს...

მ. ბურჯანაძე — მეტყვება, ყველაფრის ამის დამწერი სამსათხავეარში რატეულიყო...

ბ. შანტაშვილი — მოდელი მესამე: ჩემი სოფელი სუფსა, ნატო ჩხეიძის სოფელი ყველქეული. მაგრამ არის ერთი სოფელი, რომელიც ორივესია.

„ეპა, სოფელიო, რაშიგან ხარ, რას გებატუნებს, რა ზენ გეირსა“... „სოფელიო იმად არა ღირს, კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა, თუ ფუქი მისი სიციცხლე გერარას არგებს მამულსა“...

აი, ამ სოფელზე შეიძლება წერა, და შეიძლება კარგადაც, მაგრამ სოფლისა და ზესთასოფლის ურთიერთმიმართების თემა მტისმეტად დიდ ტვირთად მომეჩვენა 17 წლის აბიტურენტისათვის. ჩემდა გასაოცრად და გასახარად, სწორედ ამ ტვირთს შესწიფებია ნატო და, როგორც შემდგომ გამოირკვა, ჩინებულიადაც დაუძლევი. ხუთიანი, ალბათ, თე-

მის შესრულებაში მიიღო, მაგრამ, ჩემი აზრით, გემოვნებაიანი გამსწორებელი ამგვარი „სტეფანის ბიგვის“ მიმართაც ვერ დარჩებოდა გულგრილი. მესამე მოდელის ამჩრევი ბავშვი მოაზროვნეა და თავისუფლების მტისმეტი სიმკაცრით რეგლამენტირება თავისუფალ თემაში, ვშიშობ, ამგვარ მოაზროვნეებს დავგვიარალებს.

მ. ხინთიბიძე — მე ცოტა უფრო შორსაც წავიდოდი: ბავშვს სკოლაში უნდა მივცეთ თვით შეცდომის დაშვების თავისუფლება. როდესაც იგი გიწერს, რომ — ილია ქავჭავაძე არის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი — ეს, ცხადია, სწორია, მაგრამ ჭერ კიდევ არაფერს გვეუბნება თავად ამ მოსწავლის აზროვნების დონესა და ხარისხზე. თავისი უნდა თქვას რამე... დე დაუშვოს შეცდომა, მაგრამ ეს შეცდომა თავისი იყოს.

თავისუფალ თემაზე აქცენტის გადატანა, რაც უნივერსიტეტის და, ნაწილობრივ, სხვა უმაღლესი სასწავლებლების მისაღებ გამოცდებზე ხდება, მისი თემატიკის მკვეთრმა გადახალისებამ და გაფართოებამ, უკვე გამოიღო სასარგებლო ნაყოფი სკოლაში, მომავალში კი უფრო მეტს უნდა მოველოდეთ. სკოლაზე მოქმედებს მისაღები გამოცდების ტენდენციები; კარგი მასწავლებელია, მშობელი და თავად მოსწავლეც აქ აღებულ კურსს ითვალისწინებს და ანგარიშს უწყებს. უფრო ფართო ასპექტით თუ განვიხილავთ საკითხს, — ბოლოს და ბოლოს, რა გვინდა ჩვენ ახალგაზრდისაგან, რომელიც ჩვეთან მოდის? კარგად იცოდეს „სოლომონ ისაკი მეჭლანუაშვილი“ ან თუნდაც „ვეფხისტყაოსანი“ — უფრო ჩწორად, ჩვენი შეხედულებანი „ვეფხისტყაოსანზე“ — თუ გვინდა, რომ იგი ლიტერატურულად აზროვნებდეს...

ბ. კაპარცხელი — ისიც და ესიც...

მ. ხინთიბიძე — პირველ რიგში რა გვინდა, ახე რომ დავსვათ საკითხი? ლიტერატურულად უნდა შევიძლოს აზროვნება. როდესაც თავისუფალ თემაზე მიგვაქვს პირობებები საკითხთა ფართო წრიდან, ამით მოვიტხოვთ ყურადღების გამახვილებას საზოგადო ლიტერატურის და, მეტნაქლებად, კულტურის საკითხებზე. ამ ტენდენციის შეტანა და ჩვენი სკოლისათვის თავს მოხვევა აუცილებელია.

მ. კაპარცხელი — თავისუფალი თხზულებების თემატიკურ გაფართოებას და გადახალისებას ზოგჯერ, მეტი რომ არა ვთქვათ, უნდობლად და ეჭვით უუყრებენ. არადა, ზოგიერთი თავისუფალი თემა იმდენად ამორტიზებულია, რომ მოულოდნელობის ყოველ-

თავისუფალი თემა

ვია, რომ მას თავისი ქუდი დარჩენოდა, სამაგიეროდ თვითონ ლაღოს ქუდი დაეხურა. უყუპანოდ დასტაცა გუდიაშვილმა ხელი აღიარებული ხელოვანის ქუდს და მის პატრონს გამოუდგა; საკმაო ხნის სირბილის შემდეგ დაეწია იგი სულთავას და ქუდი გადასცა. განაცვიფრა ესპანელი ლაღოს მოქმედებამ (განთქმული მხატვრის თითოეული ნივთი, მათ შორის — ქუდიც, ხომ დიდებული სუვენირი იქნებოდა ნებისმიერი ახალგაზრდა ფერმწერისათვის) და მისი პატროსნებით აღფრთოვანებულმა, დაუბრუნა რა საყუთარი ქუდი ლაღოს, ასე მიმართა: „იარეთ, მუსიო გუდიაშვილო, თქვენი კაცობით, თქვენი პატროსნებით და... თქვენი ქუდით!“

თ. ბურჟანაძე — როდესაც ეს თემა მიეცით, ალბათ ამგვარი გადაწყვეტის გზაც ვქონდათ მხედველობაში?..

თ. კვპპანტირბაძე — ცხადია, უამისოდ ამგვარი ექსტრავაგანტური დასათაურების თავისუფალი თემები სანახევროდ აზრს მოკლებულია და შესაძლოა თვითმიზნად ან მოსაწყენ ნატურალისტურ სავარჯიშოდ იქცეს. თუმცაღა, არც იმ შესაძლებლობას გამოვირიცხავ, რომ თავად ახალგაზრდამ ისე გაიაზროს სათაური, მოძებნოს ისეთი სელა, როგორც გამოცდელს მხედველობაში არცა ჰქონია.

ნ. რუსაძე — და თქვენ შესაძლებლად მიგანიათ ამგვარი დასათაურების თემების მიტანა მისაღებ გამოცდებზე?

თ. კვპპანტირბაძე — ჩერჯერობით, ალბათ არ ღირს, თუმცა პრინციპულად ვერ ვხედავ რაიმე არსებით დაბრკოლებას ამ ტიპის დასათაურების თემების მისაცემად ზოგიერთ ზუ-

მანიტარულ ფაქულტეტზე. და მაინც, ისინი უფრო სავარჯიშოდ და შესამჯადებლად და გამოვიყენოთ ისეთი თემებისათვის, სადაც აშკარად არის სათაურში გამოტანილი საზოგადოებრივი, სოციალოგოიური თუ ესთეტიკური პრობლემა-კითხვა. თუ ტენდენცია თავისუფალ თემებში ე. წ. ნოველისტური სტილის დამკვიდრებისკენ წარიმართა, მაშინ ამგვარი „ეგზოტიკური“ დასათაურება სწორედ რომ უპრიანია, ვინაიდან გამოსაცდელის ფანტაზიასა და გამომგონებლობას მეტ გასაქანს აძლევს.

რ. გომრდშიანი — თუ დღევანდელი ჩვენი საუბარი სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაებს დაესმარება თავისუფალი თემის თაობაზე მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავებაში, ჩვენი თავშეყრა გამართლებულად უნდა ჩავთვალოთ.

მ. ხინთიბიძე — აქ გამოითქვა მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო, ზოგჯერ პარადოქსული მოსაზრება: მათ, ცხადია, არც ჭეშმარიტების აღმოჩენის პრეტენზია ჰქონიათ და, მით უმეტეს — არც რაიმე ღირეტიულო მისია. უბრალოდ, ჩვენი შთაბეჭდილებები ვავუზიარეთ ერთმანეთს, ჩვენი გამოცდილება, ჩვენი მოსაზრებანი, რომლებსაც თავს არავის ვხევეთ. მიმანია, რომ ამ ტიპის საუბრები უნდა მივიღეს ფართო მსმენელამდე და მსჯელობის საგნად იქცეს. უკიდურესად სადავო მოსაზრებაც კი უნდა გამოვთქვათ, თუ მასში ჭეშმარიტების მარცვალს მაინც ვხედავთ.

თ. კვპპანტირბაძე — პირველ ეტაპზე, ალბათ, ესეც საქმეა!



ტენური სეთერალი

ზორეული და ახლობელი სამყარო

„სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმ გრძნობას, რომელიც შეახვედრებს ტროის კედელზე ზეკტორსა და ანდრომაქეს, გრძნობას, რომელიც იწვევს ანდრომაქეს ცრემლებს, მეუღლეთა შეერთებას, როდესაც ჩველი ანტიანაქსი ანაზად აღიარება მამის მუშარადის ბრწყინვალეობით შეშინებული, და ღიმილს, რომელიც უცრად განათებს მეუღლეთა სევდიან სახეებს... სხვა რა უნდა ეწოდოს იმ გრძნობას, რომელიც ანიჭებს ძალას საქმროებით გარემოცულ პენელოპეს ოცი წლის მანძილზე წარბეზებულად ელოდოს უგზოუკუდოდ დაკარგულ მეუღლეს, იმ ძალას, რომელიც უარს ათქმევინებს ოდისეეს უკუდავებაზე, ქალღმერთების სიყვარულზე და მრავალ ქივარამში გამოვლილი მოჰყავს პენელოპეს სარეცელთან“... (გვ. 90). ავტორს საბასუხოდ არ დაუსვამს ეს შეკითხვა, რადგან ამ სტრიქონებში პასუხი თავისთავადვე განმარტებული. ეს კონტექსტი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ რეპლიკასთან დაკავშირებით, რომლითაც იწყება ალექსანდრე ალექსიძის წიგნის მეოთხე თავის სათაური: სიყვარული — ბერძნული რომანის აღმოჩენა. რეპლიკა მიმართულია ფრანგი მედიევისტის გუსტავ კოჰენის დებულებაზე: „სიყვარული არის ფრანგული XII საუკუნის გამოგონება“. სწორედ წიგნის ეს ნაწილია ერთგვარი გასაღები იმ მეტად საინტერესო პრობლემური საკითხებისა, რომლებსაც მოიცავს ალექსანდრე ალექსიძის შესანიშნავი ნაშრომი „ბერძნული სარაინდო რომანის სამყარო“.

მაგრამ მომეროსის სამყაროში, გვეზენება ავტორი, — არიან არამარტო ჰექტორი და ოდ-

ისევსი. ამ მრავალფეროვან სამყაროში სხვადასხვა ისტორიულ ფენას ახასიათებს ნაირგვარი შეხედულება სიყვარულისადმი, ქალისადმი დამოკიდებულებაშიც.

„სამუშაონი და დღენის“ ავტორი, შრომისა და სამართლიანობის პრინციპების მქადაგებელი, ბერძნული დიდაქტიკური ეპოსის წარმომადგენელი — ჰესიოდე, ქალისადმი დამოკიდებულებაში არ ამჟღავნებს არავითარ რომანტიულობას. მსგავსი ვითარება კლასიკური ეპოქის საზოგადოებაში. ეგრეთწოდებულ მამაკაცთა საზოგადოებაში, სადაც ქალის ადგილი შეზღუდულია და მკაცრად განსაზღვრული. საინტერესოა ამ მხრივ წიგნში კრატოზულესა და სოკრატეს შორის გამართული დიალოგი:

სოკრატე — კრატოზულე, ჩვენ აქ მეგობრულად ვსაუბრობთ, ამიტომ ერთმანეთს სრული სიმართლე უნდა ვუთხრათ... მითხარი, არსებობენ თუ არა ადამიანები, რომელთაც შენ ნაკლებად ესაუბრები, ვიდრე შენს ცოლს...

კრატოზულე — ასეთები ძალიან ცოტანი არიან (გვ. 93). „ბერძნული სიყვარულის“ თეორეტიკოსი პლატონიც იზიარებს თავის ეპოქაში გაბატონებულ შეხედულებას — მეუღლეობას არა აქვს სხვა მიზანი გარდა იმისა, რომ შთამომავლობა შექმნოს ოჯახსა და სახელმწიფოს. მაგრამ ამ აუცილებლობას სიკეთისა და სათნოების მყარ საფუძველს დაუდებს არისტოტელესა და პლუტარქეს მაღალი და სერიოზული კონცეფცია, რომელშიც ბერძენი ფილოსოფოსები მკაცრად ემიჯნებიან ზემოთ აღნიშნულ შეხედულებას, ისინი სიყვარულს



და მეუღლეობას უკავშირებენ ერთ-ერთ ძირითად იდეას — მეგობრობას. მეუღლეობის აზრით, განსაკუთრებული ეტაპს სიყვარულის კონცეფციის ისტორიაში წარმოადგენს პლუტარქეს შეხედულებანი — „ღაღადოვანი სიყვარული შესახებ“, რომელშიც ეკითხულობთ: „ფიზიკური კავშირი ცოლთან არის წყარო მეგობრობისა... საიდანაც უოველდღეობად აღმოცენდება მეუღლეთა შორის პატივისცემა, სიყვარული, ნდობა... პატრონს ქალთა სიყვარულმა არ იცის შემოდგომა, იგი არათუ ინარჩუნებს თავის ძალას ჭაღარისა და ნაოჭების მიუხედავად, არამედ არსებობს საფლავამდე“ (გვ. 94). თუცა არისტოტელესა და პლუტარქეს თეორიები საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ჭერ მხოლოდ შორეული იდეალია, არც ერთი და არც მეორე არ არის საყოველთაოდ აღიარებული შეხედულება, მაგრამ ამ მოაზროვნეთა თეზისებური აღმოჩენები დიდად საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ისინი გზას უკაფავენ სიყვარულის ასალ იდეას. ასეთივე აღმოჩენაა მხატვრულ ლიტერატურაში ბიზანტიური რომანი. ისევე, როგორც პლუტარქეს კონცეფციაში, — გვეხსენება ავტორი — ამ (ელენისტური) რომანისტების ოცნებაშიც აისახება ეპოქის სინამდვილე, ის ფაქტი, რომ მორალურად ჭრელ, ქაოტურ სამყაროში რომანისტები უკომპრომისოდ ამკვიდრებენ ერთდღისი ქრისტიანული სიყვარულის — სუფთა და ამაღლებული სიყვარულის იდეალს.

უძლიერესი გრძნობა, ღრმა განცდა — სულიერი და ფიზიკური, უსაზღვრო ერთგულება, სიყვარულში კაცისა და ქალის სრული თანახმობა, მეუღლეობა, როგორც სრული და ქრისტიანული ბედნიერება — აი, პრინციპული და მაღალწონიერები არის ბერძნული რომანისა, რაც ავტორის აზრით, განსაკუთრებული საფუძვრია მხოფლიო სულიერი განვითარების ისტორიაში.

მაგრამ როგორ განავითარა სატრფიალო რომანის თემა ბიზანტიურმა რომანმა? რა სიახლე შემოაქვს რომანში სარაინდო ნაკადს? როგორია მისი გმირების სულიერი სამყარო ელენისტური ეპოქისა და XII ს. რომანის გმირებთან შედარებით? — აი კითხვათა გზა-ჭაბუღონი, საიდანაც ავტორი გადაგვანდებს ბერძნული სარაინდო რომანის სამყაროში.

ამ მხტად საინტერესო და მრავალფეროვან სამყაროს წინ უძღვის ფრიალ რთული და, ამასთანავე, ნაირსახიფათო წიაღსვლები, რომელთა გაუცხოებად და გაუთვალისწინებლად შეუძლებელია აღნოშნულ საკითხთა არსში ჩაწვდომა, იმ ისტორიული გარემოს აღქმა, რომელშიც სარაინდო რომანის გმირები მოქმედებენ.

ცხადია, თავის სპეციფიკურ ფარად ჩამოკლებებამდე სარაინდო რომანს უნდა გვევლო „მკვეთრი და თვალსაჩინო“ ფერებით აღ-

სავსე ლიტერატურული ცხოვრების გზა, რომელსაც გარკვეული ევოლუცია უნდა განემტევიდა. როგორც აღექსანდრე პლეხანოვ ვაღმოგვცემს — „არსებობს განვითარების გარკვეული ხაზი, რომლითაც XIII-XIV სს. ბერძნული სარაინდო რომანი დაკავშირებულია XII ს. სატრფიალო რომანთან“.

მკითხველისათვის საკითხის ნათელსაყოფად, ვიდრე ვრცელ ექსკურსს მივართავდეს ავტორს, უფინარეს, სავანგებოდ მიუთითებს სარაინდო რომანის ბერძნულ ხასიათზე, მისი ეროვნულ ნიადაგზე წარმოშობის შესახებ. სწორედ, აქ აღმოჩნდება საკვანო აღგზილი ავტორის ქრისტიანული მიმოთხილვისათვის, რომ „ბერძნული სარაინდო რომანი არის სწორედ ის მხატვრული ფუნქციონი, რომელშიც ჩანს ცივილიზაციითა შეღების წერტილები“ (გვ. 38), აქვე იმოწმებს ბერძენი ფილოლოგის კ. დი-მარას მოსაზრებას, რომ „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ყველაზე დიდი მომენტები წარმოქმნიან სწორედ ბერძნული სამყაროს უცხოურ ცივილიზაციებთან შეხების წერტილები“ (გვ. 38). ამ მხრივ, ნაშრომში ყურადღებას იქცევს ისეთი საკითხი, როგორცაა ბიზანტიური რომანის სიმბოლურ-აღგებორიული ინტერპრეტაცია, რაც საფუძვლად უდევს საერთო ლიტერატურის ძეგლების მისტიფიკაციას, მათ სიმბოლურ-აღგებორიულ გაგებას როგორც დასავლურ, ისე ბერძნულ ქრისტიანულ სამყაროში. ამ პროცესის თვალსაჩინო ნიმუშად ავტორი ასახელებს კრეტინ დეტრუს რომანს „ბერსეადი“, როდესაც XIII საუკუნის პროზაულ გადაშუშავებში XII საუკუნის ფრანგული რომანის — „ძირითადი მოტივი — მოტივი სიყვარულის ძიებისა — იქცევა წმინდა გრაალის — ქრისტეს სისხლით ავსებული თანის ძიების მოტივად“ (გვ. 21), სადაც სიყვარული ცხადდება ეშპაკეულ ცდუნებად და რომანის ამგვარი ტრანსფორმაცია გმობს რაინდობას, მაშინ როცა კრეტინ დეტრუს მთელი შემოქმედება ქალის, სიყვარულის იდეითაა შთაგონებული. ბიზანტიური აგოიზაცია — გვეხსენება მკვლევარი — მიზნად ისახავს ელენისტური რომანის მოტივთა გადაშუშავებას, „აგოიზაციულ ონშულებათა ცენტრში დგას წყვილი — ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, რომელთა სულს, განსხვავებით ანტიკური რომანის გმირებისაგან, ადავებს არა ერთმანეთის სიყვარული, არამედ ქრისტეს მხურვალე თაყვანისცემა“ (გვ. 21). განიხილავს რა კურტუაზული ლიტერატურის, ტრუბადურების პოეზიის ტრანსფორმაციის საკითხს, ა. აღექსიძე იხსენებს მედიევალური კულტურის თვალსაჩინო შეკვლევართა მოსაზრებას, რომ კურტუაზიულობა, ტრუბადურული სიყვარული

ციური ხომარელო
შორიშული და ახლოხომილი სამყარო



და მისტიკური სიყვარული სავსებით ემიჭნება ერთმანეთს.

შუა საუკუნეების ბერძნული რომანის მთავარი თემატიკა, — გადაქრით აღნიშნავს ავტორი, — არის რეალური კაცისა და ქალის ურთიერთობა. ამ სიყვარულს რომანისტი აღწერს რეალურად და გულისხმობს მკითხველის მიერ მის ასევე რეალურ და არა სიმბოლურ-ალეგორიულ აღქმას.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით ალექსანდრე ალექსიძე მკითხველის ყურადღებას შეაჩერებს დასავლეთის უმბარატენოზზე ბიზანტიურ კულტურასთან შედარებით იმ მხრივ, რომ დასავლეთი ქმნის ახალ, ორიგინალურ კულტურას, ხოლო ბიზანტიელი მწერლების შემოქმედებით ძაღვებს ზღუდავს ანტიკურ პოეტთა გენიალური ქმნილებანი, რომელთა გამგზავლენადაც ისინი მიიჩნევენ თავს, ამიტომ მათ არ შესწევთ ფანტაზიის გაშლის თავისუფლება, რომელიც აქვთ უფრო ანტიკური მცხოვრებ სხვა ხალხებს. ბიზანტიელები გრძნობენ დასავლეთის ცივილიზაციის ამ მხარეებს და, ნებით თუ უნებლით, ექცევიან მისი გავლენის ქვეშ: აქ ავტორი აშკარად მისი შეფასებას, რომელიც ბ. კოსის მოსაზრებას, რომ „ამ სისტემატური ბერძნულ-ლათინური კონტაქტების ვითარებაში, რომლებიც იქმნება ბიზანტიის მიწაზე ლათინთა დაპყდრების შემდეგ, მედევალურ ფრანგულ რომანს ადვილად შეეძლო მოეციდა ფეხი საბერძნეთში“ (გვ. 44). თუმცა ბერძნული სარაინდო რომანის საფუძვლიანი განხილვა მკვლევარს უფლებას იძლევა დაასკვნას, რომ „XIII-XVI საუკუნეების რომანები არ წარმოადგენენ ბერძნულ ლიტერატურაში ფრანგული რომანის დამავადრებას, ისინი წარმოადგენენ თავი ბერძნულ ლიტერატურაში მიმდინარე პროცესთა შედეგად აღმოცენებულ პოეტურ თხზულებებს“ (გვ. 44). უნდა აღინიშნოს, დასძენს აქვე ავტორი, — რომ ეს თხზულებები უდავოდ განიცდიან დასავლური რაინდობის გავლენას. მკვლევრის ამ დებულებას მივყავართ ამ დასკვნამდე, რომ ბერძნული სარაინდო რომანის ხასიათი ბერძნულია, მისი მყარი საფუძვლითა ერთგულთა ნიდაგი.

ამ დებულების ნათელსაყოფად ნაშრომის მეხუთე თავში — „ერთ სულ, ერთ სორც“ საგანგებოდაა მითითებული სიყვარულის გარკვეულ კონცეფციებზე, სახელდობრ, — „XII საუკუნის ბიზანტიურ რომანში ანტიკური რომანის სიყვარული კიდევ უფრო დასწვრილი და სრულქმნილია: ერთად სიცოცხლე, ერთად სიკვდილი, ღალატის შეუძლებლობა. ერთგულების დაცვა ყოველგვარ განსაცდელში. უმწიკველობის შენახვა ქორწინებამდე, მეუღლესთანმდე, რომელშიც იქნება მიღწეული სრული და ჭეშმარიტი ბედნიერება“ (გვ. 100). ავტორის ამ გან-

აცხადს მოსდევს შენიშვნა, რომ კონცეფცია „არ არსებობს შუა საუკუნეების ქრისტიანული დასავლური თუ აღმოსავლური სამყაროს ყველა ქვეყანაში, ხოლო სადაც არსებობს — არა მთელი მდებრეალური ეპოქის მანძილზე“ (გვ. 100). მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ტრუბადურთა სიყვარულის ერთ ვარიანტზე, რომ იგი (ტრუბადურული სიყვარული) არის სიყვარული მეუღლეობის გარეშე და ამას საფუძვლი მოეძიება ფეოდალურ საზოგადოებაში, სადაც ქორწინება, როგორც წესი, თავისებური კონტრაქტია. ფეოდალურ ხელშეკრულებათა, პოლიტიკური აქტის, შემთხვევა თავისი ძლიერების გასაღებლად ახალი კავშირების შემწეობით..

...ქალი, რომელიც არ არის ბედნიერი მეუღლეობაში, ეძებს ბედნიერებას მეუღლეობის გარეშე... (გვ. 103), მაგრამ, როგორია სანტერესოც არ უნდა იყოს ეს სიყვარული, — განაგრძობს ავტორი, იგი მიზნოდღერა, უნადაგო და უპერსპექტიუო „სწორედ აქ ამაღის თავის სიტყვას დიდი კრტიკენ დე ტრუა, რომელსაც სურს ჩიხიდან გამოიყვანოს მისი თანამედროვე საზოგადოება. კრტიკენ დე ტრუას შემოქმედება აქ მსგავსი ჭეშმარიტად ახალი ეტაპია, რადგან იგი სახავს ახალ ჯვას, ახალ იდეალს, ეს იდეალი არის სიყვარულზე დამყარებული მეუღლეობა“ (გვ. 104). ამ იდეასთან დაკავშირებით იგი ასახელებს კრტიკენ დე ტრუას რომანს „კლიფესს“ და დასძენს: „იქნება არ იყოს შემთხვევითი, რომ ამ რომანში მოქმედებენ ერთგულებით ბერძნული, ბიზანტიელი გმირები, სომ არ შეიძლება ვიფიქროთ ამ ნაწარმოების (რომელიც ბევრი სხვა ნიშნითაც ჰგავს ბერძნულ რომანს) უფრო ღრმა კავშირზე საბერძნეთთან და სიყვარულის ბერძნულ იდეალთან? ეგებ არ იყოს შემთხვევითი ისიც, რომ მარი დე ფრანსის — მეუღლეობის გარეთ სიყვარულის აპოლოგეტის ერთადერთი ნაწარმოებია, რომელიც თავდება გმირთა შეუღლებით (და რომელშიც უთუოდ მოახდინა გავლენა კრტიკენის იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე). ეგვომ წააგავს ბერძნულ სატრფიალო რომანს?

მეორე მხრივ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ისიც, რომ თვით ბიზანტიელებმა დასავლური რომანებიდან თარგმნეს და გადაამუშავეს არა რომელიმე სხვა რომანი, არამედ ის, რომელშიც გმირთა ისტორია თავდება ბედნიერი მეუღლეობით — „ფლორიანის“ და პლაციაფლორას“.

როგორც არ უნდა იყოს, შუა საუკუნეების ლიტერატურაში სატრფიალო ნაქადის ევოლუციამ ფრანგული მწერლობა მიიყვანა სიყვარულის ბერძნულ იდეალამდე“ (გვ. 104-105) — ვკითხულობთ ნაშრომში.

სანტერესოა ისიც, რომ წიგნში მკვლევარი მოხმობს გიორგი აკროპოლიტის დიქსს (რუ-



სული თარგმანი შესრულებულია სერგეი ავტორინცევის მიერ ა. ა.), მიძღვნილს XIII საუკუნის რეალური პერსონაჟებისადმი, ესენი არიან ირინე კომნინი, თეოდორე I ლასკარისის ასული და მისი მეუღლე იოანე დუკა ვატაკი. ავტორის სიტყვით, „ლექსში განვითარებულია სიყვარულის იდეალი, რომელიც არის განთავსებული ბიზანტიურ სატრფიალო რომანში. ეს არის იდეალი მეუღლეობაში განსორციელებული ბედნიერი სიყვარულისა, რომელიც წარმოადგენს სულიერისა და სორციელების მშვენიერ მარშონიას“ (გვ. 105). მაგრამ მთავარი, რაზე თქმაც სურს ავტორს ისაა, რომ ორი სამყაროს სულიერ განვითარებაში ძველ ბუზანოზის ნათელი საწყისი, ფეროზისა და ბიზანტიის საუკეთესო ადამიანები აწინევენ ბერძნული და ლათინური აწროვნების პროგრესს, ოცნებობენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის სულიერ, გონებრივ ძალითა შეერთებაზე.

ავტორი განსკუთრებული ყურადღებას ანახილვებს ამ ვითარებაზე, რომ ბერძნული სარაინლო რომანი არ ეყუთვნას მეცნიერულ გამოხატული ნაციონალური ნაყადის ლიტერატურას. მასში დიდი ისტორიკოს იწვევს ისტორიულ-კულტურული წინაშეგდგომის ფაქტო: ბერძნული პოემის ლათინურისა და დასავლური-დასამოყდებულება — ის კეთილი აქტოს-ფერო, რომელსაც ქმნის რომანტიკა ლათინი გმირების ირგვლივ. იგი ხსენებთ აღნიშნავს, რომ ეს არის ბიზანტიური სამყაროს ამ წაწილის ატმოსფერო, რომელშიც არ არსებობს დაძაბულობა ბერძნული და ლათინურ შორის, რომელშიც ღებნა მათი სულიერი და კულტურული დაახლოება. ეს არის ბუნებრივი პროცესი, რომელშიც არ ჭარბობს არც ნაციონალიზმი, არც კოსმოპოლიტიზმი, რაც ნათლად მოჩვენა დიდ ბუზანტიურ მოვლენად — „იმ პერიოდში, წერს მეკლევარი, როდესაც დასავლურ-აღმოსავლური იდეური და რელიგიური ერთიანობის მოღწევის ყველა ოფიციალური ცდა თავდება მარტოთ, როდესაც ეკლესიების უნია რჩება ილუზიად და ისინი კვლავ განაგრძნობენ დოგმატურ პოლემიკას, რომელიც აჩქარებს და აახლოებს ბიზანტიის კატასტროფას, ამ ვითარებაში ლიტერატურა, ბერძნული რომანი უჩვენებს უნიის საუკეთესო მაგალითს — ადამიანთა გულების უნიას“ (გვ. 246).

ვიდრე სარაინლო რომანებს (XV) შეეხებოდეს, მეკლევარი სვამს კითხვას — არის თუ არა ბერძნული რომანი მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთი და იგივე ფანრი? და ის მეიხვედს პასუხობს — „შეიძლება ვთქვათ, რომ თავისი თითქმის ორიათასწლიანი ისტორიის მანძილზე ბერძნული რომანი წარმოადგენს ერთ ფანრს, რომელიც ტრანსლარაციის განცდებს (გვ. 51). სწორედ ამ კითხვა-პასუხის ფონზე წარმოიჩენს იგი

მეიხვედის თვალწინ იმ თავისებურებათა რაღას, რომელიც არსებობს ბერძნულ რომანსა და სარაინლო რომანს შორის. XII საუკუნის რომანი, — აღნიშნავს იგი, — არის ანტიკური მოდელის იმიტაციის ცდა, სწორედ ამ მიზნით XIII საუკუნის რომანი წარმოადგენს ფანრის ტრანსფორმაციის მედიევალურ ტიპს, რომელშიც შევა ახალი ელემენტები — ნაციონალური ფოკლორი, სარაინლო-დეოდალური მოტივები, ბერძნული საგმარო ეპოსი. „ამ ეტაზე იგი იქცევა, ბერძნულ-მედიევალურ ბიზანტიურ ფანრად“ (გვ. 52). ერთ-ერთი ასეთი ფანრია ბიზანტიური სარაინლო რომანიც, რომელიც ჩამოყალიბებულია ბერძნულ-ანტიკური ფანრის საფუძველზე. სწორედ ამ მხრივ იწვევს მეკლევარს ისტორიკოს რომანი „ლიბისტოხე და ზრისორო“, როგორც ახალი ფანრობრივი ეტაპი, რომელშიც ხედავს რომანის, ზღაპრის, საგმარო ეპოსის და სხვ. მასლის გამოყენებას. თხზულებაში წარმოადგენილი „ბერძნული რომანისა და ზღაპრის შეხვედრა. როგორი ძლიერიც უნდა იყოს ზღაპრის წინააღმდეგობა, — დაახვედრებს ავტორი, — დასაბამს აძლევს ახალი ტიპის რომანს — სარაინლო რომანს სამყაროს“ (გვ. 79).

საუზრადებნა ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბერძნული რომანის მსგავსად სარაინლო რომანშიც თავგადასავლის ძირითადი მოქმედება ვითარდება უცხო მხარეში. მაგრამ თუ სატრფიალო რომანში ქალი და ვაჟი იხიზნებიან ერთად, სარაინლო რომანებში სათავგადასავლო გზას ადგება მხოლოდ ვაჟი, რაინდი. მეკლევარი აქვე შენიშნავს სხვაობას ეპიკურ რაინდსა და რომანს შორის — თუ ეპიკური რაინდი ასრულებს საზოგადოებრივ ფუნქციებს, „ბერძნული სარაინლო რომანების რაინდები, მსგავსად დასავლური კურტუაზიული რომანების გმირებისა, არიან ინდივიდუალური ბედის მამიდევარნი და მამიდემონნი“ (გვ. 248).

როგორც ავტორი გადმოგვცემს, ბერძნული სარაინლო რომანის მოტივთა შორის განსაკუთრებული პათოსით წარმოგვიდგება ურთიერთისადმი თავდადების, მეგობრობის მოტივი. მეგობრობის ურყევი ძალით მეფისწოდებნი ადვილად სხდებიან წინააღმდეგობებს. „ლიბისტოხე“ მეგობრობის იდეა ექვედა რომანის პრობლემეტიკის ცენტრში, უფროსი თითქმის რჩენასწავლი ძალით: ადამიანი ადამიანისათვის, ადამიანი ადამიანს“ (გვ. 250) — წერს იგი. რაოდენ საგულისხმოა ლიბისტრეს სიტყვები მისი მეგობრის კლიტოპოსისადმი: — „შენთან ერთად ვიცხოვრებ, შენთან ერთად ვიტანებ, შენთან ერთად ვიღარდებ, შენთან ერთად ვა-

ციური სიმთვამლი
შოკრებული და აკლამბული სამყარო



დავიხეწებო, მოგვკვდები შენთან ერთად!“
(გვ. 260).

ნაშრომში ვრცლად არის მოთხრობილი სარაინდო რომანების პოეტური საწყაროს საგულისხმო, დამახასიათებელ მოვლენებზე, რომანისტთა პოეტური ზედეისა და მეტყველების სპეციფიკურ მხარეზე, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანისტთა მიერ რემინისცენციების გამოყენების საკითხი. როგორც მკვლევარი შენიშნავს, სარაინდო რომანში ისინი სრულებით არ გვხვდება მაშინ, როცა ბერძნულ სატრფიალო რომანში არსებობს მისი უხვად გამოყენების ტრადიცია. მაგალითად, თეოდორე პროდრომეს რომანში „როდნთე და დოსიკლე“ ციტირებულია რემინისცენციები ევრიპიდეს II ტრაგედიიდან, ლუკიანეს 25 ნაწარმოებიდან. ეს პროცესი, — აღნიშნავს მეცნიერი, — უთუოდ მნიშვნელოვანია ფაქტია სარაინდო რომანში, რადგან იგი გულისხმობს ამ ლიტერატურაში რომანის ლირიკული მიმართულებით განვითარების ტენდენციას, ხალხური პოეზიის გავლენით სადა. ბუნებრივი კილოს გამომუშავებას. და კიდევ, არსებობს ერთი განსაკუთრებული ნიშანი, რაც განასხვავებს სარაინდო რომანს XII ს. ბერძნული სატრფიალო რომანებისაგან — ეს არის ხალხური ენა. მაგრამ ის არც ელცხალი, სამეტყველო ენაა, გადმოგვცემს ავტორი, — პირობითად შეიძლება ვუწოდოთ მას ხალხური. ამ მნიშვნელოვან ტენდენციას იგი ბერძნული ლიტერატურის ბუნებრივ, ში-

ნაგან პროცესს უკავშირებს, თუმცა შენიშნავს, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი კლასიკურ ენას ფლობს, როგორც სამეტყველო ენას. ანა კომნინის. ნიკიტა ხონიატის თხზულებების შესახებ — წერს ალექსანდრე ალექსიძე — „შეიძლება გვეთქვას მონტენის სიტყვით: „ამ სტრაქონებს რომ მანვილი დამკრა, მათგან სისხლის საკადი ამოეთქვას“ (გვ. 48).

ნაშრომში ცალკე თავები ეთმობა სულიერი და უსულიო სილამაზის რაობის ახსნას, ავტორი ინტერესით არკვევს სინათლისა და ჩრდილის პროპორციებს, — მოზაიკური ესთეტიკის, ფერთა კომბინირების, ფასეულობის ესთეტიკის კატეგორიებს. დროის, სიკვდილის, ბედისწერის, სიცოცხლისა და ღიმილის ცნებებს; ხსნის რომანში სიმდიდრისა და ოქროულობის მიმერბოლური აღწერის მიზეზს, როგორც ნოსტალგიის გამოვლინებას, განხილავს ბუნების ფუნქციას და სხვ. „ბერძნული სარაინდო რომანის საწყარო“, რომელიც თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა მნიშვნელოვანი შენაძენია ქართველი მკითველისათვის როგორც დიდი მეცნიერული, ისე აღმზრდელობითი თვალსაზრისით, რამდენადაც მასში წარმოდგენილი ბერძენ რაინდთა იდეალი, მიუხედავად ამ რომანების კლასობრივი სტრუქტურისა, და ხანდაზმულობისა, შესაძლებლობას გვაძლევს მკაფიოდ აღიქვათ ჩვენთვის მეტად საინტერესო შორეული და ახლობელი სამყარო.



ბორის გუბალიძე

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი საბჭოთა სოციალიზმის საგარეო პოლიტიკის პრინციპი

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მნიშვნელოვანი და პოლიტიკური საფუძველია თანამედროვე რევოლუციური ძალების შემდგომი ემპირიულიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კაცობრიობის პროგრესული განვითარებისათვის.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა პირველად წამოაყენეს და თეორიულად დაასაბუთეს კ. მარქსმა და ფრ. ენგელსმა. ისინი ჭერ კიდევ „გერმანულ იდეოლოგიაში“ მიუთითებდნენ ამის შესახებ. „კომუნისტური პარტიის მანესტში“ კი ეს პრინციპი პროლეტარათა საზოგადოებრივი მოწყობის აქტის და გამოხატულების სახით „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამ ლოზუნგს, რომელიც 180 წლის წინათ წამოაყენეს, დღესაც არ დაუკარგავს თავისი საბრძოლო, რევოლუციური თვისება. იგი დღესაც არ ჩამოდის არა მარტო სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა, არამედ მსოფლიო პროლეტარატის საბრძოლო ღრმშიდან.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებში მარქსი და ენგელსი გულისხმობდნენ შემდეგს: 1. მსოფლიო პროლეტარატის ერთიანობას და სოლიდარობას საერთო მანის, კომუნისმისათვის ბრძოლაში; 2. ყველა ერისა და ეროვნების თანასწორუფლებიანობას და თვითგამორკვევას, ბრძოლას ეროვნული და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ. 3. მოკლედ, მატერიალურ თუ სხვა სახისათვის დაზარალებას ჩაგრულ ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი. 4. ბრძოლას ნაციონალიზმის, შოუინიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ და ა. შ. მარქსი და ენგელსი თავიანთი ცხოვრების მანძილზე მტკიცედ იცავდნენ ამ პრინციპებს, თავგამოდებით იბრძოდნენ პროლეტარატისა და მისი პარტიების ერთიანობისათვის, მხარს უჭე-

დნენ ჩაგრულ ხალხთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის, ამხილებდნენ ნაციონალიზმსა და შოუინიზმს. ამ იდეამ შემდგომი განვითარება პოვს ვ. ი. ლენინის შრომებში, ყრილობების გადაწყვეტილებებსა და სკკპ და მომხმ მარქსისტულ-ლენინური პარტიების პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, როდესაც იშვა პირველი სოციალისტური სახელმწიფო, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპი საფუძვლად დაედო საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. ლენინური საგარეო პოლიტიკა ამერიკიდან ამოდიოდა არა მარტო საბჭოთა რუსეთის პროლეტარატის ინტერესებიდან, არამედ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისა და მშრომელთა ინტერესებიდან. მათი ღრმა ინტერნაციონალური არსი გამოჩნდა მშვიდობისათვის თანმიმდევრულ ბრძოლაში და მსოფლიო რევოლუციური მოძრაობისათვის ხელახარული პირობების შექმნაში, იმპერიალიზმის მიერ დაჩაგრული ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერაში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა ახალ ეტაპზე ავიდა, ახალი შინაარსით შეივსო მას შემდეგ, რაც სოციალიზმი გასცილდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და სოციალიზმის მსოფლიო სისტემად გადაიქცა. იგი გამდიდრდა შემდეგი ფაქტორებით: პირველი, ინტერნაციონალიზმის პრინციპებშია განსაზღვრება პოვს მუშათა კლასის სახელმწიფო პოლიტიკაში; მეორე, ინტერნაციონალიზმი, როგორც მუშათა კლასის იდეოლოგია, გადაიქცა მშრომელთა იდეოლოგიად; მესამე, ინტერნაციონალიზმის პრინციპები გადაიქცნენ სოციალიზმის ქვეყნების სახელმწიფოთაშორის დამოუკიდებულების საფუძ-



ლად. ამ აზრით იგი იქცა სოციალისტურ ინტერნაციონალიზმად

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე წარმოიშვნენ და განვითარდნენ სახელმწიფოთაშორისო კავშირ-ერთობის ისეთი ნორმები, როგორიცაა: ძმური ურთიერთობისა და პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა, დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა, სუვერენიტეტი, იმპერიალისტური აგრესიასაგან თითოეული თუ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობლივი დაცვა. კავშირ-ერთობის ან ნორმების საფუძველზე კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების იდეური და პოლიტიკური შეკავშირება. შეიქმნა და წარმატებით ფუნქციონირებს მათი საგარეო-პოლიტიკური თანამოქმედებას მექანიზმი. ინტენსიურად ვითარდება ეკონომიკური თანამშრომლობა. შეზღუდვებულისა და ხორცის ისხამს ეკონომიკური ურთიერთდამხმარების საბჭოს წევრ სახელმწიფოთა სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაციის გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამა. იზრდება იდეოლოგიური, კულტურული ურთიერთობა. ასე რომ, კიდევ უფრო მტკიცდება და მაღალ საფეხურზე აღის სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთიანობა.

სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში, კომუნისტური და მუშათა პარტიების საქმიანობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინტერნაციონალიზმისა და ეროვნულის სწორ შეხამებას, რომელიც სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარ პრინციპს წარმოადგენს. სოციალისტური სისტემის ქვეყნების მმართველი პარტიები, ზოგიერთი გამოსაკლისის გარდა, თავისი ჩინივით უფროსილდებიან მას, რადგან მაინათ, რომ ინტერნაციონალურის და ეროვნულის სწორ შეხამებაზე ბევრადღა დამოკიდებული თვით სოციალისტური სისტემის სიმდიდრე და წარმატება. სკვ X XV ყრბლობაზე გაკეთებულ მოსკენებაში ლ. ბ. ბრეჟნევი ეხებოდა რა ამ პრობლემას, წერდა: „აქ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის დამოკიდებული მმართველი პარტიების პოლიტიკაზე, იმაზე, თუ რამდენად შესწევთ მათ უნარი გაუფრთხილდნენ ერთიანობას, იბრძოდნენ კარგად კეთილობისა და ეროვნული განვითარების წინააღმდეგ. გაითვალისწინონ საერთო ინტერნაციონალური ამოცანები, ერთად იმოქმედონ ამ ამოცანების გაღწევისათვის“ (სკვ X XV ყრბლობის მასალები, 1976, გვ. 7).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე იცავდა ამ პრინციპს. ინტერნაციონალიზმს, საერთაშორისო კლასობრივ სოლიდარობას ვ. ი. ლენინი უფურებდა, როგორც საბ-

ჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ფუძველი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პირველი საგარეო-პოლიტიკური ნაბიჯები სწორედ ამ პრინციპებზეა გამოყვანილებული. 1917 წლის დეკემბერში საბჭოთა მთავრობამ ცნო ფინეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც 100 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განიცდიდა რუსეთის ცარიზმის კოლონიურ ბატონობას. 1918 წლის აგვისტოში პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მიიღეს დეკრეტი პოლონელი ხალხისათვის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის მინიჭების შესახებ. საბჭოთა მთავრობამ თავისი საგარეო-პოლიტიკური ღონისძიებებით გააუქმა მეფისა და დროებითი მთავრობების მიერ სხვა ქვეყნებთან დადებული ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება. 1917 წლის 8 დეკემბრის მიმართვაში „რუსეთის და აღმოსავლეთის ყველა მშრომლისადმი“ საბჭოთა მთავრობა გადგურათ ცხადებდა, რომ კავშირს წყვეტდა ცარიზმის პოლიტიკასთან აღმოსავლეთში, უარს ცხადებდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან დადებულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ლაზადნენ ამ ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. უფრო მეტიც: საბჭოთა სახელმწიფომ თურქეთთან, ირანთან და ავღანეთთან თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გააფორმა ხელშეკრულებები და საშუალება მისცა ამ ქვეყნებს, დასდგომოდნენ ეკონომიკური აღმავლობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და პროგრესის გზას.

საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი საგარეო პოლიტიკა სხვა არაფერი იყო, თუ არა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების პრაქტიკულად ხორცშესხმა. ასეთმა პოლიტიკამ უდიდესი ავტორიტეტი მოუპოვა საბჭოთა სახელმწიფოს აღმოსავლეთის ქვეყნებში. აღმოსავლეთის ხალხები საბჭოთა სახელმწიფოს უფურედნენ როგორც ისეთ ქვეყანას, რომელსაც უნდა შეეცადინა დასავლეთის იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვები, მიეცა ამ ქვეყნებისათვის თავისუფალი განვითარების, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გზაზე შეყენების საშუალება.

სწორედ საბჭოთა სახელმწიფოს ასეთმა პოლიტიკამ დაუღო საფუძველი იმ დიდ მოძრაობას, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაჩაღდა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

საბჭოთა სახელმწიფომ სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის რთულ პირობებში ასევე ძმური დახმარება გაუწია უნგრეთის მშრომლებს, რომლებიც საბჭოთა ხელისუფ-



ლები შენარჩუნებისათვის იბრძოდნენ. მართალია, ეს დახმარება მაშინ არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან ქვეყნის შიგნით მოქმედმა კონტრევოლუციურმა და უცხოეთის იმპერიალისტების გაერთიანებულმა ძალებმა საბჭოთა ხელი-სუფთლმა უნგრეთში დაამყვეს, მაგრამ იმ რთული საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაში, რომელშიც საბჭოთა სახელმწიფო იმყოფებოდა, მტრის გაკეთება მაშინ მას არ შეეძლო.

საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი ღონისძიებებს ყოველთვის საფუძვლად ედო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები. ვ. ი. ლენინი მუდამ ასწავლიდა პარტიას და საბჭოთა მთავრობას, რომ დახმარება და მხარდაჭერა ქვეყნებისა და ხალხებისადმი, რომლებიც იბრძვნენ ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს სავარგო პოლიტიკის ამოსავალი პრინციპი უნდა გამხდარიყო.

მართალია, სოციალური რევოლუციისათვის ბრძოლა ვ. ი. ლენინის თითოეული ქვეყნის მუშათა მოძრაობის საშინაო საქმედ მიიჩნდა, რომ მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის მუშათა კლასს და მის კომუნისტურ ავანგარდს შეეძლო განესაზღვრა რევოლუციური ტაქტიკა, ბრძოლის ფორმები და მეთოდები, რევოლუციის დრო და საშუალებები, მაგრამ ელადიმერ ილიას ძე იმასაც ხაზს გაუსვამდა, რომ გამარჯვებული ქვეყნის პროლეტარიატს კემშიარბო და-ხმარება გაეწია სოციალური პროგრესისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლა ხალხებისათვის. ლენინი საბტკო წინააღმდეგ იყო როგორც „რევოლუციის ექსპორტის“ ასევე „კონტრრევოლუციის ექსპორტის“. იგი მისთვის ჩვეული არეულმენტაციით ცხადჰყოფდა „რევოლუციის ექსპორტის“ მოშრტოა უხუხურობას და მიუთითებდა, რომ სოციალისტურ პროლეტარია გაიმარჯვებს იქ, სადაც ამისათვის მოაწიებულაა საერთო-ეროვნული კრწისი. „არაან აღმინებო, — წერდა ის, — რომდნიც ფიქრობენ, რომ შესაძლებლაა რევოლუცია წარმოიშვას უცხო ქვეყანაში შეკვეთით, შეთანხმებით. ეს აღმინებო ან ქუაზე შეშლილნი, ან პროვოკატორები არიან. უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში ჩვენ ორი რევოლუცია ვაღვირტანეთ. ჩვენ ვიცით, რომ მათი მოხდენა არ შეიძლება არც შეკვეთით, არც შეთანხმებით, რომ ისინი მაშინ წარმოიშებიან, როდესაც ათობით მილიონი აღმინი იმ დასკანამედ მიდის, რომ ახე ცხოვრება ამიერეთის დაჯო შეიძლება“.

(ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 7).

პარტია და საბჭოთა მთავრობა ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შემდეგაც მტკიცედ იცავდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმს, ყოველთვის მხარს უჭერდნენ როგორც მოკალურად, ასევე მატერიალურად იმ ხალხებს, რომ-

ლებიც იბრძოდნენ სოციალური პროგრესისათვის და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. საბჭოთა სახელმწიფომ დიდი დახმარება გაუწია ესპანეთის მშრომლებს გენერალ ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც სურდა ესპანეთში დემოკრატიული რეჟიმის ლიკვიდაცია და ფაშისტური დიქტატურის დამყარება. დემოკრატიული ძალების დამარცხებისა და ქვეყანაში ფაშისტური ტერორის გამყვების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ სიკვდილისაგან ისხნა ათი-ათასობით ესპანელი — ბავშვი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი. გადმოიყვანა ისინი ჩვენს ქვეყანაში და მისცა მათ განათლებისა და მუშაობის საშუალება, შეუქმნა აღმოსავლური ცხოვრების პირობები.

მეორე მსოფლიო ომში სწორედ პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ გაიღო ყველაზე მტკი მსხვერპლი კაცობრიობისათვის ყველაზე საშიში მტრის ფაშიზმის განადგურების საქმეში. საბჭოთა სახელმწიფომ ფაშისტ-დამპყრობლებისაგან გაათავისუფლა არა მარტო თა. ვისი ტერიტორია, არამედ გადამწყვეტი როლი ითამაშა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ბოლოვრელთა ბატონობისაგან ხსნის საქმეში. საბჭოთა სახელმწიფო ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც დიდ დახმარებას უწევდა და უწევს იმ ქვეყნებსა და ხალხებს, რომლებიც დაღვინეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის გზას.

ბურჟუაზიული სამყაროს მმართველ წრეებს არ მოსწონთ საბჭოთა სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა, მიანათ იგი სხვის საქმეებში ჩარევადა, „რევოლუციის ექსპორტად“. ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს განსაკუთრებით მძაფრი იერში მიაქვთ პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პოლიტიკაზე.

მაგრამ საყველთაოდ ცნობილა, რომ სოციალისტური თანამეგობრობაში სახელმწიფოთა სუვერენული უფლებების არავითარი ღარღვევა არ ხდება, არაგან არ განიცდის არავის შეგავლენას, დაწოლას. პირიქით, სუფევს სრული თანასწოროდებლობა, ერთმეორის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა, სუვერენატეტი. თითოეულმა ქვეყანა სრული ბატონ-პატრონია თავისი გარეგნუც საშინაო, ასევე სავარგო პოლიტიკისა. მაგრამ სოციალისტური ქვეყნების მმართველა — კომუნისტური და მუშათა პარტიები კარგად გრწობენ, რომ აწრთა გაზარება და საერთო პოზიციების შემუშავება სოციალშინა და კომუნისმის განვითარების საკითხებზე.

გორის გუბელნიკი პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმში საბჭოთა სახელმწიფოს, საბარემო კოლმტიკის პრინციპი



ძმური ურთიერთდახმარება, სოლიდარობა კი არ ლახავს სოციალისტური თანამეგობრობის ამა თუ იმ ქვეყნის უფლებრივ მდგომარეობას, არა. მედ ანშტაციებს და აძლიერებს მის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას. მაგალითად, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის ზრდა 1971-1975 წლებში მნიშვნელოვნად ჰარბობდა კაპიტალიზმის ქვეყნების განვითარების ტემპებს. თუ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სამრეწველო წარმოება დროის ამავე მონაკვეთში გაიზარდა 47 პროცენტით, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი იგი 9 პროცენტით გაიზარდა.

1970 წელთან შედარებით 1976 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში სამრეწველო წარმოება გაიზარდა 156 პროცენტით, მრეწველობის მხრივ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი 117 პროცენტით. ამჟამად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები აწარმოებენ ორჯერ მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე „საერთო ბაზრის“ ქვეყნები.

მრეწველობის ზრდისთან ერთად იზრდება სოფლის მეურნეობაც, მაგალითად, 1971-1975 წლებში, წინა ხუთწლეულთან შედარებით, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გაიზარდა 14 პროცენტით. ასლა ეს სახელმწიფოები აწარმოებენ მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მესამედს.

სოციალისტური ქვეყნები ჯობნის კაპიტალისტურ ქვეყნებს ეროვნული შემოსავლის ზრდის მაჩვენებლებითაც. მაგალითად, 1976 წელს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში ეროვნულმა შემოსავალმა მოიმატა 5,5 პროცენტით, ევროპის ეკონომიკური განვითარებას ქვეყნებში კი — 4 პროცენტით.

სახალხო მეურნეობის ზრდის კვალობაზე იზრდებოდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მშრომელთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონე.

ასე რომ, სოციალისტურ ინტეგრაციას, თანამეგობრობას ოდნავ არ შეუბღალავს სოციალისტური ქვეყნების ავტორიტეტი არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკის საკითხებში, პირიქით, ხელი შეუწყო ამ ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას, განვითარების დონის ერთობლივ ზრდას, საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას. საკითხებზე აზრთა გაზიარებას საერთო პოზიციების შემუშავება სრულებით არ ნიშნავს ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ოდნავ შელახვას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ სოციალიზმის მშენებლობა ამ ქვეყნებში საერთო

კანონზომიერებებთან ერთად თითოეულ ქვეყნისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება. არავინ არ კრძალავს ამ თავისებურებებს, პირიქით, კომუნისტებს მიანიჭათ, რომ საერთო კანონზომიერებებისა და თავისებურებების სწორი შეხამება უფრო მყარ ხდის კომუნისმის მშენებლობის საქმის ამა თუ იმ ქვეყანაში.

ამდენად, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი არ ნიშნავს უთანასწორობას, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის საშინაო საქმეებში ჩარევას, ამა თუ იმ სახელმწიფოს სუვერენიტეტის შელახვას, პირიქით, იგი დემონსტრაციაა თანასწორუფლებიანობის, ძმური ურთიერთდახმარების, სუვერენიტეტის დაცვის, პატივისცემის, მეგობრულ კავშირ-ურთიერთობის. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომლის მნიშვნელობის შესახებ ზედ ზემოთ ვისაუბრეთ, სარკეა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების ცხოვრებაში გატარებისა.

ბუნურაზღაო იდეოლოგიები არც იმაში არიან მართალი, როდესაც აცხადებენ, რომ სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ეს არის „რევოლუციის ექსპორტი“, ამა თუ იმ ქვეყნისათვის მათთვის არასასურველი წყობილების ძალით თავს მოხვევა და სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი „რევოლუციის ექსპორტის“ წინააღმდეგია, იგი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვასწავლის, რომ სოციალისტური რევოლუცია ამა თუ იმ ქვეყანაში განპირობებული უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური წინამძღვრებით, ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებით, რომლებიც თვით ამ ქვეყნის წყობილების წიაღში მზადდება.

3. ი. ლენინმა მიწასთან გაასწორა რევოლუციის „წაბიძგების“ თეორიის მომხრეები ბრესტის ზავის პერიოდში. „ასეთი“ თეორია, — წერდა ის, — სრულიად წინააღმდეგი იქნებოდა მარქსიზმისა, რომელიც უოველთვის უარყოფდა რევოლუციების „წაბიძგებას“, რევოლუციებისა, რომელნიც ვითარდებოდა მათ წარმოშობა კლასობრივ წინამდგომბათა სიმწევას მომწიფებისა კვალად“. (3. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 66).

პროლეტარიატის ბელადი ასწავლიდა კომუნისტებს, რომ „რევოლუციები შეკვეთით არ ხდება, ამა თუ იმ მომენტს კი არ უფარდება, არამედ ისტორიული განვითარების პროცესში მწიფდება და იფეთქებს იმ მომენტში, რომელიც განპირობებულია მთელი რიგი საშინაო და საგარეო მიზეზების კომპლექსით (იქვე).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია,

მეორესთან დახმარებას, ხალხის კეთილდღეობის



ყველა ქვეყნის კომუნისტები ყოველთვის ერთ-
გულად იცავდნენ და იცავენ ვ. ი. ლენინის მო-
ძღვრებას; კომუნისტებს არ ესაუბრობათ „რე-
ვოლუციის ექსპორტი“. ბურჟუაზიულმა იდეო-
ლოგიებმა ამ უკანასკნელ პერიოდში „რევოლუ-
ციის ექსპორტის“ შესახებ ლაყბობა გააზმი-
რეს იმიტომ, რომ სურთ „გაღმა შეედავეს“
ლოზუნგით მიჩქმალონ კონტრარევოლუციის
ექსპორტი, სხვა ქვეყნებში თანამედროვე ტექ-
ნიკით შეიარაღებული იმპერიალისტური არმიე-
ბის შეჭრა, უდანაშაულო ხალხის ზოცვა-ჟღე-
რვა და სხვა.

სულ სხვა საქმეა დახმარება ხალხებისა და
ქვეყნებისადმი, რომლებიც იბრძვიან ეროვნუ-
ლი დამოუკიდებლობის, სოციალური პროგრე-
სისა და თავისუფლებისათვის. ვის შეუძლია უა-
რყოს იმ ღონისძიების, დახმარების პროგრესუ-
ლი როლი, რომელიც საბჭოთა სახელმწიფომ
პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინცი-
პების საფუძველზე განახორციელა ფაშისტთა
ბატონობისგან ევროპისა და სხვა კონტინენტე-
ბის ხალხების განთავისუფლების საქმეში. ჩე-
ხოსლოვაკიის პრეზიდენტი გ. ბუჟაკი საბჭოთა
კავშირის ამ დახმარების მნიშვნელობას რომ
ეხებოდა, წერდა შემდეგს: „საბჭოთა ხალხსა
და მის არმიას რომ არ ებრძოლა და მსხვერ-
პლი არ გაედოთ მეორე მსოფლიო ომის დროს.
ეგრე განთავისუფლებოდნენ ეგრე ჩეხოსლოვა-
კიის ხალხები და ეგრე ევროპისა და მსოფლი-
ოს ბევრი ხალხი“.

ტ. შიკოვი ამ დახმარების მნიშვნელობის შე-
სახებ ბულგარეთის სოციალისტური რევოლუ-
ციის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო
სხდომაზე სოფიაში 1969 წლის 8 სექტემბერს
აღნიშნავდა: „25 წელი გავიდა აქაყებულმა ბუ-
ლგარელი ხალხისა და დიდი საბჭოთა არმიის—
განთავისუფლებელთა არმიის მეომრების, გეო-
რგიების დაუვიწყარი შეზედვრის შემდეგ, რომ-
ლებმაც გაანადგურეს მიტლერელთა ურდოები
და მოუახლოვდნენ რა ჩვენს საზღვრებს, შე-
ბოქვს და მოსაღეს ბულგარეთის ბურჟუაზიის
ძალები და ფასადებლობისა, გაღაწყვეტილ დახ-
მარება გაუწიეს 9 სექტემბრის ძველამოსილ
სოციალისტურ რევოლუციას ბულგარეთში“.

საბჭოთა სახელმწიფომ დიდი მორალური და
მატერიალური მხარდაჭერა გაუწია აზიის, აფრი-
კისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებს ეროვ-
ნული დამოუკიდებლობისა და სოციალური
პროგრესისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირ-
მა დაიცვა დასავლეთის ნახევარსფეროში პი-
რუელი სოციალისტური სახელმწიფოს — კუბის
თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რომელს
წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების
მმართველი წრეები გასუწყვეტლივ ცდილობ-
დნენ კონტრევოლუციის ექსპორტის განხორ-
ციელებას.

სოციალიზმის დაცვა ამა თუ იმ ქვეყანაში
არა მარტო საკუთრივ ამ ქვეყნის, არამედ სო-
ციალიზმის მსოფლიო სისტემის ხალხთა ინტე-
რნაციონალური მოვლეობაცაა. უფრო მეტიც.
ვ. ი. ლენინი სოციალისტურ მონაპოვართა და-
ცვას მოითხოვდა არა მარტო იმ ქვეყნის მშრო-
მელთაგან, სადაც სოციალიზმი შენდებოდა, არამედ
მსოფლიო პროლეტარიატისაგანაც. საყოველთა-
ოდ ცნობილია, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანი-
ჭებდა ვ. ი. ლენინი იმ დახმარებას, რომელიც
საერთაშორისო მსოფლიო პროლეტარიატის
რუსეთის მშრომელებს გაუწია ოქტომბრის მო-
ნაპოვართა დასაცავად 1918-1921 წლებში. მაგ-
რამ ისიც ცნობილია, რომ არც ჩვენი ქვეყანა
დარჩენილა ვალში საერთაშორისო მუშათა მო-
ძრაობის მიმართ. „მას შემდეგ, რაც ჩვენმა პა-
რტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება,
და მას შემდეგ, რაც პარტიამ მიიღო რეალუ-
რი ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულე-
თა უფლის ლოკედაციისათვის, მოძმე პარტიე-
ბის წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცე-
ბული იყვნენ ჩვენი პარტიის სიამაყითა და
წარმატებით, მსოფლიო რევოლუციური და
მუშათა მოძრაობის „დამკერდი ბრიგადა“
უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქამდნენ,
რომ „დამკერდი ბრიგადის“ წარმატებანი
მდომარეობას შეუშლუბუქებდნენ კაპიტალიზ-
მის უღელქვეშ მგზინავ ხალხებს... ჩვენმა პარ-
ტიამ გააშარტლა ეს იმედები, განსაკუთრებით
მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა სა-
ბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფა-
შისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა
და აზიის ხალხები ისწა ფაშისტური მონობის
საფრთხისაგან“ (ი. ბ. სტალინი, სიტყვა პარტიის
XIX ყრილობაზე, 1952, გვ. 8-9).

საბჭოთა კავშირი უანგარო დახმარებას უწე-
ვდა სამხრეთ ვიეტნამელ ხალხს მის სამართ-
ლიან ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტა-
ტების აგრესიის წინააღმდეგ. ამ ინტერნაციო-
ნალურ დახმარებას შედეგად მოჰყვა ის, რომ
მოხდა ვიეტნამელი ხალხის გაერთიანება, ერო-
ვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის
მონაპოვრების დაცვა. ამ დახმარების შესახებ
სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვ-
ნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრე-
ზიდენტის წევრმა ნგუენ ვან ხიუმ პარტიის
XIV ყრილობაზე აღნიშნა: „მოდლობას მოვა-
სხენებთ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარ-
ტიას, მთავრობასა და ხალხს თანაგრძნობისა და
მხარდაჭერისათვის, დიდად მნიშვნელოვანი და
ეფექტიანი დახმარებისათვის. ძმობა და საბრ-

გორის გუმბალიძე

ბრომბარაშლი, სოციალისტური ინტერნა-
ციონალიზმი საბჭოთა სახელმწიფოს სა-
ბარმო პოლიტიკის პრინციპი



ძალიან მეგობრობა ხუთ უფრო მჭიდროდ აკავშირებს ევტანამელ ხალხს საბჭოთა ხალხთან და ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რომ დღით-დღე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ჩვენი მეგობრობა და შეკავშირება" (გაზეთ "პრავედა", 1971 წლის 8 აპრილი).

საბჭოთა კავშირი ასევე უანგარო დახმარებას უწევს დღეს ანგოლის, ეთიოპიის თუ სხვა ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან „კონტრევოლუციის ექსპორტის“ წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის.

ასე რომ, დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი აწარმოებს სხვა მოძვე სოციალისტური ქვეყნებთან ერთად, პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ზნაზე, რადიკალიზმზე „რევოლუციის ექსპორტის“, ამა თუ იმ ქვეყნისადმი მათთვის არასასურველი რეჟიმის ძალით თავს მოხვევას, პირიქით, იგი ამ ქვეყნის ხალხის უმრავლესობას მიერ არჩეული პროგრესული რეჟიმის დაცვა კონტრევოლუციის ხელყოფისაგან.

საბჭოთა სახელმწიფო თავისი არსებობის პირველი დღიდანვე იცავდა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ასევე მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებს, რადგან მიაჩნდა ისინი თავისი საგარეო პოლიტიკის ამოსავალ პრინციპებად. ჩვენი ქვეყანა დღესაც პრინციპულად იცავს მათ. საბჭოთა მოაზრობას მიაჩნია, რომ „მშვიდობიანი თანაარსებობა ადამიანთა საზოგადოების განვითარების ობიექტური აუცილებლობაა. ომი არ შეიძლება იყოს საერთაშორისო დავის გადაჭრის საშუალება მშვიდობიანი თანაარსებობა ან კატასტროფული ომი — მხოლოდ ასე დაყენა საკითხი ისტორიაში“ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროკურამა, იხ. „სკკპ XXII ყრილობის მასალები“, 1962, გვ. 450). ამდენად, ორი მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა ერთადერთი სწორი საგარეო პოლიტიკაა. სხვა პოლიტიკას კი შეიძლება მოყვდეს დამანგრეველი შედეგები კაცობრიობისათვის.

საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები და საერთოდ კომუნისტური ემპრობიან სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობას და პრაქტიკულად ყველაფერს აკეთებენ მისი განხორციელებისათვის. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უარს ამბობენ რევოლუციურ კლასობრივ სტრატეგიას და ტაქტიკას. საბჭოთა სახელმწიფო ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპით — არც „რევოლუციის ექსპორტი“ და არც „კონტრევოლუციის ექსპორტი“. მაგრამ თუ რომელიმე ქვეყნის კონტრევოლუციური ძალები პირობები გამოიწვევენ რევოლუციას და პროგრესული ძალები ხელში აიღებენ ძალაუფლებას, მაშინ საბჭოთა კავშირი სიმშაბიბეა ამ ძალთა მხარეზე იყო და იქნება. ამასთან ერთად, საბჭოთა სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობს დაიცვას ეს ქვეყნები კონტრევოლუციის შემოტევისაგან.

ასე რომ, პროლეტარული, სოციალისტური, ინტერნაციონალიზმი არ ნიშნავს სხვის საქმეებში ჩარევას, ამა თუ იმ ხალხისათვის მათთვის არასასურველი რეჟიმის ძალით თავს მოხვევას, პირიქით იგი ხალხის მიერ არჩეული პროგრესული რეჟიმების მხარდაჭერაა. ამდენად, ასეთი პოლიტიკა სრულებით არ უშლის ხელს სხვადასხვა სისტემის მქონე სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განხორციელებას. ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს არასწორად ესმით სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება.



რეპე ჩხარტიშვილი

ძმობის ხიდი

სომხური ლიტერატურის ჩინებული მცოდნის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ბონდო არველაძის წინამდებარე მონოგრაფია ავტორის მრავალი წლის ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგია. ნაშრომის პრობლემა იშთავითვე გამოკვეთილია — მოძმე სომხეთის უფალსაჩინოესი მწერლების ხ. აბოვიანის, გ. სუნდუკიანისა და ოვ. თუმანიანის ლიტერატურული მემკვიდრეობის მკილრო კავშირის ნათელყოფა ქართულ სინამდვილესთან, ქართველი საზოგადოების გულმხმრველად სიყვარულის გამოხატვა მათდამი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის მეცნიერულ გაშუქებას ორი ძირითადი მიზანი აქვს: 1) ქართველი და სომეხი ხალხების ძმური კულტურული ურთიერთობის ახალ პლანში წარმოჩენა და 2) ქართული ლიტერატურათმცოდნეობის კიდევ ერთი საინტერესო მონოგრაფიით გამდიდრება.

მართალია, ქართველი და სომეხი ხალხების კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობაზე არაერთი ნაშრომი შექმნილა როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე, რასაც თვითონ ბ. არველაძეც კეთილხინდისიერებით ასახელებს და იმომწმებს თავის მონოგრაფიაში, მაგრამ სარცენსოო წიგნის ავტორი ახლებური თვალთახედვით იღრმავებია აღნიშნულ პრობლემას, გულდასმით შეუხწავლია ამ პრობლემის ირგვლივ გამოქვეყნებული ლიტერატურა, ხანგრძლივი შრომით თავად მიუღწია და აღმოუჩინა უცნობი მასალები და უხიზელი ანალიტიკური განსჯით ახალი დასკვნები და დებულებები გაუკეთებია. ამ მცირე რცევნაში ძნელია კონკრეტული მაგალითებით ცხადყოფა ავტორის სერიოზული შრომის შედეგები (მაგ. ხ. აბოვიანის შემოქმედების მისეული ანალიზი, გ. სუნდუკიანის კომედიების ირგვლივ თანამედროვეთა შეხედულებების კრიტიკული ანალიზი, უცნობი ფაქტებისა და მას-

სალების მოტანა, ზოგიერთი თარიღის დაზუსტება და მრავალი სხვ.), მაგრამ შეუძლებელია ზოგადად მაინც არ შევხვთ ნაშრომის ცალკეულ თავებს.

ხაჩატურ აბოვიანი თავისებური მოვლენაა სომხური ლიტერატურის ისტორიაში. თავისი შემოქმედებით იგი სათავეს უდებს სომხური მწერლობის ახალ ეტაპს და საფუძველს უყრის ახალი სომხური ლიტერატურის განვითარების ისტორიას. ბ. არველაძე, თავისი ქართველი და სომეხი კოლეგების მეცნიერულ-კრიტიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით, ცდილობს თავისებურად განიხილოს ხ. აბოვიანის შემოქმედების ის ნიშნულები, რომელთა თემა ქართულია, ქართული სინამდვილეა ასახული. მაგრამ ავტორი, განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც იმ ნაწარმოების ანალიზს უთმობს, რომელსაც გამოირჩეული ადგილი უჭირავს არა მარტო ხ. აბოვიანის შემოქმედებაში, არამედ მთელ სომხურ ლიტერატურაში. ეს გახლავთ „სომხეთის ქაილოები“. ეს რომანი არის აგრეთვე პირველი სომხური რეალისტური ნაწარმოები, რომელშიც ფართოდ აისახა მშრომელი ხალხის თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

საფუძვლიანი გამოკვლევაა მონოგრაფიის მეორე თავი „გაბრიელ სუნდუკიანი“. ამ თავზე დიდი ხანია მუშაობს მეცელეარი. ჭერ კიდევ ამ ორი წლის წინათ (1976 წ.) ცალკე გამოაქვეყნა გამოკვლევა ქართულ და სომხურ ენებზე „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული სინამდვილე“. არსებობდა ეს შრომა წარმოდგენილია წინამდებარე წიგნში, რა თქმა უნდა, უფრო გავრცობილი და გაღრმავებული. ავტორი, უფრო მეტი სიღრმით შეისწავლის დიდი სომეხი დრამატურგის ცხოვრებისა და შემოქმედების ხანგრძლივ გზას, საფუძვლიანად აანალიზებს მის ყველა მნიშვნელოვან



ნაწარმოებს, ადგენს და აშუსტებს სადავო თარიღებს, ცდილობს სიცხადე შეიტანოს „პეპოს“ ავტორის ცხოვრების ზოგიერთ ფაქტში, ხაზს უსვამს გ. სუნდუკიანისა და ა. წერეთლის მეგობრულ ურთიერთდამოკიდებულებასა და უანგარო პატივისცემას.

ასევე ქართულ წიაღშია აღწარილი მოძმე სომხეთის სახელმწიფო შვილი. გამოჩენილი პოეტი და სასიქაღულო მამულიშვილი ოვანეს თუმანიანი. მისი მხატვრული ნიჭი და შემოქმედებითი უნარი საქართველოში გაიშალა, აქ შექმნა მან თავისი უკუდავი ნაწარმოებები, რომლებმაც განსაკუთრებული ადგილი დაუშვედრეს სომხური ლიტერატურის ისტორიაში. საქართველოში აღწარილმა და დედაცაყებულს, შემოქმედებითი ცეცხლით ანთებულს, საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თავდადებულს, ბუნებრივია, ახლო ურთიერთობა და მეგობრული კავშირი ჰქონდა თავისი დროის მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან. ყველა იმ კონკრეტული მასალის შეკრება და გაანალიზება, რომელიც ნათელყოფდა ოვ. თუმანიანის მოღვაწეობას ქართველთა და სომეხთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, ცხადია, მონოგრაფიის ავტორისაგან დაუღალავ შრომას მოითხოვდა.

სწორედ ამ დაუღალავი კვლევების შედეგია, რომ ნაშრომის ეს თავი, ისევე როგორც დანარჩენი ორი თავი, უზეო ფაქტობრივი მასალებითაა გამდიდრებული.

ამასთან, შეუძლებელია კერძო ხასიათის რამდენიმე შენიშვნა არ გამოვთქვათ წიგნში გაპარული შეცდომების გამო. 1) ბ. აბოვიანის შემოქმედების მიმოსილვისას „სომხეთის ქრილობების“ დაწერის თარიღად ერთგან (გვ. 44) აღნიშნულია 1841 წელი, მერეგან (გვ. 46) — 1840 წელი შესამეგან (გვ. 38) ავტორი რომა-

ნის დაწერის დასასრულად 1849 წელს¹ რაც უთუოდ კორექტორულ შეცდომად უნდა წიგნიწიოთ, ვინაიდან ბ. აბოვიანის გარდაცვალების თარიღი (1848 წ.) ავტორის თავის ადგილზე (გვ. 18) აღნიშნული აქვს. 2) გ. სუნდუკიანის კლასის ამხანაგების ჩამოთვლისას ავტორი ასახელებს „ი. ჭავჭავაძეს“. როცა XIX საუკუნისთან გვაქვს საქმე, ქართველი მკითხველი „ი. ჭავჭავაძეში“ უსათუოდ ილია ჭავჭავაძეს წარმოიდგენს, რომელსაც ყოვლად შეუძლებელი იყო გ. სუნდუკიანთან ერთად ესწავლა (სუნდუკიანი 12 წლით უფროსი იყო ილიაზე). მაგრამ შორეული თარიღების ასე ზუსტი ცოდნა, ვეჭვობ, ზედმისაწვდომი იყოს მკითხველთა ფართო წრისათვის. ნაშრომში დასახელებული „ი. ჭავჭავაძე“, იასე ჭავჭავაძე. სიცხადისათვის საჭირო იყო ინიციალის გაშლა. ჩემი აზრით, ამას აქვს არსებითი მნიშვნელობა. 3) ასევე, ყოვლად დაუშვებელია ლიტერატურული პერსონაჟის წარმოადგენა ინიციალით. ნაშრომის ავტორი კი მრავალგან ხმარობს „გ. ზამზახოვი“, „გ. მასისიანცი“ („სათაბლას“ პერსონაჟები), „ივ. დიდებულოძე“ (გ. ერისთავის „გაყრის“ გმირი). ერთი წუთით წარმოვიდგინოთ და ვინმემ გვისხენოს „მ. გ. ტრატკოვი“. ამ ინიციალებით საეჭვოა მიყრტმე გასპარიჩი მოგვაგონდეს.

მიუხედავად ჩამოთვლილი ლაფსუსებისა, საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ბ. არველას წინამდებარე წიგნი, რომელიც დაწერილია ძარღვიანი ქართული ენით, წარმოადგენს პირველ ცდას ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემის ფართო მასშტაბით შესწავლისა. ამიტომ სასურველია ამ წიგნის თარგმნა სომხურ და რუსულ ენებზე, ვინაიდან იგი ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ძმობის კიდევ ერთი ქეშმარიტი კულტურული ხილია.





ნიწო გეტჰუვილი

მამია მალაზონია

რთულისტა და, იმავდროულად, იოლიც მამია მალაზონიას შემოქმედებითი ბიოგრაფია. აი, ჩვენს ხელთაა ამონაწერი კრებულიდან „თეატრის მხატვრები“: „მამია მალაზონია (დაბადების წელი — 1936) თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის თეატრალურ-დუორაციული განყოფილების (პროფესორ ლაფიაშვილის კლასი) სრულ კურსს 1961 წელს ამთავრებს და ამავე წლიდან მუშაობს კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“. 1967-დან 1969 წლამდე რუსთავის დრამატული თეატრის მთავარი მხატვარია. 1969 წლიდან — მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარი“ და 1976 წლიდან ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარი, — დავძენთ ჩვენ.

საკუთარ პროფესიაზე საუბრისას მამია მალაზონია თავის შემოქმედებას არც თეატრალურ სცენებსა და წიგნთა გამოცემებში მოღვაწეობად ყოფს და არც რომელიმეს ანის. კებს უპირატესობას. მის მიერ ილუსტრირებულ წიგნთა სია ისევე დიდია, როგორც სპექტაკლებისა და რაღა თქმა უნდა, ცალკეულ პუნქტებში პარალელის გავლებაც შეიძლება, ვთქვათ, საბავშვო წიგნებისა და ოპერის „ბაქია კურდღელი“ გაფორმების შედარება. მით უფრო, რომ თეატრალურ დეკლარაციასა და ილუსტრაციას მრავალი საერთო ნიშანი აქვს: ორივე გაფორმების ხელოვნებაა იქაც და აქაც, ამგვარი მსგავსების მიუხედავად, სხვაობა იმ-

დენად მნიშვნელოვანია, რომ სრული უფლებებით გვეთქმის — მფლობელი ამ ორი ხელოვნებისა, ორი განსხვავებული პროფესიის მფლობელიცაა.

ძირითადი დასკვნა მალაზონიას თეატრალურ შემოქმედებაზე ასეთია: მისთვის არ არსებობენ და არც შეიძლება არსებობდნენ მზარცებები, მტკიცედ შემუშავებული სერხები; ყოველი სპექტაკლი კვლავ იბადება, ყოველი ახალი პიესა ოსტატს საკუთარ კანონებს და ამოცანებს კარნახობს. მხოლოდ ცხოვრებისეულ დავიკრებათა დიდი მარაგით, მხატვრული ფორმის თავისუფალი ფლობით, ალღოთ და საზრიანობით შეიძლება ამ ამოცანათა დაძლევის ერთადერთი საჭირო ვარიანტის მიკვლევა. ამასთან, თეატრის სპეციფიკის ყოველ წვირამანსაც უნდა იყოს ნაზიარევი, რამეთუ თეატრში მხატვრის უპირველესი საზრუნავი, მის მიერ ორგანიზებულ სცენურ სივრცეში, სპექტაკლის მოქმედების პარამონიული მსვლელობაა. მაგრამ მალაზონიას დეკორაციები მხოლოდ მშვენიერი მოწყობილობა როდია მსახიობთა თამაშისათვის, მხოლოდ გარეგნულად როდი შეესატყვისება დრამატურგის რეჟარებს. მხატვარი ცდილობს ესკიზებში თავისი დამოკიდებულება ასახოს პიესისადმი, შექმნას გიგანთა საცხოვრებელი განწყობა და ატმოსფერო.

დრამატურგიული ნაწარმოების უანრი და სახე ასევე განსაზღვრავს მთელი სისრულით მათთვის შესატყვისი მახასიათებელი საშუალებების არჩევანს. ამიტომ, ბუნებრივია, რომ პ. კა-



კაზაქის ისტორიული კომედიის „კაზაქების ხმა-
ლა“-ს გაფორმება მხატვრის მიერ სულ სხვა
ასპექტშია გადაწყვეტილი, ვიდრე, ფაქტობრივად,
ისეთი მონუმენტური მუსიკალური ნაწარმოე-
ბისა, როგორიცაა „მინდია“. ბელორუსიის სსრ
ოპერისა და ბალეტის დიდი თეატრის სცენაზე
დადგმულ ო. თაქთაქიშვილის ოპერის გმირთა
კოსტუმების ესკიზებში მალაზონია ყოფითი სა-
მოსის დუბლირებას კი არ ახდენს, არამედ პე-
რსონაჟთა სახეების მისეულ გაგებას იძლევა და
მთ ტიპურებს ქმნის. ამგვარადვე იმუშავა მან
ფილმზე „დიდოსტატის მარჯენა“, რომელშიც
საქმეს მოქმედ პირთა სიმრავლე და დოკუმენ-
ტური მასალის მინიმალურობა ართულებდა.
კვლავ და კვლავ ვრწმუნდებით თუ როდენი
მნიშვნელობა აქვს მხატვრისათვის ფანტაზიას.
სცადეთ, კარგად განვითარებული წარმოსახვის
გარეშე, მხოლოდ საყუთარ, თუნდაც პრეტენზი-
ულად ნაწრთობ, მესხიერებაზე დაყრდნობით.
შექმნათ რომელიმე ზღაპრული პერსონაჟის კო-
სტუმი.

სივრცის გამაზივებელმა გრძნობამ და სპე-
ციფიკური არქიტექტურის ცოდნამ შეაძლებინა
მხატვარს დანახა, რუსთაველის სახელობის
თეატრში 1968 წელს დადგმული, სპექტაკლ
„ხანუშას“ გაფორმების ახალი შესაძლებლობა.
მალაზონია გრაფიკის ძალას გრძნობს და
პირველქმნილ ვარიანტში მხიარული ანაგაფი-
ცებით გატოცბლებულ დეკორაციებს სიბრტყეზე
წყვეტს. ოსტატის ვირტუოზულობა სცენაზე შე-
იძლება მომქანცვად ფორმალურ მომენტად
ქცეულიყო, იუმორის მისეული გრძნობა რომ
მავურებელს მთელი სპექტაკლის განსხვავდავი
ბრწყინვალე კომედიურობისა და ელვარე მზა-
ვრობის ატმოსფეროში არ ძირავდეს. მოგვია.
ნების იგი გაფორმების დამატარალურად საბა-
რისპირო გზას დაადგა: დეკორაციებს უკვე
მთლიანად არქიტექტურულ-მოცულობითი ხა-
სიათი აქვთ და წარმოადგენენ პირობითს, საერ-
თო კონსტრუქციით ნახევარწრიულ ნაგებობას,
დეტალებში რომ ასოციაციით ძველი თბილისის
არქიტექტურის სახსოვს უკავშირდება. შესაძ-
ლებელია შევიდეთ მასში, შეაძლება ყოველი
მხიარულან გაქვირტოთ იგი და ყოველივე ეს
აქტიურად მოზანსცენების უმკვეთრესი აგე-
ბის იმუშაულებას იძლევა. მოქმედების ადგილია
ცალკე ადგილად მიაღწევა დამატებითი ფორმე-
ბის შემოტანით. ნაგებობის კონსტრუქცია მკა-
ცრა: ზოგჯერ მთლიანობა და განსჯადებით
გამორჩევა. მ. მალაზონიას დეკორაციები კვე-
რის დაკვრა თეატრის ცნობილი სახეობა მხა-
ტვრის ვ. შესტაკოვის იმ დახვნიხა, რომ „ზი-
ზილი-პიპილი ჩაცმულობაში ჭიბის სიღარიბეა,
თეატრში კი — აზრისა“. მათში მხოლოდ ხაზის
მანძილზე იმედი წვრილმანებია და არაფერი შე-
დმებთ.

ზ. ფალიაშვილის ოპერის „ახალაშაშა“
ეთერი“-ს ახალი დადგმით გაიხსნა სეზონი. მხატ-
ვრისა და ბალეტის თეატრის განაწლებულ შე-
ნობაში.

უდაოა, რომ კლასიკური ნაწარმოების გაფო-
რმება საპატიოცაა და ძნელიც მხატვრისათვის,
რადე თქმა უნდა, ძნელია გააფორმო ახალ-
ნაწარმოები პირველად, მაგრამ უმეტეს ძნე-
ლია კლასიკის მართლ თანამგზავი აზროვნე-
ბის სტრუქტურითა და წარმოდგენათა ნაირსა-
ხეობებთან შევიდება. უკვე განხორციელებულ
დადგმათა სხვანაზე დამყარებული, თავისი და-
სრულებული წარმოდგენა აქვს ზ. ფალიაშვი-
ლის ოპერის დამფასებელთა დიდ უმეტესო-
ბას და, სავსებით ბუნებრივია, რომ ამ მზა წა-
რმოდგენისაღმდეგ შეუსატყვისამ დეკორაცი-
ებმა ცხარე კამათი განაპირობა. მალაზონიას მი-
ზანი განმეორებათაგან განდგომა და კვლავ და
ყოველგვარი გზით თვითგამოხატვის თავისი ავ-
ტონომიური უფლებების შენარჩუნება როდ-
იყო; მან მხოლოდ კლასიკის საყუთარი გაგება
წარმოგვიჩინა და ამ გაგებაში მისი მსოფლმე-
დველობის ბუნებრივი ასახვა მოხდა.

სპექტაკლის გაფორმებაში მხატვარმა სცენა-
ზე ხის დიდი კონსტრუქცია შემოიტანა —
მოხილური და თავისი მასიურობის მიუხედა-
ვად, ფორმით იოლად ცვალებადი. სპექტაკლის
მსვლელობისას ამ კონსტრუქციის ტრანსფორმა-
ცია ისე უბრალოდ და თავისთავად ხდება მაყუ-
რებელთა თვალწინ, რომ ოინზაზრობის უმნიშ-
ვნელო ელემენტიც კი გამოირცხულია. ყოველ
მოქმედებაში კონსტრუქცია ერთიანი ფერწე-
რული ორხვით იფარება, რომლის პირობი-
თობაც სპექტაკლის გაფორმების საერთო გან-
წყობის შესატყვისია. ამგვარი ურვეულო ხერ-
ხით შეათავსა მან დეკორაციის ფერწერული
და პლასტიკური მხარეები. ცხადია, შეიძლება
ცალკე ფერწერის აღწერაც. იგი ერთნაირად
მშვენიერია დეკორაციულ ესკიზებშიც და
სცენაზეც: მთიანი ტყის მწკანე მცენარეული
ორხვით პირველ მოქმედებაში, საღვთსაწაუ-
ლოდ მოოქროვილი — ზეორეში (შენობათა
სილუეტების ჩგლეფასა და ალიაქოთში რომ
მხიარული ფერხულის რიტმი ჩაგვხმის) და
უკანასკნელში — სეფლიან, ახასმისეფარ ტო-
ნთა უფანქისეი გაზა (მუხანე აქტირ, მუსიკათან
ერთად გლოვობენ თაღვანი არქიტექტურის
განმეორებადი ფორმები, მეოთხეში კი აბურბ-
გნულნი ყალყზე დგებიან ტრაგედიის წინას-
წარმეტყველნი). დიახ, სპექტაკლის დასრულე-
ბული მხატვრული გააზრება ემოციურიცაა და
ლოგიკურიც.

ვიყოთ თანმიმდევრულნი, რაკილა დეკორა-
ციების ფორმალურ ელემენტებად დანაწევრება
ვითავეთ ფერწერულის მსგავსად, ოღონდ
უმეტეს, პარადოქსულია სპექტაკლის ვრცო-



ული კომპოზიციები. საქმე ისაა რომ მ. მაღალაშვილი ამტკიცებს სივრცის ჩვენთვის უჩვეულოდ — ვერტკალურად წარმოგვიდგენს სცენის მთელი სივრცის შემცვენი კონსტრუქცია. თვით სცენად იქცევა, მისი „საფეხურები“ კი — სცენის მოედნებად. ასეთი დასკვნა აუცილებელია, მაგრამ მისი ლოგიკა, მისი არსებობის მართებულობა მხოლოდ მასზე მცხოვრებმა, მასზე მოთამაშე მხატვრობა უნდა გაამართლოს, სწორედ ეს ხდება სპექტაკლში და დიალოგის ოპერაში უნდა წარმოვინახოთ ნახიური სცენების განსაკუთრებით მომენტები, რომელთა მიზანსცენირება ყოველთვის განსაკუთრებულ სირთულეს ქმნის ოპერის დამოუკიდებლობის ამრიგად, გაფორმების ფორმალური გამოშსახელობის უნივერსალის მიუხედავად, მხატვარი ადრევე ძირითადს — სპექტაკლის ყოველი ელემენტის ურთიერთდამოკიდებულებას.

სურათების „წამები“ წმინდისა შუშანიკისა“ 1500 წლისთვის აღსანიშნავად „სასტოთა ხელოვნება“ აწვადებს მის ხაიუბილდო გამოცემას რვა ენაზე. მ. მაღალაშვილი შექმნა შთამბეჭდავი ილუსტრაციები. სამწუხაროდ, მოკლე მიმოხილვაში არ ძალგვადს გავანალიზოთ თითოეული მინიატურა ცალ-ცალკე. მათში ძნელია გამოჩენილის მიკვლევა. მთელი სერია იშვიათი მთლიანობითა და დონით გამოირჩევა; ყოველ მათგანშია ემაღის მსგავსი ძველი ბელოვნების ძვირფასი ძეგლთათვის ნიშანდობლივი სრულყოფილი სისრულე. თქმა არ უნდა, სტილიზაცია, სტილიზაცია ნაკარნახევი წყაროსადმი ტაქტიკური დამოკიდებულებით, ლიტერატურული ძეგლისადმი ზრუნვით. ამასთან, მ. მაღალაშვილი წამითაც არ იფიქრებს რომ, იგი გამოვრჩეულია. მისი ნაწარმოები არტისტშითა და სივრცის ფლობის იშვიათი კომპოზიციური უნარით ადგავთოვანებს, რაიც სტილიზაციის პირობებში, პროფესიულ სერბთა განსაკუთრებულ გამოყენებასთან ერთად, კულტურის ისტორიის ღრმა ცოდნასაც მოითხოვს.

ძველქართულ ლიტერატურას მ. მაღალაშვილი აღრც — „რუსულანაის“ გამოცემაზე მუშაობის პროცესშიაც ასურათებდა. განსაკუთრებით გვსურს აღვნიშნოთ ინტერპრეტატორული უნარი მხატვრისა, რომელიც „რუსულანაისა“ და „წამების...“ ილუსტრირებისას თითქმის იგივეობრივ პრინციპს იყენებს და მაინც, ლიტერატურულ მასალაზე დაყრდნობით, მათი სტი-

ლის მარჯვ დიფერენციაციას აღწევს თუ არა მ. მაღალაშვილის იმავე მკაცრ ჩარჩოებში მოთავსებული, გაცილებით გვიანი პერიოდის „რუსულანაის“ ილუსტრაციები უფრო სისხლსავსენი და „მიწიერი“ არაა, მინიატურები „მუშანაის წამებისათვის“ (ფერით, ხაზით, მხატვრულ კომპონენტთა მთელი არსენალით) უმაღლესი, თითქმის რელიგიური განსულებების ერთგვარი მატერიალიზაციაა.

მ. მაღალაშვილის გრაფიკულ ნაშრომებს, როგორც თეატრში, გამოშსახელობის საქმოდ დიდი აშალირება აქვს და „მაღალი შტრის“ ქმნილებაში მის შემოქმედებაში ძალდაუტანებლად სერობლობენ უდაოდ კომპიური იერის კომპოზიციებთან. მიაშტობა და ირონია შექსპირის „ორი ვერონელის“ ილუსტრაციების მხაღვრელი. ამ შავ-თეთრი ილუსტრაციების გამოშსახელობის ძირითადი საშუალება ენერგიული ხაზი და მასრი, თითქოსდა გამკვეთი შტრიხი. „დეკამერონის“ კომპოზიციები შუასაუკუნეების გრაფიკურებს მოგვაგონებენ, სერბის კი წინ უძღვის თეატრ „გლობუსის“ ფონზე წარმოჩენილი შექსპირის პორტრეტი ამრიგად, მხატვარი წინასწარ სთავაზობს მკითხველს წესებს თამაშისა, რომელიც შემდეგ საინტერესო ისტორიად იქცევა. ამ ნაშრომებში მაღალაშვილი იოლად დაძლია შექსპირის იტალიური პიესების ილუსტრატორთა წინაშე მარად-ეამს მდგარი ურთულესი ამოცანა, რომელიც პიესათა მოქმედების ადგილის — იტალიისა და შექსპირის თეატრისდროინდელი ინგლისის შეთავსებაში მდგომარეობდა და რაც თავიარა. ვერავითარმა რემინისცენიამ ვერ დააბრკოლა მხატვარი შეიქმნა პიესისადმი თანამედროვე, მწვავე, მხიარული და თავისთავადი კომენტარები.

დასასრულს, მინდა დავძინო, რომ მ. მაღალაშვილის შემოქმედება, ჩვენი გაგებით, კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას იძენს: მისი ბოლოდროინდელი ქმნილებანი მოწმობენ, რომ მაღალაშვილი-გამოვრჩეული და ილუსტრატორი, უპირველეს ყოვლისა, მხატვარი-ინტერპრეტატორია — გონიერი, ღრმა, ნიჭიერი, პროფესიონალი. მ. მაღალაშვილის მიერ გავფორმებული სპექტაკლები და წიგნები თუმცა უანობრივად და მხატვრული გააღწევებით, მეტაფორული სტრუქტურითა და შესრულების მანერით ნაირგვარია, ყოველ მათგანში მხატვარი მაინც ინარჩუნებს საკუთარი ტალანტისა და ოსტატობის მხაღვრელ, განუმეორებელ ინტონაციას.



მოქანდაკის სახე

... სომეხ მარაბლასთან ცისკენ ატყორცნი-
 ლა ცხრა სვეტი — ხალხის ხსოვნის უკვდა-
 ვობის ცხრა უტყვი დასტური. „აქ მარაბლის
 ბრძოლაში 1625 წლის 1 ივლისს სამშობლოს-
 თვის დაცვა მ ათასი ქართველი, რომელთა
 გმირობაც მამულის სიყვარულის სიმბოლოდ
 იქცა. ეს ძეგლი აიგო გმირთა უკვდავსაყოფად
 და ეწოდა მედროშეთა — ცხრა ძმა ზერხუ-
 ლიძის სახელი“, — გვამცნობს წარწერა მე-
 მორიალის შესასვლელთან. მარაბლის ტრაგე-
 დიიდან სამ-ნახევარი საუკუნის შემდეგ შექ-
 მნილი ეს ძეგლი თავის თავში მოიცავს არა
 მხოლოდ წარსულის ხსოვნას და წუხილს მომ-
 ხდარის გამო, არა მხოლოდ დღევანდელ დღე-
 ზე ფიქრს, არამედ მომავალსაც ეხმარება.

მაღალი და დიდად პასუხსაგებია ისტორიუ-
 ლი ძეგლის შემოქმედის ამოცანა, მაგრამ
 მოქანდაკისათვის ვისი მარჯვენითაც მარაბ-
 ლის მემორიალი შეიქმნა, ამოცანის სირთულე
 უცილობელ პირობად, მუშაობის მთავარ სტი-
 ლულად იქცა. რაც შეეხება პასუხისმგებლობ-
 ას, ეს საზოგადოდ ერთ-ერთი მთავარი ნიშა-
 ნაა მისი, როგორც შემოქმედის ხასიათისა.

მემორიალის შესაქმნელად (არქიტექტორები
 რ. კიკნაძე, შ. ყავლაშვილი) ავტორმა არქი-
 ტექტურის, ქანდაკებისა და ფერწერის სინ-
 თეზს მიმართა, მაგრამ ყველას თანაბარი მნი-
 შენელობა როდის მიანიჭა. თუ არქიტექტურა
 ფორმალური გამომსახველობის ძირითად აქ-
 ცენტრად იქცა, ხოლო ფერწერა შინაგან დეკო-
 რად იქნა გამოყენებული, იდეურა და ემოცი-
 ური ლატვირთვა მოქანდაკეს დაეკისრა. თე-
 მა, რომლის გაცოცხლებაც ავტორს სურდა
 (მარჯვენა თავად დამარცხებულა — ერთ-ერ-
 თი ურთულესია ხელოვნების ისტორიაში. ხან-
 უმძლევი, მტანჯველი და ამავე ღროს, სიხარ-
 ულით აღსავსე იყო ჩანაფიქრის ზოცვებსხმის
 გზა. პირველ ვარიანტში მოქანდაკე ფიქ-
 რობდა შექმნა დიდი რელიეფური ფიგურა,
 რომელსაც უნდა გადმოეცა ბრძოლის პათო-

სი, მეომართა გმირობა და, ამავე ღროს, უსა-
 მართლო, უთანასწორო ომის ტრაგიაში. მაგ-
 რამ შემდგომ მხატვარმა უარი თქვა ამგვარ
 სწორხაზობრივ გადაწყვეტაზე. საბოლოო ვა-
 რიანტში მოქანდაკე ასევე დაკავშირებულია
 საერთო არქიტექტურულ ჩანაფიქრთან, მაგ-
 რამ ეს კავშირი უფრო რთული და ღრმა
 ხდება. ავტორი მას გვაწვდის სიმბოლოებისა
 და აღმგორიების ენით. ქარაგმის ენით. გამ-
 ომსახველობითი საშუალებანი არქაულს უახ-
 ლოვდება. მაგრამ სტილიზაცია მკვდარ სქემა-
 ტიზმად არ იქცევა, რადგან თითოეულ ფორ-
 მაში საგრძნობია საერთო განწყობილებისად-
 მი დამორჩილებული ემოციური საწყისის სი-
 ჭარბე. შემოქმედმა იშვიათი ტაქტი და სი-
 ფაქიზე გამოიჩინა, როცა შეძლო გადაეღო
 სირთულეები და უაღრესად თანამედროვე არ-
 ქიტექტურული საშუალებანი უძველეს, თით-
 ქოს ოდითგანვე დამკვიდრებულ სკულპტუ-
 რას დაუკავშირა. არქიტექტურულ ფორმთა
 სიმკვეთრეს უპირისპირდება სიღბო, რელიე-
 ფთა განწყობის „თბილი სიმუდრეოვანი“. მაგ-
 რამ ამ სიღბოში წუთითაც არ იყარგება მშუ-
 ნვარი ფაქტორი სული; გაშლილი მოქმედების
 სარბიელის უქონლობამ ავტორს ხელი ვერ
 შეუშალა ამაღლებული განწყობილების შექ-
 მნაში.

მოვლენათა დრამატიზმი აქ თითქმის გან-
 სჯისა და ფიქრის საუკუნოვანი ფლერითაა და-
 ფარული. ტრაგედია უკვე მომხდარია, მისი
 კონკრეტული ეპიზოდები უკვე გარდასული
 და განცდილია — ჩვენ ახლა ამ ტრაგედიის
 მწარე გაკვეთილებზე ვფიქრობთ. ამიტომ მა-
 რაბლის მემორიალში ქანდაკება ისეა დაგე-
 გმილი და გააზრებული, რომ მსახველმა იგი
 აღიქვას არა მხოლოდ სივრცეში, არამედ
 დროშიც. მისი სახეები არც ერთგვარია, არც
 კატეგორიული. მემორიალის ყოველი სიუჟე-
 ტი დღევანთაა განსაზღვრული, მაგრამ ყველა
 მათგანი ინტელექტუალურ და ემოციურ ასო-



ციაციათა მთელი კომპლექსის შთაბეჭდილებით იქმნებოდა, რაც, თავის მხრივ, მნახველს აღუშვრავს უამრავ ფიქრსა და გრძნობას — მღელვარე, მწარე, ამაყ და იმედოვნ განცდებს.

ძეგლის გამომსახველობით სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სვეტთა ნიშნება. ჩადგმული წარწერანი ფილები. მათს შემოთ რელიეფს კი იგივე ლაქონური და ემპიკური აფორისტულობა ახასიათებს. კომპოზიციები მარტივი გეგმენება. მათში მართლაც არაფერია ზედმეტა, მაგრამ ეს ავტორის წარმოსახვისა და შესაძლებლობათა ხილარების შედეგი როდია. არა, შემოქმედმა უკიდურესად მხოლოდ უმკაცრესი შერჩევის შემდეგ მიუჩინა ადგილი კედელზე. მოქანდაკის საყვარელი მოტივია ხელების გამოსახულება. საოცარია, რაოდენ ფართო გამომსახველობითი გრადაციით იყენებს ავტორი ამ სიმბოლოს.

გავისხენოთ კომპოზიცია „გამირის სიკვდილი — შვის ღანსღუბა“. ზეაპრობილი ხელი ბრძოლის ველებზე დაცემულთა სამარადჟამო სხოვნის განსახიერება. ფარზე დამკვდარი ხელები სამართლიანობისაკენ მოკვლელებს: გავისხენოთ „მარაბა 1628 წელს“ — დამარცხებული ხელები, უკანასკნელი ძალა რომ მოუყრებით და მახვილი ჩაუბღუჯავთ: გავისხენოთ ბრძოლისათვის მუდამ მზადმყოფი, ვაჟ-კაცური სამართლიანობის ზეიმის სიმბოლოდ ქცეული ხელები კომპოზიციიდან: „იკლდეც დაიჭრდებიან ალგეთს ლეკები მგლისაინა“. ძეგლის შუაგულში კი ცეცხლის ფილაა.

ბაზალტის ლოდები, თითქოს დრო-ჟამის კარნახით რომ არის მიმოხედილი მემორიალის ტერიტორიაზე, ძეგლის მთავარი თემის გასახსნა ემსახურება. გარდა ამისა, რაც მეტად მნიშვნელოვანია, ისინი ბუნებრივად, მტკიცედ აკავშირებენ გარემოსთან მთელ ანსამბლს. მათზე შესრულებული რელიეფები — „პიეტა“, „მეომარი“, „ბრძოლა“, „ფიცია“, „ცხრა ძმის“, „გადატეხილი მახვილი“, მისი გამო, რომ ავტორს მკვეთრად არ გაუმიჯნავს გამოსახულება და დაუშუშავებელი ზედაპირი, თითქოს პირდაპირ ქვის მკვრივი სხეულიდან ამოზრდილან, ამიტომ არის, რომ ეს უტყუი, ხავსმოკიდებული ლოდები იმ გარდასულ დღეთა მოწმეებად გვესახება.

ცხრა ძმა ხერხეულდის მემორიალის მოქანდაკე გამოირჩევა სახეთა ღრმა გააზრებით, ღირსმადულ გადაწყვეტათა ორიგინალობით. მუშაობა 1968 წელს დაიწყო. მანამდე ერთი წლით ადრე, 1965 წელს, საქართველოს სსრ სახალხო მხატვარმა ნ. კანდელაკმა ამ მემორიალის მომავალი ავტორის, სამხატვრო აკადემიის დიპლომანტის დახასიათებაში ჩაწერა:

„ლამარა ქველიძე ხავსებით მზადაა სკულპტორის დამოუკიდებელი მუშაობისთვის“

ლამარა ქველიძე ხელოვნების ბევრი სახითა და თანოთაა დაინტერესებული, მაგრამ ჩვენ ეს ბუნებრივად, რაღაც თავისთავად ნაგულისხმევად მიგვაჩნია, იმდენად სისხლბოცეულია ისინი ლამარას შემოქმედებისთვის, იმდენად ნათლად ატყვია ამ შემოქმედების ყოველ ნაყოფს მონუმენტალისტა ქანდაკის ძირითადი პრინციპის კვალი. ამიტომაც არის ასე რთული ლამარა ქველიძის შემოქმედების დაყოფა ცალკეულ პერიოდებად. და თუმცა ბოლო 15 წლის მანძილზე (აკადემიური სწავლის). სხვადასხვა დროს იგი გატაცებული იყო მონუმენტურა, კამერული და დეკორატიული ქანდაკების წმინდა ეტიუდური ხასიათის პლასტიკით, მუშაობდა კინოში, წიგნის გრაფიკაზე, იტაცებდა ჰელდურობა, კერამიკა, მინის მხატვრული დამუშავება, მინის მთავარი გატაცება მაინც აშკარა და უცვლელი რჩება. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში იცვლებოდა სტილი და მანერა, მტკიცებოდა უნარი, ოსტატობა, ყალიბდებოდა ფორმა, ფართოვდებოდა თემატიკა. ნი-იანი წლების ქველიძე — ესაა ახალგაზრდა, იმედის მომცემი მოქანდაკე, რომელიც ჯერ კიდევ ეძებს თავის მთავარ გზას ხელოვნებაში. მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რაოდენ ნაყოფიერი იყო ეს ძიება, რამდენად ინტენსიური იყო მისი, როგორც მოქანდაკის, განვითარების გზა.

ლამარა ქველიძე უჩვეულოდ მგრძნობიარე. უმნიშვნელო გარეგანი თუ შინაგანი იმპულსები მის შემოქმედებაში ღრმად, საინტერესოდ, მრავალმხრივად გარდაიქმნებოდა. ლამარა ხშირად ერთსა და იმავე თემას იყენებს, ერთნაირ კომპოზიციასაც კი ინარჩუნებს და მაინც სხვადასხვაგვარ მხატვრულ გამომსახველობას აღწევს.

მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „ნიუსს“ თემას. ადამიანის სხეულის ეტროდური სკულპტურული „ჩანახატები“ — აკადემიური შტუდიები — თითქოს ერთგვარი „კალმის მოსინჯვა“ იყო ახალგაზრდა მოქანდაკისათვის — მაგრამ უკვე ამ ნაშუაფერებში ჩანდა არა მარტო ოსტატის მტკიცე ხელი, საკუთარი ხელწერა, არამედ, რაც მთავარია, აზროვნების და ფორმათა პლასტიკის შეგრძნების უნარი. იგი პრაქტიკული მუშაობით სწვდებოდა იმ აზრის ტეშმარიტებას, რომ „არსებითად ადამიანის სხეული არის განსახიერება ცხოვრების მთელი მრავალფეროვნებისა, რომელიც მუდამ (მის ყველა წერტილში) ინდივიდუალურად და სრულად ვლინდება“ (რაღაც).

ნინო ხალიშვილი

მოქანდაკის სახმ

ლაშარა ქველიძის სადიპლომო ნამუშევარს (ხელმძღვანელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი გ. ონიაური) აყვავებული, დიდებული მშვიდი, თავის თავში დაჭერილი, სულისა და სხეულის მარმონით დამშვენებული ახალგაზრდობის მონუმენტი შეიძლება ეწოდოს. მსხვილი მასებითა და მშვიდი პლანებით აგებული ფორმა აღიქმება განოგადებულად, ოღონდ სტილიზაციის გარეშე, ნათლად გამოხატულ შინაგან რატმს ემორჩილება, მას აგვირგვინებს ლივლივ, ღამაში და მოქნილი, უწყვეტად მდინარი კონტურული ხაზი ზედაშარბული ხედების შესტი ამ ხაზს არ წყვეტს და მაქსიმალურად ავლენს სხეულის მყარი ტექტონიკის გამოხატვას. ჩვენმა დიდმა მხატვარმა სერგო ქობულაძემ ლ. ქველიძის სადიპლომო ნაშრომი მიიჩნია „ერთ-ერთ საუკეთესოდ სამხატვრო აკადემიის არსებობის მანძილზე“.

ლაუოკებელი ალტყინებით გამსჭვალული „სირენა“, ლივლივა, მსუბუქი ტორსები, ხან რაღაც უხილავ დაბრკოლებებთან შექიდებულნი, ხან მშვიდად განდგომილნი, სივრცისთვის ღია, მისაწვდომი საგნები, რომლებიც საცა ფორმათა გარემომცველ სამყაროს შერწყმებიან — აი ლაშარა ქველიძის „ნოუს“ გამოხატულების არასრული გამა.

ლ. ქველიძე სხვადასხვა მასალაზე მუშაობს. მაგრამ უპირატესობას ქვას ანიჭებს.


ლ. ქველიძის წვრილი პლასტიკის ბევრი ნიმუში ტიპიურ ხასეთა ცხოვრებისეული სიშარბულით გამოირჩევა. ასეთი ნამუშევრებია „მედლა“, „გოგონა მზესუმზირებით“, „მზრუნველობა ყველას სჭირდება“, ციკლი „უამირი“. ეს ნამუშევრები უშუალო და გულწრფელია, მათი შექმნის დროს ქველიძე ეძებს პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ სიღრმეს. ავტორს აინტერესებს დამახასიათებელი მოძრაობა, პოზე-

ბის სიზუსტე და გამოხატულობა. ხოლო შემდეგ, როცა იმ ერთადერთ და განუყოფელ შესტს მიაგნებს, მოქანდაკე ჩვენს წინაშე წარმოაჩენს განწყობილებას, რომელიც თითოეულ მათგანში ჩვენდა შეუმჩნევლად არის დანაწილებული.

ლ. ქველიძის შემოქმედების მრავალმანიანობაზე უკვე ბევრი ითქვა. ალბათ ამიტომაც არ გვიკარს, თუ რა მცირე დროში დაეუფლა იგი მისთვის ახალ ღარგს — სამედალიერო ხელოვნებას; დაეუფლა და სულ მალე გავაცნო თავი, როგორც საინტერესო, დამოუკიდებელმა მხატვარმა. მისი საუკეთესო ნამუშევრების ლაკონიზმთან ერთი შეხედვით იცნობა მონუმენტალობის სელწყვა. კ. მარჭანაშვილის სკულპტურული პორტრეტისა და ვაჟა-ფშაველას ძეგლის ესკიზის შემქმნელმა ფსიქოლოგიურ სიღრმეოა ძიება მალამ ტიუსოს, ღ. ვიკოს, ჭ. ჭოხის, ლ. იორდანიშვილას, ღ. რომინოსის, ა. ისაკიანისაღმა მოძღვნილ და სხვა ნამუშევრებში განაგრძო.

აქ შეიძლება ბევრი რამ გვეთქვა ქველიძის ასოციაციურ აზროვნებაზე, დეკორატიულ კომპოზიციათა შექმნის ოსტატობაზე, პაწაწინა დისკის ზედაპირის ზუსტად გამოყენების უნარზე (უნდა აღინიშნოს, რომ ქველიძის მედალი, პირველ ყოვლისა, სკულპტურული ნამუშევარია და აღიქმება არა როგორც საიუველირო ნივთი, არამედ მთლიანი, შენიღბილი მზარდი ფორმა, რომელსაც მოქანდაკის ცოცხალი შეხების კვალი ატყვია). მაგრამ, ზემოთქმულის გარდა, ქველიძისეულ მედლებს ერთი უდავო ღირსება აქვთ: მათში ჩვენ ვხედავთ არა მხოლოდ ამა თუ იმ მოვლენისა თუ პიროვნებისადმი მიძღვნილ გულგრილ, მისეურობებულ გამოხატულებას, არამედ თვით ავტორის — მხატვრისა და პეშმარტა მოქანდაკის გულმსურველ შეფასებასაც.





შეგეგვა, კვლავ შეგეგვა...

ჩვენი ჟურნალის თანამშრომელმა ავთანდილ ჩხიკავაშვილმა რამდენიმე შიკრიტხვით მიმართა წარსულში სახელმწიფო ფიზკულტურულს, საკარტოვლოს ფიზკულტურის სამმართველოს უფროსს — ავთანდილ მაჭავასძეს.

ბრძანებით ამ საუბრის მოკლე ჩანაწერს.

— ბატონო ავთანდილ, ჩვენი საუბრის დაწყებამდე მინდა მოგილოცოთ ქართული ფეხბურთის ფლაგმანის თბილისის „დინამოს“ ესოდენ დიდი წარმატება. უკანასკნელ 3 საფეხურით წელიწადში ჩვენმა „დინამომ“ მართლაც რომ არნახულ წარმატებებს მიაღწია — ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა, ერთხელ ვერცხლის, საბჭოთა კავშირის თასი და, ბოლოს, პირობითი და სათადარიგო გუნდების ჩემპიონის ოქროს მედლები. გთხოვთ განვიმარტოთ, რა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმა განაპირობა „დინამოს“ ასეთი წინსვლა?

— თუ საკავშირო ჩემპიონატების ისტორიას გადავხედავთ, თბილისის „დინამომ“ თავიდანვე დამკვიდრა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი უძლიერესი და წამყვანი გუნდის სახელი. 1936 წლის გაზაფხულზე „დინამომ“ გაიმარჯვა „ბ“ კლასის გუნდებს შორის, ხოლო იმავე წლის შემოდგომაზე უძლიერეს გუნდებს შორის III საპრიზო ადგილი დაიკავა. 1939-40 წლებში კი II საპრიზო ადგილზე გამოვიდა. 1946-47 წლებში „დინამო“ III ადგილზეა. 1950 წელსაც III ადგილი დაიკავა, მომდევნო 1951 წელს კი II ადგილი. იმ წლებში ჩვენი გუნდი საყოველთაოდ აღიარებულ კოლექტივად ითვლებოდა და ძალიან ახლოს იყო ჩემპიონატის უმაღლეს საფეხურთან, მაგრამ მომდევნო, 1952

წელს საკავშირო პირველობა 14 უძლიერესი გუნდისათვის ჩატარდა ერთ წრედ მოსკოვში, სადაც „დინამო“ მეოთხე ადგილი დაკმაყოფილდა. ვინ იცის, იქნებ მაშინ დაიკარგა ის დიდი აღმასვლა ფეხბურთის ოლიმპოსაკენ, რაც ჩვენმა გუნდმა ამჟამად მოიპოვა... რა თქმა უნდა, ამის დამტკიცება შეუძლებელია, მაგრამ მაშინ რომ გუნდი ძლიერი იყო, ეს მან მომდევნო 1953 წელს დამტკიცა — კვლავ II ადგილი დაიკავა.

ოთხი ათეული წლის მანძილზე მრავალი შეხანიშნავი ფეხბურთელი თამაშობდა თბილისის „დინამოში“, რომლებმაც გუნდს გაუთქვეს სახელი თვითმყოფადობით, დახვეწილი ტექნიკით, იმპროვიზაციითა და გონებამახვილური თამაშით.

ორმოცდერთ ჩემპიონატში გუნდი ორჯერ გახდა ჩემპიონი და თხუთმეტჯერ საპრიზო ადგილზე გამოვიდა. რა დასამაია, რომ, ჩვენმა სამწუხაროდ, ბევრჯერ უიღბლობის თუ არაობიექტურობის გამო თბილისის „დინამოს“ ხელიდან გაუშვია თითქმის უკვე მოპოვებული გამარჯვება.

გადიოდა წლები, იცვლებოდა თაობები, რა თქმა უნდა, იყო წარუმატებლობაც, მაგრამ უცვლელი რჩებოდა გუნდის ავტორიტეტი. მისგან ელოდნენ გამარჯვებას, რომელიც დიდი ხანია მომწიფდა... 1964 წელს „დინამოს“ მაშინდელ



მა თაობამ, ბოლოს და ბოლოს. მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რა საჭიროა ყოველივე ამის გახსენებამ, მაგრამ მიმანინია, რომ ვიდრე ჩვენი გუნდის დღევანდელ მიღწევებზე ვილაპარაკებდეთ, უნდა გადავხედოთ ამ ძნელ და უამრავი დაბრკოლებებით აღსავსე გზას, რომელიც „დინამომ“ გამოიარა მრავალი წლის მანძილზე.

„დინამოს“ ახლანდელმა თაობამ მდიდარი საფეხბურთო მემკვიდრეობა მიიღო და მათ სასაღეროდ უნდა ითქვას, რომ ისინი მთლიანად ღირსეული მემკვიდრეები არიან, — მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც. ორი მესამე ადგილი, საბჭოთა კავშირის თასი, მეორე ადგილი და ბოლოს ჩემპიონის ოქროს მედლები ეს უდიდესი გამარჯვებაა და უბრწყინვალესი სტრატეგიებია ჩვენი გუნდის სახელოვან მატაინეშო.

ეს დიდი გამარჯვება, პირველ რაგვში, გუნდის მწვრთნელების და მოთამაშეების დიდი დასასურებაა, რასაც მათ მიადწიეს დაუფალავი, მონდომებული, მისაწადიასხელი შრომით. აქვე უნდა აღინიშნოს რესპუბლიკისა და ქალაქის პარტიული, საბჭოთა, საინჟინრო, სპორტული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ფეხბურთის მოყვარულების დიდი დახმარება და მხარდაჭერა. პროფკავშირთა პრიზი „გუნდთან ერთად“, რომელიც მოიპოვა გუნდმა, სტადიონმა და მაყურებელმაც, განა არ შეტყველებს იმ საერთო-სახალხო სიყვარულზე, რაც „დინამომ“ დამკვიდრა ათეულ ათასობით გულშემმატივართა შორის, — განვლილ სეზონში „დინამოს“ შეხვედრებს თბილისში საშუალოდ 55 ათასი მაყურებელი ჰყავდა, გავლამზე კი 20 ათასი. მგონი, ეს ათასები აღარ საჭიროებს დამატებით კომენტარს. სტადიონზე მაყურებელთა სიმრავლე კი იმაზე მეტყველებს, რომ მათ უყვართ შემტევი, ტექნიკური, ლამაზი ფეხბურთი, რითაც „დინამო“ გამოირჩეოდა ამ ბოლო დროს და რაშიც დიდი გუნდის უფროსი მწვრთნელის ნ. ახალყაიძის, მისი კოლეგების კ. ასათიანისა და ს. კუტივაძის, მთელი კოლექტის დამსახურება.

— როდესაც ჩემპიონატი დამთავრდა, ზოგიერთი სპორტული კომენტატორი უმეაყოფილო იყო გასული საფეხბურთო ჩემპიონატი, გუნდების თამაშის დამალი კლასით. მაგალითად, ნ. ოზეროვმა და ბ. ფედოსოვმა „ვრემიაში“ და „რევესტიაში“ ეს უმეაყოფილება ასეარად გამოთქვეს, რატომღაც მსგავსი უქმარისობის გრძნობა საბჭოთა ფეხბურთისა და ჩემპიონატის მიმართ შარშან და შარშანწინ არ დამაღებიათ. ეთათომ ამ ორი-სამი წლის უკან უფრო მაღალი იყო საბჭოთა ფეხბურთის კლასი?

— მიმანინია, რომ ნ. ოზეროვმა „ვრემიაში“ და ბ. ფედოსოვმა „რევესტიაში“ განვლილი სე-

ზონისადმი უმეაყოფილება გამოთქვეს ნაქმრად და საკლუბო გუნდების უდიდესი გამოსწორების გამო საერთაშორისო სარბიელზე. როგორც წინასწინებით, ჩვენი საკლუბო გუნდები აღარ გამოეთიშნენ ევროპულ ტურნირებს. მსოფლიო პირველობის ფინალის მალმა დარჩენილი ჩვენი ნაყრები არასასარბილო შედეგებით გამოდის ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში. განა ყოველივე ამის უფრო მეტად მათ საბაბი უმეაყოფილო ყოფილიყვნენ განვლილი სეზონით? — რა თქმა უნდა, არა. ჩვენ ევრელას გვიხარია, რომ თბილისის „დინამო“ განვლილ სეზონში გასდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და ალბათ ამიტომაც გვეჩოთირება, როდესაც ვისწენთ უმეაყოფილებას ამ სეზონის მიმართ. არ უნდა დავავიწყდეს, რომ იგივე „ვრემიაში“ თბილისის „დინამოზე“ თბილი სიუჟეტი გადიოდა იმავე დღეს, როდესაც ჩვენმა გუნდმა ერთი ტურნირი აღერ განაღდა ჩემპიონობა. საესებთი ბუნებრივად მიმანინია, რომ ის, რაც ჩვენ გვახარებს, სხვისთვის ჩვეულებრივი ამბავია, ხოლო კომენტატორისათვის უბრალო ანალიზი. საბჭოთა საზოში ნაყრები გუნდის გამოსვლებია, ევროპული საკლუბო ტურნირებია, სადაც არაფერი გვაქვს სასარბიელო და ამიტომ არ უნდა გავგეჟვრდეს კომენტატორებისა და სხვა საფეხბურთო ავტორიტეტების კრიტიკული გამოსვლა განვლილი სეზონის მიმართ.

— არსებობს მოსაზრება, წელან ეს თქვენც აღნიშნული ვაყრით, არაობიექტური მსაჯობა რომ ამა, თბილისის „დინამო“ გასულ წლებში უეეეს სატურნირო მაჩვენებლებს მიადწივდაო. როგორმაღი თუ არა მოსაზრებას?

— ჩვენში ფეხბურთის განვითარების საქმეში არსებულ ნაყოფიანებებს შორის ერთ-ერთი მტკივნეული უბანია მაღალკვალიფიკაციური მსაჯობის უქმარისობა. მსაჯთა კვალიფიკაციის დაბალი ღონე სმირად არაგანსაღ რეაქციას იწვევს მაყურებლებში, იქმნება აზრი ზოგიერთი მათგანის არაობიექტურობაზე. რა თქმა უნდა, ხშირად არც ამით ვართ დაზღუდულნი, მაგრამ მიმანინია, რომ არაობიექტური მსაჯობით „დინამო“ 50-იან და 60-იან წლებში უფრო დაზარადა ჩემპიონატებსა და თასის გათამაშებებში, ვიდრე ამ ბოლოხანს.

— გასულ წლებში საბჭოთა ფეხბურთის „ფლაგმანი“ კიევის „დინამო“ გახლდათ. რა კეტულება იმისთვის და რა არის საჭირო, ეს როლი რომ ალა თბილისის „დინამომ“ იტერათოს?

გასულ წლებში კიევის „დინამო“ უდაოდ იყო საბჭოთა ფეხბურთის „ფლაგმანი“. მიმანინია, რომ იგი კვლავ რჩება ჩვენს ფეხბურთში წამყვან კოლექტივად, თუმცა მისმა თამაშმა ამ ბოლო ხანს დაკარგა ის „კოზირი“, რითაც იგი წარმატებებს აღწევდა საქავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. ამ გუნდის მიღწევები,



უპირველეს ყოვლისა, კარგად ორგანიზებული უკრაინული ფეხბურთის ფუნდამენტზე იყო დამყარებული, რომლის მასშტაბებაც გაცილებით სპარბოზს ჩვენსას. ორივე სეზონის წინ უკრაინიდან უშაღლეს ლიგაში 4 გუნდი გამოდიოდა, საქმით რაოდენობით იყო წარწოდებული უკრაინის გუნდები პირველ ლიგაშიც, ხოლო მეორე ლიგის ერთი ზონა მთლიანად ამ რესპუბლიკის გუნდებითა დაკომპლექტებული. ყველა ეს გუნდი შეგსებას აძლევდა (და აძლევს) კიევის „დინამოს“. თუ ამას ჩვენს შესაძლებლობებს შევადარებთ, ძალზე არასასურველ სურათს დავინახავთ...

მაგრამ მაინც შევჩინო, რომ შეიძლება გახედეს საბჭოთა ფეხბურთის „ფლაგმანი“ თბილისის „დინამო“, თუ, რა თქმა უნდა, რაც შეიძლება მაღლე ვიზრუნეთ საქართველოში ფეხბურთის განვითარებისათვის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. რესპუბლიკაში არ გვყოფნის ფეხბურთის მინდვრები, ის, რაც გვაქვს, უხარისხოა. კეთილმოწყობილია სტადიონები. შორს რომ არ წავიდეთ, თბილისში სპეციალიზებულ ფეხბურთის სკოლებს სავარჯიშო მოედნები არა აქვთ. საქალაქო პირველობის ჩატარება ჭირს მოედნების უქონლობის გამო. ყველა, დიდი თუ პატარა, ხელმძღვანელი თუ რიგითი ადამიანი, ხარობს „დინამოს“ წარმატებებით, მაგრამ განა ყველა სერიოზულად ფიქრობს „დინამოს“ იმ საფუძვლის გამაგრებაზე, რასაც ჭაბუკთა და საერთოდ მასობრივი ფეხბურთი მჭევია? თუ ჩვენ გვინდა ვხედავდეთ თბილისის „დინამოს“ საბჭოთა ფეხბურთის ავანგარდში, სერიოზულად უნდა ვიზრუნოთ საქართველოში ფეხბურთის განვითარებაზე. „დინამო“ შევსებას ყოველთვის იღებდა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან. უკანასკნელ ხანს უფრო მეტი შევსება მოდის ქუთაისიდან და აჭარიდან, რაც ნამდვილად მისასალმებელია. რესპუბლიკის ყველა კოლექტივი უნდა ისახავდეს მიზნად აღუზარდოს ჩვენს პირველ გუნდს ღირსეული ცვადა და ეს უნდა დაისახოს უპირველეს მოვალეობად. აი, ის ძირითადი მომენტები, რაზედაც დამოკიდებულია თბილისის „დინამოს“ მომავალი.

— თქვენი აზრით, როგორია ე. წ. საფეხბურთო „ვარსკვლავების“ როლი თანამედროვე ფეხბურთში, არის თუ არა დამოკიდებული გუნდის წარმატებები „ვარსკვლავებზე“? კარგად მოგეხსენებათ, თბილისის „დინამო“ ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი „ვარსკვლავებით“, მაგრამ დღევანდელი წარმატებებისათვის არ მიუღწევია.

— ე. წ. „ვარსკვლავები“, ჩემი აზრით, ქნია ან იმ კლიმატს, რისთვისაც ხალხი მოდის სტადიონზე ფეხბურთის მატჩის სანახავად.

გუფრობ, რომ „ვარსკვლავები“ არავითარ

შემთხვევაში არ უნდა მივიჩნიოთ „ძველი ფეხბურთის“ ატარებულებად და ისინი უდავოდ ჭირსი არიან თანამედროვე ფეხბურთში.

დღევანდელ ფეხბურთში ყოველგვარი ტექნიკური იდეების შესრულება ბევრად სწრაფად ხდება, ასევე სწრაფად სორცეიდლება ესა თუ ის ტექნიკური კომბინაცია, ამიტომ „ვარსკვლავები“, შემწევ „მეუთხარადნელები“ თვალშია დღით დღე მწელდება, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი აღარ არიან. თუ ადრეც გვყავდა „ვარსკვლავები“ და ასეთი შედეგები არა გვქონია, ეს სხვა მიზეზებზე იყო დამოკიდებული. ჩვენს გუნდში ახლაც საქმოდ არიან „ვარსკვლავები“. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათი თამაში კოლექტივის ინტერესებს შეესაბამება და მისი მოქმედების საერთო პრინციპებიდან გამომდინარეობს.

— სამწუხაროდ, თანამედროვე საბჭოთა ფეხბურთი აშკარად ჩამორჩება საერთაშორისო დონეს. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს ჩამორჩენა და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ საბჭოთა ფეხბურთმა მსოფლიო საფეხბურთო ყველა სტანდარტი დაეკმაყოფილოს?

— საბჭოთა ფეხბურთის ჩამორჩენა ბევრ მიზეზებთან არის დაკავშირებული და იმისათვის, რომ ეს გაუთანაბრდეს საერთაშორისო სტანდარტებს. მრავალი ღონისძიება გასატარებელი. თუ არ ვცდები, ფეხბურთი სპორტის ერთადერთი სახეობაა, სადაც ჩვენი ფეხბურთელები საერთაშორისო შეჯიბრებებში ხვდებიან ე. წ. პროფესიონალებს, და რომ მათთან პაექრობაში მივაღწიოთ წარმატებებს, ჩვენი საფეხბურთო ლაბორატორიების მუშაობა მის ყველა საფეხბურთე უნდა გაუფთანაბროთ პროფესიულ დონეს. უნდა გაფართოვდეს საერთაშორისო შეხვედრებსა და ტურნირებში ჩვენი ქაბუკთა და საკლუბო გუნდების მონაწილეობა. აღმოიფხვრას არსებული ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება სასწავლო-საწვრთნელი ბაზების უმარობით ან არსებულის კეთილმოწყობლობით. საქმითა აგრეთვე სერიოზულად დადგეს საკითხი მწვრთნელებისა და მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, რეზერვებთან მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ყოველგვარი ამის და სხვა კერძო საკითხების მოგვარება დაჩქარებს ჩვენში ფეხბურთის აღმავლობას, მის საერთაშორისო სტანდარტებთან გათანაბრებას.

— ახლა, კერძოდ, თბილისის „დინამოზე“ მიუხედავად საჩემპიონო წარმატებებისა, ჩვენი გუნდი საერთაშორისო სარბიელზე უდიდძომოდ დამოკიდებულია. თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ამ ფრიად სერიოზული პრობლემის გადასაწყვეტად?

— ჩვენს გუნდს აქვს იმის შესაძლებლობა,

ინტერვიუ



რომ საერთაშორისო სარბიელზეც წარმატებით გამოვიდეს. ამისათვის, პირველ რიგში, ხაჭირა, საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება. სწორედ უნდა ზედმოვადგინო წამყვან საზღვარგარეთულ გუნდებს არა მარტო „დინამო“, არამედ მისი ქაბუთა და ახალგაზრდული გუნდები, ქუთაისის „ტორპედო“, სხვა კოლექტივები. პერსპექტიულმა ფესბურთელმა ადრევე უნდა მიიღოს საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება, რათა შემდგომში, როდესაც „დინამოს“ მაისურს ჩაიცვამს, უცხოელებთან შეხვედრებში თავს „უცერსულოდ“ არ გრძნობდეს. გარდა ამისა, საჭიროა მეტი მუშაობა იმისათვის, რათა თამაშის დროს შექმნილი უამრავი საკოლე მომენტი ფუჭად არ იკარგებოდეს. ახლო წარსულში ჩვენი გუნდის სუსტი ადგილი იყო ვასვლეთი თამაშები. საბედნიეროდ, ეს ფსიქოლოგიური ზღუდეც დაძლეულია. ვფიქრობ, მწვრთნელები და მოთამაშეები საერთაშორისო წინაღობას გადალახვენ მონდომებითა და ერთსულოვნებით.

— გთხოვთ „ცისკარს“ მკითხველს მოუთხროთ, რა კეთდება საქართველოში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის, როგორ და რა პრინციპით ხდება ახალგაზრდა პერსპექტულ ფეხბურთელთა შერჩევა, არის თუ არა ამ მხრივ სერიოზული ხარვეზები და რა ღონისძიებანი დასახული ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად?

— ფეხბურთის სამმართველო და ფედერაცია დიდ მუშაობას ეწევიან საქართველოში ფეხბურთის შემდგომი განვითარებისათვის. ამ საკმეში, სამწუხაროდ, ჭრთ კიდევ ვეკვს სერიოზული პრობლემები და ნაკლოვანებები, რომელთა აღმოფხვრა ან მინიმუმამდე დაყვანა ბევრად შეუწყობს ხელს ქართული ფეხბურთის აღმავლობას.

ვსრულყოფთ შეგიბრებების კალენდარს, ვერაგვთ ახალ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების შერჩევა-გამოვლენა, რომლებიც შემდგომში შეაფხვენ ჩვენი რესპუბლიკის წამყვან ოსტატთა კოლექტივებს.

საქართველოს პირველობის ყველა ჯგუფში სამოცდაათზე მეტი კოლექტივი მონაწილეობს. ყველა ამ გუნდთან ჩამოკალიდა ქაბუთთა გუნდები. მათთვის სპეციალური შეგიბრება ტარდება „სიკაბუთის თასზე“. ამას გარდა, იმართება ბაჟუთა, ქაბუთა და იუნიორთა შეგიბრებები. იმისათვის, რომ ფეხბურთი გახდეს ფართო მასობრივი, გაიზარდოს მოთამაშეთა ოსტატობის დონე და გუნდების თამაშის ხარისხი, წვრთნის პროცესი ადრეველი ახაკიდანვე აყვანილი უნდა იქნეს პროფესიულ დონემდე. მაგრამ საწყობაროდ, ყველგან როდია ამის საშუალება. მტკნარად აღგზნება მიწიერების ნაკლებობა, ხოლო არსებულია შორის უმრავ-

ლელობა მოუწყობელია. არ არის საშუალება გასასდღეობი. აღარაფერს ვამბობ სარბიელთა ცენტრებსა და ორთქლის ახანოებზე, სხვა თანამედროვე მოწყობილობებზე, რომლებიც აუცილებელია სპორტსმენის ორგანიზმში აღდგენითი პროცესების დასაქმარებლად. ამ ნაკლოვანებების მოგვარება ფეხბურთის სამმართველოსა და ფედერაციას საკუთარი ძალე-ბით ნამდვილად არ შეუძლია. ამ საქმეში ვვესაქირობა ადგილობრივი ხელშეწყვენილი ორგანიზების აქტიური, საქმიანი დახმარება.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ დაბალია ჩვენი მწვრთნელებისა და მსაჯუნის კვალიფიკაცია. ჩვენი ვადებულობით და მომავალშიც მივიღებო უფრო კმეღით ზომებს ამ საქმის გამოსასწორებლად.

— რა აზრის ბრძანდებით ქუთაისის „ტორპედოს“ წარუმატებლობაზე, რამ გამოიწვია ეს შეფერხება და რას აპირებს საქართველოს ფეხბურთო საზოგადოება იმისათვის, რომ ქუთაისის „ტორპედო“ კვლავ დაუბრუნდეს უმაღლეს საფეხბურთო ლიგას?

— ქუთაისის „ტორპედოს“ წევრანდელი მიჩვენებლები, რა თქმა უნდა, წარმატებათა კატეგორიას არ განეკუთვნება, მაგრამ იმის თქმა, რომ იგი „წარუმატებლად“ გამოვიდა, ვფიქრობ, არ იქნება სწორი. უყანასნელო ორ წელიწადში (აღარაფერს ვამბობ გასულ წელზე) ამ გუნდიდან თბილისის „დინამოში“ გადმოყვანილი იქნა რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი. ასევე რამდენიმე ფეხბურთელმა ასაკის გამო დატოვა გუნდი. ყველა ამ დანაკლისს შევება ესაჭიროება, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ დროს მოითხოვს. უცნადა არაფერი ეთოდება და ამიტომ ქუთაისელთა წევრანდელი გამოსვლა სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმაჩნია. დარწმუნებული ვარ, დადგება დრო და ჩვენი რესპუბლიკის მეორე გუნდს ვისილავთ უმაღლეს ლიგაში. ამისათვის კოლექტივს ყოველდღიურ დახმარებას აღმოუჩენენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი, ფეხბურთის სამმართველო და ფედერაცია. ვფიქრობ, „ტორპედოს“ ასევე უნდა დეხმაროს თბილისის „დინამოს“ კოლექტივი, რომლისთვისაც ეს გუნდი კალენდრის ძირითადი მომწოდებელია. მაგრამ მაისში მოთავარი და აუცილებელია ქუთაისელების დახმარება, მხარდაჭერა და ყურადღება არ მოაკლონ ქალაქის ხელმძღვანელმა ორგანიზაციებმა.

— გთხოვთ დასახელოთ თქვენს მიერ შედგენილი ქართულ ფეხბურთელთა იდეალური ნაერბი.

— გულანდობლად რომ ვთხროთ, მე არ ვარ იდეალური ნაერბების შედგენის მომხრე. ქართულ ფეხბურთს მრავალი წლის მანძილზე მრავალი ღირსეული წარმომადგენელი ამშვენებს. ეს „საერბელები“ „კაშკაშებდნენ“ ფეხბურთის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

ბეგრს განუხორციელებელ ოცნებად დარჩა ჩემპიონობა თუ თასის მოპოვება. 1964 წლის შემადგენლობა კი „ოქროს ბიჭებად“ მონათლა ხალხმა. ყველამ, ვინც კი ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე ერთხელ მაინც ჩაიცვა „დინამოს“ მაისური, გარკვეული კვალი დატოვა ქართული ფეხბურთის მატარებელში. ახლანდელმა შემადგენლობამ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია და მგონი არ დასწყდებათ გული ძველი თაობის წარმომადგენლებს, თუ დღევანდელი შემადგენლობა დარჩება ჩვენს იდეალურ ნაკრებადაც. ვუსურვოთ ჩვენს ახალ „ოქროს ბიჭებს“, მ. შარაიძესა და დ. უიფიანის წინამძღოლობით, ახალი წარმატებებით გააზარონ თავიანთი მრავალრიცხოვანი აუჟანისმცემლები.

— და ბოლოს, ტრადიციული, ერთგვარად შაბლონური, მაგრამ მაინც საინტერესო კითხვა — როგორ გესახებათ პირადად თქვენ მომავლის ფეხბურთი?

— ფეხბურთი იყო და დარჩება სპორტულ თამაშად, რომლის ძირითადი არსია მოწინააღმდეგის კარის აღება. რა თქმა უნდა, გუნდმა საკუთარი კარის დაცვაზე უნდა იზრუნოს, მაგრამ ეს არ უნდა სდებოდეს მთავარი მიზნის საზიანოდ. რა თქმა უნდა, უოველთვის ვერ დასწამებ გუნდს დაცვითი სისტემით თამაშს. ხომ სდება, რომ გუნდს უნდა ითამაშოს შემტევად, აქტიური ფეხბურთი, მაგრამ ძლიერ მოწინააღმდეგესთან აქვს საქმე და იძულებულია საკუთარი კარის დაცვაზე იფიქროს. მოდი და ამ შემთხვევაში დასწამე ასეთ გუნდს დაცვითი მოდელის გამოყენება. თუ მწვრთნელს გუნდში ჰყავს მაღალი კლასის ფეხბურთელები, თანაბრად ძლიერია გუნდის ყველა რგოლი. იგი ფეხბურთის მტერი უნდა იქოს, რომ უარი თქვას აქტიურ, შემტევ, მწვავე კომბინაციურ ფეხბურთზე. ცნობილი ფრთიანი გამოთქმაა — „შეტევა საუკეთესო დაცვაა“ და არა მგონია, რომ ეს გამოთქმა ოდესმე მოძველდეს შეტევა, შეტევა და კიდევ შეტევა! — ესაა ფეხბურთის შინაარსი და ეს თვალწინააღმდეგარაგვრის მსოფლიო წესმონაცემი. მომომავლის ფეხბურთი იქნება სედმიწევნით დინამიური, მაღალტექნიკური და, რაც მთავარია, შემტევი.

ფეხბურთი, გარდა იმისა, რომ სპორტული თამაშია, დიდებული სანახაობაა, რისთვისაც ათეული ათასობით ჩაუყურებელი მიდის სტადიონებზე და თუ ფეხბურთს ხელოვნურად მოუხმებს სანახაობრივი მხარე, ამით იგი შორს ვერ წავა. მიმართა, რომ ფეხბურთის სპეციალისტები მსოფლიოს ყველა კუთხეში ყველაფერს გააკეთებენ ფეხბურთის სანახაობრივი მხარის შესანარჩუნებლად, ამაზე დამკიდებელი მისი მომავალი.



კულტურული ცხოვრების ქრონიკა

ამერიკა

რეი ბრედბერი
ბანმარტაზს

ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა-ფანტასტმა რეი ბრედბერმა ინტერვიუ მისცა დასავლეთგერმანულ ჟურნალ „შიგელს“, რომელშიც გამოთქვა თავისი შეხედულებები თანამედროვე მსოფლიოში მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურის როლზე. მისი ფიქრით, მეცნიერულ ფანტასტიკას აინტერესებს არა იმდენად მომავალი, რამდენადაც თანადროული პრობლემები. მაგრამ დღევანდელ დღეზე რომ ვლაპარაკობთ, იგი სვალდნდელ დღესაც გულისხმობს. „არ შეიძლება იყოს არავითარი მომავალი, თუკი მას დღესვე არ ჩაუყრით ბლაღარა, აქტიურად, მთელი ჩვენი ფანტაზიის მოშველიებით“.

„შიგელსის“ კითხვაზე, რა გავლენას ახდენს მეცნიერული ფანტასტიკა თანამედროვე სამყაროზე, ბრედბერი უპასუხა: „იგი მოწარმე თაობას აღუჩაღს სამყაროს საიდუმლოებათა გამოცნობისა და მისი შეცვლის სურვილს... ათი წლის როცა ვიყავი, მარსის თაობაზე ედგარ რაის ბეროუსმა, ჯონ კარტრისა და სხვათა წიგნებში ვკითხულობდი. ხოლო როდესაც თხუთმეტისა გავხდი, საჰაერო-ტაშორისო ფრენის თაობაზე ჰერბერტ უელსი წვაკითხე. მაშინ გადაწყვიტე, როცა გავიზრდები, ამ მუშაობაში მეც მივიღებ-მეთქი მონაწილეობას“.

ბრედბერიმ აღნიშნა, სულ

უკანასკნელ ხანს ინტერესი მეცნიერული ფანტასტიკის მიმართ ძალიან გაიზარდა. „ახლა აღმოაჩენი მეთი სერიოზულობით ეკიდებიან მეცნიერულ ფანტასტიკას. ზავშეების ინტერესი მასწავლებლებსაც გადაეღო“.

იტალია

„ახალი მახინჯები“

იტალიის სამმა უდიდესმა რეჟისორმა: ლინო ჩიზიმ, მარკო მონიჩელიმ და ეტორე სკოლამ გადაწყვიტეს ერთად შექმნათ თავისებური „მეზოლოდების ფილმი“ — პატარა პატარა კინონოვლებიდან შემდგარი კინოსურათი, რომელიც ასახავდა თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს.

ფილმის „ახალი მახინჯები“ უწოდებს (ამ რამდენიმე წლის წინათ ლინო ჩიზიმ დადგა კინოსურათი „მახინჯების“ სახელწოდებით). თითოეულ რეჟისორს 40 წუთი საეკრანო დრო დაეთმო.

ფილმის ეპიზოდები სასაცილოცაა და სატირალიც. ირონიულიცა და ტრაგიკულიც. მწვეთა პოლიტიკურად და ფილოსოფიურად. ერთ ეპიზოდში ნაჩვენებია ტერორისტის, ევრეთ წოდებული „წითელი ბრიგადების“ წევრის გასამართლება, მეორეში — პოლიციის კომისარი, ვინც კმეოფილია დამანაშავის გარდაქმნით და ვინც ვერ ამჩნევს, რომ ამ გარდაქმნის შემდეგ დამანაშავე თავად მას ემსგავსება.

პოპულარული იტალიელი

მსახიობი უგო ტონიაში ასრულებს შიმშილისაგან ნახევრად ქაუზზე გადამცდარ ღარიბ-ღატაკს, თავის 80 წლის დედასთან ერთად რომის ქუჩებში რომ დაესეტება, საჰმლის ნარჩენებს ეძებს და თავს მაინც ბედნიერად გრძნობს. ბოლოს და ბოლოს, ისინი საგეფეთში მოხვდებიან: სანიტრები მათ სწორედ მაშინ მოაკითხავენ, როცა ისინი ხმამაღლა მღერიან თავიანთ დაცხალებულ ქოხში, სადაც ქალაქის განაპირას.

ალბერტო სორდი, სცენარის ერთ-ერთი ავტორი, ფილმში მსახიობადაც გვევლინება. ერთ ნოველაში სორდის გმირი ამაოვად ცდილობს დაპირალის საავადმყოფოში მიყვანას. მას არსად არ იღებენ, მაშინ იგი დაპირალის ისევ იმ ადგილას მიიყვანს, სადაც ნახა. მეორე ნოველაში მასურბელი სორდის გმირს სედავს ერთი კომიკოსის დაპირაღვასზე, სადაც იგი, გარდაცვლილის მსახურებაზე რომ ლაპარაკობს, ისეთი თანაგრძნობით ეკიდება მას, ისე გადმოსცემს მის სახეს, რომ სამედიკინარო პროცესის მონაწილენი სიცოცხლისაგან იღვრიწებიან. სურათში მონაწილეობენ აგრეთვე სახელგანთქმული მსახიობები: ეიტორეო გასმანი, ორნელა მუტი, მომღერალი ქალი ორიეტა ბერტი (იგი თავის თავს განასახიერებს).

ფილმის გმირებმა, როგორც მათ რიში უწოდებს, „წლის მახინჯებმა“, უნდა გვიჩვენონ ის, რაც დღეს ქვეყანაზე ხდება, ოღონდ გვიჩვენონ სატირული, კომიკური, გროტესკული სერსებით.

ქურონალ „ცისკრის“ 1978 წლის ნომრების ზეცნაბარსი

რომანი, მოთხრობა, ნოველა, თარგმანი

აბაშიძე მერაბ — მოთხრობები, № 8
 ავალიშვილი მანანა — მოთხრობები, № 4
 ბარათელი ლერი — მოთხრობები, № 4
 ბერიაშვილი ირაკლი — მოთხრობები, № 4
 გალდავაძე ავთანდილ — სიცოცხლე სავსეა სიკეთით. მოთხრობა, № 7
 გოდერძიშვილი თამარ — რამდენიმე სტრაოი პროვინციული ტრავისისის ცხოვრებიდან მოთხრობა, № 8
 დემურხანაშვილი სოლომონ — მგლები, მოთხრობა, № 12
 დუმბაძე ნოდარ — მარადისობის კანონი. რომანი, № 1, 2
 თამბულაშვილი ლაშა — ტერანგი. მოთხრობა, № 3
 თოფურიძე გემალ — მოთხრობები, № 7
 ინანაშვილი რევაზ — ჩემი საწყალი სიყვარული მოთხრობები, № 5
 კუხიანიძე ზურაბ — მოთხრობები, № 11
 ლომაძე გია — კაცი გალავანზე. მოთხრობა, № 9
 მალაზონია დევან — იმპერატორი მოთხრობა, № 8
 მერაბიშვილი ელგუჯა — მოთხრობები, № 5
 მიშველაძე რევაზ — მოთხრობები, № 6
 მორჩილაძე მიხი — ნიკას ოთხი დღე. მოთხრობა, № 5
 მრეალაშვილი ლადო — ზღვაზე. მოთხრობა, № 6
 პაიჭაძე სოსო — მოთხრობები, № 3
 პაჭკორია ოტია — გობილენი. მოთხრობა, № 1
 პეტრიაშვილი გუტარ — ორი ზღაპარი, № 8
 რაფინაშვილი უშანგი — სახლი. მოთხრობა, № 6
 რცხილაძე ზურაბ — გზა მშვიდობისა. მოთხრობა, № 4
 სამხარაული სოლომონ — აპა, მოვედი. მოთხრობა, № 8
 სანიკაძე ლევან — მკვლელობა ზობისწყლის პირას. მოთხრობა, № 4
 ფანჯკიძე გუტარ — აქტიური მზის წელწადი. რომანი, № 10, 11, 12
 ლონთაძე რუსლან — შემოადგომა. მოთხრობა, № 9
 ჩალაური თენგიზ — ჭიდილი. მოთხრობა, № 9
 ჩორდელი ვაჟა — მოთხრობები, № 8
 ჩოხელი გოდერძი — მოთხრობები, № 3
 ქოხოველიძე ბადრი — თანამგზავრი. მოთხრობა, № 7
 ჯანელიძე ლიანა — მოთხრობები, № 10
 ჯაფარიძე სიმონ — მოთხრობები, № 8

ლექსები, კთიხები

აბაშიძე მერაბ — ლექსები, № 11
 აბრამიშვილი მარი — ლექსები, № 7
 აღმაშენილი გივი — რას ეკუთრდება გაზაფხული? პოემა-ზღაპარი, № 9
 ამონაშვილი რამინ — ლექსები, № 7

არაბული ალუდა — ლექსები, № 6
 ასათიანი ლია — ლექსები, № 12
 ბაღარაშვილი ბაადურ — ლექსები, № 4, № 7
 ბაზაძე ირაკლი — ლექსები, № 5
 ბოლქვაძე ზაურ — ლექსები, № 1, № 11
 ბერეკაშვილი რამაზ — ლექსები, № 2
 ბენიძე გია — ლექსები, № 2
 ბედოშვილი ლია — ლექსები, № 4
 ბეჭიშვილი თედო — ლექსები, № 5
 გურგულია ინილა — ლექსები, № 9
 გოგიაშვილი კუტური — ლექსები, № 9
 გორგოლაძე ზურაბ — ლექსი, № 12
 გვიშაიანი დოდო — ლექსები, № 7
 დანელია რევაზ — ლექსები, № 7
 დიანაშიძე სულიკო — ლენინი. ლექსი, № 8
 ვარშანიძე მამია — ლექსი, № 12
 ზოიძე შოთა — ლექსი, № 12
 თევზაძე აკაკი — მამული. ლექსი, № 8
 კაცია რევაზ — ლექსები, № 10
 კახიანიშვილი ვიქტორ — ლექსები, № 5
 კრავცოვა ნანა — ლექსები, № 11
 კერევაძე ელდარ — ლექსები, № 3, უმთავრესი რეზიუმე, ლექსი, № 10
 ლებანიძე მურმან — ახალი წიგნიდან, ლექსები, № 4, ლექსები, № 12
 მამფორია ოთარ — შეგონება. ლექსი, № 10
 მალაზონია ნესტორი — ლექსი, № 12
 მალაღლაძე მზია — ლექსები, № 4
 მარტაძე დათო — ლექსები, № 5
 მინდაძე ბიძინა — ლექსები, № 4
 მებურიშვილი ტაგუ — ლექსები, № 8
 ნადირაძე კოლაუ — შენებ ხელი. ლექსი, № 7
 ნაძორაძე ალექსანდრე — ლექსები, № 9
 ნიუარაძე ენვარ — ლექსები, № 3, № 11
 ნიშნაიანი შოთა — მარადიული სიმღერები. ლექსები, № 10
 ონელი არნო — გული. ლექსი, № 12
 ორგონიძე აზა — ლექსები, № 6
 ოსტაშვილი რევაზ — კომპიუტერი — იმედოვნალინდელი დღის! ლექსი, № 10
 ოთარაშვილი ვაჟა — და ეს 60 წელი.. ლექსი, № 10
 სალუქვაძე გიორგი — ლექსი, № 12
 სამაღაშვილი შაქრო — ლექსები, № 10
 სულდაურია არჩილ — შემოადგომა (გარდაცემა). № 1, ლექსები, № 6
 ფიცხიშვილი მირიხ — ლექსები, № 11
 ფორჩხიძე შალვა — ლექსები, № 11
 ფხოველი ჭარხა — ლექსები, № 7
 ქათამაძე გემალ — ლექსი, № 12
 ყუბოსიძე ვაჟა — ლექსები, № 7
 შალაშვილი ოთარ — ეს არის ჩვენი კონსტრუქცია. ლექსი, № 5
 შალაშვილი ბელა — ლექსები, № 9
 შამაძე ნოდარ — ლექსები, № 10, № 12
 ჩარკიანი ჯანსუღ — პარალელური ხაზები, პოემა, № 2
 ჩახავა გემალ — მამათა კვალზე. ლექსი, № 10, ლექსები, № 11

ჩხეტიანი მზია — ვიწვოდე, ვენთო. ცეცხლში
ვდებოდეს! ლექსი, № 9
ჩეთითი რუბენ — ლექსები, № 9
ჩიტყვილი მანანა — ლექსები, № 5
ცარცია იზო — ლექსები, № 4
ცუცყირაძე რობერტ — ათ დავივიწყო... ლექ-
სი, № 9
წერეთელი ნუგზარ — ლირიკული რევუელიდან.
ლექსები, № 5
ჭანტურია ტარიელ — სტრესი — საქართველო.
ლექსი, № 12
ჭელიძე ოთარ — ლექსები, № 4, № 11
ხაღვაში ფრიდონ — ლექსი, № 12
ხარაძე იმერი — ლექსები, № 3
ხარინაძე ვახტანგ — ლექსები, № 8
ხოდანდელი შოთა — ლექსები, № 10
ხორნაული ვაჟა — ლექსები, № 5, № 10
ჯალაღონია ნოდარ — ლექსები, № 10
ჯაფარიშვილი ლალი — ლექსები, № 3
ჯანდიერი ციციშვილი — ლექსები, № 3
ჯგუზურია მურმან — ლექსები, № 8
ჭოქუა ტერეზა — აპრილის დღეა. ლექსი, № 3

სიტყვა ახალგაზრდობას

არაბული იმედა, ბაძალა თამაზ, ბენდელიანი
ეშვარ, თოთაძე ლალი, კაიშაური რუსუ-
დან, მარიაძე ელიდამერ, მეურმაშვილი მა-
რიამ, ფოცხვერაშვილი მარინე, ჩემია ნა-
ნა, ჭილაძე ლია, ხმალაძე მარინა, ხარაიშ-
ვილი ბეჟან, ხარაიშვილი ნინო — ლექ-
სები, № 1

მეგობრობის მარიდინება

ალგოშანტას მიკუტახი, ანთანას ა. იონინასი —
ლექსები. თარგმან ენერ ნიურაძემ, რომუ-
ლდას გრანაუსკასი — ხის კაცუნები. თარგ-
მანა ნუგზარ შატაძემ, იოსხა ალუტისი —
ღობილე, 1944 წლის ერთი ღამე. თარგმანა
გია ლომაძემ, № 10
პეტროსიანი ვარდგეს — „სომხური ესკიზები“,
თარგმანა არჩილ დავითიანმა, № 9
თოფჩი ბაირამი — ჩვენი ძმობის სადღეგრძე-
ლო; ხაღილ რუხ — ქართული მიწა, ლექ-
სები. აზერბაიჯანულიდან თარგმანა ლილია
ერაძემ; აღიმ ქეშოვარი — ლექსები. თარ-
გმანა შალვა ამისლთაშვილმა, № 11

ჩემი ილია

ავალიშვილი მანანა — შენ ხარ აღმზრდელი
ღვთებამდე კაცთ ბუნებისა. პეტიშვილი
თედო — ძნელია ილიაზე წერა. თაბუკაშ-
ვილი ლაშა — მარად ვაბუკი ილია, ფხო-
ველი ჩარია — დიდი მეწევი. ჭოხონელიძე
ზადრი — ნათელი. ჭგუზურია მურმან —
ლექსი, № 5

„მისკრიპ“ ანაბატ

საუბარი პოეზიაზე: ასათიანი გურამ, აჭიშვი-
ლი ჭემალ, ბაქანიძე გიორგი, პეტიშვილი
თედო, გაჩეჩილაძე გიორგი, გაწერელია
აკაკი, დავითაია ვახტანგ, კაკაბაძე ნოდარ,
კანკავა გურამ, ლორთქიფანიძე კონსტან-
ტინე, მელიქიშვილი ედესა ოთარ, ორჭონიკი-
ძე იზა, ოსიაური ირაიდი, ქვლივაძე მი-
ხეილ, ლვინჭილია ჯანსუღ, ჭავჭავაძე ვახ-
ტანგ — № 4

ასფურცალას რამეული

ამირანშვილი შოთა, მეგრელიშვილი ავთანდილ,
მეტრეველი გიორგი, ხარაძე იმერი, ჭუფი-
ძე შთვარისა — ლექსები, № 6

ჭანტურია ტარიელ — ლექსები, № 9
ჭიქინაძე გივი — კუსკუსელა-კუსკარა-
მა, № 9

ღიღუბა ღმინიშორ კომპაზიონის!

კერძეძე ელდარ — უმთავრესია რწმენა, ოთა-
რ-შვილი ვაჟა — და ეს 60 წელი... ოსე-
ფიშვილი რევაზ — კომპაზიონი — იმე-
დო ხვალისდელი დღის, ჩარკვიანი ჯანსუღ
— ძალა ერთგულებისა, ჩახავა ჭემალ —
მამათა კვალზე, № 10

ახალი თარგმანები

ახმადულიანა ბელო, ვინგრანოვსკი მიკოლა, რომ-
დენტენესკი რობერტ — ლექსები. თარგ-
მნეს ლურმან ჭგუზურია, ავთანდილ გურ-
გენიძემ და ნია აბესაძემ, № 3
ვეტრუშკო ევგენი — ლექსები. თარგმანა გია
მარგველაშვილმა, № 7
ღიზონოსოვი ვიქტორ — რაღაც უნდა მოხდეს.
თარგმანა ოთარ ნოდარმა, № 4
მოშე იზნ ეშვარ — გამათა სავალბელი იგუადა
პალევი — ლექსები — ქველგზარულიდან
თარგმანა ჭემალ აჭიშვილმა, № 8

ვაზნიკი

გონაშვილი მაყვალა — ლექსები, № 3

ღიალოგი

ის ურჩევნია მამულსა... № 5

გაითხველთა აზრით

რა მოხდა ამაში (გაითხველთა წერილები),
№ 1

გოგონებათა ფურცლები

კობალაძე თინა — დაუფიქრარი ხმები, № 10

საიუზილუო თარიღები

50 — გივი ძნელაძე — 50, № 1
50 — ოტა პაკიორია — 50, № 3
გიორგი გაჩეჩილაძე, თამაზ წიგნაძე, № 3
60 — ოსებ ნონეშვილი — 60, № 10
გიორგი ნატროშვილი, ღვეფნა სანიკიძე, მუსხრან
მაჭავარიანი, ჭუმბერ თითქერია — მილო-
ცეები, № 10
50 — ნოდარ ღუმბაძე — 50, № 9
მისალმები, № 9
70 — მარიკა ბარათაშვილი — 70, № 11
ლარისა ხუბულური — შრომისა და სიყვარუ-
ლის მგალობელი, № 11
150 — დეე ტოლსტოი — 150, № 9
ბუაჩიძე თენგიზ — ლევ ტოლსტოის იდეურ-
მხატვრული განვითარების სოციალური თა-
ვისებურებანი, № 9
1500 — შუშანიკის წამება — 1500, № 12
გრიგერ ფარულაძე — დიდი კარიბჭე ეროვნუ-
ლი კულტურისა, № 12

ბახხანება

ფარულაძე გრიგერ — ნოდარ ჩხეიძე, № 3

VIII კლასისის უმჯამ

ღუმბაძე ნოდარ — მწერალი მოწვე კი არა. მო-
კაუტუხა! № 3, ნეგატორ მოვლენებს და-
ნდობილი ბრძოლა, № 6
ლომინე ოთარ — დისციპლინა, უპირველეს ყო-
ველისა, № 7
ნეგატორ მოვლენებს დაუნდობელი ბრძოლა!
№ 6

პრიბიტკა, პუბლიცისტიკა, პუბლიკაციზი

არაბული ავთანდილი — „გაფა-ფამეელას თხზუ-
ლებათა ტექსტის დადგენისათვის“, № 11
ასათამაძე გურამ — პოეზია და „სხვა“, № 2,
№ 3
ანდრონიკაშვილი ნიკო — აღმზახის პრობლემა
ილია ქავევაძის პროზაში, № 8
ბაქრაძე აკაკი — პანეგირიკის სიცივე, № 5
ბარამიძე ალექსანდრე — საქართველოს სსრ
ახალი კონსტიტუციის პროექტი, № 4
ბოცაძე იოსებ — იმულებითი განმარტება, № 1
ბენაშვილი გურამ — დიდი გზავარდინი, № 6
ბექიშვილი თედო — ტორლოები კი მაინც გე-
ლობენ, № 11
გორგაძე თენგიზ — რეცენზია თუ პასკილი?
№ 7
გოგოუყრი დავით — ბოლო განმარტება, № 8
გუმბაძე ზორის — პოლუტარული, სოცია-
ლისტური ინტერნაციონალიზმი საბჭოთა
სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრინ-
ციპია, № 12
ეპოპეა უამირზე, № 12
თვარაძე რევაზ — ათას ერთი საფიქრალის წი-
გნი, № 4, პლატონი ქართულ ნააზრევში,
№ 10
კალანდაძე ალექსანდრე — სიტყვა ეძლევა ავ-
ული მელიმონაქის, № 1, ახირების ზვარა-
კად, № 8
კანკავა გურამ — ქართული მწერლობის საიმე-
დო ფრთა, № 12
კაკაბაძე ნოდარ — საქართველოსა და ქართუ-
ლი ლიტერატურის უახლესი რეცეფცია
გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში,
№ 7
კახაბერი ვახტანგ — ახალგაზრდა ვიეტნამელი
მწერლები, № 9
კაციტაძე დავით — ქართულ-ირანული ურთი-
ერთობიდან, № 8
კეტიკაშვილი ეშვარ — კეთილი, ხალასი იუმო-
რი, № 11
კობაძე თინა — დაუეიწყარი ხმები, № 10
მარგინი გ. ბენდანიშვილი ა. გერაჟა ვ. —
ი. ანთელავა. „XVIII საუკუნის საქარ-
თულის სოციალურ-ეკონომიური განვი-
თარების ხასიათის საკითხისათვის“, № 2
მაკავარიანი ვლადიმერ — ყოვლისმკლეველი
მწერაში, № 6
მირცხულავა ზორის — მწერლის ზნეობრივი
იდეალი, № 11
მშველდაძე გიორგი — ქართველთა ეპიკურ-რო-
მანტიკული მატანე, № 9
ნატროშვილი გიორგი — ნათელი შუქურა, № 5
ოცდამეთერთმეტე რესპუბლიკური... № 2
ნიკოლეიშვილი ავთანდილ — ღიმლით გამთბა-
რი ნოველები, № 9
ნორაკიძე ვლადიმერ — ნიკოლოზ კანდელაკი,
№ 9
სანადირაძე ვიორგი — მომავლის სახელით,
№ 8
საბჭოთა ლიტერატურის დღეები საქართველო-
ში, № 10
ფორდანიკა სულხან — სიტყვის ესთეტიკა და
ესთეტიკური კანონები გაფა-ფამეელას პო-
ეზიაში, № 11
ფლენტე იოსებ — ფართო გზა პროფესიულ-
ტექნიკურ განათლებას, № 9
ფიფიშვილი ჯარჯი — უფლისციხისათვის სისხლის-
ფერი ყაყაროს წვეთი“, № 6
ქუთათელაძე ალექსანდრე — მოსაზრებანი ქა-
რთული საბჭოთა ენციკლოპედიის პირველ

ორ ტომში წარმოდგენილ ზოგიერთ სოთ-
ტექნიკურ და ზოოლოგიურ ტერმინზე, № 1
დვინჭილა ჯანსუღ — ზომიერების გზა, № 1
თაბამედიშვილი ქართულ ლიტერატურაში, № 1
№ 1, შეგუება ღალატია, № 5
შენგელაია ნოდარ — საყურადღებო მონოგრა-
ფია დავით აღმაშენებელზე, № 8
ჩანტლაძე დიმიტრი — „ზაფხულის ქვეყანა, ორ-
ერთიანისა“, ანუ უფროსების კორიანტე-
ლი, № 9
ჩხარტაშვილი რევაზ — ამოების ხიდი, № 12
ცოცხალი ისტორია, № 11
ცინცაძე დიმიტრი — თავისუფალ ერთა მურ
ოჯახში, № 2
წიფიჭაძე თამარ — მეტი ზომიერება გემარ-
თებს, № 3
ქარაზაშვილი ზურაბ — „გაუცხოება“ ლი-
ტერატურასა და ხელოვნებაში — მისი არ-
სისა და ადგილის საკითხისათვის, № 8
ნეტორიძე ციკური — შორეული და ახლობე-
ლი სამყარო, № 12
ჯაფარიძე რევაზ — „მნათობი“ — 77, № 3,
№ 4
ჯგუზურია მურმან — მშვენიერი, უმშვენიერე-
სი, უმშვენიერესი... № 7

მეცნიერება

აბრამიშვილი გურამ, ალექსიძე ზაზა — მხედ-
რული დამწერლობის სათავეებთან, № 5,
№ 6

სელოვნება

ამაშუყელი ელგუჯა — ჯამალ თუშურაშვილის
შემოქმედება, № 3
ბარამიძე გივი — ფილმი ოცნებით გასხივოს-
ნებულ დაძვინებზე, № 2
გეტაშვილი ნინო — მაძია მალაზონია, № 12
თაბუკაშვილი ლილია — გოგონა, რომელიც სი-
ლამაზეს ეძებს, № 4
კვიტაშვილი ეშვარ — მხატვრის სამყარო, № 2
კინწურაშვილი ქეთევან — ლევან ცუცქერიძე
წიგნის ილუსტრატორი, № 7
მაჩაბელი კიტი — ნიკოლოზ ბარათაშვილის
ძეგლი თბილისში, № 9
ომაძე იოსებ — ტიტე შევილიძის სოციალი-
სტური, № 6
ფირაქიშვილი ითარ — თემო გოცაძის ნაწარ-
მოებთა გამოფენის გამო, № 6
ქანტურია ტარიელ — ფრესკიდან გადმოსული
ბიჭი, № 4
ხალიაველი ნინა — მოქანდაკის სახე, № 12
ჩხეიძე რეზო — „ღონ კიბოტის“ მეთერთმეტე
ეკრანიზაცია“, № 4

პროზაზემი

გიგეჭკორი არნოლდ — გარემოს დაცვითი გა-
ნათლება და მისი ამოცანები, № 6
მგალობლიშვილი ნოდარ — როგორი იქნება
მომავალი ქალაქი? № 2
რუხაძე რევაზ — ნეთობის საფრთხე, № 7
ჩხიკაშვილი ცოტან — ავადმყოფი და ექიმი,
№ 3

პოეზიკა

ნიშნინიძე შოთა — პაწაწინტელა სოფიზმები
და დიდი რეალობა, № 2
ნოდარ ითარ — მხატვრული თარგმანების პრო-
ბლემა, № 6
მიტანი გენრიხ — პეკარდის ეპოქა, № 8
მიშველდაძე რევაზ — ენთუზიაზმი — თუნდაც
„უპაბირთი“, № 10

მრავალი მაგიდა

თავისუფალი თემა — № 12

ინტერვიუ

ახალი აღმავლობის გზით, № 11

პირველი შემთხვევები

აბულაშვილი თემურ — მათეოსიანის სახლი, № 11

ალბაშვილი გივი — ორი მოთხრობა, № 2, ნაილი ნეკერიშვილი: „ფერადი ველი“, № 3, საქირო წიგნი, № 4

არაბული ამირან — გურამ გოგიაშვილი: „ლექსის ხალიჩა“, № 3, „გააქეთ გუნგუნი მზეებს უძველესს“, № 7

არაბული მაღათერ — საინტერესო კრებული, № 5, ძიების გზით, № 6

ამინაშვილი შალვა — საუბარი პოეზიაზე, № 9 ბაზამ ირაკლი — სახეში თითქო ფრთა მომხედა მერცხლის, № 11

ბრეგაძე ლევან — პოეტის პირველი წიგნი, № 9

გაბელია ალექსანდრე — როცა დახურული წიგნი გადაშლილი რჩება, № 4

გვერდწითელი გურამ — დიდი წინაპრის გახსენება, № 2

გაბაშვილი შალვა — მწვანე მაგიდის ამაყი რაინდი, № 4

გორაძე რეზო — ანთებული კელაპტრები, № 7, კრიტიკოსის ახალი წიგნი, № 9, წინ გადადგმული ნაბიჯი, № 10

გიორგაძე თემურ — პოეტის ალბომი, № 5

გოგეშვილი ჯანრი — სასიამოვნო მოულოდნელობა, № 10

გულში ირაკლი — „...თბათის ცაა საოცრად ცისფერი“, № 6

კაპანაძე გივი — ზურაბ გორგილაძე: „სინაზე“, № 3, სიმშვიდე, № 4

კაცაძე რევაზ — ახალი, აკადემიური, № 5, კრიტიკოსის ახალი ნაშრომი, № 6, ევროპეზმი ქართულ ლიტერატურაში, № 7, ქართული კომედია, № 10

კვიტაშვილი ეშვარ — საინტერესო, სასარგებლო..., № 4, კრიტიკოსის ახალი წიგნი, № 6

მაჭუტაძე გიორგი — მრავლისაღმქმელი დასაწყისი, № 7

მინაშვილი სერგი — კარგი მეგზური, № 3, საყურადღებო წიგნები, № 5

ნიკუჩაძე ელდარ — პირველი წიგნი, № 2

რევაზიშვილი რევაზ — პოეტისადმი მიძღვნილი კრებული, № 2

სიგუა სოსო — გატყუებული მოლოდინის პოეზია, № 5

ტოხაძე სერგი — პირველი წიგნი, პირველი შთაბეჭდილება, № 4

ფხოველი ჯარჯი — ილია ჭავჭავაძის ორტომეული, № 2, გიორგი კაპანაძე, აქამი სინათ-

ლისა“, № 3, „ვაფის საოჯახო პოეზია“, № 11

ქაროხანიძე ცილა — პოეტის გახსენება, № 3, ლენინისა და ჯანსუღ — „წერილები ჩემს ვაჟს“, № 6

უზუშვიძე ვაჟა — „არს ოცნებათა მზილება“, № 3, ფიქრიანი განსჯით მიყვებული ხილვები, № 9

ჩხარტიშვილი რევაზ — მწერლის ახალი სიცოცხლე, № 5; პოეტის ერთტომეული, № 6, ეჭვს დევნა: ძველია უკუნისა, № 7; კრებული მისამე წიგნი, № 8; პოეტის ახალი ოცნება, № 9; ახალი ნაშრომი მიხაი ზინზე, № 11

ჩხაძე ავთანდილ — ჩვენი თანამედროვე, № 10 წითლიძე რამაზ — წიგნის მისამართი: ახალ-გაზრდობას! № 2

ქოხნიშვილი ბადრი — ავთანდილ გალდაძე: „ბიჭო ვოგია“, № 3

ქინტარაული სოსო — „ვერ მიღწეულის ვენებით შეპყრობილი“, № 11

ხათაშვილი სოლომონ — მოგონებანი ევაზე, № 8

ხარჩილავა ვახტანგ — მოთხრობები, ჩვენს ნაცნობ ადამიანებზე, № 8; თუთარჩელაში ხატვაში ლექსები, № 9

ჩანგიაშვილი ჟენა — პოეტის წიგნის მორალური საზრისი, № 8

საორბი

გიორგაძე თენგიზ — ანატოლი კარპოვი: მატჩ-რევანში ალბათ არ დამპირდება, № 2

გოგელია აჩილ — დიდი ჭაღრაყის პატარა პრინცესა, № 4, ბრძოლა საკუთარ თავთან, № 6, ფეხბურთი ივლისის ახალი გზით, № 9

კოქაძე ლევან — ქელები ლიმიტით?! № 8 ცინცაძე ღურამაშვი — ფეხბურთი მსხვერპლს მოითხოვს, № 3

ცოტა რამ დედოფლების გამო, № 7

ჭაჭინაძე ჟენა — შეხვედრა ოცდაათი წლის შემდეგ, № 5

შეტევა, კვლავ შეტევა... ინტერვიუ, № 12

საბრძოლო, იუმორი, პაროდია

ბარათია ნომადი — როდემდე გასტანს ასე?! № 4

ვილინსკა იონა — არ გათვითნებების ყორანი... პოლონურიდან თარგმანა შ. ამირანაშვილმა, № 5

მელა ბათუ — ლექსები, განცხადება, № 1; უწიგნი მწერალი, ლექსიკონი, № 3; ანტი-პოლ ანტიფოსს-ზე ანტიფოსის დახვეწიანობა, ფრაზები, № 6, ულტრაინტიმური ინტერვიუ, № 7

ტიატია — პაროდები, № 2

ჩორდელი ვაჟა — დიალოგები, № 3

კულტურული ცხოვრების ქრონიკა

№ 2, № 3, № 4, № 5, № 6, № 7, № 8, № 9, № 10, № 11, № 12

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2. ტელეფონი — 72-44-78.

გადაცა ასაწყობად 24. X. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. XII. 78 წ. ქალაქის ზომა 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 15.35. შეკვ. № 2881. უფ 00989. ტირაჟი 32.350.

3360 60 333.

საქართველოს
საბჭოთაო
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აკადემია

1615 - 1

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236